

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ბაკურ ლილუაშვილი

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა

ცნობა და აღსრულება საქართველოში

ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი,  
პროფესორი: ზურაბ ძლიერიშვილი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის  
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად



თბილისი 2009

## შინაარსი

შესავალი	5
<b>თავი 1. სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა</b>	
§ 1. სამართლებრივი დაცვა და სამართლებრივი დახმარება	10
§ 2. სამართლებრივი დახმარების გაწევა საქართველოს სასამართლოების მიერ ერთმანეთის მიმართ	13
I. საპროცესო მოქმედებების შესრულება განსჯადი სასამართლოს მიერ	13
II. სამართლებრივი დახმარების გაწევა საქართველოს სასამართლოების მიერ ერთმანეთის მიმართ.	14
§ 3. უცხო ქვეყნის სასამართლოებისათვის სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობის გადაცემის გზები	17
§ 4. სამართლებრივი დახმარების სახეები	18
I. სასამართლო დოკუმენტების გადაცემა	18
II. მტკიცებულებათა მოპოვება—გამოკვლევა და უზრუნველყოფა. მოწმეთა დაკითხვა	21
1. მტკიცებულებათა დაშვებადობა.	22
2. მტკიცების ტვირთის განაწილება.	24
3. მტკიცებულებათა განკუთვნიადობა და შეფასება	26
4. მტკიცებულებათა უზრუნველყოფა	28
5. მტკიცებულებათა მოპოვება და გამოკვლევა.	29
III. ინფორმაცია უცხო სახელმწიფოში მოქმედი სამართლის (ნორმის) შესახებ	33
§ 5. სამართლის წყაროები	40

**თავი 2. უცხო სასელმწიფოთა სასამართლო**

**გადაწყვეტილებების ცნობა (აღიარება) - - - - - 54**

§ 1. სასამართლო გადაწყვეტილებათა (აღიარების) ცნება  
და მნიშვნელობა - - - - - 54

I. სასამართლო გადაწყვეტილების ფაქტიურად არსებობის  
საფუძვლები - - - - - -55

II. აღიარების საგანი - - - - - 55

III. გადაწყვეტილებათა სახეები - - - - - -57

IV. აღიარებას ქვემდებარე სასამართლო აქტები - - - - - 62

§ 2. აღიარების საფუძვლები (პირობები) - - - - - 68

I. გადაწყვეტილებები კერძო სამართლებრივ დავებზე - - - - - -69

II. უცხო ქვეყნის სასამართლოს იურისდიქციის გავრცელება  
პროცესში მონაწილე მხარეზე - - - - - 71

III. საერთაშორისო განსჯადობა - - - - - 78

IV. საერთაშორისო განსჯადობის ცნება და მნიშვნელობა - - - - - -79

V. საქართველოს სასამართლოების განსაკუთრებული  
საერთაშორისო კომპეტენცია - - - - - 88

VI. უცხო ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო  
განსჯადობის დადგენა - - - - - 92

§ 2.1. მხარისათვის უწყების ჩაბარების გზით სასამართლოში  
გამოძახების მნიშვნელობა - - - - - 94

§ 2.2. უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების აღიარების  
დაშვებადობა, მხარეებს შორის დავაზე კანონიერ ძალაში  
შესული სხვა გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში - - - - - -100

§ 2.3. ნაცვალებების პრინციპი გადაწყვეტილების აღიარებისა და აღსრულებისას - - - - -	-106
§ 2.4. უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა საქართველოში იმავე მხარეებსა და იმავე დავაზე სამართალწარმოების მიმდინარეობისას - - - - -	-110
§ 2.5. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებთან (საჯარო წესრიგთან) შეუთავსებლობა- - - - -	-115
§ 3. აღიარების პროცესი - - - - -	124
<b>თავი 3. უცხო სახელმწიფოს სასამართლოების გადაწყვეტილებათა იძულებითი აღსრულება - - - - -</b>	<b>134</b>
§ 1. გადაწყვეტილებათა იძულებითი აღსრულების ცნება და მნიშვნელობა - - - - -	-134
§ 2. აღსასრულებელი გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ფარგლები - - - - -	142
§ 3. ეგზეკუტურა - - - - -	160
§ 4. მოთხოვნა გადაწყვეტილების შეცვლის შესახებ და აღიარებაზე უარის თქმის შედეგები - - - - -	177
დასკვნა - - - - -	-181
ბიბლიოგრაფია - - - - -	188

## შესავალი

საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თავისი დანიშნულებით და იმ საკითხების მიხედვით, რომელთა დარეგულირებაც განეკუთვნება მის სფეროს, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვნად განსხვავდება საერთაშორისო კერძო სამართლის მიზნებისაგან.

საქართველოს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის პირველი მუხლის თანახმად:

„ეს კანონი განსაზღვრავს, თუ რომელი სამართლებრივი წესრიგი გამოიყენება უცხო ქვეყნის სამართალთან დაკავშირებული საქმის ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას, აგრეთვე საპროცესო სამართლის იმ ნორმებს, რომლებიც გამოიყენება ასეთი საქმის წარმოებისას.“

როგორც ვხედავთ, კანონი მოიცავს როგორც საკოლიზიო ნორმებს, რომელთა დახმარებით ირკვევა საკითხი, რომელი სახელმწიფოს სამართალი უნდა იქნას გამოყენებული პირებს შორის კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად და ამავე დროს საპროცესო ნორმებს, რომლებიც მიუთითებენ ჩვენი ქვეყნის სასამართლოს, რა საფუძვლების არსებობისას და აღნიშნული ურთიერთობებით განპირობებული როგორი წესების დაცვით შეუძლიათ მათ გადაწყვიტონ უცხოური ელემენტით დატვირთული საქმეები.<sup>1</sup> როგორც ვხედავთ მათ არ გააჩნიათ საკოლიზიო ნორმის ბუნება, მისი შინაარსი. მათი მეშვეობით ხდება მხოლოდ ჩვენი ქვეყნის სასამართლოებისადმი მითითება. ამასთან ერთად, საყურადღებოა ისიც, რომ საქმეების განხილვის დროს საქართველო (ისევე როგორც სხვა ქვეყნები) მიმართავს შიდაეროვნულ საპროცესო წესებს—სამოქალაქო საპროცესო კოდექსს. მიუხედავად იმისა, რომ რიგ შემთხვევებში, ადგილი შეიძლება ჰქონდეს საზღვარგარეთის სახელმწიფოს საპროცესო ნორმების გამოყენებას, მაგ. სკს-ის შესახებ კანონის 63-ე მუხლის მეოთხე პუნქტის თანახმად, სამართლებრივი დახმარების შესახებ „შუამდგომლობის აღძვრელი სასამართლოს თხოვნით, საპროცესო მოქმედებების შესრულებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს უცხო ქვეყნის სამართლის საპროცესო ნორმები“, იმ პირობით, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს საჯარო წესრიგს. ასევე, უცხო სახელმწიფოს საპროცესო წესების გათვალისწინება ხდება მაგ. სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხის გასარკვევად, ადგილი რომ არ ჰქონდეს ერთ საქმეზე ერთდროულად ორ სხვადასხვა სამართალწარმოებას, ჩვენს ქვეყანაში გადაწყვეტილების აღიარებისას მისთვის ფორმალური კანონიერი ძალის არსებობის დადგენისას. აგრეთვე, დიდ მნიშვნელობა ენიჭება საქმის განხილვისას მტკიცებულებათა თეორიულ საკითხებს, როგორცაა მტკიცების ტვირთის განაწილება მხარეებზე, მტკიცებულებათა დაშვებადობა, განკუთვანადობა, მოწმის უფლება უარი თქვას ჩვენების მიცემაზე და სხვ. რომლებსაც ჩვენ ამ ნაშრომში განვიხილავთ.

<sup>1</sup> იხ. თ. ლილუაშვილი. „საერთაშორისო კერძო სამართალი.“ გამ. „ჯისიი“. თბილისი 2001 წ. გვ. 18.

საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში, უცხოური ელემენტით დატვირთული საქმეების სასამართლო წესით რაც შეიძლება ობიექტურად და სრულყოფილად განხილვისათვის, ხშირად ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როდესაც აუცილებელია იმ მტკიცებულებათა მოპოვება და დადგენა, რომლებიც მდებარეობენ (იმყოფებიან) სხვა ქვეყანაში. ასეთ დროს, საქმის განმხილველი სასამართლო მიმართავს სამართლებრივი დახმარების ინსტიტუტს. აქედან გამომდინარე, ნაშრომის პირველ თავში შევხებით ისეთ საკითხებს, როგორცაა სამართლებრივი დაცვა და სამართლებრივი დახმარება. აგრეთვე ის საშუალებები, რომელთა მეშვეობით ხდება სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობის გადაცემა როგორც საქართველოს სასამართლოებისათვის, ასევე ამ უკანასკნელთა მიერ საზღვარგარეთის ქვეყნების მართლმსაჯულების ორგანოებისათვის. აღნიშნულთან დაკავშირებით განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა: ა) მხარისათვის უწყების ჩაბარება და მისი მნიშვნელობა; ბ) მტკიცებულებათა მოპოვება – გამოკვლევა და უზრუნველყოფა. აგრეთვე რასაც ხშირად აქვს ადგილი საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში – გ) უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების დადგენის როგორც თეორიული, ასევე მასზე ინფორმაციის მიღების პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხები.

ამასთან ერთად, უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება. დღევანდელ პირობებში, როდესაც ასე მზარდია საქართველოსა და სხვადასხვა სახელმწიფოს მეწარმესუბიექტთა შორის კერძო ეკონიკური ურთიერთობების დამყარება, ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს შორის სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობა, ასევე ხშირია, რომ მოხდეს რომელიმე მხარის უფლებების დარღვევა, რომელიც თავისი დარღვეული უფლებისა და კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად მიმართავს სასამართლოს. სასამართლოს გადაწყვეტილებებს (განჩინებებს), როგორც სახელმწიფოს სუვენერული, უზენაესი ხელისუფლების აქტებს, იურიდიული ძალა აქვს მხოლოდ ამ ქვეყნის საზღვრებში. ხოლო საერთაშორისო კერძო ურთიერთობების არსიდან გამომდინარე, ზოგჯერ აუცილებელია აღდგენილი უფლებები განხორციელდეს უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე, რაც შეუძლებელი იქნებოდა, თუ უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებას არ მიეცემოდა ისეთივე იურიდიული ძალა საქართველოს სასამართლოს მიერ, როგორც გააჩნია მის ტერიტორიაზე გამოტანილ ჩვეულებრივ გადაწყვეტილებას. ამისათვის კი საჭიროა მისი აღიარება. ნაშრომის მეორე თავში შევეცადეთ განგვესაზღვრა რას ნიშნავს სამართლებრივად, სკს-ის 68-ე მუხლში მოცემული წესი, კერძოდ, „საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს.“ ამავე დროს, შეძლებისდაგვარად ფართოდ არის განხილული ის პირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, ჩვენი ქვეყნის სასამართლო უარს ამბობს გადაწყვეტილებათა აღიარებაზე.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აგრეთვე ისეთი საკითხი, როგორცაა უცხო სახელმწიფოს სასამართლოს აღიარებული გადაწყვეტილების აღსრულების წესი საქართველოში. რომელიც თავის მხრივ მოითხოვს დამატებით პროცესუალურ ქმედებებს, ვიდრე მხოლოდ აღიარება.

გამომდინარე იქიდან, რომ რამდენადმე განსხვავებულ საპროცესო ინსტიტუტებთან გვაქვს საქმე, როდესაც გადაწყვეტილება მოითხოვს მხოლოდ ცნობას, თუ ამავე დროს აღსრულებასაც. ამასთან დაკავშირებით განხილული გვაქვს ისეთი სამართლებრივი საკითხები, როგორიცაა: ა) სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დანიშნულება, მიზნები; ბ) ეგზეკუტურა, ანუ ჩვენი ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტი, (ჩვენს შემთხვევაში – დადგენილება), უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე და რაც ასე მნიშვნელოვანია აღსრულებისას, უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ობიექტური და სუბიექტური ფარგლები. ანუ გადაწყვეტილების რა ნაწილის კანონიერი ძალა შეიძლება გავრცელდეს საქართველოში, ვისზე და რა წესით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ საინტერესო პრობლემად მივიჩნიეთ ისეთი საკითხები, როგორიცაა უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის შემდეგ, მისი შეცვლის დასაშვებობა და სამართლებრივი საფუძვლები. აგრეთვე, საქართველოს სასამართლოს (უზენაესი სასამართლო საკასაციო პალატის მიერ) ნაწილობრივი აღიარების და აღიარებაზე უარის თქმის შედეგები.

გასათვალისწინებელია, ალბათ ნაშრომში მოცემული ის მოსაზრებაც, რომლის თანახმად საქართველო უნდა წარმოადგენდეს საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში მიღებულ საერთაშორისო მრავალმხრივ ხელშეკრულებებში მონაწილე ქვეყანას.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით, უნდა აღვნიშნოთ, თემის აქტუალობა განპირობებულია იმითაც, რომ ნაშრომში განხილული საკითხები ჯერ არ გამხდარა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში სპეციალური კვლევის საგანი.

ზემოთ აღნიშნული საკითხების დამუშავებისას, ვიხელმძღვანელოთ როგორც ანალიზისა და სინთეზის კარგად ცნობილი და ტრადიციული მეთოდებით, ასევე შედარებითი სამართალმცოდნეობის მეთოდით. ყოველივე ამან საშუალება მოგვცა არამარტო თეორიულად გავგვეცა პასუხი წამოჭრილ რიგ სამართლებრივ საკითხებზე, არამედ საშუალება მოგვცა გარკვეულ საკითხებზე შეგვემუშაებინა რიგი საკანონმდებლო ცვლილებების წინადადებები.

საბოლოოდ, ნაშრომის სიახლე გამოიხატება შემდეგში:

ნაშრომის პირველ თავში შევვხეთ საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტს, როგორიცაა საერთაშორისო სამართლებრივი დახმარება. კერძოდ,

**1.** მისი ცნება და მნიშვნელობა.

**2.** აღნიშნულ ინსტიტუტთან დაკავშირებით შევვხეთ დახმარების ისეთ სახეებს, როგორიცაა:

**2.1.** მხარისათვის სასამართლო დოკუმენტების ჩაბარება, მისი დანიშნულება, რომლის დარღვევა იწვევს მხარის ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ხელყოფას, რაც თავის მხრივ შეიძლება შემდგომში გახდეს გადაწყვეტილების აღიარებაზე უარის თქმის საფუძველი;

**2.2.** სასამართლო მტკიცებულებათა შესახებ საკოლიზიო-სამართლებრივ საკითხებს. ასევე მათი მოპოვება-გამოკვლევისა და

გადაცემის წესსა და საშუალებებს, რომელსაც გააჩნიათ დიდ მნიშვნელობა საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების გამოტანისათვის.

**2.3.** აგრეთვე, რასაც ხშირად აქვს ადგილი უცხოური ელემენტით დატვირთული სამოქალაქო სამართალწარმოებისას, ინფორმაციის მიღების აუცილებლობა უცხო ქვეყანაში მოქმედი სამართლის შესახებ.

**3.** ამავე თავში შევეხეთ საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლის ისეთ სამართლებრივ წყაროებს, როგორცაა სხვადასხვა მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები. რომლებითაც რეგულირდება საზღვარგარეთის სახელმწიფოებს შორის არა მარტო სამართლებრივი დახმარების გაწევის, არამედ გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების საკითხები.

გამოთქმული გვაქვს მოსაზრება, რომლის თანახმად აუცილებლად მიგვაჩნია, იმ სამართლებრივ წყაროებზე (კონვენციებზე) საქართველოს მიერთება, რომლის მონაწილეც არ არის დღევანდელ პირობებში ჩვენი ქვეყანა.

**4.** ნაშრომის მეორე თავში განვიხილეთ ისეთი უაღრესად მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემა, როგორცაა, რას ნიშნავს საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის „სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა“ (აღიარება). კერძოდ,

ა) რა წარმოადგენს აღიარების საგანს;

ბ) რა სახის სასამართლო გადაწყვეტილებები და ზოგადად რა სასამართლო აქტები შეიძლება იქნას აღიარებული საქართველოში;

გ) აღნიშნული საკითხების გაანალიზების საფუძველზე გავაკეთეთ დასკვნა, თუ რას მოიცავს საქართველოს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესი: „1. საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს“.

**5.** ნაშრომში, როგორც ანალიზის, ასევე შედარებითი მეთოდის გამოყენებით, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განხილული გვაქვს ის საფუძველები, რომლებიც წარმოადგენენ აღნიშნული კანონის მითითებული მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველებს.

პასუხი გავეცით შემდეგ სამართლებრივ საკითხებს:

ა) საერთაშორისო და განსაკუთრებული საერთაშორისო განსჯადობის ცნება. მათი განსხვავება საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო განსჯადობისგან.

ბ) უცხო სახელმწიფოსა და ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო სამართალწარმოების ერთდროულად მიმდინარეობის შესაძლებლობა და შედეგები.

გ) გადაწყვეტილების აღიარების დაშვებადობა, საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული ან მესამე ქვეყნის უკვე აღიარებული გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში;

დ) უარის თქმის ისეთი საფუძველები, როგორცაა ნაცვალებების პირინციპი და გადაწყვეტილების აღიარების შეუსაბამობა ჩვენი ქვეყნის ძირითად სამართლებრივ პრინციპებთან.

**6.** სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში განვიხილეთ უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის შემდგომ, მისი აღსრულება საქართველოს ტერიტორიაზე.



ამასთან დაკავშირებით, საჭიროდ მივიჩნით, შევხებოდით აღიარებული გადაწყვეტილების კანონიერი ძალის-ობიექტური და სუბიექტური-ჩვენს ქვეყანაში გავრცელების შესაძლო ფარგლებს. ე. ი. გადაწყვეტილების რა ნაწილის კანონიერი ძალა და ვისზე შეიძლება გავრცელდეს იგი.

ამავე დროს, განვიხილეთ საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში გავრცელებული ინსტიტუტი-ეგზეკუტურა. ანუ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პალატის მიერ, გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე დადგენილების მიღება.

ნაშრომის ბოლოს შევხებთ ჩვენს ქვეყანაში აღიარებული გადაწყვეტილების შეცვლის სამართლებრივ საფუძვლებს და აგრეთვე, ზოგადად ცნობაზე უარის თქმის შედეგებს.

ანალიზის მეთოდის საფუძველზე დასაბუთებულია რიგი საკანონმდებლო ცვლილებები.

## თავი 1. სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა

### 1. სამართლებრივი დაცვა და სამართლებრივი დახმარება

დღევანდელ პირობებში, ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობის კანონმდებლობაში, აგრეთვე საერთაშორისო ორმხრივ თუ მრავალმხრივ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია სამართალსუბიექტის მიმართ სხვადასხვა უფლებები და მოვალეობანი. მათ რიცხვში დგას საქართველოც.

ყოველი ადამიანის სამართალსუბიექტობაზე უფლება, აგრეთვე კანონის წინაშე თანასწორობა და დარღვეული უფლებების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა, პირველად დაფიქსირებული იქნა გაერო-ს 1948 წლის 10 დეკემბრის “ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით”<sup>2</sup> ამასთან ერთად, აღნიშნული პრინციპი შემდგომში განმტკიცებული იქნა სხვა რეგიონალური საერთაშორისო მრავალმხრივი ხელშეკრულებებით, კერძოდ, “ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა” ევროპის 1950 წ. 4 ნოემბრის კონვენციით<sup>3</sup>. რომლის მე-6 მუხლში, რომელიც ეხება სამართლიანი სასამართლოს უფლებას, ნათქვამია: “1. სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართსალებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.”

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა უცხოელთათვის,<sup>4</sup> თითქმის ისეთივე დონით უფლებების მინიჭებას განსაზღვრავს, როგორცაც საქართველოს მოქალაქეებისა. მაგ. კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: “1. საქართველოში მცხოვრებ უცხოელებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.”<sup>5</sup> უფრო დაკონკრეტებულია მათი უფლება

<sup>2</sup> საქართველოში ძალაშია საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით.

<sup>3</sup> საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1999 წ. 12 მაისის №1940 დადგენილებით. კორექტირებული თარგმანი საქართველოს პარლამენტის 2006 წ. 9 ივნისის №3250-IX დადგენილებით.

<sup>4</sup> ტერმინში უცხოელი --- იგულისხმება პირი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე ან იურიდიული პირი, აგრეთვე, არ არის საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი. აგრეთვე პირი, რომელსაც დოკუმენტურად არ უდასტურდება ან/და არ უდგინდება რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობისადმი კუთვნილება და მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

<sup>5</sup> ასეთი გამონაკლისებია, მაგ. პარლამენტის წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 25 წასაკიდან (კონსტიტუცია მუხ. 49); აქტიური ან პასიური საარჩევნო უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღეს შეუსრულდა 18 წელი. (საარჩევნო კოდექსი, მუხ.5) და სხვ.

მოვალეობანი კანონში “უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ”.<sup>6</sup>

მაგრამ, თუ ასევე ქვეყნის შიგნით სამართლებრივი აქტებით არ იქნება განსაზღვრული მატერიალური სამართლით გათვალისწინებული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განხორციელების, ანუ მათი რეალიზაციის წესები და პირობები, მხოლოდ უფლების მინიჭება, შეიძლება ითქვას აზრს დაკარგავდა.

ნებისმიერი მატერიალური სამართლის ნორმის გვერდით, რომელიც აღგენს უცხოელი პირის უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, აუცილებელია არსებობდეს პროცესუალური ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფს მათ დაცვას და შემდგომში აღდგენას სასამართლოში საქმის წარმოების გზით.

აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ უცხოელთათვის მატერიალური თუ პროცესუალური სამართლით გარანტირებული უფლებები, განეკუთვნებიან საერთაშორისო ურთიერთობებში კერძო სამართლის სუბიექტთა სამართლებრივი დაცვის სფეროს, რომელიც თავის მხრივ მოიცავს: როგორც მატერიალური სამართლით გათვალისწინებულ უფლებებს, ასევე პროცესუალურ-სამართლებრივ უფლებებს, კერძოდ, სარჩელის აღძვრას, საქმის მომზადებას მთავარი სხდომისთვის, სასამართლოს მთავარ სხდომას, სასამართლო გადაწყვეტილების მიღებას და ბოლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას და მის აღსრულებას.

სასამართლოში უცხოური ელემენტით დატვირთული სამართალწარმოების გზით სამართლებრივი დაცვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოს სასამართლო ხელისუფლების იურისდიქციის გავრცელება მხოლოდ მის საზღვრებში. ანუ, ხელისუფლების აღნიშნული შტოს უფლებამოსილება ვრცელდება მხოლოდ მის ტერიტორიაზე. განსხვავებით კერძო სამართლებრივი ინტერესებისაგან, რომლებისთვისაც, დღევანდელ პირობებში, შეიძლება ითქვას, სახელმწიფოთა საზღვრებს შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება.

ყოველი საქმის განხილვა აუცილებლად მოითხოვს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედებების ჩატარებას. მაგ. მოწმეთა დაკითხვას, მტკიცებულებათა მოპოვებას და ა. შ. როდესაც სამართალწარმოება მიმდინარეობს ერთი ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის, პროცესუალური დონისძიებების შესრულებისათვის, სასამართლოს მიერ რაიმე სხვა მოქმედებების გატარება, გარდა საპროცესო კოდექსით დადგენილი წესებისა, საჭირო არ არის. პირიქით, ამან არა მარტო საქმის განხილვის გაჭიანურება შეიძლება გამოიწვიოს, არამედ კანონმდებლობის სერიოზული დარღვევებიც.

ხშირ შემთხვევებში, იმისათვის, რომ უცხოური ელემენტით დატვირთული სამოქალაქო პროცესი განხორციელდეს სამართლიანად, ეფექტურად, აუცილებელი ხდება გარკვეული საპროცესო მოქმედებების ჩატარება არა მარტო ქვეყნის შიგნით სხვა სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე, არამედ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. ეს კი,

<sup>6</sup> მიღებულია 2005 წ. 27 დეკემბერს, ამოქმედება 2006 წ. 1 ივლისიდან. გამ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ 16. 01. 06. №3

თავისუფლად შეიძლება ითქვას, იწვევს არამარტო უცხო სახელმწიფოს სუვერენიტეტის დარღვევას, არამედ მის სასამართლო ხელისუფლებაში ჩარევას.

საპროცესო მოქმედებების გატარება სასამართლოს (მოსამართლეს)<sup>7</sup> სჭირდება, რათა საქმეზე რაც შეიძლება სწრაფად და ობიექტურად იყოს გადაწყვეტილება გამოტანილი. ზოგიერთ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობამ, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, შეიძლება გამოიწვიოს არა მარტო მცდარი, არაობიექტური გადაწყვეტილების მიღება, არამედ იგი შეიძლება მომავალში გახდეს მისი გაუქმების საფუძველი, ან/და საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში შედეგად მივიღოთ გადაწყვეტილების აღიარებაზე უარის თქმა უცხო სახელმწიფოში. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს სკს-ის შესახებ კანონის 68-ე მუხლის მეორე პუნქტი, რომლის თანახმად გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ მხარე უწყების ჩაბარების გზით, სათანადოდ არ იყო გაფრთხილებული მის წინააღმდეგ საქმის წარმოების შესახებ.

აქედან გამომდინარე, უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო სამართლებრივი დახმარება, პირის სამართლებრივი დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე მოიცავს ფართო წრეს. იგი წარმოადგენს სამოქალაქო საქმეებზე სასამართლოსა თუ იუსტიციის სხვა ორგანოების მიერ გარკვეული საპროცესო მოქმედებების შესრულებაზე უცხო ქვეყნის ოფიციალური ორგანოების შუამდგომლობაზე დახმარების გაწევას. ანუ, ჩვენი სასამართლოების მეშვეობით ხდება საქმის უფრო სწრაფად და რაც მთავარია, ობიექტურად განხილვა უცხო ქვეყანაში, ან პირიქით, უცხო სახელმწიფოს სასამართლოს დახმარებით ხდება საქართველოს სასამართლოში უფრო სრულყოფილი მართლმსაჯულების განხორციელება.

საბოლოოდ კი შეიძლება ვთქვათ, რომ სამართლებრივი დახმარება, ეს არის სამართალსუბიექტისათვის სამართლებრივი დაცვის სრულყოფილად განხორციელების მიზნით უცხო სახელმწიფოს სასამართლოს შუამდგომლობის საფუძველზე პროცესუალური მოქმედებების განხორციელება საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება გამოვყოთ სამართლებრივი დახმარების შემდეგი ძირითადი მიმართულებები, კერძოდ: ა) შუამდგომლობა სასამართლო და არა სასამართლო დოკუმენტების გადაცემის თაობაზე; ბ) შუამდგომლობა მტკიცებულებების მოპოვება-გამოკვლევისა და უზრუნველყოფაზე, აგრეთვე მოწმეთა დაკითხვა; გ) გამოსაყენებელი უცხო ქვეყნის სამართლის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დახმარების გაწევა.

<sup>7</sup> ნაშრომში “სასამართლო-მოსამართლე”, მოყვანილია როგორც ფუნქციური, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საერთო ნების გამომხატველი ერთიანობა. “სასამართლო-მოსამართლის ფუნქციური ერთიანობა (იდენტურობა) ქმნის იმის საფუძველს, რომ მოსამართლის ნების გამოვლინებაში დავინახოთ სასამართლოს ნება. არ არსებობს სხვა პირი, გარდა მოსამართლისა, რომლის ნებაც კონკრეტული საქმის განხილვისას შეიძლება აღვიქვათ სასამართლოს ნებად.” იხ. ბ. ზოიძე, “საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში”; თბილისი 2007. გამომც. გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ). გვ. 190.

## 2. სამართლებრივი დახმარების გაწევა საქართველოს სასამართლოების მიერ ერთმანეთის მიმართ.

### I. საპროცესო მოქმედებების შესრულება განსჯადი სასამართლოს მიერ.

სამოქალაქო საქმე შეიძლება განიხილოს იმ სასამართლომ, რომლის განსჯადია ეს საქმე. ესაა ზოგადი პრინციპი, რომელიც დამკვიდრებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (სსკ) მე-13–24-ე მუხლებით. კანონით დაშვებული გამონაკლისები მხოლოდ ადასტურებს ამ ზოგადი წესის განუხრელად შესრულების აუცილებლობას.

რას ნიშნავს “საქმე უნდა განიხილოს” განსჯადმა სასამართლომ ანუ იმ სასამართლომ, რომელსაც გადაეცა ეს საქმე განსახილველად?

ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა საპროცესო მოქმედება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ით და შესრულება აუცილებელია სამოქალაქო საქმის სწორად გადაწყვეტისათვის, უნდა შეასრულოს იმ სასამართლომ, რომელმაც მიიღო საქმე წარმოებაში. კერძოდ, საქმის განხილველმა სასამართლომ ამ საქმის წინასწარი მომზადების მიზნით უნდა გადაუგზავნოს მოპასუხეს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები, გამოითხოვოს მოპასუხისაგან წერილობითი შესაგებელი (სსკ-ის 101-ე მუხლი), მისცეს წინადადება მხარეებს წარმოადგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთები და დოკუმენტები, გამოითხოვოს მხარეთა თხოვნით მტკიცებულებანი სხვადასხვა დაწესებულებებისგან ან მოქალაქეებისაგან, რომელთა მიღება მხარეებმა ვერ შეძლეს, შეამოწმოს მტკიცებულებები, ჩაატაროს ადგილზე დათვალიერება, მოახდინოს ადგილზე დათვალიერება, მოახდინოს სარჩელის უზრუნველყოფა და ა. შ. (სსკ-ის 203-ე მუხლი). საქმის წინასწარი მომზადების დამთავრების შემდეგ მოსამართლეს გამოაქვს განჩინება სასამართლოს მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ (სსკ-ის 207-ე მუხლი).

სასამართლოს მთავარი სხდომა მიმდინარეობს სსკ-ით განსაზღვრული წესით და აქაც სასამართლო (მოსამართლე) მოწოდებულია შეასრულოს სრულიად გარკვეული საპროცესო მოქმედებები და გამოიტანოს საბოლოო გადაწყვეტილება საქმეზე. აღსანიშნავია ისიც, რომ გადაწყვეტილება საქმეზე შეიძლება გამოიტანოს მხოლოდ იმ მოსამართლემ, რომელმაც მიიღო საქმე წარმოებაში, მოამზადა და განიხილა იგი. გადაწყვეტილების გამოტანა იმ მოსამართლის მიერ, რომელიც არ მონაწილეობდა საქმის განხილვაში, წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს (სსკ-ის 394 მუხლის “ვ” ქვეპუნქტი).

უფიქრობთ, ზემოაღნიშნული საკმარისია იმისათვის, რომ გავაკეთოთ დასკვნა: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის აზრისა და შინაარსის მიხედვით ყველა საპროცესო მოქმედება, რომელიც გათვალისწინებულია კანონითა და რომელთა შესრულება აუცილებელია საქმეზე სწორი გადაწყვეტილების გამოსატანად, უნდა შეასრულოს იმ სასამართლომ, რომელსაც გადაეცა ეს საქმე განსახილველად და გადაწყვეტილების გამოსატანად.

## II. სამართლებრივი დახმარების გაწევა საქართველოს სასამართლოების მიერ ერთმანეთის მიმართ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ესა თუ ის საპროცესო მოქმედება, რომლის შესრულება აუცილებელია საქმის სწორად გადაწყვეტისათვის, შეიძლება შეასრულოს არა იმ სასამართლომ, რომლის წარმოებაშიც არის საქმე, არამედ საქართველოს რომელიმე სხვა სასამართლომ, რომელსაც არანაირი დამოკიდებულება განსახილველ საქმესთან არ აქვს.

ამასთან ერთად, საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს პირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში ამ “სხვა სასამართლოს” შეუძლია აღმოუჩინოს დახმარება საქმის განხილველ სასამართლოს. ეს პირობები ძირითადად ჩამოაღიბებულია სსკ-ის 107-ე მუხლში. ამ მუხლის თანახმად სამართლებრივი დახმარების გაწევა საქმის განხილველ სასამართლოსათვის დასაშვებია შემდეგი პირობების არსებობისას:

ა) თუ არსებობს სასამართლოს განჩინება დახმარების გაწევის შესახებ, რომელიც მიიღება სასამართლო დავალების სახით, (“განჩინება სასამართლო დავალების შესახებ”).

ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა სასამართლო ვერც თავისი ინიციატივით და ვერც მხარის თხოვნით ვერ შეასრულებს რაიმე საპროცესო მოქმედებას, თუ არ არსებობს იმ სასამართლოს განჩინება დახმარების შესახებ, რომლის წარმოებაშიც არის საქმე.

ბ) თუ მტკიცებულებები, რომლებიც უნდა შეგროვდეს და შემოწმდეს სხვა ქალაქშია ან რაიონშია, ე. ი. იმყოფებიან საქმის განხილველი სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობის ფარგლებს გარეთ. კანონის ეს დანაწესი სავსებით გასაგები და გამართლებულია: საქმის განხილველი სასამართლო თვითონ ასრულებს ყველა საჭირო საპროცესო მოქმედებას, რომელიც მისი ტერიტორიის ფარგლებში უნდა განხორციელდეს. ამ სასამართლოს, ცხადია, შეუძლია “შეიჭრას” სხვა სასამართლოს ტერიტორიაზეც, თუ საპროცესო მოქმედება ამას მოითხოვს. მაგრამ, გამორიცხებულია, რომ “სხვა სასამართლოს” დაევალოს ისეთი საპროცესო მოქმედების შესრულება, რომელიც საქმის განხილველი სასამართლოს ტერიტორიაზე უნდა შესრულდეს.

გ) შესაგროვებელი და შესამოწმებელი მტკიცებულებების წარმოდგენა საქმის განხილველ სასამართლოში შეუძლებელია ან ძნელია.

მტკიცებულებათა წარმოდგენის “შეუძლებლობა” ან “სიძნელე” გარკვეული თვალსაზრისით შეფასებითი კატეგორიაა. ზოგმა შეიძლება მიიჩნიოს, რომ მტკიცებულებათა უშუალოდ სასამართლოში წარმოდგენა “შეუძლებელი” ან “ძნელია”, ხოლო სხვების თვალსაზრისით ეს ასე არაა. ამ შემთხვევაში საკითხს წყვეტს საქმის განხილველი სასამართლო: გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მის შეხედულებას ანუ, თუ იგი თვლის რომ მტკიცებულებათა წარმოდგენა ამ სასამართლოში ძნელი ან შეუძლებელია, მას გამოაქვს განჩინება სასამართლო დავალების შესახებ.

ამრიგად, იმისათვის, რომ სასამართლომ მიიღოს განჩინება სასამართლო დავალების შესახებ საჭიროა ერთდროულად არსებობდეს ორი პირობა: პირველი --- გამოსათხოვი თუ შესამოწმებელი

მტკიცებულება უნდა იყოს სხვა ქალაქში ან რაიონში, ე. ი. ამ სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ და, მეორე --- მათი წარმოდგენა (შემოწმება) ამ სასამართლოში ძნელია, დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან, ან სულაც შეუძლებელია.

განჩინება სასამართლო დავალების შესახებ უნდა პასუხობდეს გარკვეულ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები ზოგადი სახით ჩამოყალიბებულია სსკ-ის 107-ე მუხლის მე-2 ნაწილში. ამ მუხლის თანახმად განჩინებაში სასამართლო დავალების შესახებ მოკლედ უნდა ჩამოყალიბდეს: 1. "განსახილველი საქმის შინაარსი". განსახილველი საქმის შინაარსს ქმნის სარჩელის საგანი, ანუ მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი და სარჩელის საფუძველი, ანუ ფაქტიური გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (მოთხოვნებს) მოპასუხისადმი; 2. "დასადგენი გარემოება". დასადგენი გარემოება --- ეს ისეთი გარემოებაა, რომელზეც მიუთითებს მოსარჩელე თავისი მოთხოვნის დასასაბუთებლად ან მოპასუხე თავისი შესაგებლის დასასაბუთებლად და რომელსაც აქვს მნიშვნელობა ამ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. როგორც ვხედავთ, სასამართლო დავალების შესახებ განჩინების გამოტანისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა იმას, თუ რომელმა მხარემ წამოაყენა ფაქტი, არამედ იმას, აქვს თუ არა ამ ფაქტს მნიშვნელობა გადაწყვეტილებისათვის და არსებობს თუ არა პირობები სასამართლო დავალების შესახებ განჩინების გამოსატანად; 3. მტკიცებულებანი, რომლებიც უნდა შეაგროვოს დავალების შემსრულებელმა სასამართლომ. მტკიცებულებათა სახეები, საშუალებები, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დასადგენად, განსაზღვრულია კანონით (სსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ესენია მხარეთა ახსნა-განმარტება, მოწმეთა ჩვენება, წერილობითი მტკიცებულება, ნივთიერი მტკიცებულება და ექსპერტის დასკვნა. ნებისმიერი მტკიცებულების, გარდა ექსპერტის დასკვნისა, შეგროვება და შემოწმება შეიძლება დაევალოს სასამართლოს. რაც შეეხება ექსპერტის დასკვნას, თუ არსებობს ისეთი გარემოება, რომლის დადგენა სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, ექსპერტიზა და ექსპერტი უნდა დანიშნოს საქმის განხილველმა სასამართლომ.

ამრიგად, განჩინებაში სასამართლო დავალების შესახებ სხვა ზემოთ ჩამოთვლილ გარემოებებთან ერთად მითითებული უნდა იყოს იმ კონკრეტული სახის მტკიცებულებებზე, რომელიც უნდა შეაგროვოს (შეამოწმოს) დავალების შემსრულებელმა სასამართლომ. მაგალითად, განჩინებაში მითითებული უნდა იყოს იმ მოწმის გვარი, სახელი და მისამართი, რომელიც უნდა დაიკითხოს, იმ დოკუმენტის ადგილმდებარეობა, რომელიც უნდა დაათვალიეროს, იმ ნივთიერი მტკიცებულებების მდებარეობა, რომლებსაც თავისი თვისებით თუ განლაგებით შეუძლიათ დაადასტურონ დასადგენი გარემოება და ა. შ.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, განჩინებაში სასამართლო დავალების შესახებ, მითითებული უნდა იყოს დავალების შესრულების ვადა. ამ ვადას განსაზღვრავს დავალების მიმცემი სასამართლო იმის მიხედვით, თუ რა ხასიათის დავალებაა შესასრულებელი და დაახლოებით რა დროს მოითხოვს მისი შესრულება. სსკ-ის 107-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, "სასამართლო დავალების შესახებ განჩინების შესრულება სავალდებულოა და იგი უნდა შესრულდეს დანიშნულ ვადაში". კანონის

ასეთი კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, დავალების შემსრულებელმა სასამართლომ შეიძლება ამა თუ იმ მიზეზის გამო ვერ შეასრულოს დანიშნულ ვადაში დავალება. მაგალითად, მოწმე, რომელიც უნდა დაიკითხოს ან მხარე, რომლისგანაც მიღებული უნდა იქნას ახსნა-განმარტება, იმყოფება ისეთ მძიმე ავადმყოფურ მდგომარეობაში, რომ მათგან რაიმე ჩვენების მიღება დაუშვებელია სამედიცინო თვალსაზრისით, ან იმყოფება ქვეყნის საზღვრებს გარეთ და ა. შ.

ცხადია, რომ თუ სასამართლო დროულად ვერ ასრულებს დავალებას, მან ამის შესახებ დროულად უნდა აცნობოს დავალების მიმცემ სასამართლოს.

არ არის გამორიცხული ისიც, რომ სასამართლომ გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო საერთოდ ვერ შეასრულოს დავალება, (მოწმის გარდაცვალება, ნივთიერი თუ წერილობითი მტკიცებულებების განადგურება და ა. შ.). დავალების მიმცემ სასამართლოს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ყოველივე ამის შესახებ, განსაკუთრებით კი იმ მიზეზის შესახებ, რომლებმაც გამოიწვიეს დავალების შეუსრულებლობა.

სსკ-ის 108-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლო დავალების შესრულების წესს. ჩვენ ამ წესზე აქ არ შევჩერდებით. საქმე ისაა, რომ საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარებისათვის ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. ამიტომ, ამ საკითხზე, რომელსაც არამარტო თეორიული, არამედ უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, დაწვრილებით შევჩერდებით ქვემოთ.

ბოლოს, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ დახმარების გაწევა შეიძლება აუცილებელი გახდეს მხარისათვის უწყების ჩაბარების მიზნით. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 28.12.2007 წ. შეტანილი ცვლილების თანახმად, რომლის შედეგად 73-ე მუხლს დაემატა 7<sup>1</sup> ნაწილი: „7<sup>1</sup>. თუ სასამართლოში დასაბარებული პირი სხვა მუნიციპალიტეტშია (რაიონშია, ქალაქშია) და მისთვის სასამართლო უწყების დროულად ჩაბარება ვერ ხერხდება, საქმის განმხილველ სასამართლოს შეუძლია ადრესატისათვის უწყების ჩაბარება დაავალდოს შესაბამის სასამართლოს, რომლის ტერიტორიაზედაც იმყოფება დასაბარებული პირი.” ამავე ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, დავალების მიმღები სასამართლო უწყებას გამოწერს დავალების მიმცემი სასამართლოს სახელით. ამავე დროს, იგი ვალდებულია აცნობს ამ უკანასკნელს მხარისათვის უწყების ჩაბარების თაობაზე, ან მისი ჩაუბარებლობის მიზეზებზე და, აგრეთვე, უწყების ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ შესაბამისი დოკუმენტით.



### 3. უცხო ქვეყნის სასამართლოებისათვის სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობის გადაცემის გზები

როგორც წესი, საპროცესო მოქმედებების საზღვარგარეთ განხორციელებისათვის, აუცილებელია იმ სახელმწიფოს თანხმობა, რომლის ტერიტორიაზეც უნდა გატარდეს ეს ღონისძიებები. ეს კი საერთაშორისო ურთიერთობებში შესაძლებელია სასამართლოს ან სხვა ოფიციალური ორგანოების მიერ უცხო ქვეყნის სათანადო დაწესებულებისადმი შუამდგომლობის მიმართვის გზით. მაგ. საქართველოს სკს-ის შესახებ კანონის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „1. საქართველოს სასამართლოები აკმაყოფილებენ უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობებს სამართლებრივი დახმარების შესახებ.“

საქართველოს სკს-ის შესახებ კანონის ანალიზი, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სასამართლოს შუამდგომლობა უცხო ქვეყნის სასამართლოსადმი დახმარების აღმოჩენის თხოვნით, შეიძლება განხორციელდეს რამდენიმე გზით, რომლებიც საერთაშორისო პრაქტიკაშიც ფართოდაა გავრცელებული. ესენია:

1. შუამდგომლობის აღძვრა „უცხო ქვეყნის სათანადო დაწესებულების მიმართ“. კანონით ზუსტად არ არის განსაზღვრული, თუ რომელი დაწესებულება შეიძლება ჩაითვალოს „სათანადო“ დაწესებულებებად. ტრადიციულად, ასეთ დაწესებულებებად მიიჩნევა პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო ან იუსტიციის სხვა ცენტრალური ორგანოები. მაგ. იუსტიციის ცენტრალური ორგანოების მიერ სამართლებრივი დახმარების გაწევას ითვალისწინებს „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ კონვენციის მე-4 მუხლი.<sup>8</sup> გასათვალისწინებელია 1965 წ. 15 ნოემბრის ჰააგის კონვენცია „სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებზე სასამართლო და არასასამართლო დოკუმენტების საზღვარგარეთ გადაცემის შესახებ“,<sup>9</sup> რომლის თანახმად, სახელმწიფო ნიშნავს ცენტრალურ ორგანოს, რომელიც ვალდებული იქნება მიიღოს უცხო ქვეყნის სასამართლოს შუამდგომლობები და შესაბამისი წესის დაცვით გადასცეს ისინი შემსრულებელ ორგანოს. ამავე კონვენციის მე-18 მუხლის თანახმად კი ხელშემკვრელ სახელმწიფოებს უფლება აქვთ დანიშნონ ხელისუფლების სხვა დამატებითი ორგანოებიც და განუსაზღვრონ მათ კომპეტენცია.

2. შუამდგომლობის გადაცემა შეიძლება განხორციელდეს დიპლომატიური მისიის ან საკონსულოს წარმომადგენლობის დახმარებით.

ამას ითვალისწინებს საქართველოს სკს-ის შესახებ კანონის 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი: „2. თუ მოქმედება ხორციელდება საქართველოს დიპლომატიური მისიის ან საკონსულოს წარმომადგენლობის მეშვეობით, შუამდგომლობა უნდა აღიძრას მათ მიმართ.“

<sup>8</sup> საქართველოში ძალაშია 1996 წ. 11 ივნისიდან, საქართველოს პარლამენტის 1996 წ. 24 იანვრის დადგენილებით.

<sup>9</sup> უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ მოდიებული დოკუმენტების თანახმად, საქართველო აღნიშნულ კონვენციაზე მიერთებული არ არის.

ამ წესის თანახმად, სასამართლო მიმართავს თავისი ქვეყნის საგარეო სამინისტროს შუამდგომლობით სამართლებრივი დახმარების შესახებ. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ მიმართავს თავის საელჩოს ან საკონსულოს იმ ქვეყანაში, სადაც უნდა განხორციელდეს საპროცესო მოქმედებები. საელჩო (საკონსულო) კი მიმართავს ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელიც გადაუგზავნის შუამდგომლობას თავისი ქვეყნის სასამართლოს.

3. მესამე გზა ეს არის დოკუმენტების გადაცემაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნა. ეს მექანიზმიც გათვალისწინებულია საქართველოს სკს-ის შესახებ კანონით. კერძოდ, 66-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „თუ ერთ-ერთ მხარეს, რომელსაც საცხოვრებელი ადგილი ან რეზიდენცია საქართველოს ფარგლებს გარეთ აქვს და არ ჰყავს საქართველოში მცხოვრები წარმომადგენელი, მას შეუძლია სასამართლოს განჩინებით დაევალოს განსაზღვრულ ვადაში დანიშნოს საქართველოში მცხოვრები დოკუმენტების გადაცემაზე უფლებამოსილი პირი.“

საინტერესო დანაწესს შეიცავს ამავე მუხლის მეორე პუნქტი, რომლის თანახმად, თუ მხარე სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არ დანიშნავს დოკუმენტების გადაცემაზე უფლებამოსილ პირს, მაშინ დოკუმენტების გადაცემა განხორციელდება დაზღვეული წერილის მეშვეობით და იგი ჩაბარებულად ჩაითვლება ფოსტისათვის გადაცემიდან ერთი თვის შემდეგ, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ადრესატისათვის ამ წერილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. შუამდგომლობები სამართლებრივი დახმარების შესახებ შეიძლება გაცემული იქნას ერთი ქვეყნის სასამართლოს მიერ უშუალოდ მეორე ქვეყნის სასამართლოსადმი.

საქართველოს სკს-ის შესახებ კანონით, შეიძლება ითქვას, რომ შუამდგომლობების ამ გზით გადაცემა პირდაპირ არ არის გათვალისწინებული. თუმცა, ვფიქრობთ, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „უცხო ქვეყნის სათანადო დაწესებულებებში“ შეგვიძლია მოვიანხროთ ამ ქვეყნის სასამართლოებიც.

#### **4. სამართლებრივი დახმარების სახეები**

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე პირობებში საერთაშორისო ურთიერთობებში სასამართლოებს შორის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა რამდენიმე მიმართულებით შეიძლება გახდეს აუცილებელი. კერძოდ, ა) სასამართლო დოკუმენტების გადაცემა, ბ) მტკიცებულებათა მოპოვება-გამოკვლევა და მტკიცებულებათა უზრუნველყოფა, მოწმეთა დაკითხვა და გ) ინფორმაციის მოპოვება უცხო სახელმწიფოში მოქმედი სამართლის (ნორმის) არსის (შინაარსის) შესახებ.

##### **I. სასამართლო დოკუმენტების გადაცემა.**

სასამართლო უწყება წარმოადგენს იმ ძირითად სასამართლო დოკუმენტს, რომლის დახმარებითაც ეცნობება მხარეებს და მათ წარმომადგენლებს სხვადასხვა საპროცესო მოქმედებების შესახებ.

ისეთი ძირითადი პროცესუალური მოქმედებები როგორცაა მოპასუხისათვის სამართალწარმოების თაობაზე ინფორმაცია, ანუ

სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გადაგზავნა, (მუხ. 184; 201), თანამომავილისათვის უწყების ჩაბარება, თუ მას სხვა თანამონაწილეებისგან მინდობილი აქვს საქმის წარმოება (მუხ. 77), მოწმეთა გამოძახება, მტკიცებულებათა გამოთხოვა, (მუხ. 178), დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირებზე შეტყობინება, (მუხ. 90), მოსარჩელისათვის მოპასუხის შესაგებლის გადაგზავნა (მუხ. 202); სასამართლო სხდომის დანიშვნა, (მუხ. 207); გადაწყვეტილების, მათ შორის დაუსწრებელის გამოცხადება, მოითხოვს უწყების ჩაბარებას ოფიციალური დადასტურებით. ყველა აღნიშნულ მოქმედებებზე უწყების ჩაბარება სასამართლოს (მოსამართლის) არა უფლებას, არამედ ვალდებულებას წარმოადგენს. სასამართლო დოკუმენტის ჩაბარების ოფიციალური დადასტურება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც მართლმსჯულების განხორციელება დამოკიდებულია კანონისმიერ საპროცესო ვადებზე. კერძოდ, სსსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად, როდესაც მხარე არ ასრულებს საპროცესო მოქმედებას კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში, იგი კარგავს ამ მოქმედების შესრულების უფლებას. მაგ. სარჩელში ხარვეზის გამოსწორება, გადაწყვეტილების გასაჩივრება და სხვ. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ დროს და საფუძვლებს, რომლის დროსაც ითვლება უწყება ჩაბარებულად. ანუ რა დროიდანაც იწყება საპროცესო ვადის ათვლა. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ უწყების ჩაბარების მთავარი მიზანია, უზრუნველყოს პირის უფლება იყოს მოსმენილი სასამართლო პროცესზე, ანუ იყოს გარანტირებული სამართლიან სასამართლო საქმის განხილვაზე. თუ უფრო ფართოდ განვმარტავთ, სასამართლო დოკუმენტების ჩაბარება უზრუნველყოფს მხარეს, გამოიყენოს მისთვის საპროცესო სამართლით განმტკიცებული ყველა უფლება.

აღნიშნული მიზნის განხორციელება შედარებით ადვილია, როდესაც სასამართლო დოკუმენტების ჩაბარება ხდება უშუალოდ მხარისათვის. მაგრამ ხშირ შემთხვევებში ადგილი შეიძლება ჰქონდეს ისეთ ვითარებას, როდესაც პირი ფაქტობრივად არ ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, ან გასულია მოკლე ვადით საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილიდან. ქვეყნის შიგნით სამართალწარმოებისას აღნიშნული პრობლემა შედარებით მარტივად შეიძლება გადაიჭრას. მაგ. თუ პირი ფაქტობრივად არ ცხოვრობს მხარის მიერ მითითებულ ძირითად მისამართზე (ფაქტობრივ ადგილსამყოფელზე), სასამართლო უწყებას აგზავნის ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის, ან სასამართლოსათვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით (მუხ. 71. ნაწ. 1). ხოლო დროებით არყოფნის შემთხვევაში, უწყება ბარდება ოჯახის სრულწლოვან წევრს, ან სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას (მუხ. 74). სსსკ-ი ითვალისწინებს აგრეთვე საჯარო შეტყობინებას პუბლიკაციის მეშვეობით, როდესაც მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია. ასეთ შემთხვევაში, უწყება ჩაბარებულად ითვლება პუბლიკაციიდან მე-7 დღეს (მუხ. 78).

ქვეყნის შიგნით სამოქალაქო პროცესის მიმდინარეობისას უწყების ჩაბარების აღნიშნულმა წესებმა, შეიძლება ზოგჯერ გარკვეული პრობლემები შექმნას მოპასუხესთან მიმართებით. ანუ, მან ვერ მიიღოს ინფორმაცია გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, (მაგ. უწყების მიმღებ პირს დაავიწყდა ან ვერ მოახერხა მოპასუხისათვის გადაეცა, პირი არ იმყოფება ქვეყნის ტერიტორიაზე და სხვ.) ასეთ

შემთხვევაში მას რჩება უფლება დაიცვას თავი მხოლოდ იმ საფუძველით, (დაუმტკიცოს სასამართლოს) რომ მას უწყება არ ჩაბარებია მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

კიდევ უფრო პრობლემატურია აღნიშნული საკითხი, როდესაც ადრესატი ცხოვრობს სხვა ქვეყანაში და უცნობია მისი საცხოვრებელი ადგილი თუ საერთოდ ადგილსამყოფელი. თუ გავითვალისწინებთ პრინციპს, რომლის თანახმად, სამართლებრივი დახმარების გაწევა ხდება იმ სახელმწიფოს საპროცესო ნორმების გამოყენებით, სადაც იგი უნდა განხორციელდეს, საქართველოს სასამართლოს რჩება ერთი გზა, კერძოდ, საჯარო შეტყობინება პუბლიკაციის მეშვეობით (მუხ. 78).

ასევე პრობლემატურია შემთხვევა, როდესაც მართალია ცნობილია მოპასუხის საცხოვრებელი თუ ადგილსამყოფელი, იგი ცხოვრობს საზღვარგარეთ, მაგრამ არ ჰყავს წარმომადგენელი და ამავე დროს არ ჰყავს დანიშნული სასამართლოს დავალების მიუხედავად დოკუმენტების გადაცემაზე უფლებამოსილი პირი. მსგავს ვითარებაში, საერთაშორისო პრაქტიკა, ასევე საქართველოც, ითვალისწინებს უწყების გაგზავნას ფოსტით, კერძოდ დაზღვეული წერილით. (საქართველოს სკს-ის კანონი მუხ. 65). რომელიც ადრესატმა შეიძლება მიიღოს მას შემდეგ, როცა იქნება მის მიმართ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება. შეუძლია თუ არა მოპასუხეს მიუთითოს უწყების მიუღებლობის შესახებ, გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლო დოკუმენტი ჩაბარებულად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნება ადრესატის ან იმ სხვა უფლებამოსილი პირის ხელმოწერა, რომლებსაც ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ ის, რომ თუ მოპასუხემ თავისი ნებით არ შეასრულა სასამართლო დავალება, ანუ არ დანიშნა უფლებამოსილი პირი, შემდგომში მას უფლება აღარ უნდა ჰქონდეს მიუთითოს ზემოთ აღნიშნულ საფუძველზე. მართალია მოპასუხეს გააჩნია უფლება, სათანადოდ იქნეს გაფრთხილებული მის წინააღმდეგ საქმის წარმოებისა თუ რაიმე საპროცესო მოქმედებების შესახებ, მაგრამ ამ უფლებამ არ უნდა გადაწონოს მოსარჩელის უფლება დაიცვას თავის კანონიერი ინტერესები სასამართლოს გზით და ამასთან ერთად, რაც ასევე გასათვალისწინებელია, გონივრულ ვადებში.

დიდი მნიშვნელობა გააჩნია სასამართლო დოკუმენტების ქართულ ენაზე თარგმნას. საქართველოს სკს-ის შესახებ კანონის 63-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად: “3. თუ შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების შესახებ ქართულ ენაზე არ არის შედგენილი ან არ ერთვის დამოწმებული ქართული თარგმანი, მისი დაკმყოფილება დამოკიდებული იქნება იმაზე, გაიღებს თუ არა დაინტერესებული მხარე შესაბამის ავანსს ქართულ ენაზე თარგმანის შესასრულებლად და დასამოწმებლად.” ვფიქრობთ, კანონის ეს დანაწესი არ უნდა იყოს გაგებული, როგორც იმპერატიული მოთხოვნა. ასეთ ვითარებაში მიმღები პირის გადაწყვეტილება იჭერს წამყვან ადგილს. თუ იგი გადაწყვეტს, რომ სასამართლო დოკუმენტი, რომელიც შედგენილია უცხო ენაზე, თავისი ნებით ჩაიბაროს (მაგ. მოაწეროს ხელი ჩაბარების აქტს), მაშინ გადაცემა სათანადოდ განხორციელდება ჩაითვლება. რისი შედეგიც იქნება ის, რომ შემდგომში მას აღარ ექნება უფლება, გააპროტესტოს უწყებისა თუ სხვა დოკუმენტების გადაცემის ნამდვილობა, იმ საფუძველით, რომ არ ფლობს უცხო ენას. ხოლო, თუ იგი აღნიშნული

საფუძვლით თავიდანვე უარს აცხადებს წერილობითი დოკუმენტების მიღებაზე, უკვე გამოძგზავნ მხარეზე გადადის მათი თარგმნის საკითხის გადაწყვეტა. ანუ, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული საერთაშორისო ხელშეკრულებით<sup>10</sup>, შუამდგომლობის აღმძვრელი მხარე ვალდებული იქნება ან თარგმნოს აღნიშნული შუამდგომლობა, ან გაიღოს ავანსი ქართულ ენაზე მისი თარგმნისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოპასუხეს რჩება უფლება, განაცხადოს, რომ მას უწყება არ ჩაბარებია კანონის სრული დაცვით.

## **II. მტკიცებულებათა მოპოვება—გამოკვლევა და უზრუნველყოფა. მოწმეთა დაკითხვა.**

საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში, მტკიცებულებათა შესახებ სამართლებრივ ნორმები, შემდეგი საკითხების განხილვისას იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. კერძოდ: 1. მტკიცებულებათა დაშვებადობა; 2. მტკიცების ტვირთის განაწილება მხარეებზე; 3. მტკიცებულებათა განკუთვნიადობა და შეფასება.

საქართველოს სასამართლოების მიერ მტკიცებულებათა შესახებ სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის წესების განხილვამდე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ თითოეული მათგანი, თავისი თეორიული მნიშვნელობიდან გამომდინარე. კერძოდ, შეიძლება თუ არა და რა შემთხვევაში, ადგილი ჰქონდეს ისეთ ვითარებას, როდესაც სასამართლომ უნდა მიმართოს უცხო ქვეყნის სამართალს.

სამოქალაქო პროცესში არსებობენ ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას. მაგ. როგორცაა ა) უდავო ფაქტები, ბ) პრეიუდიციალურად დადგენილი ფაქტები, და გ) საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მტკიცების საგანში შედიან ისეთი ფაქტები, რომლებზე დავობენ მხარეები.<sup>11</sup> ხოლო რაც შეეხება უდავო ფაქტებს, მათზე მხარეები არ დავობენ. მაგ. ერთ-ერთი მხარე არ დავობს (არ უარყოფს) მოწინააღმდეგე მხარის მიერ მითითებული ფაქტის არსებობასა თუ არარსებობაზე. ანუ, იგი აღიარებას აღნიშნულ ფაქტს. სსსკ-ის 131-ე მუხლი ეხება ერთი მხარის მიერ ფაქტის აღიარებას და მის შედეგს, რომლის თანახმად, თუ ერთი მხარე აღიარებას ფაქტს, რომლის დადასტურებასაც ცდილობს მოწინააღმდეგე მხარე, სასამართლოს შეუძლია ჩათვალოს იგი საკმარის მტკიცებულებად და საფუძვლად დაუდოს გადაწყვეტილებას.

ფაქტების მითითებისა და მტკიცების პროცესი, შეჯიბრობითობის პრინციპის გამოვლინებას წარმოადგენს, რომლის დროსაც, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები თუ მტკიცებულებები. ანუ,

<sup>10</sup> მაგ. მინსკის „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ კონვენციის მე-17 მუხლს თანახმად: „წინამდებარე ხელშეკრულების შესასრულებლად, მონაწილე მხარეების იუსტიციის დაწესებულებები, სარგებლობენ სახელმწიფო ენით ან რუსული ენით.“

<sup>11</sup> მტკიცების საგნის შესახებ იხ. 1) Rosenberg / Schwab / Gottwald. Zivilprozessrecht. Munchen. 1993. s. 645-649 აგრეთვე Rosenberg / Schwab / Gottwald. Zivilprozessrecht. Munchen. 2009. 2) Othmar Jauernig, Zivilprozessrecht. Verlag C.H.Beck. Munchen 1993. s. 179-186. 3) Luke. Zivilprozessrecht. Erkenntnisverfahren, Zwangsvollstreckung. Verlag C.H.Beck. Munchen 1999. s. 209-210.

მხარეები თვითონ განსაზღვრავენ მტკიცების საგანს და ამავე დროს მთლიანად მათ ეკისრებათ ფაქტების დამტკიცების ტვირთიც. ამავე დროს, ისინი თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს და რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები. (სსსკ-ის მუხ. 4).

ისევე როგორც ფაქტების მითითების ვალდებულება<sup>12</sup>, ასევე მათი დამტკიცებაც, ეკისრება მხარეს. როდესაც მას სურს დაამტკიცოს ფაქტი, იგი ცდილობს სასამართლოში წარადგინოს მისი დამადასტურებელი მტკიცებულებანი, რომლებსაც სასამართლო შემდგომში აფასებს თავისი შინაგანი რწმენით.

როგორც წესი, სამოქალაქო პროცესში განასხვავებენ სამი სახის ფაქტებს. ესენია:

ა) ფაქტები, რომლებთანაც დაკავშირებულია მხოლოდ საპროცესო სამართლებრივი შედეგი;

მაგ. სარჩელის აღძვრის წინაპირობები, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები და სხვ. ამიტომ, ასეთი სახის ფაქტების საზღვარგარეთ მოძიების არანაირი აუცილებლობა არ არსებობს უცხო ქვეყნის სასამართლოსათვის, (ისევე როგორც საქართველოს სასამართლოსთვის) გამომდინარე იქიდან, რომ ისინი დადგენილია და განსაზღვრულია საქმის განმხილველი სასამართლოს საპროცესო კანონმდებლობით, (*lex fori*)<sup>13</sup>.

ბ) სადავო ფაქტები, რომელთა საფუძველზეც შეუძლიათ, მოსარჩელეს – მიაღწიოს თავის მოთხოვნის, ხოლო მოპასუხეს – თავისი პროტესტის დაკმაყოფილებას. ანუ ის ფაქტები, რომლებსაც მატერიალური სამართალი უკავშირებს გარკვეულ შედეგს. ამასთან, საგანს განსაზღვრავს ის ფაქტები, რომლებზეც მიუთითებენ პროცესში მონაწილე მხარეები.

გ) ის მთავარი, ანუ საძიებელი ფაქტები, რომლებითაც თავის მხრივ დასტურდება გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები.

### 1. მტკიცებულებათა დაშვებადობა.

ზემოთ მოყვანილი ბოლო ორი სახის ფაქტების შესახებ უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი საკმაოდ მჭიდროდ არიან დაკავშირებული მატერიალურ სამართალთან. აქედან გამომდინარე კი, მტკიცებულებათა დაშვებადობის საკითხის განსაზღვრისათვის შეიძლება აუცილებელი გახდეს მივმართოთ უცხო სახელმწიფოს სამართალს, (*Lex causae*)<sup>14</sup>. მაგ.

<sup>12</sup> ვეთანხმებით იურიდიულ მეცნიერებაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ამ შემთხვევაში ვალდებულება არ უნდა იყოს გაგებული თავისი კლასიკური მნიშვნელობით. მითითების ვალდებულება შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ იმით, რომ მხარესათვის შესაძლებელია დადგეს არახელსაყრელი შედეგი, ანუ გამოტანილი იქნეს მის წინააღმდეგ გადაწყვეტილება. სწორედ ასეთი გადაწყვეტილების მოსალოდნელობა აიძულებს მხარეებს მტკიცებულებათა მოპოვებისა და წარდგენისაკენ.

იხ. ჰაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია. „სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია“. გამ. „ჯისიაი“, თბილისი 2003 წ. გვ. 29-37.

<sup>13</sup> *Lex fori* – საკოლიზო პრინციპის სახე, რომლის თანახმად, სასამართლო, როდესაც იგი განიხილავს უცხოური ელემენტით დატვირთულ საქმეს, ხელმძღვანელობს თავისი ქვეყნის კანონმდებლობით.

<sup>14</sup> *Lex causae* – საკოლიზო პრინციპი, რომლის თანახმად გამოიყენება სამართალი, რომელიც გარიგებაში მონაწილე მხარეთა სამართლებრივ ურთიერთობას არეგულირებს არსობრივად, მაგ. სკს-ის შესახებ კანონის 35-ე მუხლი. იგი განსხვავდება გარიგების

საქართველოს სკს-ის შესახებ კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „1. გარიგების ფორმა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც დაიდო ეს გარიგება ან იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც გამოიყენება გარიგების საგნის მიმართ. გარიგების ფორმა დაცულად ითვლება, თუ ხელშეკრულება დაიდო სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ პირებს შორის და იგი შეესება მება ერთ-ერთი ქვეყნის სამართლის მოთხოვნებს გარიგების ფორმის შესახებ.“ შეიძლება დავასკვნათ, რომ გარიგების ფორმის ასეთი განსაზღვრა, თავის მხრივ მიგვითითებს მისი დამტკიცების საშუალებაზე, მტკიცებულების დაშვებადობაზე. ანუ, რომელი ქვეყნის სამართლით გათვალისწინებული წესით უნდა დადასტურდეს გარიგება, როგორც ფაქტი. მტკიცებულებათა დაშვებადობა სამოქალაქო პროცესში არის ფაქტების დადასტურება კანონით გათვალისწინებული ნორმების თანახმად, რომლებიც არ შეიძლება დადასტურდეს სხვა მტკიცებულებებით. მაგ. საქართველოს სკ-ის თანახმად, იპოთეკის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით, რომელიც იურიდიულ ძალას იძენს მისი საჯარო რეგისტრში რეგისტრაციის მომენტიდან, (სკ-ის მუხ. 288; 311<sup>1</sup>); საკუთრების მინდობის ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით (სკ-ის მუხ. 727); ე. ი. აღნიშნული ფაქტები შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ წერილობითი დაკუმენტებით.

საქართველოში მიმდინარე სამართალწარმოებისას, თუ გარიგების ფორმის განსაზღვრისათვის გამოყენებული უნდა იქნეს უცხო სახელმწიფოს მატერიალური სამართლით მკაცრად გათვალისწინებული ფორმა, სასამართლო მტკიცებულების დასაშვებობისათვის მიმართავს აღნიშნულ ფორმას. რადგან იგი კვალიფიცირდება მატერიალური სამართლით და არა საპროცესო სამართლით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მტკიცებულებათა დასაშვებობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც მიუთითებს საკოლიზიო ნორმა.

გარკვეულად განსხვავებულად რეგულირდება მოწმისგან ჩვენების მიღების საკითხი. განსაკუთრებით, როდესაც პირი იყენებს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებას. ამ უფლებას სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვა საფუძვლებით და მოცულობით განსაზღვრავენ. მაგ. საქართველოს სსკ-ის 142-ე მუხლის თანახმად, ჩვენების მიცემაზე უარი შეუძლიათ განაცხადონ ა) მხარეთა მეუღლეებს; ბ) ახლო ნათესავებს და გ) პირებს, რომლებიც თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ვალდებული არიან დაიცვან საიდუმლოება, თუ ისინი განთავისუფლებულნი არ არიან ამ მოვალეობისაგან. გერმანიის სსკ-ის 383-ე მუხლის თანახმად, ასეთივე უფლება გააჩნია მეუღლეს, თუნდაც მათ შორის ქორწინება შეწყვეტილი იყოს. ასევე განსხვავებულად შეიძლება რეგულირდებოდეს ის საფუძვლები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, მოწმეს უფლება აქვს უარი თქვას ჩვენების მიცემაზე, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე. პირი, რომელიც მოწმის სახით მონაწილეობს სასამართლო პროცესში, მასზე ავტომატურად ვრცელდება ამ სასამართლოს იურისდიქცია. მასზე, როგორც პროცესის მონაწილეზე, ვრცელდება საქმის განმხილველი სასამართლოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი უფლებები

---

დადების ადგილის კანონისაგან (lex loci contractus), რომელიც აწესრიგებს მხოლოდ გარიგების ფორმას, მაგ. საქართველოს სკს-ის შესახებ კანონის 29-ე მუხლი.

(მუხლ 45; 142; 146) და მოვალეობები (მუხ. 145). ამიტომ, ჩვენებაზე უარის თქმის უფლება, მისი საფუძვლები და სახეობებიც ექვემდებარება საქმის განმხილველი სასამართლოს კანონს. აქედან გამომდინარე, მათ უფლება აქვთ უარი თქვან ჩვენების მიცემაზე მხოლოდ მაშინ, თუ შეიძლება შემდგომში ადგილი ჰქონდეს 142-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევას. კერძოდ, „2. ჩვენების მიცემა გამოიწვევს მოწმის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას, ან მიაყენებს მათ ქონებრივ ზიანს.“ ასევე მოწმისგან ჩვენების მიღების, როგორც მტკიცებულების დაშვებადობის საკითხის გადაწყვეტა, ექვემდებარება Lex fori-ის პრინციპს.<sup>15</sup> აღნიშნულ პრინციპს განეკუთვნება აგრეთვე ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლების მიუხედავად, ჩვენების მიცემაზე ვალდებულება (მუხ. 143) და მოწმეთა დაკითხვის წესი, იქნება ეს მოწმის მის ადგილსამყოფელზე დაკითხვა (მუხ. 147), განმეორებით დაკითხვა თუ მოწმეთა დაპირისპირება (მუხ. 149). რღაგან ისინი განსაზღვრულია ჩვენი ქვეყნის საპროცესო სამართლით.

## 2. მტკიცების ტვირთის განაწილება.

სამოქალაქო პროცესში უცხო ელემენტის მონაწილეობისას, მტკიცებულებებთან დაკავშირებით, შეიძლება წარმოიშვას ისეთი სამართლებრივი საკითხი, როგორცაა დამტკიცების ტვირთის განაწილება მხარეებზე.

ფაქტების დამტკიცების ტვირთი, ესაა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების, ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე.<sup>16</sup>

პირველ რიგში აღვნიშნავთ, რომ დამტკიცების ტვირთი ეკისრება იმ პირებს (სუბიექტებს), რომლებზეც შეიძლება გავრცელდეს გადაწყვეტილების კანონიერი ძალა. იქნება ეს მხარეები, თანამონაწილეები, თუ მესამე პირი, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, აგრეთვე კანონიერი წარმომადგენლები. ასევე მტკიცების ტვირთის სუბიექტს წარმოადგენს მესამე პირი, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. თუ იგი ვერ დაასტურებს ფაქტებს, ანუ ვერ დაეხმარება მხარეს, რომლის სასარგებლოდაც გამოდის პროცესში, რომ გამოიტანოს სასამართლომ ამ მხარისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილება, შემდგომში მას აღარ ექნება უფლება რეგრესული სარჩელის შემთხვევაში კვლავ ამტკიცოს აღნიშნული ფაქტები. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ დამტკიცების ტვირთის სუბიექტია პროცესში მონაწილე ის პირები, რომელთა უფლებებსა და მოვალეობებზე გავლენას ახდენს სასამართლო გადაწყვეტილება.

მტკიცების ტვირთის სწორად განაწილებას ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო სამართალწარმოებაში. რაც გამოიხატება შემდეგში, კერძოდ, რომელ მხარეს რა ფაქტების

<sup>15</sup> იმ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს იურისდიქციისადმი იმუნიტეტი, ჩვენ შევეხებით ქვემოთ.

<sup>16</sup> იგი განსხვავდება ფაქტების მითითების ტვირთისაგან, რომლის თანახმად, მხარეები თავისუფალნი არიან მიუთითონ იმ ფაქტებზე, რომლებზეც ისინი ამყარებენ თავიანთ მოთხოვნასა თუ შესაგებელს. ფაქტების მითითების ტვირთი და მტკიცების ტვირთი შეიძლება არც დაემთხვას ერთმანეთს. სასამართლო მტკიცებულებების შესახებ იხ. თ. ლილუაშვილი, “სამოქალაქო საპროცესო სამართალი”. გამ. “ჯისიაი” 2005 წ. გვ. 204-269. აგრეთვე, 1) Othmar Jauernig, Zivilprozessrecht. Verlag C.H.Beck. Munchen 1993. s. 179-210. 2) Rosenberg / Schwab / Gottwald. Zivilprozessrecht. Munchen. 2009. s. 638-735.



დამტკიცება ევალება და აქედან გამომდინარე რა ფაქტების დადასტურების მოვალეობისაგან თავისუფლდება იგი. ეს კი თავის მხრივ უკავშირდება პროცესის საბოლოო შედეგს, ანუ, თუ მხარეს დაევალება იმ ფაქტების დამტკიცება, რომლებიც წესით და კანონით მან არ უნდა დაასაბუთოს, შეიძლება ამას მოყვეს არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა. ასეთია მტკიცების ტვირთის განაწილების მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა.

მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპები ძირითადად ჩამოყალიბებულია მატერიალურ-სამართლებრივ აქტებში. ზოგ შემთხვევაში პრინციპი შეიძლება გარკვეულად იმპერატიული ფორმით იყოს გამოხატული. მაგ. საქართველოს სკ-ის 113-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „1. თუ პირი, რომელიც დებს ხელშეკრულებას, როგორც წარმომადგენელი, თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ვერ დაადასტურებს, ვალდებულია მეორე მხარის სურვილით ან შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, ან ანააზღაუროს ზიანი, თუკი წარმოდგენლი პირი ხელშეკრულებაზე თანხმობის მიცემას უარყოფს.“ ამავე კოდექსის 687-ე მუხლიდან გამომდინარე, რომელსაც ეწოდება „მტკიცების ტვირთი“, გადამზიდველს ეკისრება იმის მტკიცების ვალდებულება, რომ „ტვირთის დაკარგვა, დაზიანება ან მიტანის ვადის გადაცილება უფლებამოსილი პირის ბრალით ანდა ამავე პირის ისეთი მითითებით მოხდა, რომელზედაც გადამზიდველი პასუხს არ აგებს; აგრეთვე, თუ ტვირთის ნაკლი ისეთი გარემოებებითაა გამოწვეული, რომელთა თავიდან აცილებაც გადამზიდველს არ შეეძლო და არც მათი შედეგები შეიძლებოდა თავიდან აეცილებინა.“ როგორც აღნიშნული მუხლებიდან ირკვევა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით დგინდება, პროცესის რომელ მხარეს რა ფაქტების დადასტურება ევალება სამართალწარმოებაში. ანუ, განსაზღვრულია ტვირთის განაწილების პრინციპი. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მტკიცების ტვირთის დაკისრების საკითხი ექცევა Lex causae-ს პრინციპის მოქმედების სფეროში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძვლებს წარმოადგენს აგრეთვე სამოქალაქო სამართალში გათვალისწინებული პრეზუმციები (ვარაუდები). მაგ. საქართველოს სკ-ის 506-ე მუხლით, განსაზღვრულია განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმა, კერძოდ იგი უნდა დაიდოს წერილობით. მაგრამ ამავე კოდექსის 507-ე მუხლის თანახმად, თუ გარიგების ფორმა დარღვეულია, „მაშინ ხელშეკრულება დადებულიად ჩაითვლება ნივთის გადაცემის მომენტიდან. ამ შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია გადაიხადოს მხოლოდ ნივთის ფასი პროცენტების გარეშე.“ 677-ე მუხლიდან გამომდინარე, სანამ არ დამტკიცდება საპირისპირო, ივარაუდება, რომ ზედნადები (კონოსამენტი) არის იმის მტკიცებულება, რომ დადებულია გადაზიდვის ხელშეკრულება, განსაზღვრულია მისი შინაარსი და ტვირთი გადამზიდველს მიღებული აქვს. ასევე საპირისპიროს დადასტურებამდე, არსებობს იმის პრეზუმცია, რომ, თუ ზედნადებში არ არის აღნიშნული გადაზიდვის პირობები, „გადამზიდველის მიერ ტვირთი მიღებისას, ტვირთი და მისი შეფუთვა გარეგნულად კარგ მდგომარეობაში იყო და რომ ტვირთის ცალობრივი რაოდენობა, მისი აღნიშვნები და ნომრები ემთხვევა ზედნადებში ჩაწერილ მონაცემებს.“ მოყვანილი ნორმების შინაარსიდან, შეიძლება

გამოვიყვანოთ პრეზუმფციის დანიშნულება, კერძოდ, ივარაუდება ფაქტი X (გადაზიდვის ხელშეკრულების არსებობა), რომელიც იწვევს გარკვეულ იურიდიულ შედეგს, ანუ მეორე მხარის პასუხისმგებლობას, თუ დამტკიცდება ფაქტი Y (ზედნადები, კონოსამენტი). მიუხედავად ამისა, პრეზუმფციები არ წარმოადგენს მტკიცებისაგან მხარის გათავისუფლებას. სამართალწარმოებაში პრეზუმფციების გზით ხდება ერთი სახის მტკიცების საგნის შეცვლა სხვა სახის მტკიცებულებით. ამასთან, თუ მხარე შესძლებს მოიყვანოს ფაქტები, რომელთა საფუძველზე სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ არსებობს გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი სხვა ფაქტები, მაშინ მეორე მხარეზე გადადის მტკიცების ტვირთი – გააქარწყლოს მოსამართლის ვარაუდი. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა მტკიცების ტვირთის განაწილება. გამომდინარე იქიდან, რომ პრეზუმფციები (ვარაუდები) გამომდინარეობენ მატერიალური სამართლის ნორმებიდან და ამასთან ერთად წარმოადგენენ მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველს, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მათზე ვრცელდება Lex causae-ს პრინციპის მოქმედება.

### 3. განკუთვნილობა და შეფასება.

აქვე გვინდა შევეხოთ მტკიცებულებათა განკუთვნილობისა და შეფასების საკითხს.

როგორც ცნობილია მტკიცებულებათა განკუთვნილობის მთავარი მიზანია, საქმის წარმოების გართულების თავიდან აცილება ისეთი მტკიცებულებებით, რომლებსაც არანაირი შეხება არა აქვს საქმეზე სწორი, სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანასთან. აღნიშნულ პრინციპს ითვალისწინებს საქართველოს სსკ-ის 104-ე მუხლის პირველი ნაწილი, კერძოდ: „1. სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ.“

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, დასაშვებობა და განკუთვნილობა პროცესუალური სამართლის თვალსაზრისით ერთმანეთისგან განსხვავდება იმ საფუძველით, რომ დასაშვებობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ განისაზღვრება მატერიალური სამართლით, ხოლო განკუთვნილობის სფეროს ქვეშ მყოფი მტკიცებულებები მის მიღმა დარჩენილი მტკიცების საშუალებებია, რომელსაც მოსამართლე თავისი შეხედულებით გადაწყვიტავს აღნიშნულ საკითხს. სასამართლოს გადასაწყვეტია, წარმოადგენს თუ არა, ესა თუ ის მტკიცებულება საქმისათვის მნიშვნელობის მქონეს. ამას ემატება კანონის მოთხოვნა, როდესაც მხარე შუამდგომლობით ითხოვს წერილობითი ან ნივთიერი (შესაბ. სსსკ-ის 133; 154 მუხ.) მტკიცებულებების სასამართლოს წესით გამოთხოვას, ან/და მოწმის დაკითხვას (მუხ. 140). იგი ვალდებულია მიუთითოს სასამართლოს, თუ საქმისათვის მნიშვნელობის რა გარემოებების დადასტურება შეიძლება. თუ საქართველოს სასამართლო ჩათვლის საჭიროდ, იგი მიმართავს შუამდგომლობით უცხო ქვეყნის სასამართლოს სამართლებრივი დახმარების გაწევის თაობაზე, (მტკიცებულება გამოკვლევა, მოწმეთა დაკითხვა და სხვ.). აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ მტკიცებულებათა განკუთვნილობის საკითხი უნდა გადაწყდეს Lex fori-ის წესის თანახმად.

ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ სასამართლოს ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონბდებლობის (lex fori) სფეროს განეკუთვნება

მტკიცებულებათა შეფასება. საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებულია მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპი. კერძოდ, 105-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „1. სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.“ ხოლო მეორე ნაწილიდან გამომდინარე, მოსამართლე თავისი შინაგანი რწმენით აფასებს მტკიცებულებებს და ეს შეფასება ემყარება მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას და გამოკვლევას. ამასთან, იგი ვალდებულია, მოსაზრებები, რომლებიც საფუძველად დაუდო თავის შინაგან რწმენას, ასახოს გადაწყვეტილებაში. ჩვენი ქვეყნის საპროცესო სამართლით დამკვიდრებული პრინციპის თანახმად, არცერთ მტკიცებულებას სხვა მტკიცებულებებთან შედარებით არ გააჩნია რაიმე უპირატესობა.

მტკიცებულებებს საბოლოოდ აფასებს მხოლოდ სასამართლო, ანუ ის არის მტკიცებულებათა შეფასების ერთადერთი სუბიექტი.

როდესაც ვამბობთ, რომ მოსამართლე მტკიცებულებებს აფასებს შინაგანი რწმენით, პირველ რიგში ნიშნავს, რომ ეს რწმენა დამყარებული იყოს განსაზღვრულ ობიექტურ მონაცემებზე. შეფასებისას თავისუფლება გულისხმობს, სასამართლოს თავისუფლებას რაიმე სახის შეზღუდვებისგან, იქნება ეს კანონი თუ სხვა გარე ფაქტორები.

გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლოა მტკიცებულებათა შეფასების ერთადერთი სუბიექტი, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მათი შეფასება მის ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს. იგი ვალდებულია დაასაბუთოს, რის საფუძველზე ჩამოუყალიბდა მას შინაგანი რწმენა. ანუ იგი ვალდებულია დაასაბუთოს არა მარტო ის, თუ რატომ მიიჩნია ესა თუ ის მტკიცებულებები დადგენილად, არამედ რატომ უარყო სხვა მტკიცებულებები, ან რის საფუძველზე მიანიჭა ერთ მტკიცებულებას უპირატესობა სხვასთან შედარებით. ეს უკანასკნელი არ ეწინააღმდეგება ზემოთ აღნიშნულ პრინციპს, სადაც აღნიშნულია, რომ მხოლოდ წინასწარ არა აქვს არცერთ მტკიცების საშუალებას უპირატესობა სხვა საშუალებებთან შედარებით.

სასამართლო ყოველ მტკიცებულებას განიხილავს სასამართლო სხდომაზე. იქნება მტკიცების საშუალებები წერილობითი (მათ შორის ექსპერტის დასკვნაც) თუ ზეპირი ფორმით არსებული. გარკვეულ გამონაკლის წარმოადგენს ადგილზე დათვალიერება, რის შესახებაც დგება დათვალიერების ოქმი. ამ შემთხვევაში აუცილებელია მისი განხილვა (გამოქვეყნება) მოხდეს სასამართლო სხდომაზე. ამ წესის მთავარი დანიშნულებაა, მიეცეს მხარეებს საშუალება გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, მისცენ შეკითხვები ექსპერტებს, სპეციალისტებს და მოწმეებს. რაც თავის მხრივ მხარეთა ერთ-ერთ ძირითად საპროცესო უფლებას – თანასწორუფლებიანობას – წამოადგენს, (მუხ. 83).

როდესაც შეგროვილია ყველა მტკიცებულება, სასამართლო მათ აფასებს ერთობლიობაში ყოველმხრივ და ობიექტურად. რაც არ გამორიცხავს ცალკეული საშუალების სხვებისგან დამოუკიდებლად შეფასებას. თუ აღმოჩნდება მტკიცებულებებს შორის წინააღმდეგობა, მოსამართლე ვალდებულია ახსნას რა მიზეზებითაა გამოწვეული აღნიშნული დაპირისპირება.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, პირველი – საქართველოს სსკ-ით მკაცრად დადგენილია მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპი. მეორე – გამომდინარე იქიდან, რომ მოსამართლეა შეფასების

ერთადერთი სუბიექტი, რომელიც თავისი შემეცნების, ლოგიკური აზროვნებისა თუ გამოცდილების საფუძველზე, საკუთარი პასუხისმგებლობით ადგენს მტკიცებულებათა უტყუარობასა თუ სიყალბეს, მიუღებელია მასზე რაიმე გავლენის მოხდენა, როგორც შიდა კანონმდებლობით, ასევე, და მით უმეტეს უცხო ქვეყნის სამართლით. ანუ მიეთითოს სასამართლოს კატეგორიულად, მტკიცების რა საშუალება და რა ფორმით გამოხატული მიიჩნოს ჭეშმარიტად. აქედან გამომდინარე, მტკიცებულებათა შეფასება მკაცრად სასამართლოს კანონის (Lex fori) პრინციპს, მის სფეროს უნდა მივაკუთვნოთ.

ყოველივე ზემოთქმულიდან, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებების მარეგულირებელ ნორმებს გააჩნიათ როგორც მატერიალური, ასევე პროცესუალური სამართლის ნიშან-თვისებები. ის რაც რეგულირდება საპროცესო სამართლით, ერთმნიშვნელოვნად განეკუთვნება საქმის განხილველი სასამართლოს კანონს, ხოლო რიგ შემთხვევებში, როდესაც ადგილი აქვს მატერიალური ნორმების გამოყენას, საქმე შეიძლება გვექონდეს Lex causae-ეს პრინციპთან. რაც არ ნიშნავს საპროცესო სამართლის კოლიზიას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყნის შიგნით მიმდინარე საქმის განხილვისას, ანუ როდესაც სამართალწარმოებაში არ მონაწილეობს უცხოური ელემენტი, მატერიალური სამართლით მოწესრიგებული საკითხი, შეიძლება მივაკუთვნოთ საპროცესო სამართლით დარეგულირებულ სფეროს, რაც არ მიგვაჩნია გამართლებულად.

#### 4. მტკიცებულებათა უზრუნველყოფა.

საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში იმ მტკიცებულებათა უზრუნველყოფა, რომელიც მდებარეობს სხვა ქვეყანაში, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სამართლებრივი დახმარების ფარგლებში. იგი განსხვავდება სარჩელის უზრუნველყოფისაგან, რომლის ძირითადი დანიშნულებაა მომავალი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა. მისი მიზანი შეიძლება გამოვიყვანოთ სსსკ-ის 109-ე მუხლის შინაარსიდან, კერძოდ, თუ იარსებებს იმის საშიშროება, რომ სასამართლოში მტკიცებულებების წარდგენა შეუძლებელი ან საკამოდ რთული იქნება, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე, მათი უზრუნველყოფისათვის. ანუ უზრუნველყოფილი უნდა იქნას მოსამართლის მიერ საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტის (ფაქტების) დადგენა. ამის მიზეზი შეიძლება იყოს სხვადასხვა ფაქტორები, მაგ. მოწმის ქვეყნიდან დიდი დროით გასვლა, ნივთიერ მტკიცებულებათა მცირე ვადით ვარგისიანობა (მაღფუჭებადობა) და სხვ.

მტკიცებულებათა უზრუნველყოფა – ესაა საპროცესო მოქმედება, რომელსაც ასრულებს სასამართლო ან ერთპიროვნულად მოსამართლე იმ მიზნით, რათა კანონით დადგენილი წესით დაამაგროს მტკიცებულებები სამოქალაქო საქმის არსებითად განხილვის დროს მათი გამოყენებისათვის.<sup>17</sup>

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ მტკიცებულებათა უზრუნველყოფის აუცილებლობა განისაზღვრება საქმის განხილველი მოსამართლის მიერ, ხოლო მისი განხორციელება უკვე უნდა მოხდეს იმ

<sup>17</sup> იხ. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი. გამ. ჯისიაი. 2005. გვ 266.

ქვეყნის სასამართლოს დახმარებით, სადაც იმყოფება აღნიშნული მტკიცების საშუალება. ანუ აუცილებელი ხდება მივმართოთ სამართლებრივი დახმარების ინსტიტუტს.

თუ გავითვალისწინებთ მტკიცებულებათა მნიშვნელობას დავის ობიექტურად გადაწყვეტისათვის, შეგვიძლია თავისუფლად აღვნიშნოთ უზრუნველყოფის დიდ მნიშვნელობაზე სამოქალაქო პროცესში. მიიღებს რა უცხო ქვეყნის სასამართლოს შუამდგომლობას, საქართველოს სასამართლო ხელმძღვანელობს ჩვენი ქვეყნის საპროცესო სამართლით დადგენილი წესებით. კერძოდ მას გამოაქვს განჩინება (მუხ. 113), სადაც მიეთითება საპროცესო მოქმედების ჩატარების წესსა და საშუალებებზე, იქნება ეს მოწმის დაკითხვა, ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერება და სხვ. თუ საჭიროდ ჩათვლის, მას უფლება აქვს მოიწვიოს სპეციალისტიც (მუხ.114). აუცილებლად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მტკიცებულებათა უზრუნველყოფა საჭიროა განხორციელდეს სხვა რაიონში ან ქალაქში, ჩვენი ქვეყნის სასამართლოს, 107-ე მუხლის ანალოგიით, უფლება აქვს მიმართოს სასამართლო დავალების ინსტიტუტს. ე. ი. დაავალოს იმ სასამართლოს, რომლისთვისაც ეს უფრო მოსახერხებელია ტერიტორიულად.

#### **5. მტკიცებულებათა მოპოვება და გამოკვლევა.**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამოქალაქო სამართალწარმოებაში მტკიცებულებების გამოყენებას უადრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. მხოლოდ მათი გამოყენებით შეუძლია სასამართლოს მიიღოს დავაზე სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილება.

როდესაც საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში სამართალწარმოება მიმდინარეობს ერთ ქვეყანაში, ხშირად საქმე შეიძლება გვექონდეს ისეთ შემთხვევასთან, როდესაც მტკიცებულებანი არსებობენ სხვა სახელმწიფოში. მაგ. ზიანის მიყენება მოხდა ჩვენს ქვეყანაში, საწარმომ, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, განიცადა რეორგანიზაცია, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფება ნივთიერი თუ წერილობითი მტკიცებულებანი და ა. შ.

რა თქმა უნდა, როდესაც პროცესიც და მტკიცებულებათა მოპოვება და გამოკვლევა ერთ ქვეყანაში უნდა განხორციელდეს, სასამართლოსათვის პრობლემას არ წარმოადგენს, რასაც ზემოთ უკვე შევეხეთ. მაგრამ მნიშვნელოვანი პრობლემაა წამოიჭრება, როდესაც ისინი მდებარეობენ სხვა სახელმწიფოში.

თუ ქვეყნის შიგნით სამოქალაქო სამართალწარმოებისას, საპროცესო მოქმედებების ჩატარების, მოწმეთა დაკითხვის და სხვ. მიზნით დაშვებულია საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ იმავე ქვეყნის სხვა სასამართლოს ტერიტორიაზე “შეჭრა”, იგივეს ვერ გავავრცელებთ, როდესაც აუცილებელი ხდება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე მტკიცებულებათა მოპოვება ან სხვა სახის პროცესუალური ღონისძიებების ჩატარება. მაგ. საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით გათვალისწინებულია სასამართლოს მიერ ნივთიერი ან წერილობითი მტკიცებულებების ადგილზე დათვალიერება, თუ მათი სასამართლოში წარდგენა გარკვეული მიზეზების გამო შეუძლებელია. რა თქმა უნდა, როდესაც ასეთი მტკიცებულება იმყოფება საზღვარგარეთ, ჩვენი ქვეყნის სასამართლო ვერ განხორციელებს მათ გამოკვლევას აღნიშნული წესით. არა მარტო იმ მიზეზის გამო, რომ ეს საკმაოდ დიდ

ხარჯებთან იქნება დაკავშირებული, არამედ და პირველ რიგში, ეს იქნებოდა როგორც უცხო სახელმწიფოს ტერიტორიული სუვერენიტეტის დარღვევა, აგრეთვე მისი სასამართლო ხელისუფლების ხელყოფა. იგივე წესი ვრცელდება, როდესაც აუცილებელი ხდება უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ, მტკიცებულებათა ადგილზე დათვალიერება საქართველოში. ასეთ შემთხვევაში მიმართავენ სასამართლოები სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობას. მიიღებს რა საქართველოს სასამართლო აღნიშნულ თხოვნას, მიმართავს სსსკ-ით დადგენილ წესებს. ვალდებულია თუ არა სასამართლო შეატყობინოს მხარეებს ამის შესახებ? ვფიქრობთ, სასამართლო ვალდებულია განუხრელად დაიცვას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესები და აცნობოს მხარეებს ან მათ წარმომადგენელს საპროცესო მოქმედების ჩატარების დრო და ადგილი, მიუხედავად იმისა, საზღვარგარეთ იმყოფებიან ისინი თუ არა. პროცესში მონაწილე პირის ქვეყნის შიგნით არყოფნამ, არ უნდა მისცეს მოსამართლეს უფლება, გვერდი აუაროს აღნიშნულ ერთ-ერთ უმთავრეს საპროცესო ინსტიტუტს. ამას განამტკიცებს საქართველოს სკს-ის შესახებ კანონის 63-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანაწესიც, (lex fori). გარდა ამისა, როგორც ცნობილია მათ შეუძლიათ გარკვეული დახმარებაც გაუწიონ სასამართლოს იმ მხრივ, რომ მან ყურადღება გაამახვილოს მტკიცებულების გარკვეულ თვისებებზე თუ მახასიათებელ ნიშნებზე. რა თქმა უნდა შეტყობინება უნდა განხორციელდეს 70–78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

სასამართლოს გამოაქვს განჩინება ადგილზე დათვალიერების შესახებ, სადაც აღნიშნული იქნება დათვალიერებისა და გამოკვლევის საგანი, აგრეთვე დრო და ადგილი. (მუხ. 121). ამასთან, მხარეების ან მათი წარმომადგენლების გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს დათვალიერების ჩატარებას. ასეთ შემთხვევებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ უცხო ქვეყნის სასამართლოს შუამდგომლობაში ზუსტად იყოს განსაზღვრული, გამოსაკვლევი მტკიცებულების სახე, ადგილი თუ სხვა ნიშან-თვისებები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასამართლო საპროცესო მოქმედებების განსახორციელებლად იყენებს შიდაეროვნულ კანონმდებლობას. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, თუ დათვალიერებისას საჭირო გახდება მოწმეთა გამოძახება, სასამართლო ვალდებული იქნება გამოიძახონ ისინი (სსსკ-ის მუხ. 121). მთავარ პირობას ამ შემთხვევაში წარმოადგენს ის, რომ მათი სახელი, გვარი და მისამართი ზუსტად იყოს მითითებული შუამდგომლობაში. ამის საწინააღმდეგოდ, საქართველოს სასამართლოს სრული უფლება აქვს, თუ იგი ამას საჭიროდ ჩათვლის მოიწვიოს სპეციალისტი, რომელიც დახმარებას გაუწევს მოსამართლეს მტკიცებულებათა სრულყოფილად გამოკვლევაში.

ადგილზე მტკიცებულებათა დათვალიერებისა და გამოკვლევის შესახებ საქართველოს სასამართლო ადგენს დათვალიერების ოქმს. სადაც ყველაფერთან ერთად, (დათვალიერების ადგილი, დრო, მონაწილე პირები), აღინიშნება სპეციალისტის, მოწმისა თუ სხვა მონაწილე პირების მოსაზრებები და შენიშვნები. უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვეყნის შიგნით დათვალიერების ოქმი წარმოადგენს მტკიცების საშუალებას, ანუ მტკიცებულებას.

გარკვეულ პრობლემას წარმოადგენს საკითხი საპროცესო ხარჯებთან დაკავშირებით. როდესაც ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესის დროს წამოიჭრება ადგილზე დათვალიერების აუცილებლობა, ხარჯებს ფარავს ის მხარე, რომელიც იშუამდგომლებს ამის თაობაზე სასამართლოს წინაშე, ხოლო, თუ დათვალიერება ხორციელდება უშუალოდ სასამართლოს ინიციატივით, ხარჯებს ფარავს ორივე მხარე, (სსსკ-ის მუხ. 126). მაგრამ, ჩვენი ქვეყნის სასამართლო აღნიშნულ წესს ვერ გაავრცელებს სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისას, იმ მიზეზით, რომ მას არა მხარეები მიმართავენ ამისათვის, არამედ უცხო ქვეყნის სასამართლო, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ სასამართლო ხელისუფლება. მიუხედავად ამისა, თუ ადგილზე დათვალიერება დაკავშირებულია მნიშვნელოვან ხარჯებთან, მაგ. სპეციალისტისათვის, თარჯიმნისათვის გაწეული სამუშაოსათვის ანაზღაურების გაცემა, ან მტკიცებულების გამოკვლევა დაკავშირებული განსაკუთრებულ პროცედურებთან, და აქედან გამომდინარე ხარჯებთან, მას შეუძლია მოთხოვოს ანაზღაურება შუამდგომლობის აღმძვრელ სახელმწიფოს, (სასამართლოს).

გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება წერილობითი მტკიცებულებანი.

როგორც წესი, მტკიცების ტვირთი მხარეებს ეკისრებათ. აქედან გამომდინარე და საქართველოს სსკ-ის 134-ე მუხლის თანახმად, წერილობით მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები.

საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში, სასამართლოს მიერ მხარის დავალდებულება, წარადგინოს წერილობითი მტკიცებულებები, რომლებიც იმყოფება სხვა ქვეყანაში და რომელთა მოპოვებაც მხარისათვის არ წარმოადგენს სიძნელეს, არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც სახელმწიფოს უზენაესი ხელისუფლების განხორციელების უფლებამოსილებაში ჩარევად. გამომდინარე იქიდან, რომ ადგილი არა აქვს სასამართლოს მიერ უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე არანაირი საპროცესო მოქმედებების გატარებას.

მაგრამ, საწინააღმდეგოდ ამისა, ადგილი შეიძლება ჰქონდეს ისეთ შემთხვევას, როდესაც მხარემ ვერ შესძლო მიეღო აღნიშნული წერილობითი მასალები. ასეთ ვითარებაში, საქართველოს შიგნით პროცესი მიმდინარეობისას, მას უფლება აქვს აღძრას შუამდგომლობა და მოითხოვოს სასამართლოს ძალით მტკიცებულებების წარდგენა. (მუხ. 134). მაგრამ იგი ამ უფლებას ვერ განახორციელებს, როდესაც წერილობითი საბუთები წარდგენილ უნდა იქნეს უცხო სახელმწიფოს სამართალწარმოებაში. იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საქართველოს სასამართლო არ წარმოადგენს საქმის განმხილველ სასამართლოს. მხარეს რჩება უფლება, იშუამდგომლოს უცხო ქვეყნის სასამართლოს წინაშე, რომელიც თავის მხრივ მიმართავს სამართლებრივი დახმარებისთვის ჩვენი ქვეყნის სასამართლოს. ეჭვს არ იწვევს ის, რომ მას ამის განხორციელება შეუძლია საკუთარი ინიციატივითაც.

წერილობით მტკიცებულებებს ყოფენ სხვადასხვა სახეობად, იმის მიხედვით, თუ რა უდევს საფუძველად ამ დაყოფას. მაგ. შინაარსის მიხედვით განასხვავებენ განმკარგულებელ და შემატყობინებელ წერილობით საბუთებს. ფორმის მიხედვით, უბრალო და კვალიფიციურ წერილობით მტკიცებულებებს, წარმოშობის წყაროს მიხედვით დედანსა

და დოკუმენტის ასლებს, ხოლო სუბიექტების მიხედვით ოფიციალურ და არაოფიციალურ მტკიცებულებებს.

უნდა აღნიშნოთ, რომ ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა განასხვავებს ოფიციალურ და არაოფიციალურ, ანუ კერძო ხასიათის წერილობით მტკიცებულებებს. რომელთა გამოთხოვა, საქართველოს სასამართლოს, სსკ-ის მე-10 მუხლის საფუძველზე შეუძლია ყველა საჯარო, საზოგადოებრივი თუ კერძო დაწესებულებისგან, რომელთა გადაცემა, თავის მხრივ მათ ვალდებულებას წარმოადგენს.

წერილობითი მტკიცებულებანი, როგორც წესი წარდგენილი უნდა იქნეს დედნის სახით. თუმცა, სსსკ-ი უშვებს დოკუმენტის ასლის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას. ისევე როგორც შიდასახელმწიფოებრივი საქმის განხილვისას, სამართლებრივი დახმარების გაწევის შემთხვევაშიც, სასამართლო ვალდებულია მიუთითოს იმ საფუძველებზე, რომელთა დაყრდნობითაც აძლევს დოკუმენტის ასლს მტკიცებულებით მნიშვნელობას.

რაც შეეხება ოფიციალურ დოკუმენტებს, მათ სხვა საბუთებთან შედარებით, შეიძლება ითქვას უფრო მეტი მტკიცებულებათა ძალა გააჩნიათ.

საერთაშორისო ურთიერთობებში, იმის მტკიცებულებად, რომ საჯარო დოკუმენტი გაცემულია ნამდვილად უფლებამოსილი პირის მიერ, წარმოადგენს მისი ლეგალიზაცია<sup>18</sup>. იგი საკმარისი პირობაა ოფიციალური საბუთის ნამდვილობისათვის. მაგრამ, გავრცელებული მოსაზრების თანახმად, აღნიშნული პროცედურა მოითხოვს დიდ დროს, ამიტომ ქვეყნები, რომლებიც არ არიან მიერთებულნი ჰააგის 1961 წლის 5 ოქტომბრის კონვენციას<sup>19</sup>, რომლის თანახმად წვერი სახელმწიფოები აღარ მოითხოვენ ურთიერთობებში ლეგალიზაციას, ცდილობენ ორმხრივ ხელშეკრულებებში გაამარტივონ აღნიშნული საკითხი. კერძოდ, აპოსტილის<sup>20</sup> მეშვეობით. ამ უკანასკნელის გამოყენებას ითვალისწინებს ზემოთ ნახსენები კონვენციაც. ყველაფერ ამას კი, რა თქმა უნდა დიდი მნიშვნელობა ენიჭება, როდესაც უცხო ქვეყნის სასამართლო აღნიშნულ დოკუმენტებს ეცნობა, როგორც წერილობით მტკიცებულებებს.

სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისას ასევე საქართველოს საპროცესო ნორმებით უნდა განხორციელდეს მოწმისგან ჩვენებების მიღება. როგორც ცნობილია მოწმისგან ჩვენება ფართოდ გავრცელებული მტკიცებულებაა. ხშირად, მხოლოდ მისი დახმარებით ხდება გარკვეული ფაქტებისა თუ გარემოებების დადგენა. ამიტომ ენიჭება მისი დაკითხვის წესის დაცვას, დიდი მნიშვნელობა.

<sup>18</sup> ლეგალიზაცია – სპეციალური პროცედურა, რომლის თანახმად დოკუმენტის ნამდვილობას ადასტურებს იუსტიციის სამინისტრო, შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტრო, ბოლოს კი იმ ქვეყნის საკონსულო, სადაც უნდა გაიგზავნოს საბუთი. ამის შემდეგ ენიჭება დოკუმენტს იურიდიული ძალა.

<sup>19</sup> „კონვენცია, რომელიც აუქმებს უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნას.“ საქართველოსთვის ძალაშია პარლამენტის 2006 წ. 11 აპრილის №2844-IX დადგენილებით.

<sup>20</sup> apostille – სახელმწიფოს ოფიციალური დაწესებულებების მიერ გაცემულ დოკუმენტებზე გაკეთებული სპეციალური აღნიშვნა, რომლითაც დასტურდება ამ დოკუმენტზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერის ნამდვილობა. ასეთ სახის საბუთი შეედგომში აღარ მოითხოვს ლეგალიზაციას.



### III. ინფორმაცია უცხო სახელმწიფოში მოქმედი სამართლის (ნორმის) შესახებ.

სასამართლოებში საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების (დავების) განხილვისას, ხშირად შეიძლება აღვიღო კჰონდეს ისეთ შემთხვევას, როდესაც საკოლიზიო ნორმის მითითების საფუძველით, აუცილებელია უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენება. მაგ. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც იგი განეკუთვნება. (სსკს-ის კანონი მუხ. 23). გარიგების ფორმა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც დაიდო ეს გარიგება ან იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც გამოიყენება გარიგების საგნის მიმართ. (სსკს-ის კანონი მუხ. 29). მოწილეთა საზიარო უფლებები წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ეს უფლებები არსებობს, (სსკს-ის კანონი მუხ. 39), ამავე კანონის 35-ე მუხლიდან გამომდინარე, მხარეებს შეუძლიათ სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები დაუქვემდებარონ რომელიმე ქვეყნის სამართალს და ა. შ.

ამასთან ერთად, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სასამართლოში სამართალწარმოების მიმდინარეობისას უცხო სახელმწიფოს სამართლის გამოყენების აუცილებლობის ერთ-ერთი საფუძველი შეიძლება გახდეს აგრეთვე ორმხრივი თუ მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები და საერთაშორისო ჩვეულებანი<sup>21</sup>. ასეთ შემთხვევაში უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებებში მოცემული საკოლიზიო ნორმები უშუალოდ უთითებდნენ უცხო ქვეყნის სამართალზე, იქნება ეს მაგ. ფიზიკური თუ იურიდიული პირების სტატუსის განსაზღვრის წესი, უძრავ და მოძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების, გარიგების ფორმის და მისგან გამომდინარე უფლება-მოვალეობების განსაზღვრა-დადგენა თუ სხვ.<sup>22</sup> საერთაშორისო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის“ მეორე მუხლის თანახმად, „საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ წესებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა ამ კანონით განსაზღვრულ წესებთან შედარებით“.

გარდა ამისა, უცხო სახელმწიფოს სამართლის გამოყენების საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს მხარეებს შორის დადებული შეთანხმება, რომლითაც ხდება ურთიერთშორის სამართლებრივი

<sup>21</sup> უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო ჩვეულება არ წარმოადგენს ერთი კონკრეტული ქვეყნის სამართალს. იგი არის სახელმწიფოებს შორის მიღწეული შეთანხმება, ესა თუ ის საერთაშორისო ჩვეულება აღიარონ სამართლებრივად სავალდებულო ქცევის წესად.

<sup>22</sup> მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოსა და უკრაინას შორის, „სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ ორმხრივი ხელშეკრულება, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ ხელშეკრულება, აგრეთვე მინსკის მრავალმხრივი საერთაშორისო კონვენცია „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“.

ურთიერთობის მოწესრიგებისათვის კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობის არჩევა.

საქართველოს სკს-ის შესახებ კანონის 35-ე მუხლის თანახმად, სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლებამოვალეობების განსაზღვრა, კერძოდ ხელშეკრულებათა განმარტება, შესრულება, შეწყვეტა, ბათილობის შედეგები, ვალდებულებათა დარღვევა, მათ შორის წინასახელშეკრულებო და ხელშეკრულების შემდგომი ვალდებულებების დარღვევა წესდგება მხარეების მიერ არჩეული ქვეყნის სამართლით.

ამავე მუხლის მეორე პუნქტიდან გამომდინარე, მხარეების მიერ არჩეული სამართალი, შემდგომში, ახალი შელშეკრულებით შეიძლება შეიცვალოს სხვა ქვეყნის სამართლით. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი ახალი ხელშეკრულება მხარეებს შორის შეიძლება დაიდოს აგრეთვე სამოქალაქო სამართალწარმოების მიმდინარეობისას.

როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ გაბატონებული პრინციპის თანახმად, მოსამართლემ იცის სამართალი, (*iura novit curia* - სასამართლომ იცის სამართალი). რომელიც თავის მხრივ გულისხმობს თავისი ქვეყნის სამართალს. ანუ მოსამართლეს არ მოეთხოვება და ვერც მოვთხოვთ, იცოდეს უცხო სახელმწიფოს სამართლის ნორმები, მათი არსი. განსხვავებით ამისგან, ქვეყნების უმრავლესობა კანონმდებლობით ითვალისწინებს მოსამართლის ვალდებულებას, აუცილებლობის შემთხვევაში მიიღოს ინფორმაცია საზღვარგარეთში მოქმედი კანონმდებლობის შესახებ. მაგ. საქართველოს სკს-ის შესახებ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „1. უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენებისას საქართველოს სასამართლო იღებს საჭირო ზომებს მისი ნორმების არსის დასადგენად, შესაბამის ქვეყანაში მათი ოფიალური განმარტების, გამოყენების პრაქტიკისა და დოქტრინის გათვალისწინებით.“ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 293-ე მუხლიდან გამომდინარე, უცხო სახელმწიფოს სამართალი, უნდა დამტკიცდეს იმდენად, რამდენადაც იგი სასამართლოსთვის ცნობილი არ არის. ამასთან, აღნიშნული ნორმების დადგენისას სასამართლო არ არის შეზღუდული იმ მტკიცებულებებით, რომლებსაც წარადგენენ მხარეები. სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს ინფორმაციის სხვა წყაროებიც და ამისათვის მიმართოს შესაბამის დონისძიებებს.<sup>23</sup> შვეიცარიის საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის მე-16 მუხლის თანახმად, უცხო ქვეყნის სამართლის (ნორმის) შინაარსს ადგენს სასამართლო. ამავე დროს მას უფლება აქვს მიმართოს მხარეებს დახმარებისთვის. ხოლო ქონებრივი დავების განხილვისას, ნორმის არსის მტკიცების ტვირთი შეიძლება დაეკისროს მხარეებს. თუ შეუძლებელია ნორმის შინაარსის დადგენა-განსაზღვრა, გამოიყენება შვეიცარიის სამართალი.<sup>24</sup>

შეიძლება დავსვათ კითხვა, რა წესით შეიძლება დაადგინოს სასამართლომ უცხო სახელმწიფოს სამართლის ნორმის არსი? აღნიშნულ საკითხზე ორი სხვადასხვა, ერთმანეთისგან განსხვავებული შეხედულება არსებობს, რომლებიც შეიძლება შემდგენიარად

<sup>23</sup> Zivilprozessordnung Deutschlands. verlag Wolters Kluver 2006. s. 293

<sup>24</sup> Международное частное право. Иностранное законодательства. изд. СТАТУТ. Москва 2001. с. 631.

ჩამოვაყალიბოთ, პირველი – უცხოური სამართალი ეს არის „ფაქტი“; მეორე – იგი არის „სამართალი“.

სასამართლოსათვის უცხო სახელმწიფოს სამართალი, როგორც ფაქტის საკითხი, ძირითადად გავრცელებულია საერთო სამართლის ქვეყნებში, (ინგლისი, აშშ). მაგ. ინგლისურ იურიდულ ლიტერატურაში მიუთითებენ:

“1. უცხოური სამართალი – ეს არის ფაქტი და არა სამართალი (კანონი).

2. როგორც ფაქტი, იგი უნდა დადასტურდეს (დამტკიცდეს), რამდენადაც იგი უცნობია სასამართლოსათვის. ამასთან უნდა დამტკიცდეს სპეციალისტის მიერ.

3. როგორც ფაქტი, იგი ცნობილი უნდა გახდეს სასამართლოსათვის იმ წესით, რომლებიც გათვალისწინებულია საპროცესო ნორმებით სხვა ფაქტების მიმართ.

4. თუ უცხო ქვეყნის სამართალზე არ უთითებს მხარე ან არ შეუძლია მისი დამტკიცება, მოსამართლეს შეუძლია გამოიყენოს ინგლისური სამართალი, გამომდინარე პრეზუმციიდან, რომ უცხოური სამართალი იგივეა, როგორც ინგლისური სამართალი.”<sup>25</sup>

აქედან გამომდინარე, უცხო ქვეყნის სამართლის, როგორც ფაქტის დამტკიცების ტვირთი ეკისრებათ მხარეებს სპეციალისტის მეშვეობით. ანუ, მოსამართლე ვერ გამოიყენებს მას, თუნდაც რომ გააჩნდეს ცოდნა სამართლის ნორმის შესახებ. იგივე შეიძლება ითქვას აშშ-ის შესახებაც. უცხო ქვეყნის სამართალი განიხილება როგორც ფაქტი და იგი უნდა დამტკიცდეს ზოგადად მტკიცებულებების შესახებ წესების თანახმად. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო დროს დოქტრინამ გარკვეული ცვლილებები განიცადა. კერძოდ, უცხო ქვეყნის სამართალი განიხილული უნდა იქნეს როგორც ფაქტი, რომელსაც სამართლებრივი საკითხი უდევს საფუძვლად.<sup>26</sup> ამასთან ერთად, აშშ-ის სამოქალაქო სამართალწარმოების ფედერალური წესების 44.1 მუხლიდან გამომდინარე, სასამართლოს, უცხო სახელმწიფოს სამართლის შინაარსის დადგენისას, უფლება აქვს მიმართოს მნიშვნელობის მქონე ნებისმიერ წყაროს, მათ შორის ფიცის დადებას, მიუხედავად იმისა, დაშვებულია თუ არა ისინი მტკიცებულებების შესახებ ფედერალური წესების თანახმად.

განსხვავებით საერთო სამართლის ქვეყნებისაგან, კონტინენტური სამართლის ქვეყნები (გერმანია, შვეიცარია, განსაკუთრებით იტალია<sup>27</sup>), უცხო სახელმწიფოს სამართალს განიხილავენ, როგორც სამართლის საკითხს.

<sup>25</sup> Fentiman R. Foreign Law in English Courts. Oxford, 1998. p. 286,287. იხ. Ю. А. Тимохов. Иностранное право в судебной практике. изд. Wolterskluver. 2004. ст. 57.

<sup>26</sup> North P.M. Fawcett J.J. Cheshire and North's Private International Law. 13th ed. London; Edinburgh; Dublin, 1999..P.107. იხ. Ю. А. Тимохов. Иностранное право в судебной практике. изд. Wolters Kluver. 2004. ст. 61

<sup>27</sup> იტალიის კერძო სამართლის შესახებ კანონის მე-14 მუხლიდან გამომდინარე: სასამართლო ვალდებულია დაადგინოს უცხო ქვეყნის სამართლის არსი. ამ მიზნით სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს იუსტიციის სამინისტროსაგან მიღებული ინფორმაცია, აგრეთვე ის საშუალებები, რომლებსაც ითავლისწინებს საერთაშორისო კონვენციები. სასამართლოს უფლება აქვს მიმართოს ექსპერტებს, სპეციალიზირებულ დაწესებულებებს და აგრეთვე მხარეებს. თუ ვერ დადგინდება ნორმის შინაარსი, გამოიყენება იტალიის სამართალი.

სასამართლო, თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე იკვლევს თავისი ქვეყნის საკოლიზიო სამართალს. რისთვისაც მას არ სჭირდება სპეციალისტისა თუ ექსპერტის დასკვნა. ამასთან, რაც მთავარია, იგი ვალდებულია, გამოიყენოს იგი, თუნდაც ამაზე არ მიუთითებდნენ მხარეები. გამომდინარე იქიდან, რომ ხშირად, სწორედ საკოლიზიო ნორმები განსაზღვრავენ საქმის განხილვის შედეგს, უთითებენ რა გამოსაყენებელ სამართალს. ანუ, სასამართლო ეყრდნობა რა შიდაეროვნულ საკოლიზიო ნორმას, ვალდებულია გამოიყენოს ის სამართალი, რომელზეც მიუთითებს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმა.

ამავე დროს, სასამართლო ზოგ შემთხვევებში, ვალდებულია თავისი ინიციატივით დაადგინოს ის ფაქტები, რომლებიც საკოლიზიო ნორმის საბაზს უდევს საფუძვლად.<sup>28</sup> მაგ. საქართველოს სსკ-ის 354-ე მუხლის თანახმად: „1. სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ.“ ასეთ შემთხვევაში, მას შეიძლება წარმოადგენდეს მხარის მოქალაქეობა ან საცხოვრებელი ადგილი, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი და სხვ. სასამართლოს მართალია არ მოეთხოვება იცოდეს უცხო ქვეყნის სამართალი, მაგრამ იგი ვალდებულია გარკვეულ ვითარებაში თავისი თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, საკუთარი ინიციატივით დაადგინოს, გამოიკვლიოს ის გარემოებები, რომლებიდანაც გამომდინარეობს უცხო სამართლის გამოყენების აუცილებლობა.

გარდა ამისა, უნდა აღვნიშნოთ შემდეგიც, თუ სამართლის ნორმის დადგენა წარმოადგენს მხოლოდ ფაქტის საკითხს, მაშინ დაუმტკიცებლობამ უნდა გამოიწვიოს ის შედეგი, რაც წარმოიშევა საერთოდ ჩვეულებრივ ფაქტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში. კერძოდ, სასამართლო უარს ეტყვის მხარეს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ეს კი ასე არ არის. რადგან სასამართლო ვალდებულია დაუდასტურებლობის შემთხვევაში მიმართოს თავის, შიდაეროვნულ კანონმდებლობას.

მაგრამ, უნდა ითქვას, რომ უცხო ქვეყნის სამართალს როგორც სამართლის საკითხს, გარკვეულ დონეზე ახასიათებს ფაქტის ნიშნებიც. კერძოდ, საქართველოს სსკ-ის შესახებ კანონის მე-3 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, თუ: „პროცესის არც ერთ მხარეს არ შეუძლია ნორმების არსის დადგენა და მათი გამოყენების დასაბუთება, სასამართლო იყენებს საქართველოს სამართალს.“ ნათლად სჩანს, რომ მხოლოდ სასამართლო არ არის უფლებამოსილი გამოიკვლიოს უცხო ქვეყნის სამართალი. ამაში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ მხარეებმაც. მათ მონაწილეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, როდესაც სასამართლო გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ვერ ადგენს ნორმის არსს. ასეთ შემთხვევაში მხარეთა აქტიურობა გამოდის წინა პლანზე. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ზემოთ მოყვანილი ნორმის დანაწესი. სამართლის დადგენა-გამოკვლევაში მათი მონაწილეობის ძირითადი მიზანია, მიაწოდონ სასამართლოს ნორმის

<sup>28</sup> საერთაშორისო კერძო სამართალში საკოლიზიო ნორმის საბაზს წარმოადგენს ფაქტობრივი, კონკრეტული ურთიერთობის მიმდგრება ამა თუ იმ ქვეყნის სამართალზე, რომელმაც უნდა დაარეგულიროს ეს ურთიერთობა.

არსი. ეს შეიძლება განხორციელდეს რა თქმა უნდა, არა მარტო კანონის ტექსტის თარგმნით, არამედ ექსპერტების, სპეციალისტების დასკვნებით, საერთაშორისო სამართლის კვლევითი დაწესებულებებიდან ინფორმაციის მიღებით თუ სხვ. ასეთ შემთხვევაში მხარეთა ქმედებები, სხვა არაფერია თუ არა მტკიცებულებათა მოპოვება, რომელთა დახმარებით ისინი ასაბუთებენ თავიანთ მოთხოვნას. თუ სასამართლო დარწმუნდება კანონის, ნორმის შინაარსში, მით უმეტეს თუ მას გარკვეულ დონეზე გააჩნია მის მიმართ ცოდნა, იგი მას გამოიყენებს სამართალწარმოებაში.

უცხოეთის კანონმდებლობაზე ინფორმაციის მიღების თაობაზე საზღვარგარეთის მართლმსაჯულების ორგანოებისგან სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობის არსებობისას, მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელ კატეგორიას განეკუთვნება იგი – ფაქტს თუ სამართალს.

ის, თუ რომელ გზას აირჩევს სასამართლო, დამოკიდებულია მის გადაწყვეტილებაზე. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სამართლებრივი დახმარების გაწევის რა გზებია გავრცელებული საერთაშორისო ურთიერთობებში.

თუ სასამართლო თვლის, რომ მას გააჩნია საკმარისი ცოდნა უცხო ქვეყნის სამართლის შესახებ, იგი აცნობებს მხარეებს ამის თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეუძლია დახმარებისთვის მიმართოს მოსარჩელეს ან მოპასუხეს. მაგ. საქართველოს სკს-ის შესახებ კანონის მე-3 მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე.

ჩვენი ქვეყნის მიერ, უცხო სახელმწიფოს სასამართლოსათვის კანონმდებლობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების რამდენიმე გზა შეიძლება გამოვყოთ. ერთ-ერთია იმ ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობის დახმარება ნორმის შინაარსის დადგენაში, რომლის სამართალიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ვენის დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ 1961 წლის 18 აპრილის კონვენცია, რომლის მე-3 მუხლიდან გამომდინარე, დიპლომატიური წარმომადგენლობის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს: “მააკრედიტებელ სახელმწიფოს და ადგილსამყოფელ სახელმწიფოს მეგობრული ურთიერთობის წახალისება და ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების დარგში მათი ურთიერთობის განვითარება.” ვფიქრობთ, კანონმდებლობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება აღნიშნული გზით, გამართლებულია, მაგრამ არა სრულყოფილი. როგორც საერთაშორისო პრაქტიკიდან ირკვევა, ასეთ შემთხვევაში ძირითადად პასუხი გაიცემა ისეთ კონკრეტულ საკითხებზე, როგორცაა სრულწლოვანების ასაკი, საქორწინო ასაკი და სხვ.<sup>29</sup> მაგრამ რთულია ისეთი საკითხების გარკვევა, როგორცაა ვალდებულების შესრულების პირობები, ხელშეკრულების დარღვევის შედეგები და ა. შ.

მეორე გზა, ეს არის სასამართლო გადაწყვეტილებებში მოცემული ნორმათა განმარტებანი. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, როგორც საკასაციო სასამართლოს, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებები<sup>30</sup>.

<sup>29</sup> იხ. H. Schack. Internationales Zivilverfahrensrecht. verlag Beck, 2001. s. 303-321.

<sup>30</sup> არ შეიძლება არ დავეთანხმოთ, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ „კასაციას აქვს ორგვარი მიზანი, ინდივიდუალური (კერძო), რაც გამოიხატება მხარეთა (კასატორის) ინტერესების დაცვაში, ... და საჯარო, რაც გამოიხატება ერთიანი მართლმსაჯულების სისტემის

“საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ” ორგანული კანონის მე-9 მუხლის მესამე პუნქტიდან გამომდინარე, დიდი პალატა საკასაციო სასამართლოს მიერ გადაცემულ საქმეს განიხილავს, თუ:

„ა) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას;

ბ) საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას);

გ) საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას);”

ქვეს არ იწვევს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პირობების საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ასევე საპროცესო-სამართლებრივი საკითხები.

სამართლებრივი დახმარების გაწევის მნიშვნელოვან სამართლებრივ წყაროს წარმოადგენს 1968 წ. 7 ივნისის ევროპული კონვენცია „უცხოეთის კანონმდებლობაზე ინფორმაციის შესახებ“<sup>31</sup>.

პირველ რიგში აღვნიშნავთ, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, როგორც ქვეყანაში მოქმედ სამართლის წყაროებს, მომდევნო თავში შევხებით. თუმცა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული კონვენცია ამ თავშივე განვიხილოთ მოკლედ.

კონვენციის პირველსავე მუხლში მოცემულია მისი რეგულირების სფერო. კერძოდ, „ხელშემკერეელი მხარეები იღებენ პასუხისმგებლობას, მიაწოდონ ერთმანეთს ინფორმაცია სამოქალაქო და კომერციულ სფეროებზე არსებულ მათ კანონმდებლობასა და პროცედურებზე, ისევე როგორც მართლმსაჯულების ორგანიზაციაზე“.

კონვენციით დადგენილი წესის თანახმად, თითოეული მონაწილე სახელმწიფო, ნიშნავს ერთ უწყებას („მიმღებ სააგენტოს), რათა მიიღოს სხვა ხელშემკერეელი ქვეყნისგან ინფორმაციაზე მოთხოვნა და მოახდინოს მასზე რეაგირება. ასევე ნიშნავს ერთ ან რამდენიმე უწყებას („მიმწოდებელ სააგენტოს“), რათა მიიღოს თავისი სასამართლო

---

დაცვაში, კანონების ერთგვაროვნად გაგების გზით და სამართლის განვითარებაში, რომელიც მიიღწევა არამარტო კანონების ჭეშმარიტი აზრისსა და შინაარსის განსაზღვრით, არამედ კანონმდებლობაში ხარვეზის გამოვლენისა და შემდგომ ამ ხარვეზის საკანონმდებლო წესით შევსების საშუალებით.” იხ. ვ. ხრუსტალი „კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში”. სადისერტაციო ნაშრომი 2004 წ. გვ. 27.

აგრეთვე, 1) თ. ლილუაშვილი „სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში”, პრაქტიკული სახელმძღვანელო. II გამოცემა, გამ. „ჯისიი” 2003 წ. 2) გ. ქირია „სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების თავისებურებანი.” უურნალი „სამართალი”, 1997. საზღვარგარეთ გავრცელებული მოსაზრებების შესახებ, 3) Jurisdiktionsnorm und Zivilprozessordnung, Herausgegeben von Dr. Rudolf Stohanzl. 15. Auflage. Wien 2002. s. 1399-1416 (ავსტრია). 4) Zivilprozessordnung, Kommentar von Prof. Dr. Heinz Thomas, dr. Klaus Reichold, Prof. Dr. Hans putzo, Dr. Rainer Husstege, 24 neubearbeitete Auflage, Verlag C. H. Beck, Munchen, 2002. s. 895-896. 5) Die Revision in den zivil- und verwaltungsgerichtlichen Verfahren, Eine Systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der hochstrichterlichen Rechtsprechung von Artur Mey, 2 uberarbeitete und erweiterte Auflage, Carl heymanss verlag, koln, Berlin, Bonn, Munchen, 1997, s. 20-22. (გერმანია).

<sup>31</sup> „ევროპული კონვენცია უცხოეთის კანონმდებლობაზე ინფორმაციის შესახებ”. ლონდონი 1968 წ. 7 ივნისი. საქართველოს შეუერთდა საქართველოს პარლამენტის 1999 წ. 2 მარტის №1819 დადგენილებით.

აგრეთვე, „უცხოეთის კანონმდებლობაზე ინფორმაციის შესახებ ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმი“. საქართველო შეუერთდა საქართველოს პარლამენტის 2000 წ. 16 მაისის №310 დადგენილებით.

ორგანოებისაგან მოთხოვნა და გადაუგზავნოს იგი უცხოეთის მიმღებ სააგენტოს (მუხ. 2).

მნიშვნელოვან წესს ადგენს ხელშეკრულების მე-4 მუხლი, რომლის შინაარსიდან გამომდინარე, მოთხოვნაში აუცილებელია მითითებული იყოს: ა) მართლმსაჯულების ორგანო, რომლისგანაც ის გამომდინარეობს; ბ) საქმის შინაარსი, რომელიც შეძლებისდაგვარად ზუსტად განსაზღვრავს იმ საკითხებს, რომელთა დაკავშირებითაც ესაჭიროება ინფორმაცია შუამდგომლობის აღმძვრელ სახელმწიფოს და აგრეთვე გ) ფაქტები, რომლებიც აუცილებელია, როგორც მოთხოვნის სწორი გაგებისათვის, ასევე ზუსტი და დაწვრილებითი პასუხისათვის. ამასთან, თუ საჭიროება არსებობს, შეიძლება თანდართული იყოს დოკუმენტების ასლები (მუხ. 4).

საინტერესოა, რომ კონვენცია პასუხის გაცემაზე უფლებამოსილ პირად უშვებს როგორც მიმღებ სააგენტოს ან სხვა სახელმწიფო ან ოფიციალურ უწყებას, ასევე, რაც საყურადღებოა კერძო პირსაც და კვალიფიციურ იურისტსაც (მუხ. 6).

მიუხედავად ყოველივე ამისა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ხელშეკრულების მე-8 მუხლის თანახმად, მოთხოვნის აღმძვრელი მართლმსაჯულების ორგანოებისათვის, მიღებულ პასუხს არა აქვს სავალდებულო ხასიათი. ანუ, სასამართლოს მიხედულებაზეა, გამოიყენოს თუ არა გადაცემული ინფორმაცია. ასეთ შემთხვევაში, ალბათ ვერ გავეცქევით იმ ფაქტს, რომ მოქმედებას იწყებს თავისუფალი შეფასების პრინციპი, რომელიც, თავის მხრივ უშუალოდ მტკიცებულებათა მიმართ არის დადგენილი. ეს კი, კიდევ ერთხელ ადასტურებს უცხო ქვეყნის კანონმდებლობის ორბუნებრიობაზე—„სამართალი“, რომელიც მოიცავს „ფაქტის“ საკითხსაც. ამას განამტკიცებს ისიც, რომ, თუ მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, ვერ იქნება დადგენილი უცხო სახელმწიფოს სამართლის ნორმის შინაარსი, სასამართლო ვერც სარჩელის განხილვაზე იტყვის უარს და დაუდგენლობის საფუძველზე ვერც მხარის წინააღმდეგ გამოიტანს გადაწყვეტილებას. იგი ვალდებულია მიმართოს თავისი ქვეყნის კანონმდებლობას. ასეთ წესს ითვალისწინებს როგორც საქართველოს სსკ-ის შესახებ კანონი (მუხ. 3), ასევე საზღვარგარეთი ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა. თუმცა, ალბათ გამართლებული იქნება, თუ საკუთარი ქვეყნის სამართლის გამოყენება, წარმოჩნდება როგორც უკიდურესი ქმედება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი უნდა წარმოადგენდეს უკიდურეს დამხმარე საშუალებას, რათა გადაწყდეს მხარეებს შორის არსებული დავა.

საინტერესოდ მიგვაჩნია მოკლედ განვიხილოთ შემდეგი საკითხი. კერძოდ, უცხო ქვეყნის სამართალი და ზემდგომი სასამართლოები. ანუ დასაშვებია თუ არა საქართველოში, სასამართლო გადაწყვეტილების შემდგომ ინსტანციაში გასაჩივრება უცხო სახელმწიფოს სამართლის გამოყენებლობის ან არასწორი გამოყენების საფუძველით. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამისთვის რაიმე დაბრკოლება არ არსებობს. საქართველოს სსკ-ის 377-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად:

„1. სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

2. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394 მუხლების მოთხოვნებით.”

ხოლო 393-ე მუხლი ეხება საკასაციო საჩივრის საფუძვლებს. როგორც ცნობილია, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ხოლო, ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად:

„2. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ:

- ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა;
- ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა;
- გ) არასწორად განმარტა კანონი.”

როგორც ვხედავთ, სამივე ეს წინაპირობა შეიძლება გახდეს საქართველოში სამოქალაქო სამართალწარმოებისას უცხო ქვეყნის სამართალთან დაკავშირებით ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გასაჩივრების საფუძველი. ამას განამტკიცებს აგრეთვე სკს-ის შესახებ კანონის 73-ე მუხლი, რომლის თანახმად „პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ამ თავის დებულებათა შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები) ექვემდებარება გასაჩივრებას კანონმდებლობით დადგენილი წესით.”

## 5. სამართლის წყაროები

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროს წარმოადგენს როგორც შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტები, ასევე სხვადასხვა ორმხრივი თუ მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები.

როგორც წესი განასხვავებენ სამართლის წყაროს შემდეგ სახეებს: ა) ჩვეულებითი სამართალი; ბ) სამოსამართლო სამართალი; გ) ნორმატიული აქტი (კანონი), და დ) საერთაშორისო ხელშეკრულება.

ა) ჩვეულება – ეს არის წესი (პრინციპი), რომელიც ყალიბდებოდა დიდი ხნის განმავლობაში, გამოიყენებოდა სისტემატიურად, თუმცა არსად არ არის დაფიქსირებული წერილობითი ფორმით.<sup>32</sup> ამით განსხვავდება იგი კანონისაგან, სამართლის ნორმისაგან. ჩვეულებითი სამართალი არის არა სამართალშემოქმედების აქტი, არამედ განვითარების შედეგი.<sup>33</sup> იგი იმ შემთხვევაში იძენს სამართლის წყაროს დანიშნულებას, როდესაც ისინი გარკვეული ფორმით აღიარებულნი არიან სახელმწიფოს მიერ. აქედან გამომდინარე, იგი შეიძლება იმ შემთხვევაში წარმოადგენდეს საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროს, თუ აღიარებულნი იქნებიან ჩვენი ქვეყნის მიერ. აღიარება შეიძლება გამოიხატოს როგორც პრაქტიკაში გამოყენებით, ასევე კანონში გაწერილი ფორმით ან დიპლომატიური აქტით.

ბ) სამოსამართლო სამართალი, როგორც სამართლის წყარო, როგორც ცნობილია, გავრცელებულია საერთო სამართლის ქვეყნებში. გარკვეულ სამართლებრივ საკითხზე, სასამართლო გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულ მოსამართლის აზრს, შეხედულებას, შეიძლება ითქვას სახელმძღვანელო მნიშვნელობა გააჩნია მომავალში სხვა

<sup>32</sup> М. М. Богуславский Международное частное право. Москва. изд. международные отношения. 1994. ст. 72.

<sup>33</sup> R. Haase, R. Keller, Grundlagen und Grundformen des Rechts, Stuttgart, Berlin, Köln, mainz, Kohlhammer. 1971, S.35. იხ. გ. ხუბუა. სამართლის თეორია. გამ. “მერიდიანი”. თბილისი 2004 წ. გვ. 131.



მოსამართლისათვის ანალოგიური საკითხის გადაწყვეტისას. გამომდინარე იქიდან, რომ common law-ს ქვეყნებში არ არსებობს კოდიფიცირებული სამართალი, სამოსამართლო სამართალს, როგორც წყაროს ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება.<sup>34</sup>

საქართველო განეკუთვნება კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემას. ამიტომ, სამოსამართლო სამართალი არ წარმოადგენს სამართლის წყაროს. აქედან გამომდინარე, იგი ვერ იქნება ასევე საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროც. მისი მნიშვნელობა შეიძლება გამოიხატოს როგორც კანონმდებლობაში არსებული ხარვეზის გამოსწორებისათვის, ასევე კანონის გამოყენების სრულყოფისათვის.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროებს წარმოადგენს გ) შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტები და დ) საერთაშორისო ხელშეკრულებები. ორივე მათგანი შეიძლება მოიცავდეს როგორც საერთაშორისო საკოლიზიო მატერიალურ სამართლებრივ საკითხებს, ასევე საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლის სფეროსაც.

უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ წყაროს წარმოადგენს საქართველოს კანონი “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ”, რომლის პირველი მუხლის თანახმად, განისაზღვრება „თუ რომელი სამართლებრივი წესრიგი გამოიყენება უცხო ქვეყნის სამართალთან დაკავშირებული საქმის ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას, აგრეთვე საპროცესო სამართლის იმ ნორმებს, რომლებიც გამოიყენება ასეთი საქმის წარმოებისას.” ანუ იგი მოიცავს იმ საკოლიზიო ნორმებს, რომელთა მეშვეობით შეგვიძლია დავადგინოთ, კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნას გამოყენებული და ამასთან ერთად, იმ საპროცესო ნორმებს, რომლებითაც დადგენილია აღნიშნული ურთიერთობიდან წარმოქმნილი დავების სასამართლოში განხილვის წესი.

ასევე მნიშვნელოვან სამართლებრივ წყაროს წარმოადგენს საქართველოს კანონი „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“. რომლის მე-5 თავის ნორმები მთლიანად უცხოელთა უფლებებსა და მოვალეობებს ეხება. აღნიშნული მუხლების თანახმად, მათ ისეთივე სამართლებრივი რეჟიმი გააჩნიათ, როგორც საქართველოს მოქალაქეებს, გარკვეული გამონაკლისების გარდა.

ამის გარდა, სამართლებრივ წყაროს განეკუთვნება სხვადასხვა ნორმატიული აქტები, როგორცაა სამოქალაქო კოდექსი (მუხ. 30; 1118); კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“<sup>35</sup> რომლითაც განსაზღვრულია, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, უცხოელ ინვესტორთა ისეთივე უფლებები და მოვალეობები, რომლითაც სარგებლობენ საქართველოს ფიზიკური თუ იურიდიული პირები (მუხ. 3) და სხვა საკანონმდებლო აქტები.

დ) საერთაშორისო კერძო სამართალში და განსაკუთრებით საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში, უაღრესად დიდი მნიშვნელობა

<sup>34</sup> უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივ გარკვეული ცვლილებები შეინიშნება, განსაკუთრებით აშშ-ში. სადაც, მოდალური კანონებით ხდება გარკვეული სფეროების დარეგულირება. იხ. გ. ხუბუა. დასახელებული ნაშრომი გვ. 133.

<sup>35</sup> საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ.“ გამ. „საქართველოს პარლამენტის უწყებანი“. 1997 წ. №29-30/5.

ენიჭება საერთაშორისო ხელშეკრულებებს, იქნება ეს ორმხრივი თუ მრავალმხრივი ხელშეკრულებები.

სანამ განვიხილავდეთ იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროებს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გავარკვიოთ მათი როლი და ადგილი ჩვენი ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად: „2. საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.“

აღნიშნული ნორმა გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ საერთაშორისო ხელშეკრულება წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის სამართლებრივი სისტემის მნიშვნელოვან და განუყოფელ ნაწილს. ამის თქმის საფუძველს იძლევა აგრეთვე საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“,<sup>36</sup> რომლის მე-4 მუხლის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებას და შეთანხმებას, საქართველოს ნორმატიული აქტების იერარქიაში კონსტიტუციის, კონსტიტუციური კანონის და კონსტიტუციური შეთანხმების შემდეგ უკავია ადგილი და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონი<sup>37</sup>, რომლის მე-6 მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, იგი ჩვენი ქვეყნის „კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია“. ამასთან, ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც არ მოითხოვენ დამაზუსტებელ შიდასახელმწიფოებრივი აქტების გამოცემას, ჩვენს ქვეყანაში მოქმედებენ უშუალოდ. ანუ, მათ ავტომატურად ენიჭებათ შიდასახელმწიფოებრივი იურიდიული ძალა. სამართალსუბიექტებისათვის მის მიერ დადგენილი უფლებები და მოვალეობები, ატარებენ ისეთივე სავალდებულოობის ხასიათს, როგორსაც ქვეყნის შიგნით მოქმედი სხვა ნორმატიული აქტები. და ბოლოს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, რომლის მე-7 მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია, იგი „ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებას, შეთანხმებას და კანონს.“

უნდა აღვნიშნოთ შემდეგი გარემოებაც, კერძოდ, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებას წარმოადგენს საქართველოს სხვა სახელმწიფოსთან (სახელმწიფოებთან) ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ორგანიზაციებთან) წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმება, რომელიც რეგულირდება საერთაშორისო სამართლის ნორმებით. აქედან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის სასამართლოებისათვის

<sup>36</sup> საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“. გამ. საქართველოს პარლამენტის უწყებანი. 1996 19 ნოემბერი. გვ.1.

<sup>37</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“. გამ. საქართველოს პარლამენტის უწყებანი 1997 წ. №44

იურიდიული ძალის მქონეა ყველა ხელშეკრულება, იქნება ეს ორმხრივი თუ მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები (კონვენციები).

როგორც აღვნიშნეთ, საერთაშორისო კერძო სამართალში, კერძოდ, საერთაშორისო სამოქალაქო პროცესის და სახელმწიფოებს შორის სამართლებრივი დახმარების გაწევის უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ წყაროებს სწორედ სხვადასხვა მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებები წარმოადგენს. მათ მთავარ დანიშნულებას საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობების (სამართლებრივი ბრუნვის) სრულყოფა წარმოადგენს გადაწყვეტილებათა ცნობასა და აღსრულების, აგრეთვე სამართლებრივი დახმარების სფეროში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სხვადასხვა კონვენციები,<sup>38</sup> რომელთა ნაწილს მიერთებულია საქართველო, ხოლო ნაწილს, ვფიქრობთ აუცილებელია შეუერთდეს. მაგ. ერთ-ერთი მნიშვნელოვან კონვენციას, რომლის მონაწილეც არის საქართველო, წარმოადგენს მინსკის კონვენცია “სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ” (შემდგომში მინსკის კონვენცია). იგი მოიცავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა როგორც სამართლებრივი დაცვის და სამართლებრივი დახმარების პროცესუალურ საკითხებთან დაკავშირებულ ნორმებს, ასევე გადაწყვეტილებათა ცნობასა და აღიარებასთან დაკავშირებულ წესებს.<sup>39</sup> გარდა ამისა, მასში მოცემულია საკოლიზიო ნორმები, რომლებიც არეგულირებენ მხარეთა შორის არა ურთიერთობას, არამედ მიუთითებენ, რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული ამ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. კერძოდ, ისინი ეხებიან: ა) პირის სტატუსს, მაგ. ქმედუნარიანობა და უფლებაუნარიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება (მუხლ 23); ბ) საოჯახო სამართალს – მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობა რეგულირდება იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონით, რომლის ტერიტორიაზეც მუდმივად ცხოვრობენ შვილები (მუხ. 32). გ) სანივთო სამართალს (თავი IV) და სამემკვიდრეო სამართალს (თავი V).

ყურადღებას იმსახურებს კონვენციის ის ნორმებიც, რომლებიც სახელმწიფოებს შორის სამართლებრივი დახმარების საკითხებს არეგულირებს. განსაკუთრებით მე-7 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს იმ რეკვიზიტებს, რომლებსაც უნდა შეიცავდეს შუამდგომლობა, კერძოდ, მასში მოცემული უნდა იყოს:

- ა) შუამდგომლობის მიმღები დაწესებულების დასახელება;
- ბ) შუამდგომლობის აღძვრელი დაწესებულების დასახელება;
- გ) საქმის დასახელება;
- დ) მხარეთა, მოწმეთა, ეჭვმიტანილთა და დაზარალებულთა სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი, მოქალაქეობა, საქმიანობა; სისხლის სამართლის საქმეებზე მათი დაბადების თარიღი და ადგილი; ხოლო შესაძლებლობის მიხედვით მათი

<sup>38</sup> კონვენცია ისეთი სახის სახელწოდებითაა შთანხმობას ეწოდება, რომელიც რაიმე სპეციალურ დარგს ეხება და სპეციალურ დანიშნულებით ხასიათს ატარებს. იხ. ლ. ალექსიძე. „თანამედროვე საერთაშორისო სამართალი“. თბილისი 1998 წ. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

<sup>39</sup> კონვენცია ეხება ასევე სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომლებსაც ჩვენ ამ ნაშრომში არ შევეხებით.

მშობლების სახელი და გვარი; იურიდიული პირების დასახელება და ადგილსამყოფელი;

ე) თუ აღნიშნულ პირებს ჰყავთ წარმომადგენელი, მისი სახელი, გვარი და მისამართი;

ვ) შუამდგომლობის შინაარსი, აგრეთვე სხვა მონაცემები, რომლებიც აუცილებელია შუამდგომლობის შესრულებისათვის.

უნდა აღვნიშნოთ, რომ „კ“ ქვეპუნქტი ზოგადი ხასიათის ნორმას წარმოადგენს. იმისათვის, რომ გავარკვიოთ, რას შეიძლება მოიცავდეს ეს დანაწილი, დაგვეხმარება ჰააგის 1970 წლის კონვენცია „სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებზე საზღვარგარეთ მტკიცებულებათა მოპოვების შესახებ“. კერძოდ, აღნიშნულ რეკვიზიტებს ითვალისწინებს კონვენციის მესამე მუხლიც, მაგრამ დამატებით აღნიშნული შემდეგი: „იქ, სადაც აუცილებელია, სასამართლო შუამდგომლობაში მითითებული უნდა იქნას შემდეგი:

ე) იმ პირთა სახელი გვარი, რომლებიც უნდა იქნან დაკითხული;

ვ) კითხვები, რომლებიც დასმული უნდა იქნას ამ პირთა მიმართ, ან ფაქტები, რომელთა შესახებ უნდა დაიკითხონ ისინი;

ზ) დოკუმენტები, ან სხვა უძრავი თუ სხვა პირადი ქონება, რომელთა დათვალიერებაც აუცილებელია;

აღნიშნული მუხლი უშვებს შუამდგომლობის აღმძვრელი ქვეყნის მიერ თხოვნას, შესრულებისათვის სპეციალური მეთოდებისა თუ საპროცესო ქმედებების ჩატარების შესახებ. თუმცა მისი განხორციელების საკითხს წყვეტს შემსრულებელი სახელმწიფო თავისი კანონმდებლობის, გამოყენებული პრაქტიკისა თუ პრაქტიკული სირთულეებიდან გამომდინარე, (კონვენციის მუხ. 9).

აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველო არ არის ჰააგის 1970 წ. კონვენციის მონაწილე. თუ გავითვალისწინებთ მასში მონაწილე სახელმწიფოებსა და მათ რიცხვს, ეს გარემოება ჩვენი ქვეყნისთვის ძალზედ არასახარბიელოდ, თუ დაუშვებლად არა, შეიძლება მივიჩნიოთ.

მინსკის კონვენციაც ითვალისწინებს შუამდგომლობის შესრულების წესს. კერძოდ, საპროცესო მოქმედებები ხორციელდება იმ სახელმწიფოს საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სადაც ისინი უნდა შესრულდეს. ხელშეკრულება უშვებს ისეთი საპროცესო მოქმედებების გამოყენებას, რომელსაც არ ითვალისწინებს სამართლებრივი დახმარების გამწვევი ქვეყანა, მხოლოდ იმ პირობით, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება შემსრულებელი სახელმწიფოს კანონმდებლობას, (მუხ. 8). ვფიქრობთ, ისეთ შემთხვევაში, როდესაც კონვენცია იყენებს ტერმინს „კანონმდებლობა“, უნდა მოვიზაროთ სახელმწიფოს ძირითადი სამართლებრივი პრინციპები, ანუ საჯარო წესრიგი და არა კონკრეტული შემთხვევის კანონთან უმნიშვნელო შეუსაბამობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეუსაბამობა იმპერატიული ნორმების მოთხოვნებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, დახმარებაზე შეიძლება უარი ითქვას საკმაოდ ხშირ შემთხვევებში. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი წესი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია პირთა წრე, რომლებიც არ შეიძლება დაკითხულ იქნენ მოწმის სახით (სსსკ-ის მუხ. 141). თუ შუამდგომლობის აღმძვრელი დაწესებულება (სასამართლო) ითხოვს ასეთი პირების, როგორც მოწმეების დაკითხვას, ჩვენი ქვეყნის სასამართლოს შეუძლია უარი უთხრას მის

დაკმაყოფილებაზე, რადგან იგი ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპს, განმტკიცებულს სამოქალაქო საპროცესო სამართლით. ამასთან ერთად, კონვენციით გათვალისწინებულია უარის თქმის სხვა საფუძვლებიც. ესენია სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და უსაფრთხოებისადმი ზიანის მიყენების საშიშროება.

ზემოთ აღნიშნული ჰააგის კონვენციაც ითვალისწინებს, საფუძვლებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში, შემსრულებელ სასამართლოს შეუძლია უარი თქვას შუამდგომლობის განხორციელებაზე. ესენია:

„ა) თუ შუამდგომლობის შესრულება არ შედის სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციაში;

ბ) თუ შემსრულებელი სახელმწიფო მიიჩნევს, რომ შესრულებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მის სუვერენიტეტს და უსაფრთხოებას.

არ შეიძლება მოთხოვნაზე უარის თქმა მხოლოდ იმ საფუძვლებით, რომ შუამდგომლობის შემსრულებელი სახელმწიფო თვლის, რომ თავისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობიდან გამომდინარე, მას გააჩნია საქმის განხილვაზე განსაკუთრებული კომპეტენცია ან/და ასევე შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მსგავსი ქმედებების განხორციელებას.” (მუხ. 12).

უარის თქმის საფუძვლებიდან, ბოლო დათქმა იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას. კერძოდ, დავაზე განსაკუთრებული კომპეტენციის (განსჯადობის) არსებობისას, შუამდგომლობის დამაკმაყოფილებელ სახელმწიფოს (საქართველოს) სასამართლოს შეუძლია შემდგომში უარი თქვას გადაწყვეტილების აღიარებაზე, სკს-ის შესახებ კანონის 68-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველით. განსაკუთრებული განსჯადობა, გადაწყვეტილების ცნობაზე და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველია და არა სამართლებრივი დახმარების გაწევაზე უარის თქმის. ხოლო კანონმდებლობით „მსგავსი ქმედებების განხორციელების“ გაუთვალისწინებლობაში, ვფიქრობთ, უნდა ვიგულისხმოდ, რომ ასეთი საპროცესო მოქმედებების განხორციელება არ ეწინააღმდეგება ქვეყნის საჯარო წესრიგს.

ჰააგის 1965 წლის 15 ნოემბრის „სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებზე სასამართლო და არასასამართლო დოკუმენტების საზღვარგარეთ გადაცემის შესახებ“ კონვენციის მე-13 მუხლიდან გამომდინარე, ქვეყნის სუვერენიტეტი და უსაფრთხოება წარმოადგენს იმ ორ პირობას, რომელთა საფუძველზეც სახელმწიფომ შეიძლება უარი თქვას აღნიშნული დოკუმენტების გადაცემის თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

უნდა ვთქვათ, რომ არც აღნიშნულ კონვენციაზეა საქართველო მიერთებული. თუ გავითვალისწინებთ, რომ მისი მიზანია, სასამართლო და არასასამართლო დოკუმენტების, რომლებიც ექვემდებარება უცხო ქვეყანაში გადაგზავნას და ჩაბარებას, რაც შეიძლება ოპტიმალურ ვადაში ადრესატისათვის გადაცემა და ამ მიზნის განხორციელებისათვის სამართლებრივი დახმარების გაწევის სრულყოფა გამარტივებული და დაჩქარებული პროცედურების საშუალებებით, ვფიქრობთ აუცილებელია კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა რიცხვში იყოს ჩვენი ქვეყანაც.

მნიშვნელოვან წესს მოიცავს მისი მე-15 მუხლი. კერძოდ, თუ სასამართლოში გამოძახების შესახებ უწყება ან მისი ანალოგიური დოკუმენტი გადაგზავნილი იქნა საზღვარგარეთ მხარისათვის ჩაბარების

მიზნით და მხარე არ გამოცხადდა, სასამართლო ვერ გამოიტანს გადაწყვეტილებას მანამ, სანამ არ დადგინდება, რომ:

„ა) პირებზე, რომლებიც იმყოფებიან ქვეყნის ტერიტორიაზე, უწყება ჩაბარებული იქნა იმ წესებით, რაც დადგენილია შემსრულებელი ქვეყნის კანონმდებლობით უწყების ჩაბარების შესახებ;”

ბ) უწყება ნამდვილად იქნა გადაცემული მხარისათვის ან ჩაბარებული მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იმ საშუალებებით, რომლებსაც ითვალისწინებს ეს კონვენცია.”

ამავე მუხლის თანახმად, ყოველ ხელშემკვერელ სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს, რომ სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება იმ შემთხვევაშიც, როდესაც არ არსებობს მხარისათვის უწყების გადაცემის (ჩაბარების) შესახებ სასამართლოში მიღებული ცნობა, თუ არსებობს შემდეგი პირობები ერთდროულად:

„ა) დოკუმენტი გადაცემული იქნა კონვენციით განსაზღვრული ერთ-ერთი საშუალებით;

ბ) დოკუმენტის გადაცემის მომენტიდან გასული იქნა ვადა, რომელიც სასამართლოს მიერ მოცემული საქმისათვის განისაზღვრა როგორც საკმარისი ვადა და იგი არ უნდა იყოს ექვს თვეზე ნაკლები;

გ) სასამართლოში არ იქნა მიღებული ცნობა დოკუმენტის მხარისათვის ჩაბარების თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ გატარებული იქნა ყველა შესაძლებელი ქმედება შემსრულებელი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოებისაგან მისი მიღებისა.”

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს სამი პირობა უნდა არსებობდეს ერთდროულად.

რაც შეეხება დოკუმენტების გადაცემის საშუალებებს, მათ ჩვენ ზემოთ უკვე შევხეთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ კონვენცია ნებისმიერი მათგანის გამოყენების საშუალებას იძლევა, იქნება ეს სასამართლო თუ არასასამართლო დოკუმენტების გადაგზავნა.

საყურადღებოა შემდეგი გარემოებაც. კერძოდ, კონვენცია ითვალისწინებს სპეციალურ ფორმულიარებს, რომლებიც თან ერთვის უწყებისა თუ სხვა სახის დოკუმენტების გადაცემის შესახებ განჩინებებს. და რაც მთავარია, ასეთი ფორმულარები ათავისუფლებს სასამართლო, აგრეთვე არასასამართლო დოკუმენტებს ლეგალიზაციისაგან თუ სხვა მსგავსი ფორმალობებისაგან.

ფორმულარების სამი სახე არსებობს, პირველი მოიცავს უშუალოდ მოთხოვნას გადაცემის შესახებ და გადასაცემ დოკუმენტთა ჩამონათვალს, მეორე გვერდი კი შემსრულებელი დაწესებულებისგან დადასტურებას, რომ ადრესატს ჩაბარდა დოკუმენტი (დოკუმენტები). ხოლო მესამე სახე – დოკუმენტთა ძირითად შინაარსს, მაგ. მხარეთა დასახელებას, დავის საგანს, თუ აუცილებელია დავის საგნის ფასს და ა. შ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარ ფორმულარებს არ შეიცავს არცერთი სხვა ორმხრივი თუ მრავალმხრივი ხელშეკრულებები. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მათი დადებითი პრაქტიკული მნიშვნელობა. მათ, როგორც ოფიციალურ საბუთებს, შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს საკითხის გარკვევისას, ჩაბარდა თუ არა და როდის, რა რიცხვში, სასამართლო დოკუმენტები მხარეს. შუამდგომლობის შემსრულებელი სახელმწიფოს სათანადო დაწესებულება ადგენს განაცხადს აღნიშნული ფორმულარის თანახმად,

სადაც ადასტურებს მხარისათვის დოკუმენტების გადაცემის ფაქტს, აგრეთვე აღვიღს და დროს (რიცხვს). ხოლო თუ გადაცემა ვერ განხორციელდა, მან უნდა მიუთითოს მიზეზები, რომლებმაც ხელი შეუშალეს შუამდგომლობის დაკმაყოფილებას (ჩაბარებას).

რაც შეეხება შუამდგომლობის ენას, რომელზედაც უნდა იყოს იგი შედგენილი, მას ითვალისწინებს როგორც მინსკის, ასევე ჰააგის კონვენციებიც. მაგ. მინსკის კონვენციის მე-10 მუხლიდან გამომდინარე, შუამდგომლობის შემსრულებელი იუსტიციის დაწესებულება დოკუმენტების გადაცემას ახორციელებს თავისი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესების თანახმად, თუ ისინი შედგენილია სახელმწიფო ენაზე ან რუსულ ენაზე, ან/და თარგმნილია ერთ-ერთ მათგანზე. საყურადღებოა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეუძლია გადასცეს ადრესატს საბუთები, თუ იგი ამის წინააღმდეგი არ არის, ანუ თუ იგი თანახმაა თავისი ნებით ჩაიბაროს აღნიშნული დოკუმენტები.

მოთხოვნა, რომ დოკუმენტები შედგენილი იყოს ან ახლდეს თარგმანი შუამდგომლობის შემსრულებელი სახელმწიფოს ენაზე, გათვალისწინებულია ჰააგის 1970 წლის კონვენციით „სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებზე საზღვარგარეთ მტკიცებულებათა მოპოვების შესახებ“. (მუხ. 4). თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამავე მუხლის მეორე პუნქტი უშვებს შესაძლებლობას, რომ ხელშემკვრელმა სახელმწიფომ, მიიღოს შუამდგომლობა ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე, თუ იგი არ გააკეთებს სპეციალურ დათქმას კონვენციის ხელმოწერის, რატიფიკაციის ან მიერთებისას. (მუხ. 33).

დოკუმენტების ნამდვილობის საკითხს ეხება მინსკის კონვენციის მე-13-ე მუხლი. რომლის თანახმად საკმარისია იგი გამოცემული იყოს მისთვის დადგენილი ფორმით, ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და დასმული ჰქონდეს გერბიანი ბეჭედი. ასეთ დოკუმენტს, რომელიც მიღებულია ხელშემკვრელი ქვეყნის ტერიტორიაზე და განიხილება როგორც ოფიციალური, სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, როგორც საჯარო დოკუმენტს, გააჩნია მტკიცებულებითი ძალა. ნორმის შინაარსი გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ მსგავსი საბუთები არ მოითხოვს არც ლეგალიზაციას და არც აპოსტილით დამოწმებას.

რამდენადმე განსხვავებულად არეგულირებს აღნიშნულ საკითხს ჰააგის 1961 წლის 5 ოქტომბრის კონვენცია „უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნის გაუქმების“ შესახებ, რომელსაც ჩვენ ზემოთ უკვე შევეხეთ.

ნაშრომის შემდგომი ორი თავი ეხება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა აღიარებას და აღსრულებას. დასაშვებად მიგვაჩნია აქვე განვიხილოთ აღნიშნული სამართლებრივი საკითხის შესახებ არსებული სამართლის წყაროები, რომლებიც მოქმედებენ საქართველოში.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ერთადერთ მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებას (კონვენციას), როგორც სამართლის წყაროს, წარმოადგენს უკვე ნახსენები მინსკის კონვენცია. კერძოდ, მისი მესამე ნაწილი, მთლიანად აღიარებისა და აღსრულების საკითხის დარეგულირებას ეძღვნება.

განვიხილავთ ზოგადად იმ საფუძვლებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში, კონვენციიდან გამომდინარე, უარი უნდა ითქვას გადაწყვეტილების აღიარებაზე.

კონვენციის 51-ე მუხლიდან გამომდინარე, ხელშემკვრელი მხარეები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფუძვლებით, ცნობს და აღიარებს სხვა ხელშემკვრელი ქვეყნის ტერიტორიაზე გამოტანილ შემდეგ გადაწყვეტილებებს:

ა) სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებზე იუსტიციის დაწესებულებების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, მათ შორის სასამართლოს წესით დამტკიცებულ მხარეთა შორის მორიგებას და ფულადი ვალდებულებების თაობაზე სანოტარო აქტებს (შემდგომში გადაწყვეტილება)

ბ) სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით ზიანის ანაზღაურების თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილებები.

ცნობისა და აღსრულებისათვის აუცილებელ პირობებს, რომლებსაც უნდა პასუხობდეს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება, განვიხილავთ შემდგომ თავში.

კონვენციაში ცალკე მუხლადაა განსზღვრული იმ გადაწყვეტილებების აღიარების წესი, რომლებიც არ მოითხოვენ იძულებით აღსრულებას. ანუ გადაწყვეტილებები, გამოტანილი აღიარებით სარჩელებზე (მუხ. 52). აღნიშნული მუხლით დადგენილია სპეციალური წარმოების გარეშე ასეთი გადაწყვეტილებების ცნობა, თუ არსებობს ორიდან ერთ-ერთი პირობა:

ა) ამღიარებელ სახელმწიფოში უფრო ადრე არ უნდა იყოს გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც შესულია კანონიერ ძალაში;

ბ) დავის განხილვა არ უნდა განეკუთვნებოდეს ამღიარებელი ქვეყნის სასამართლოს განსაკუთრებულ საერთაშორისო განსჯადობის სფეროს.

აღიარების ასეთივე წესი ვრცელდება ქორწინების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიღებული იქნა ხელშემკვრელი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულების მიერ. ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ ის საჯარო ხასიათის დოკუმენტები, რომლებსაც ითვალისწინებს საქართველოს სკს-ის შესახებ კანონის 72-ე მუხლის პირველი პუნქტი.

კონვენციის 55-ე მუხლში მოცემულია გადაწყვეტილების ცნობასა და აღიარებაზე უარის თქმის საფუძვლები. კერძოდ, უარი შეიძლება ითქვას, თუ:

ა) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, იგი არ არის შესული კანონიერ ძალაში და არ ექვემდებარება აღსრულებას, გარდა დაუყოვნებლივ აღსასრულებებელი გადაწყვეტილებებისა.

ბ) მოპასუხემ ვერ მიიღო სამართალწარმოებაში მონაწილეობა, იმის შედეგად, რომ იგი ან მისი წარმომადგენელი უწყების ჩაბარების გზით, არ იყო დროულად და სათანადოდ გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე.

გ) იმავე მხარეებს შორის დავაზე, იმავე დავის საგანსა და ერთი და იმავე საფუძვლით, არსებობს იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, სადაც იგი უნდა აღსრულდეს, ან



არსებობს მესამე ქვეყნის აღიარებული სასამართლო გადაწყვეტილება, ან საქმე წარმოებაში მიღებულ იქნა უფრო ადრე.

დ) საქმის განხილვა განეკუთვნება ამლიარებელი სახელმწიფოს სასამართლოს განსაკუთრებულ საერთაშორისო განსჯადობას.

ე) არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა მხარეთა შეთანხმებას საერთაშორისო განსჯადობის თაობაზე.

ვ) იმ ხელშემკრელი ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც უნდა აღსრულდეს გადაწყვეტილება, გასულია იძულებითი აღსრულების ხანდაზმულობის ვადა.

როგორც ნორმიდან ჩანს, კონვენცია უშვებს ერთადერთ გამონაკლისს ისეთი გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისა, რომელიც არ არის კანონიერ ძალაში შესული. ესაა, დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილება. ასეთ გადაწყვეტილებებს იცნობს როგორც საქართველოს (მუხ. 268), ასევე სხვა ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო სამართალი.<sup>40</sup> აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ გარდა კანონით ზუსტად განსაზღვრული საქმეებისა, ასევე კანონმდებლობით დაშვებულია დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებების გამოტანა ყველა სხვა საქმეებზე, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო, აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება გადამხდევინებელს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, ან სულაც შეუძლებელი აღმოჩნდეს მისი აღსრულება.

ნორმაში მოცემული უარის თქმის საფუძვლებიდან პირველი ოთხი პუნქტით განსაზღვრულ საფუძვლებს, რომლებიც შეიძლება ითქვას იდენტურია საქართველოს სკს-ის შესახებ კანონის 68-ე მუხლით განსაზღვრული პირობებისა, შემდგომ თავში შევხებით. ამ თავში შევეცდებით განვსაზღვროთ ბოლო ორი პუნქტით („ე” და „ვ”) დადგენილი პრინციპების შინაარსი.

კონვენციის 21-ე მუხლით დადგენილია ხელშემკრელი სახელმწიფოს სასამართლოს განსჯადობა, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. აღნიშნული შეთანხმებისათვის განსაზღვრულია წერილობითი ფორმა. მაგრამ ამავე მუხლის მეორე აბზაცის თანახმად, არ შეიძლება შეთანხმებით შეიცვალოს: 1) ამავე კონვენციით გათვალისწინებული განსაკუთრებული საერთაშორისო განსჯადობა, რომელიც არეგულირებს უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საკუთრებითი და სხვა სახის უფლებების განსჯადობის საკითხს (მუხ. 20.3); 2) მეორე და მესამე თავებით დადგენილი განსჯადობა, რომლებითაც თავის მხრივ რეგულირდება შესაბამისად ა) პირის სტატუსი; ბ) საოჯახო საქმეები; გ) ქონებრივ ურთიერთობები და დ) სამემკვიდრეო სამართლის საკითხები, 3) აგრეთვე მონაწილე ქვეყნის შიდა კანონმდებლობით დადგენილი განსაკუთრებული საერთაშორისო განსჯადობა. სხვა შემთხვევებში მხარეებს უფლება აქვთ შეთანხმდნენ და მათ შორის შემდგომში წარმოქმნილი დავა დაუქვემდებარონ ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნიდან ერთ-ერთის სასამართლოს განსჯადობას. ხელშეკრულების სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებულ საკითხებს ჩვენ განვიხილავთ შემდგომ თავში. აქ გვინდა შევეხეთ მხოლოდ შემდეგ საკითხს, კერძოდ, ითვალისწინებს თუ არა

<sup>40</sup> მაგ. რუსეთი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 211-ე და 212-ე მუხლები. Е. П. Данилов „Гражданский процессуальный кодекс”. Практическое пособие. М. Изд. „Право и закон”. 2000 г. Ст. 472-473.

კონვენცია როგორც პროროგაციულ, ასევე დეროგაციულ შეთანხმებას.<sup>41</sup> ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მისი ბოლო წინადადებიდან, რომელიც კრძალავს ქვეყნის შიდა კანონმდებლობით დადგენილი განსჯადობის შეცვლას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კონვენცია ითვალისწინებს მხოლოდ პროროგაციულ შეთანხმებას. ანუ შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო განსჯადობის სფერო ფართოვდება – იგი, როგორც არაგანსჯადი სასამართლო ხდება განსჯადი.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში თუ დადგება იმ ხელშეშეკრული სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილების აღიარების საკითხი, რომელსაც არ გააჩნდა საქმის განხილვაზე საერთაშორისო განსჯადობა და ამასთან, არ არსებობს მხარეთა შორის არსებული დოკუმენტი, ხელშეკრულება, რომელიც მას ამის უფლებას მიანიჭებდა, ჩვენი ქვეყნის სასამართლო უარს იტყვის ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე.

უარის თქმის ბოლო საფუძველს კონვენციის თანახმად წარმოადგენს ხანდაზმულობის ვადის გასვლა იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, სადაც უნდა მოხდეს იძულებითი აღსრულება. რა თქმა უნდა ამ შემთხვევაში ვადის ათვლა იწყება გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან იმ სახელმწიფოში, სადაც იგი იქნა გამოტანილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერ დროს გამოტანილი გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება იქნება დაშვებული.

ამ მხრივ საყურადღებოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წ. 8 სექტემბრის № ა-2464-შ-81-05 განჩინება.<sup>42</sup> რომლითაც აღიარებული და აქედან გამომდინარე აღსასრულებელი გახდა რუსეთის სასამართლოს 1992 წ. 20 მარტის გადაწყვეტილება მოპასუხისათვის აღიარების დაკისრების თაობაზე. თუ გავითვალისწინებთ კონვენციის აღნიშნულ უარის თქმის საფუძველს, უნდა ვთქვათ, რომ ამ გადაწყვეტილების აღიარება დაუშვებელი იყო. ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობით, სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადას შეადგენს ათი წელი, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს მოთხოვნა ექვემდებარება უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას. (სკ-ის მუხ. 142). ამ შემთხვევას ქვემოთ ჩვენ კიდევ ერთხელ შევხვებით.

კონვენციის 55-ე მუხლში არაფერია ნათქვამი გადაწყვეტილების ცნობით ამღიარებელი ქვეყნის საჯარო წესრიგთან შეუსაბამობაზე, როგორც გადაწყვეტილების აღიარებაზე უარის თქმის საფუძველზე. მიუხედავად ამისა, უნდა ვთქვათ, რომ აღნიშნული პირობა წარმოადგენს აღიარებისა და აღსრულების უარყოფით საფუძველს. ამის საფუძველს გვაძლევს მე-19 მუხლი, რომლის თანახმად: „სამართლებრივ დახმარებაზე შუამდგომლობა შეიძლება არ დაკმაყოფილდეს, თუ ასეთი დახმარების გაწევამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას შემსრულებელი სახელმწიფოს

<sup>41</sup> პროროგაციულია შეთანხმება, როდესაც არაგანსჯადი სასამართლო შეთანხმების საფუძველზე ხდება განსჯადი. დეროგაციულია შეთანხმება, როდესაც განსჯადი სასამართლო მხარეთა შეთანხმებით ხდება არაგანსჯადი. უფრო დავრიღებთ მხარეთა შორის განსჯადობის თაობაზე დადებულ ხელშეკრულებათა აღნიშნულ სახეებს განვიხილავთ ქვემოთ (ქვეთავი 2.6)

<sup>42</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეებზე, №6 2005 წ. გვ 99.

სუვერენიტეტს ან უსაფრთხოებას ანდა იგი ეწინააღმდეგება მის შიდა კანონმდებლობას”. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ „კანონმდებლობა“-ში უნდა ვიგულისხმეთ ქვეყნის ძირითადი სამართლებრივი პრინციპები, ანუ საჯარო წესრიგი. რაც შეეხება საკითხს, მოიცავს თუ არა „სამართლებრივი დახმარება“ გადაწყვეტილებათა ცნობასა და აღსრულებას, ამაზე პასუხს გვცემს კონვენციის მეექვსე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ასეთი დახმარების მოცულობას, მის შინაარსს. კერძოდ, იგი მოიცავს სასამართლო დოკუმენტების შედგენას და გადაგზავნას, ნივთიერი მტკიცებულებების ამოღებას და გაგზავნას, ექსპერტიზის ჩატარებას, მოწმეთა, ექსპერტთა და მხარეთა დაკითხვას, აგრეთვე სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობასა და აღსრულებას და სხვ. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად 55-ე მუხლში მოცემული პირობებისა, თუ გადაწყვეტილების ცნობა იწვევს ამლიარებელი ქვეყნის საჯარო წესრიგთან შეუსაბამობას, წინააღმდეგობრიობას, საქართველოს სასამართლოს შეუძლია უარი თქვას მის აღიარებაზე.

რაც შეეხება ევროპის ქვეყნებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ უმთავრეს სამართლებრივ წყაროს, ამ სახელმწიფოებისათვის წარმოადგენს ბრიუსელის „სასამართლო განსჯადობასა და სამოქალაქო და სამეურნეო დავებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების შესახებ“ 27. 09. 1968 წ. კონვენცია<sup>43</sup>, თავისი დამატებითი ოქმებით, აგრეთვე სხვადასხვა წლებში ევროსაბჭოს მიერ მიღებული დადგენილებები<sup>44</sup>. ყველა ისინი წარმოადგენენ მხოლოდ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ანუ არეგულირებენ აღნიშნულ ქვეყნებს შორის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების საკითხს. გამომდინარე აქედან, მათ განხილვას ამ ნაშრომში არ შევეცდებით.

მაგრამ, ვფიქრობთ, საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია ბრიუსელის კონვენციის მსგავსი, შეიძლება ითქვას იდენტური ლუგანოს 16. 09. 1988 წ. კონვენციას „სასამართლო განსჯადობისა და სამოქალაქო და სამეურნეო დავებზე მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების შესახებ“<sup>45</sup>, რომელიც შეიქმნა ევროკავშირის ფარგლებს გარეთ ქვეყნებთან საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში საერთაშორისო განსჯადობისა და გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღიარების საკითხის მოწესრიგებისათვის. მას ხშირად პარალელურ კონვენციასაც უწოდებენ ბრიუსელის კონვენციასთან მიმართებით.

<sup>43</sup> ბრიუსელის „სასამართლო განსჯადობასა და სამოქალაქო და სამეურნეო დავებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების შესახებ“ 27. 09. 1968 წ. კონვენცია

<sup>44</sup> აღნიშნული კონვენცია საბოლოოდ გადამუშავდა 2001 წ. რის საფუძველზე მან შეიძინა ახალი სამართლებრივი ფორმა – არა ევროშეთანხმება, არამედ როგორც ევროსაბჭოს დადგენილება სახელწოდებით „სასამართლო განსჯადობისა და სამოქალაქო და სამეურნეო (სავაჭრო) საქმეებზე გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“. ძალაშია 2002 წ. 1 მარტიდან.

იხ. როლფ კნიპერი. „საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართალი: სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა (აღიარება) და აღსრულება ევროკავშირის სამართალთან შესაბამისობაში“. გამოქვეყნებული: „თენგიზ ლილუაშვილი, საიუბილეო კრებული“; გამომ. „ჯისიაი“, გვ 33.

<sup>45</sup> ლუგანოს 16. 09. 1988 წ. კონვენცია „სასამართლო განსჯადობისა და სამოქალაქო და სამეურნეო დავებზე მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების შესახებ“.

კონვენციის მე-60 მუხლის თანახმად, მონაწილე შეიძლება იყვნენ: ა) ევროკავშირის სახელმწიფოები, ბ) ევროპის თავისუფალი სავაჭრო ზონის ქვეყნები და გ) სახელმწიფოები რომლებიც მიწვეულნი იქნებიან ხელშეკრულებასთან მიერთების მიზნით. ეს უკანასკნელნი, თუ გამოთქვამენ სურვილს, 62-ე მუხლის შესაბამისად მიწვეულ უნდა იქნან ერთ-ერთი წევრი ქვეყნის მიერ. ამასთან, აუცილებელია, როგორც ევროკავშირის, ასევე თავისუფალი სავაჭრო ზონის (EFTA) სახელმწიფოთა თანხმობა.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ კონვენცია გამოიყენება სამოქალაქო და კომერციულ საქმეებთან დაკავშირებით და არ ვრცელდება საგადასახადო, საბაჟო და ადმინისტრაციულ დავებზე.

კონვენციის მეორე თავი მთლიანად საერთაშორისო განსჯადობის დარეგულირებას ეძღვნება. აღნიშულ ნორმებს უფრო დაწვრილებით ჩვენ ნაშრომში შევეხებით საქართველოს სკს-ის შესახებ კანონით განსაზღვრულ განსჯადობასთან შედარების მიზნით. ზოგადად აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ძირითად პრინციპს წარმოადგენს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (Domicile)<sup>46</sup> სარჩელის აღძვრა.

კონვენციით გათვალისწინებულია აგრეთვე სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებული დავების განსჯადობის საკითხი. კერძოდ, მე-8 მუხლიდან გამომდინარე, მზღვევლი, რომელსაც გააჩნია დომიცილია (Domicile) ხელშეკრულ სახელმწიფოში, შეიძლება წარსდგეს სასამართლოს წინაშე როგორც მოპასუხე:

ა) იმ ქვეყნის სასამართლოში, სადაც მას გააჩნია ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი), ან

ბ) ან სხვა მონაწილე სახელმწიფოს იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც აქვს საცხოვრებელი ადგილი სადაზღვევო პოლისის მფლობელს.

ამავე დროს, მზღვეველს, რომელსაც არ აქვს Domicile–ია ხელშეკრულ ქვეყანაში, მაგრამ გააჩნია კონვენციის მონაწილე სახელმწიფოში ფილიალი, სააგენტო ან სხვა დაწესებულება, ითვლება, რომ მას გააჩნია დომიცილია ამ სახელმწიფოში, თუ დავა დაკავშირებული აღნიშნული ფილიალის, სააგენტოს ან სხვა დაწესებულების საქმიანობასთან.

კონვენციის მე-16 მუხლით დადგენილია განსაკუთრებული განსჯადობის საფუძვლები. ისინი ძირითადად იდენტურია ჩვენი ქვეყნის სასამართლოებისათვის სკს-ის შესახებ კანონით განსაზღვრული განსაკუთრებული საერთაშორისო განსჯადობისა. მხოლოდ ერთი გამონაკლისის გათვალისწინებით. კერძოდ, ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს დავა, როდესაც იგი ეხება სახელმწიფო რეესტრში ჩანაწერის კანონიერებას. ასეთ შემთხვევაში, იმ სახელმწიფოს სასამართლოს განსაკუთრებულ განსჯადობის სფეროს განეკუთვნება საქმის განხილვა, რომელიც აწარმოებს აღნიშნულ რეესტრს.

კონვენცია ითვალისწინებს ისეთი საკითხების დარეგულირებას, როგორცაა: ა) მხარეთა შეთანხმება საერთაშორისო განსჯადობის თაობაზე, ბ) განსჯადობისა და სამართალწარმოების დაშვებადობის

<sup>46</sup> Domicile – ტერმინი გულისხმობს როგორც ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილს, ასევე ჩვეულებრივ ადგილსამყოფელს, იურიდიული პირის შემთხვევაში, მის იურიდიულ მისამართს.

შემოწმება, გ) იურისდიქციის კონფლიქტი, დ) სარჩელის უზრუნველყოფა და ე) სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება. აღნიშნულ საკითხებსაც ჩვენ შესაბამისად ნაშრომში განვიხილავთ. თუმცა აქვე შეგვიძლია თავისუფლად ვთქვათ, და ეს შემდგომ თავებშიც გამოჩნდება, რომ საქართველოს კანონმდებლობა საერთაშორისო კერძო სამართალში და განსაკუთრებით საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში, სრულ შესაბამისობაშია ზემოთნახსენებ ლუგანოს კონვენციასთან.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კონვენციის (როგორც ბრიუსელის, ასევე ლუგანოს) ძირითადი მიზანია ხელშემკერველ სახელმწიფოთა შორის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება რაიმე სპეციალური გამომწვევებითი პროცედურების გარეშე, რაც თავის მხრივ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამასთან, შეთანხმების არსებობა, გამორიცხავს საერთაშორისო ურთიერთობებში ასე აუცილებელ ნაცვალგების პრინციპის საჭიროებას. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ საქართველო უნდა იყოს იმ ქვეყნების რიცხში, რომლებიც მიერთებული არიან კონვენციას. მისი მეშვეობით, უფრო სრულყოფილი გახდებოდა სასამართლო გადაწყვეტილებათა „თავისუფალი მიმოქცევა“ ევროპის ქვეყნებთან.

როგორც ცნობილია, საერთაშორისო ხელშეკრულების მხარეს შეიძლება წარმოადგენდეს სახელმწიფო.<sup>47</sup> აქედან გამომდინარე, იგი, იქნება ეს ორმხრივი თუ მრავალმხრივი, უფლებებსა და მოვალეობებს აკისრებს მხოლოდ მასში მონაწილე სუბიექტებს. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ ვალდებული არიან ისინი აღასრულონ კეთილსინდისიერად. საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი უფლება-მოვალეობანი არ ვრცელდება მესამე სახელმწიფოებზე, ანუ იმ ქვეყნებზე, რომლებიც არ არიან მიერთებული აღნიშნულ შეთანხმებაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საერთაშორისო ხელშეკრულებაზე, ჩვენს შემთხვევაში კონვენციაზე, მითითება შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც საჭირო ხდება ამ კონვენციით გათავალისწინებული რაიმე სახის ვალდებულების შესრულება სხვა მონაწილე ქვეყნის მიმართ. ამასთან დაკავშირებით საინტერესო მაგალითის მოყვანა შეიძლება უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან. კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა საკასაციო პალატამ 2004 წ. 21 დეკემბრის №ა-2560-შ-88-04 განჩინებით<sup>48</sup> დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფიურტის საოლქო სასამართლოს 2004 წ. 7 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ. შუამდგომლობის დაკმაყოფილების ერთ-ერთ საფუძვლად მიჩნეულ იქნა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ კონვენცია. გერმანია არ არის ზემოთნახსენები კონვენციის მონაწილე ქვეყანა, ამიტომ მასა და საქართველოს შორის აღნიშნული

<sup>47</sup> საერთაშორისო ხელშეკრულების სუბიექტებზე უფრო დაწვრილებით იხ. ლ. ალექსიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ 74.

<sup>48</sup> აგრეთვე კ. კორკელია. „საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივ სამართალში“. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1998 წ. გვ. 12-18.

<sup>48</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, 2005 წ. №6 გვ. 68.

შეთანხმება არანაირ უფლება-მოვალეობებს არ განსაზღვრავს. გამომდინარე აქედან, მისი სასამართლო გადაწყვეტილების აღიარების საფუძვლად მინსკის ხელშეკრულების დასახელება, გაუმართლებლად მიგვაჩნია.

საქართველოს საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლის სამართლებრივ წყაროს წარმოადგენს აგრეთვე ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას დადებული აქვს სხვა სახელმწიფოებთან. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სამართლებრივი დახმარების გაწევისა და გადაწყვეტილებათა ცნობის და აღსრულების საფუძვლები იდენტურია ზემოთ განხილული პირობებისა.

## **თავი 2. უცხო სახელმწიფოთა სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა (აღიარება)**

### **1. სასამართლო გადაწყვეტილებათა (აღიარების) ცნობა და მნიშვნელობა**

საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: “სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.” კონსტიტუციის ამ დებულებიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილება, მისი აღსრულებადობა, კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სავალდებულოა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ნებისმიერი სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო ორგანიზაციისათვის, იურიდიული თუ კერძო პირისათვის.

ნებისმიერი ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა, მისი სავალდებულობა, ვრცელდება მხოლოდ ამ ქვეყნის ტერიტორიაზე.

დღევანდელ პირობებში, როდესაც ასე მზარდია სხვადასხვა ქვეყნის მეწარმესუბიექტთა შორის კერძო ეკონიკური ურთიერთობების დამყარება, ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს შორის სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობა, ასევე ხშირია, რომ მოხდეს რომელიმე მხარის უფლებების დარღვევა, რომელიც თავისი დარღვეული უფლებისა და კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად მიმართავს სასამართლოს. სასამართლოს გადაწყვეტილებებს (განჩინებებს), როგორც სახელმწიფოს სუვენერული, უზენაესი ხელისუფლების აქტებს, იურიდიული ძალა აქვს მხოლოდ ამ ქვეყნის საზღვრებში. ხოლო საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების არსიდან გამომდინარე, ზოგჯერ აუცილებელია აღდგენილი უფლებები განხორციელდეს უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე. რაც შეუძლებელი იქნებოდა, თუ უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებას არ მიეცემოდა ისეთივე იურიდიული ძალა საქართველოს სასამართლოს მიერ, როგორიც გააჩნია მის ტერიტორიაზე გამოტანილ ჩვეულებრივ გადაწყვეტილებას. ამისათვის კი საჭიროა მისი აღიარება. ჩვენი ქვეყნის „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 68-ე მუხლის

პირველი პუნქტის თანახმად: „1 საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს”.

რას ნიშნავს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა (აღიარება)? სანამ კითხვაზე პასუხს გაცემდეთ, აუცილებლად მიგვაჩნია, განვიხილოთ: ა) პირობები, რომლებიც წარმოადგენენ სასამართლო გადაწყვეტილების ფაქტიურად (მატერიალურად) არსებობის საფუძვლებს, ბ) რა წარმოადგენს გადაწყვეტილების აღიარების საგანს და გ) გადაწყვეტილებათა სახეები, რომლებიც ექვემდებარება აღიარებას.

## **I. სასამართლო გადაწყვეტილების ფაქტიურად არსებობის საფუძვლები.**

უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების აღიარებისას პირველ რიგში მნიშვნელობა ენიჭება ისეთი საკითხის გარკვევას, როგორცაა, ერთი – პირობები, რომლებიც საჭიროა სასამართლო გადაწყვეტილების ფაქტიური არსებობისათვის და მეორე – გადაწყვეტილებას უნდა გააჩნდეს კანონიერი ძალა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლის მაგალითზე თუ განვიხილავთ, შეიძლება ითქვას რომ, სამართლებრივი თვალსაზრისით გადაწყვეტილების ფაქტიური არსებობისათვის მინიმუმ სამი პირობა უნდა არსებობდეს. ესაა: ა) გამოტანილი უნდა იყოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოს – სასამართლოს მიერ; ბ) დაცული უნდა იყოს წერილობითი ფორმა და გ) ხელმოწერილი უნდა იყოს მოსამართლის (კოლეგიის შემთხვევაში მოსამართლეთა) მიერ. აღსანიშნავია, რომ ამ პირობების არსებობას ითვალისწინებს საზღვარგარეთის ქვეყნების აბსოლიტური უმრავლესობა.

იმისათვის, რომ გადაწყვეტილებას გააჩნდეს კანონიერი ძალა, რომლის საფუძველზეც იგი ღებულობს საბოლოობის, სავალდებულობის და აღსრულებადობის თვისებას, საჭიროა დამატებითი პირობა, კერძოდ ფორმალური კანონიერი ძალა, რომელსაც ჩვენ ქვემოთ შევხებით.

ორივე ეს საკითხი, საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში უნდა გადაწყდეს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს ქვეყნის კანონმდებლობის (სამოქალაქო საპროცესო სამართლის) თანახმად (Lex fori).

აუცილებლად მიგვაჩნია აქვე აღვნიშნოთ, რომ ანალოგიური პრინციპი ვრცელდება საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე<sup>49</sup> და “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 72-ე მუხლის თანახმად უცხო ქვეყნის საჯარო ხასიათის ისეთ დოკუმენტებზე, რომლებიც ექვემდებარება აღსრულებას.

## **II. აღიარების საგანი.**

გადაწყვეტილების აღიარების საგანს წარმოადგენს არა ზოგადად კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილება, როგორც მართლმსაჯულების აქტი, არამედ მისი გარკვეული სამართლებრივი თვისების მოქმედების გავრცელება ქვეყნის ტერიტორიაზე.

შეიძლება დავსვათ კითხვა, გადაწყვეტილების რომელი სამართლებრივი თვისების მოქმედების გავრცელებას შეიძლება მიენიჭოს მნიშვნელობა აღიარების მომენტში. ისეთი თვისებებს, როგორცაა მაგ.

<sup>49</sup> “უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ” კონვენცია; საქართველოსთვის ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 3 თებერვლის დადგენილებით.

საბოლოოობა, სავალდებულოობა, გადაწყვეტილება იძენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას გააჩნია კანონიერი ძალა.

“გადაწყვეტილების კანონიერი ძალა --- ესაა გადაწყვეტილების თვისება, რომელსაც იგი იძენს გარკვეული, კანონით ზუსტად განსაზღვრული პირობების საფუძველზე და რომლის ძალით ეს გადაწყვეტილება აღარ შეიძლება გასაჩივრდეს.”<sup>50</sup> საქართველოს საპროცესო სამართალი განასხვავებს გადაწყვეტილების ფორმალურ და მატერიალურ კანონიერ ძალას.

გადაწყვეტილების ფორმალური კანონიერი ძალის, როგორც გადაწყვეტილების თვისების საფუძველზე: ა) მხარეთა შორის არსებული დავა ითვლება საბოლოოდ გადაჭრილად და ბ) აღარ შეიძლება ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება. მაგ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლით განსაზღვრულია ჩვენი ქვეყნის სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების ფორმალური კანონიერი ძალა. ანუ პირველი, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლის პირობები და წესი. რა თქმა უნდა განსხვავებულ წესს შეიძლება ითვალისწინებდეს უცხო ქვეყნის საპროცესო კანონმდებლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების აღიარებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ სახელმწიფოს საპროცესო სამართლით დადგენილი წესი. გადაწყვეტილების აღიარებისას, მისი ფორმალური კანონიერი ძალა წარმოადგენს არა აღიარების საგანს, არამედ მის ერთ-ერთ საფუძველს. “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტში გადაწყვეტილების სწორედ ამ თვისებაზეა ლაპარაკი, სადაც აღნიშნულია, რომ “1. საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს.” ე. ი. გადაწყვეტილების აღიარებისას, აუცილებელ პირობას წარმოადგენს მისთვის ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმალური კანონიერი ძალის არსებობა. ეს უკანასკნელი კი გააჩნია გადაწყვეტილებას, თუ მისი გასაჩივრება დაშვებულია, მაგრამ ამოწურულია გასაჩივრების კანონით დადგენილი ყველა შესაძლებლობა და პირობები, ან/და გადაწყვეტილება არ ექვემდებარება ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებას.

ფორმალური კანონიერი ძალა წარმოადგენს გადაწყვეტილების მეორე თვისების – მატერიალური კანონიერი ძალის – საფუძველს, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღიარების პროცესში.

გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალის საფუძველზე შემდგომში არც სასამართლოს და არც მხარეებს აღარ შეუძლიათ სადავო გახადონ სხვა სასამართლო პროცესში ეს გადაწყვეტილება. იგი იძენს წინასწარგადამწყვეტ, პრეიუდიციალურ მნიშვნელობას. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლი, რომლის თანახმად გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და მათ უფლებამონაცვლეებს, არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები

<sup>50</sup> თ. ლილუაშვილი “სამოქალაქო საპროცესო სამართალი”. გამ. “ჯისიი”. თბილისი 2005. გვ. 376.



იმავე საფუძველით (აღძრან იგივე სარჩელი), აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობები. მატერიალური ძალა გადაწყვეტილებას იცავს შემდგომში სხვა სასამართლო პროცესისაგან.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფორმალური კანონიერი ძალა იცავს სასამართლო გადაწყვეტილების გადახედვას და შეცვლას გასაჩივრების შედეგად იმ სამართალწარმოებისას, როდესაც იგი იქნა გამოტანილი, ხოლო მატერიალური კანონიერი ძალა იცავს მას ზოგადად ნებისმიერი სხვა სასამართლო პროცესისაგან.

გადაწყვეტილება მატერიალურ კანონიერ ძალას იძენს იმ მომენტიდან, როდესაც იგი შევიდა ფორმალურ კანონიერ ძალაში. ანუ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს უკანასკნელი წარმოადგენს მატერიალური კანონიერი ძალის საფუძველს.

იცავს რა მატერიალური კანონიერი ძალა სასამართლო გადაწყვეტილებას მომავალში სხვა სასამართლო პროცესისაგან, შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოში აღიარებისას ხდება მისი მატერიალური ძალის აღიარება. ანუ, ცნობა იმისა, რომ იგი ვერ გახდება საექვო ან/და სადავო.

აქედან გამომდინარე, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებათა აღიარების საგანს ქვეყნის ტერიტორიაზე მისი სწორედ მატერიალური კანონიერი ძალა წარმოადგენს.

### **III. ყურადღებას იმსახურებს შემდეგი საკითხიც – რა სახის გადაწყვეტილებების აღიარებასთან შეიძლება ჰქონდეს საქმე საქართველოს სასამართლოს.**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის (სარჩელის საგანი) კრიტერიუმზე<sup>51</sup> დაყრდნობით იცნობს 1. მიკუთვნებით გადაწყვეტილებებს; ე. ი. როდესაც საჭირო ხდება გარკვეული ვალდებულებების აღსრულება. 2. აღიარებით გადაწყვეტილებებს; როდესაც ხდება სამართლებრივი ურთიერთობების დადგენა, აღიარება და 3. გარდაქმნით გადაწყვეტილებებს; რომლის საფუძველზეც ხდება სამართლებრივი ურთიერთობის გარდაქმნა. რაც შეეხება მათ აღსრულებას, საკითხს განვიხილავთ მესამე თავში.

ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ყველა ეს გადაწყვეტილებები შეიძლება ცნობილ იქნეს საქართველოში, თუ ისინი შესული იქნებიან კანონიერ ძალაში. ანუ, უნდა გააჩნდეთ ფორმალური კანონიერი ძალა.

განსხვავებულად რეგულირდება აღიარების საკითხი, გამომდინარე იქიდან, თუ რა მოცულობითაა გადაწყვეტილი სასარჩელო მოთხოვნა. აღნიშნული საფუძველით, გადაწყვეტილებები იყოფა: ა) საბოლოო

<sup>51</sup> გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიაში მიღებულია სასამართლო გადაწყვეტილებების დაყოფა სხვადასხვა კრიტერიუმების საფუძველზე; მაგ. ა) რა სახის სასარჩელო მოთხოვნაზეა გამოტანილი; (Die Sachurteile). ბ) გადაწყვეტილება გამოტანილია პროცესში, რომელშიც მონაწილეობდა ორივე მხარე (კონტრადიქტორული), ან გამოტანილია პროცესში, სადაც გამოცხადდა ერთი მხარე (უდავო) ან არ გამოცხადდა არცერთი მხარე; გ) რა მოცულობითაა გადაწყვეტილი სასარჩელო მოთხოვნა.

დაწერილებით ის. აგრეთვე:

- 1) Rosenberg / Schwab / Gottwald. Zivilprozessrecht. Munchen. verlag C.H. Beck 1993. s. 306-338.
- 2) W. Luke. Zivilprozessrecht. Munchen, verlag C.H. Beck 1999. s 252-258.
- 3) А. Г. ДАВТЯН. Гражданское процессуальное право германии. изд. городец 2000 г. с. 164-166

გადაწყვეტილებად; ბ) ნაწილობრივ გადაწყვეტილებად და გ) წინასწარ გადაწყვეტილებად;

ა) საქმე არსებითად წყდება საბოლოო გადაწყვეტილებით, რომლის საფუძველზეც სასამართლო მთლიანად და ამომწურავად სცემს პასუხს მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნაზე. მაგ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: "1. პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილების სახით." მნიშვნელობა არა აქვს მთლიანად დაკმაყოფილდა სარჩელი თუ ნაწილობრივ, ანუ გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა, თუ სასამართლომ საერთოდ უარი თქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.<sup>52</sup> თუმცა აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ მისი გასაჩივრების კანონით დადგენილი პირობები შეიძლება ჯერ კიდევ არსებობდეს, ანუ მას შეიძლება არ გააჩნდეს ფორმალური კანონიერი ძალა, რაც ასე აუცილებელია უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღიარებისას.

ბ) ნაწილობრივი გადაწყვეტილებით ხდება მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნაზე ნაწილობრივ პასუხის გაცემა. ნაწილობრივი გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელია, როდესაც ერთ სარჩელში გაერთიანებული რამდენიმე მოთხოვნიდან, ერთ ან რამდენიმე მოთხოვნაზე შეიძლება საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა, ან შეგებებული სარჩელის არსებობის შემთხვევაში შეიძლება ძირითად სარჩელზე ან შეგებებულ სარჩელზე გადაწყვეტილების გამოტანა. რა შემთხვევაში შეიძლება ასეთ ვითარებას ჰქონდეს ადგილი ?

საქართველოს, ისევე როგორც საზღვარგარეთის საპროცესო სამართალი იცნობს სარჩელების ობიექტური და სუბიექტური გაერთიანების, აგრეთვე შეგებებული სარჩელის ინსტიტუტებს. მაგ. გერმანიის სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, რამდენიმე პირს ერთობლივად შეუძლია აღძრას სარჩელი ან პასუხი აგონ სარჩელზე, როგორც საპროცესო თანამონაწილეებმა (Streitgenossenschaft) "თუ დავის საგნის მიმართ ისინი ქმნიან სამართლებრივ ერთიანობას ან მათი უფლებები და მოვალეობები ეფუძნება ერთსა და იმავე ფაქტიურ და იურიდიულ საფუძველს". ამავე კოდექსის მე-60 მუხლი დასაშვებად მიიჩნევს თანამონაწილეობას იმ შემთხვევაშიც, როდესაც "დავის საგანს შეადგენს ერთგვაროვანი მოთხოვნები ან ვალდებულებები და რომლებიც ეფუძნება თავისი არსით ერთგვაროვან ფაქტიურ და სამართლებრივ საფუძველს".<sup>53</sup>

ანალოგიურ საფუძველს შეიცავს ავსტრიის სსკ-სი, რომლის მე-2 განყოფილება, რომელსაც ეწოდება "ამხანაგობა სარჩელის მიხედვით", (მუხლები 11-15), საკმაოდ დეტალურად აწესრიგებს თანამონაწილეობას პროცესში. ამ კოდექსის მე-14 მუხლის თანახმად სარჩელი შეიძლება აღძრას რამდენიმე მოსარჩელემ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, თუ მოსარჩელები და მოპასუხეები ქმნიან სამართლებრივ ერთიანობას ან მოპასუხის უფლება ან მოვალეობა გამომდინარეობს ერთი და იგივე ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველებიდან.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი თანამონაწილეობა დასაშვებია აგრეთვე "თუ თითოეული მოსარჩელის ან მოპასუხის

<sup>52</sup> იხ. თ. ლილუაშვილი დასახელებული ნაშრომი. გამ. „ჯისიაი“. თბილისი 2005 წ.გვ. 361.

<sup>53</sup>Thomas/putzo. ZPO. 20 Auflage. Verlag C.H.Beck. Munchen 1997. s. 129-130

უფლებები და მოვალეობები გამომდინარეობს ერთგვაროვანი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლებიდან".

როგორც ვხედავთ, ავსტრიის სსკ-ის მიხედვით თანამონაწილეობისათვის აუცილებელია, რომ მათი უფლებები და მოვალეობები ეფუძნებოდეს ან ერთსა და იმავე ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს, ან ერთგვაროვან ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს.

თანამონაწილეობის ინსტიტუტს იცნობს აგრეთვე საფრანგეთის ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. თანამონაწილეობა (Participation) განხილულია ამ კოდექსის იმ ნაწილში, რომელსაც ეწოდება "მხარეთა სიმრავლე" (La pluralite parties) (მუხლები: 323-324).<sup>54</sup>

აშშ-ის სამართალწარმოების ფედერალური წესების მე-20 მუხლის თანახმად ერთ სარჩელში შეიძლება გაერთიანდნენ მოსარჩელები, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ თავიანთი უფლება მიიღონ სასამართლო დაცვა ერთობლივად. ასევე ერთ სარჩელში შეიძლება გააერთიანონ მოპასუხეებად ყველა პირი, რომელთა წინააღმდეგ მიმართული იქნება სარჩელი.<sup>55</sup>

საქართველოს საპროცესო სამართალიც ითვალისწინებს აღნიშნულ ინსტიტუტებს, კერძოდ 86-ე მუხლით განსაზღვრულია სარჩელების სუბიექტური გაერთიანება, ხოლო 182-ე მუხლით სარჩელების ობიექტური გაერთიანება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სარჩელების ობიექტური გაერთიანება განსხვავდება სარჩელების სუბიექტური გაერთიანებისაგან იმით, რომ ერთ შემთხვევაში გვაქვს მოთხოვნების ანუ სარჩელების ობიექტების სიმრავლე, ხოლო მეორე შემთხვევაში სუბიექტების ანუ მოსარჩელების და მოპასუხეების სიმრავლე.<sup>56</sup>

თუ რამდენიმე მოსარჩელის მოთხოვნიდან ერთ-ერთი მოსარჩელის მოთხოვნა მზადაა საბოლოო გადაწყვეტილების გამოსატანად, სასამართლოს, მხარის შუამდგომლობით, შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება. ხოლო, თუ მოსარჩელის რამდენიმე მოთხოვნიდან ერთ-ერთზე, ან რამდენიმე მათგანზე შეიძლება საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა, სასამართლო დაინტერესებული მხარის შუამდგომლობით გამოიტანს გადაწყვეტილებას.<sup>57</sup> (სსკ-ის 245-ე მუხლი).

შეგებებული სარჩელი მოპასუხის მოსარჩელისაგან თავდაცვის ერთ-ერთი საშუალებაა. იგი აღიძვრის ძირითადი სარჩელის აღძვრის შემდეგ. იგი ჩვეულებრივი სარჩელია. ამიტომ მას წაეყენება ყველა ის მოთხოვნა, რაც სხვა სარჩელებს, (სსკ-ის 189-ე მუხ.). ამასთან ერთად კანონით მისთვის დადგენილია სხვა დამატებითი პირობების არსებობა. მას მოპასუხე აღძრავს იმ შემთხვევაში, თუ მისი მიზანია არა მარტო მოსარჩელის მოთხოვნების უარყოფა, არამედ თავისი დამოუკიდებელი უფლებების დაცვა. სასამართლო, როგორც წესი, ერთად განიხილავს ორივე სარჩელს და შემდგომში გამოაქვს ერთობლივი გადაწყვეტილება.

<sup>54</sup> Nouredine code de procedure civile. Editions Dalloz, 1995 s.100.

<sup>55</sup> Federal rules of civil procedure. West Publishing co. 1994. s.88

<sup>56</sup> თანამონაწილეობის ინსტიტუტს ჩვენ კიდევ ერთხელ შევეხებით, კერძოდ, გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ფარგლების საკითხის გარკვევისას.

<sup>57</sup> ანალოგიურ წესს ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლი. «Гражданское процессуальное уложение Германии». Москва. изд-во «Волтерс Клувер». 2006.

მაგრამ პრაქტიკაში ხშირად ადგილი აქვს ისეთ ვითარებას, როდესაც ერთ-ერთი სარჩელის მიმართ გარკვეულია ყველაფერი და იგი მზადაა გადაწყვეტილების გამოსატანად. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს უფლება აქვს მის მიმართ გამოიტანოს საბოლოო, დასაბუთებული გადაწყვეტილება, იქნება ეს თავდაპირველი სარჩელი თუ შეგებებული სარჩელი. ამიტომ ეწოდება ასეთ გადაწყვეტილებას ნაწილობრივი გადაწყვეტილება.

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში უცხო ქვეყნის სასამართლოს კანონიერი ძალაში შესული ნაწილობრივი გადაწყვეტილებების აღიარებისათვის, “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 68-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი პირობების გარდა, სხვა რაიმე დაბრკოლებები არ არსებობს.

გ) ასევე წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილების ინსტიტუტს იცნობს საზღვარგარეთის ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობის საპროცესო სამართლი. მათ შორისაა საქართველოც, (სსკ-ის 246 მუხ.).<sup>58</sup>

წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანა ხდება სარჩელის მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტის --- მისი საფუძვლის მიმართ. როგორც ცნობილია სარჩელი ორი ელემენტისგან შედგება; ესაა სარჩელის საფუძველი და სარჩელის საგანი. სარჩელის საგანს შეადგენს მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა; ხოლო საფუძველს, ის ფაქტური გარემოებები, იურიდიული ფაქტები, რომლებსაც ემყარება სარჩელის საგანი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის გარემოებები, რომლებიც ამართლებენ მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნას.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველები გარკვეულია და საბოლოოდ დადგენილი, ხოლო თვითონ მოთხოვნის მოცულობა ეჭვს იწვევს, მაგ. მოითხოვს დამატებით მასალებს, გაანგარიშებებს, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს წინასწარი გადაწყვეტილება მხოლოდ საფუძვლის მიმართ.<sup>59</sup> ასეთი გადაწყვეტილების გასაჩივრება დაშვებულია როგორც სააპელაციო, ასევე საკასაციო წესით, ხოლო კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ იგი იძენს პრეიუდიციულ ძალას, კერძოდ, მოთხოვნის მოცულობის განმსაზღვრელი გადაწყვეტილების მიმართ.

როგორც ვხედავთ, შუალედური გადაწყვეტილებით არ ხდება მხარეებს შორის დავის საბოლოოდ გადაჭრა. რადგან პასუხეაუცემელია სარჩელის მეორე ელემენტი --- მისი საგანი, ანუ მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა. მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ აღიარებული შეიძლება იყოს უცხო ქვეყნის ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც შესული არიან კანონიერ ძალაში, იმ ქვეყნის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სადაც იგი იქნა გამოტანილი, ასეთი სახის გადაწყვეტილებები ასევე შეიძლება ცნობილ იქნან საქართველოში. რა თქმა უნდა იმის გათვალისწინებით, რომ შეუძლებელია მისი აღსრულება. მას ექნება მხოლოდ პრეიუდიციული ძალა სხვა გადაწყვეტილებისათვის.

<sup>58</sup> მაგ. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 303-304 მუხ.

<sup>59</sup> შეადარ. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 304-ე მუხ: “1. თუ საფუძველი და მოთხოვნის მოცულობა სადაოა, მაშინ სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება მხოლოდ საფუძვლის მიმართ; 2. ასეთი გადაწყვეტილება გასაჩივრების შემთხვევაში განიხილება, როგორც საბოლოო გადაწყვეტილება. . . .”

უცხო სახელმწიფოს სასამართლოთა გადაწყვეტილებების ცნობისას ყურადღებას იმსახურებს შემდეგი საკითხი, კერძოდ, როდესაც ლაპარაკია ქვეყნის შიგნით გადაწყვეტილების ცნობაზე, გათვალისწინებული უნდა იყოს ისიც რომ, ზოგიერთი გადაწყვეტილებისათვის საკმარისია მხოლოდ აღიარება, ხოლო ზოგიერთი მოითხოვს იძულებით აღსრულებასაც. მაგ. არაქონებრივ-სამართლებრივ დავებზე (აღიარებით და გარდაქმნით სარჩელებზე) გამოტანილი გადაწყვეტილებისათვის საკმარისია ჩვენი ქვეყნის სასამართლოს მიერ მხოლოდ ცნობა (აღიარება); ხოლო ქონებრივ-სამართლებრივ დავებზე (მიკუთვნებით სარჩელებზე) გადაწყვეტილებისათვის შეიძლება საჭირო გახდეს აღსრულების პროცედურაც. აღიარება წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას შემდგომში იძულებითი აღსრულებისათვის, მაგრამ იძულებითი აღსრულება მოითხოვს დამატებით პირობებს, ვიდრე გათვალისწინებულია გადაწყვეტილების მხოლოდ ცნობისათვის. ამავე დროს, განსაკუთრებულ ადგილს იჭერს გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ობიექტური და სუბიექტური ფარგლები, გამომდინარე იქიდან, რომ ზოგიერთი ქვეყნის საპროცესო სამართალი შეიძლება აწესებდეს კანონიერი ძალის განსხვავებულ ფარგლებს, ვიდრე საქართველოს კანონმდებლობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღიარებისას --- ა) მთლიანი გადაწყვეტილების თუ მისი რომელიმე ნაწილის კანონიერი ძალა ვრცელდება ქვეყნის ტერიტორიაზე და ბ) პირთა რა წრეზე შეიძლება გავრცელდეს კანონიერი ძალა. პრობლემა წამოიჭრება იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილების კანონიერი ძალა უფრო ფართო წრეს მოიცავს, ვიდრე განსაზღვრულია ჩვენი ქვეყნის საპროცესო კანონმდებლობით. ამიტომ საქართველოს პროცესუალური პრინციპების დარღვევა იქნებოდა გადაწყვეტილების კანონიერი ძალის გავრცელება იმ პირებზე, რომლებსაც ჩვენი კანონმდებლობით არ შეიძლება შეეხოს გადაწყვეტილება, მითუმეტეს თუ ისინი არ მონაწილეობდნენ სამართალწარმოებაში. აღნიშნულ საკითხს, როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გადაწყვეტილებების აღსრულების დროს. ამიტომ მას უფრო დაწვრილებით შევეხებით მომდევნო თავში.

ყოველივე ზემოთთქმულთთან დაკავშირებით, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: გამომდინარე იქიდან, რომ ფორმალური კანონიერი ძალა აუცილებელია შემდგომში უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების აღიარების საგნის, კერძოდ, მატერიალური კანონიერი ძალის ცნობისათვის, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გადაწყვეტილების აღიარება ნიშნავს მისი კანონიერი ძალის გავრცელებას საქართველოს ტერიტორიაზე. მაგრამ ერთმნიშვნელოვნად ასეთი მოსაზრების მიღება დაუშვებლად მიგვაჩნია. ადგილი შეიძლება ჰქონდეს ისეთ შემთხვევებს, როდესაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილება ვრცელდება პირთა ისეთ ფართო წრეზე, რომელსაც არ ცნობს ჩვენი ქვეყნის საპროცესო სამართალი. ან/და ობიექტურ თუ სუბიექტურ გაერთიანებულ სარჩელებზე გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ცალსახად გავრცელება გარკვეულ მოთხოვნებთან მიმართებით, არღვევს საქართველოს საჯარო წესრიგს. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ უცხო სახელმწიფო სასამართლო გადაწყვეტილების აღიარება (ცნობა) წარმოადგენს მისი კანონიერი

ძალის იმ მოცულობით გაგრძელებას საქართველოს ტერიტორიაზე, მისთვის იმ დონით იურიდიული ძალის მინიჭებას, რა მოცულობასაც მოიცავს აღიარების თაობაზე ჩვენი ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება.

#### **IV. აღიარებას ქვემდებარე სასამართლო აქტები.**

ჩვენ ზემოთ უკვე შევეხეთ გადაწყვეტილების სახეებად დაყოფას იმის მიხედვით, თუ რა მოცულობითაა სასარჩელო მოთხოვნა გადაჭრილი. მათი შინაარსიდან გამომდინარე, გავაკეთეთ დასკვნა, რომ საქართველოში აღიარებული შეიძლება იყოს როგორც საბოლოო, აგრეთვე ნაწილობრივი და წინასწარი გადაწყვეტილებები. ასევე, ეჭვს არ იწვევს, რომ მათ რიცხვს განეკუთვნება კანონიერ ძალაში შესული დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სასამართლოს, როგორც წესი გამოაქვს სხვადასხვა სახის დადგენილებები.<sup>60</sup> ეს შეიძლება იყოს როგორც უშუალოდ გადაწყვეტილება, ასევე განჩინება (სსსკ-ის 284-286 მუხ.), განკარგულება სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევის შემთხვევაში (მუხ. 212); აგრეთვე დროებითი განკარგულება (მუხ. 355), რომელიც ასევე განჩინების სახით მიიღება და გადახდის ბრძანება, (სსკ-ის 302-309 მუხ.); საქართველოს მაგალითზე, აგრეთვე ბრძანება ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ, (მუხ. 309<sup>2</sup>). განჩინება სასამართლოს ისეთი დადგენილებაა, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება. იგი სასამართლოს გამოაქვს “საქმის განხილვის დროს წამოჭრილი ცალკეული საკითხების გადაწყვეტისას.”<sup>61</sup> აქედან გამომდინარე უცხო ქვეყნის სასამართლო განჩინებებს, ისევე როგორც საქართველოში, არ გააჩნიათ ის თვისება, რაც აუცილებელია აღიარების მიზნებისათვის. ზოგიერთი მათგანი შეიძლება განხილულ იქნას როგორც საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების სფეროში შემავალი სასამართლო დადგენილებები, სასამართლო დავალებები, რაზედაც წინა თავში გვქონდა ლაპარაკი. რაც შეეხება გადახდის ბრძანებას, იგი თავისი არსით წარმოადგენს გადაწყვეტილებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გადაწყვეტილება დავალიანების შესახებ სასამართლოს გამარტივებული წარმოების წესით საქმის განხილვისას გამოაქვს გადახდის ბრძანების ფორმით. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სახის გადაწყვეტილება, ექვემდებარება საქართველოს სასამართლოს მიერ აღიარებას, რაც რა თქმა უნდა შემდგომში ითვალისწინებს მის აუცილებელ აღსრულებასაც.

საქმისწარმოების დამთავრებას მხარეთა მორიგებით ითვალისწინებს საზღვარგარეთის ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა. “მხარეთა მორიგება – ესაა ურთიერთდათმობის გზით მხარეთა შორის დადებული გარიგება, რომელიც ახლებურად განსაზღვრავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს.”<sup>62</sup> საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანას და პროცესის დამთავრებას მორიგებით, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ თანაბარი მნიშვნელობა გააჩნია. თუ რა თქმა უნდა მორიგების მიზანს

<sup>60</sup> მაგ. გერმანიაში ასეთ დადგენილებებს განეკუთვნება: გადაწყვეტილება (Das Urteil, მუხ. 300), განჩინება (Der beschluss, მუხ. 922) და განკარგულება (Die Verfügung, მუხ. 227. ნაწ. 3, პუნქტი 1), გადახდის ბრძანება მუხ. 688

<sup>61</sup> დაწვრილებით იხ. თ. ლილუაშვილი ვ. ხრუსტალი, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი“, თბ. 2005 წ. გამ. „სანი“ გვ. 497-499.

<sup>62</sup> თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი. დასახ. ნაშრომი გვ. 373-374.

წარმოადგენს მხარეთა შორის არსებული დავის სამართლიანად გადაჭრა, გადაწყვეტა. ამიტომ, იგი რიგ შემთხვევაში უკეთესი საშუალებაა, ვიდრე საქმის განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია პროცესის ხარჯებთან, მტკიცებულებათა შეგროვებასთან და ა. შ.<sup>63</sup>

საქართველოს მაგალითზე თუ განვიხილავთ, მორიგების შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება მორიგების შესახებ, სადაც ზუსტად არის განსაზღვრული მხარეთა შორის უფლება-მოვალეობანი, რომლებზეც ისინი შეთანხმდნენ და რომლებსაც ისინი აღიარებენ.

მაგ. ერთ-ერთ განჩინებაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების პალატამ დაადგინა:

“1. სააქციო საზოგადოება “საქრუსენერგო” თანახმაა, მიიღოს სააქციო საზოგადოება “ელექტროგადაცემისაგან” დავალიანება 747000 ლარის ოდენობით 8 კალენდარული თვის განმავლობაში, ყოველთვიურად 93375 ლარის ოდენობით.

2. სააქციო საზოგადოება “ელექტროგადაცემა” თანახმაა, გადაუხადოს სააქციო საზოგადოება “საქრუსენერგოს” დავალიანება 747000 ლარის ოდენობით 8 კალენდარული თვის განმავლობაში, ყოველთვიურად 93375 ლარის ოდენობით.

წინამდებარე შეთანხმების აღსრულება დაიწყოს მორიგების სასამართლო წესით დამტკიცების დღიდან 14 დღის შემდეგ.

განემარტოს მხარეებს, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.”<sup>64</sup>

(ეს განჩინება საინტერესოა იმიტაც, რომ მხარეებმა შეთანხმება მიაღწიეს საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოებისას).

ასეთ შემთხვევაში სასამართლო გარკვეული თვალსაზრისით ადგენს მხარეთა შორის მორიგების საფუძველზე წარმოქმნილ ახალ პირობებს (უფლება-მოვალეობებს), რომლებიც შეიძლება ექვემდებარებოდეს აღსრულებას. თუ ისინი ექვემდებარებიან აღსრულებას საქართველოში, იგი აღსრულებული უნდა იქნას საქართველოში. ამის საფუძველს გვაძლევს, “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 72-ე მუხლის პირველი პუნქტი,<sup>65</sup> რომლის თანახმად:

“1. სასამართლოს მიერ მხარეთა მორიგება და უცხო ქვეყნის საჯარო ხასიათის დოკუმენტები, რომლებიც ექვემდებარებიან

<sup>63</sup> მხარეთა შორის მორიგებით დამთავრებულ საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების აღიარებას ითვალისწინებს მინსკის „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ” კონვენციის 51-ე მუხლის „ა” პუნქტი.

<sup>64</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე. 2001 წ. 11 ნოემბერი გვ.1193.

<sup>65</sup> ყურადღებას იმსახურებს “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლი – აღსრულებას ქვემდებარე აქტები, რომლის თანახმად აღსრულებას ექვემდებარება “ა) კერძო სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება” და ამავე მუხლის “ი” პუნქტი: “ი) სხვა სახელმწიფოს სასამართლოს, აგრეთვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომელთა აღსრულებაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.”

აღსრულებას, შუამდგომლობის საფუძველზე ამ კანონის 70-ე და 71-ე მუხლების შესაბამისად აღსრულება.”

მაგალითი 1;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა საკასაციო პალატამ:

“საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ზაქარია აზალაძის განცხადება უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევის შესახებ და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2003 წლის 13 მაისს ბერინგენის კანტონის მომრიგებელმა სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელე ანა მარია აგნეს იმელდა დენისი ბეკერის სარჩელი მოპასუხე ზაქარია აზალაძის წინააღმდეგ და მოსარჩელეს მისცა განცალკავებული ცხოვრების უფლება 1945 ჰამში, სთაათსბანის ქუჩა №122-ში.

მხარეებს აეკრძალათ ერთმანეთის საცხოვრებელში თანხმობის გარეშე შესვლა და ორივე მხარე აღჭურვა უფლებით, რომ იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მათგანი არ დაიცავდა აკრძალვას, გააგდოს ან საჭიროების შემთხვევაში გარეშე ძალის ჩარევით გააძევოს წესის დამრღვევი.

ორივე მხარეს დაეკისრა სასამართლო პროცესის ხარჯების ნახევარ-ნახევარის გადახდა.”

პალატამ იხელმძღვანელა საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 68-ე და 70-ე მუხლებით და დაადგინა: “ბერინგენის კანტონის მომრიგებელი სასამართლოს 2003 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება . . . . ცნობილ იქნეს და აღსასრულებლად მიექცეს საქართველოს ტერიტორიაზე.”<sup>66</sup>

მაგალითი 2;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა საკასაციო პალატამ:

“საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რუსეთის ფედერაციის კრასნოიარსკის ოლქის ქ. სოსნოვობორსკის №123 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლე ე. ასტრახანცევასა და ო. მელნიჩენკოს შუამდგომლობები რუსეთის ფედერაციის კრასნოიარსკის ოლქის ქ. სოსნოვობორსკის №123 სასამართლო უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2005 წ. 8 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მოქალაქე მ. შონიას მიმართ აღიშენებისა და სახელმწიფო ბაუის დაკისრების თაობაზე.”

<sup>66</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, განჩინება №ა-1805-04, 29 ივლისი, 2004 წელი. ქ. თბილისი.



“პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 68-ე მუხლით, სსკ-ის 284-ე მუხლით და

დაადგინა:

რუსეთის ფედერაციის კრასნოიარსკის ოლქის ქ. სოსნოვობორსკის №123 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლე ე. ასტრახანცევასა და ო. მელნიჩენკოს შუამდგომლობები დაკმაყოფილდეს.

რუსეთის ფედერაციის კრასნოიარსკის ოლქის ქ. სოსნოვობორსკის №123 სასამართლო უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2005 წ. 8 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, 2004 წ. 16 დეკემბრიდან მ. შონიას დაეკისრა ალიმენტის სახით მთელი მისი ყოველთვიური ხელფასის 1/4-ისა და სახელმწიფო ბაჟის – 100 რუბლის გადახდა, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.”<sup>67</sup>

აღსრულების პროცესს, როგორც ამ განჩინებებიდან ჩანს, წინ უსწრებს აღიარების პროცესი.

მოპასუხისა და მოსარჩელის მორიგების სხვა შემთხვევაში, ეს უკანასკნელი უარს ამბობს სარჩელზე. ანუ როდესაც მოსარჩელე უარს ამბობს სარჩელზე, საქმის წარმოება წყდება და მას აღარ აქვს უფლება მომავალში კვლავ აღძრას იგივე სარჩელი. (სსსკ-ის მუხ. 273). რა თქმა უნდა ასეთი სახის მორიგება არ წარმოადგენს ისეთ სასამართლო აქტს, რომელიც შეიძლება ექვემდებარებოდეს აღიარებას.

ყურადღებას იმსახურებს მხარეთა შორის ისეთი მორიგება, სადაც მოპასუხე, დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, ცნობს სარჩელს. მოხდება ეს მოსამზადებელ სხდომაზე თუ მთავარ სხდომაზე, მოსამართლე აღარ ამოწმებს მტკიცებულებებს და მას გამოაქვს ჩვეულებრივი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, ეყრდნობა რა მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობას. ასეთი გადაწყვეტილება საბოლოოა, ე. ი. მხარეებს შორის წამოჭრილი დავა ითვლება გადაჭრილად და იგი კანონიერ ძალაში შედის კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. გამომდინარე აქედან, მორიგების შესახებ სასამართლოს ეს გადაწყვეტილება, თუ იგი არ ეწინააღმდეგება “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონით დადგენილ საფუძვლებს, შეიძლება აღიარებულ (ცნობილ) იქნას საქართველოში. (სკს-ის კანონის 72-ე მუხლი, პ. 1).

კანონის სრული დაცვით გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილებაც წარმოადგენს ისეთ სასამართლო აქტს, რომელიც აღიარებულ და აღსრულებულ შეიძლება იქნას ჩვენს ქვეყანაში. ერთ-ერთ მთავარ პირობად აქ რჩება მხარისათვის უწყების დროულად ჩაბარება იმის შესახებ, რომ მის წინააღმდეგ სასამართლოში აღძრულია საქმე.

მაგალითი:

<sup>67</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე №6 2005 წ. გვ. 115. განჩინება №ა-1959-შ-80-05. 12 დეკემბერი, 2005 წ. ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა  
საკასაციო პალატამ:

“განიხილა კომპანია “სკანსიდოს” შუამდგომლობა შვედეთის ქ.  
მალმოს საქალაქო სასამართლოს 2003 წ. 28 აპრილის დაუსწრებელი  
გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და  
აღსასრულებლად მიქცევის შესახებ.

პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის  
შესახებ” კანონის 68-ე მუხლის პირველი ნაწილით და

დაადგინა:

ცნობილ იქნეს და საქართველოს ტერიტორიაზე მიექცეს  
აღსასრულებლად შვედეთის ქ. მალმოს საქალაქო სასამართლოს  
2003 წ. 28 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც  
შპს “ნეშინილ მეტალს” (National Metal co LTD) შევედური ფორმა  
“სკანსიდოს” (Scansido AB) სასარგებლოდ დაექისროს:

1) 501989 აშშ დოლარისა და 24 ცენტის გადახდა, რომელსაც  
დაემატება სარგებელი “პროცენტებისა და დარიცხვების შესახებ”  
კანონის მე-4 და მე-6 მუხლების თანახმად (1975.635), 2002 წ. 18  
ნოემბრიდან გადახდის განხორციელებამდე.

2) “სკანსიდოსათვის” სასამართლო ხარჯების ანაზრაურება  
31250 კრონის ოდენობით, იურისკონსულტის გადასახდელი,  
“პროცენტებისა და დარიცხვების შესახებ” კანონის მე-6 მუხლის  
თანახმად, წინამდებარე გადაწყვეტილების მიღების დრიდან  
გადახდის განხორციელებამდე.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.”<sup>68</sup>

აღნიშნული საქმე იმითაც არის საინტერესო, რომ მოპასუხემ – შპს  
“ნეშინილ მეტალმა” იშუამდგომლა პალატის წინაშე საქმის ზეპირი  
განხილვის თაობაზე და ამასთან ერთად “მიუთითა, რომ შვედეთის  
საქალაქო სასამართლომ მას არ მისცა მის წინააღმდეგ მიღებული  
დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, საერთოდ არ  
გადმოეგზავნა გადაწყვეტილების ასლი.”

თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ საკასაციო პალატამ არ გაიზიარა  
მოპასუხის მოსაზრება, გამომდინარე იქიდან, რომ “საქმეში  
წარმოდგენილი დოკუმენტებით დადგენილია, რომ გადაწყვეტილების  
ასლი შპს “ნეშინილ მეტალს” მალმოს საქალაქო სასამართლოს მიერ  
შვედეთის კანონმდებლობის დაცვით დროულად გადაეგზავნა, რომელშიც  
მითითებული იყო მისი გასაჩივრების წესისა და პირობების შესახებ, შპს  
“ნეშინილ მეტალმა” სასამართლო პროცესზე ვერ წარმოადგინა რაიმე  
მტკიცება იმის თაობაზე, რომ მას მალმოს საქალაქო სასამართლოს  
დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი არ გადაეგზავნია და არ მიუღია.”

მხარის გაფრთხილებას სასამართლოში გამოძახების შესახებ,  
როგორც გადაწყვეტილების აღიარებაზე უარის თქმის ერთ-ერთ  
საფუძველს, ჩვენ ქვემოთ შევხებით.

<sup>68</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო  
და გაკოტრების საქმეებზე №10 2003 წ. გვ. 2676. განჩინება №ა-543-7-51-03. 1  
ოქტომბერი, 2003 წ. ქ. თბილისი.

პრობლემატურია საკითხი – უცხო ქვეყნის რომელი დაწესებულების გადაწყვეტილების აღიარება და აღსრულება ექვემდებარება საქართველოს სასამართლოს.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა იყოს სახელმწიფო სასამართლო ხელისუფლების ორგანოს – სასამართლოს მიერ. მიუხედავად იმისა, რა ფორმით გამოდის იგი, გადაწყვეტილების, დადგენილების სახით თუ სხვ. მთავარია მხარეებს შორის დავა ითვლებოდეს ა) გადაჭრილად და გარკვეული იყოს მათი უფლებები და მოვალეობანი და ბ) გააჩნდეს კანონიერი ძალა.

ჩვენ უკვე შევეხეთ საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულების საკითხს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაბამისი პალატა, თუ არსებობს ქვეყნის შიდა კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობები, აღიარებს და აღასრულებს უცხო სახელმწიფოს საარბიტრაჟო სასამართლო გადაწყვეტილებებს. როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 10 ნოემბრის განჩინებიდან ჩანს: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 2 აპრილის განჩინებით დაკმაყოფილდა კომპანია “რონლი ჰოლდინგ ლიმიტედის” შუამდგომლობა, ცნობილ იქნა ლონდონის საარბიტრაჟო ტრიბუნალის 2003 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება და დაექვემდებარა საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი.”<sup>69</sup>

საქართველო “უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ” კონვენციის თანახმად აღიარებს და აღასრულებს არა მარტო ცალკეული საქმის გამო დანიშნული არბიტრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, არამედ მუდმივი საარბიტრაჟო ორგანოების მიერ მიღებულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებსაც, რომლებსაც მხარეებმა მიმართეს ხელშეკრულების საფუძველზე. (მუხ. 1)<sup>70</sup>. აღნიშნული წესი განმტკიცებულია საქართველოს შიდა კანონმდებლობით, კერძოდ “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” კანონის მე-2 მუხლით, რომლითაც განსაზღვრულია აღსრულების ქვემდებარე აქტები. ამავე მუხლის “თ” პუნქტით: “თ) იმ არბიტრაჟის გადაწყვეტილება, რომლის აღსრულებაც გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.”

უნდა აღვნიშნოთ, რომ აღიარებას ექვემდებარება ასევე უცხო სახელმწიფოს ისეთი ოფიციალური, საჯარო დოკუმენტებიც, რომელთა აღსრულებაც შეიძლება ჩვენს ქვეყანაში. მაგ. როგორც უზენაესი სასამართლომ ერთ-ერთ განჩინებაში მიუთითა, “ქ. მოსკოვის არბატის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების 2003 წ. 4 დეკემბრის დადგენილებით, რომლითაც მ. ტლაშაძეს დაეკისრა ადმინისტრაციული სასჯელი ჯარიმის სახით 500 რუბლის ოდენობით, ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და დაექვემდებაროს აღსრულებას.”<sup>71</sup>

<sup>69</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №ა-2585-ად-9-04

<sup>70</sup> “უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ” კონვენცია; საქართველოსთვის ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 3 თებერვლის დადგენილებით.

<sup>71</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე. 2005 წ. №6. გვ. 78.

## 2. აღიარების საფუძვლები (პირობები)

საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული დოქტრინის თანახმად, რომელსაც იზიარებს საქართველოც, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღიარებისას არ ხდება ამლიარებელი სასამართლოს მიერ მათი არსებითად ხელმეორედ გადახედვა. ეს პრინციპი განმტკიცებულია როგორც სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობით, ასევე სხვადასხვა ორმხრივი თუ მრავალმხრივი ხელშეკრულებებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოს სასამართლო უშვებს იმის პრეზუმციას, რომ გადაწყვეტილება გამოტანილია სამართლიანად, ობიექტურად და კანონის სრული დაცვით. მიუხედავად ამისა, ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა ითვალისწინებს (როგორც შიდა კანონმდებლობით, აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულებებით) ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებს.<sup>72</sup> მათ შორის არის საქართველოც. “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მეორე პუნქტში ამომწურავად არის ჩამოთვლილი ის საფუძვლები (პირობები), რომელთა არსებობის შემთხვევაში არ შეიძლება უცხო სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილების აღიარება და აღსრულება ჩვენი ქვეყნის სასამართლოს, (უზენაესი სასამართლოს შესაბამისი პალატის) მიერ.

კერძოდ, სკს-ის შესახებ კანონის 68-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად:

- “2. გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ
- ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება;
  - ბ) გადაწყვეტილების გამოტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით, არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები;
  - გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში;
  - დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება;
  - ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს;
  - ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთსა და იმავე საფუძველით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი;

<sup>72</sup> არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მოსაზრებას, რომლის თანახმად „იმდენადვე მიზანშეუწონელია საერთოდ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღიარებაზე უარის თქმა, რამდენადაც შეუძლებელია ყოველგვარი გამონაკლისი შემთხვევების გარეშე მათ ცნობაზე თანხმობის განცხადება.” იხ. L. Raape. Internationales Privatrecht. 4. neubearbeitete Auflage. 1955. перевод А. М. Гурвича. Л. Раапе. Международное частное право. Изд. иностранной литературы. 1960. ст. 145.

ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.”

უნდა აღნიშნოთ, რომ სხვადასხვა ქვეყნები, გადაწყვეტილების აღიარებასა და აღსრულებაზე უარის თქმის განსხვავებულ საფუძვლებს შეიძლება ითვალისწინებდეს. თითოეული მათგანი, შეიძლება ითქვას, რომ განსხვავებულ მიზანს ისახავს. ამის მიხედვით ყველა ისინი ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება დავეყოთ. ესენია: 1. საფუძვლები, რომლებიც უშუალოდ კერძო პირის ინტერესების დაცვას ემსახურება; მაგ აღნიშნული მუხლის “ბ”, “გ”; და “ვ” პუნქტები და 2. პირობები, რომელთა მიზანია სახელმწიფოს ინტერესების, საჯარო ინტერესების დაცვა; მუხლის “ა”; “დ”; “ე” და “ზ” პუნქტები. თუმცა უნდა ვთქვათ, რომ მათ შორის მკვეთრი ზღვრის გაღება საკმაოდ ძნელია. ამასთან ერთად, არსებობს პირობები, რომლებიც ყველა ზემოთთქმული საფუძვლების წინაპირობას წარმოადგენს. ისინი სხვადასხვა სფეროს მოიცავენ, კერძოდ: ა) საქმე უნდა გამომდინარეობდეს კერძო (სამოქალაქო, საკორპორაციო, საოჯახო და სხვ) სამართლით დარეგულირებული ურთიერთობებიდან და ბ) შეიძლებოდა თუ არა პროცესში მონაწილე მხარის მიმართ გადაწყვეტილების გამოტანა, ანუ ხომ არ გააჩნდა პირს სახელმწიფოს სასამართლო იურისდიქციისადმი იმუნტეტი. გამომდინარე მათი მნიშვნელობიდან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია პირველ რიგში შევხვით აღნიშნულ საკითხებს.

### **I. გადაწყვეტილებები გამოტანილი უნდა იყოს კერძო სამართლებრივ დავებზე.**

საკითხი – მხარეებს შორის დავა მიეკუთვნება კერძო თუ საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებს, სხვადასხვა ქვეყნის მიერ შეიძლება განსხვავებულად დარეგულირდეს.

როგორც ცნობილია, კერძო და საჯარო სამართალი არ შეიძლება ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებლად, ზუსტად გამიჯნულ სფეროდ წარმოვიდგინოთ. თუმცა რა თქმა უნდა მათ შორის არსებობს განსხვავებაც. ამ განსხვავების აუცილებლობა განსაკუთრებით ვლინდება სასამართლო ხელისუფლების განხორციელების დროს. კერძო და საჯარო სამართალს შორის გამიჯნვის მნიშვნელობა, პირველ რიგში შემდეგი ორი საკითხის გადაწყვეტისას წარმოჩნდება: ა) კონკრეტულ შემთხვევაში სამართლის რომელი სფეროს ნორმა უნდა იქნას გამოყენებული და ბ) რომელმა სასამართლომ (მოსამართლემ, კოლეგიამ, პალატამ) უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს დავა.<sup>73</sup> მაგ. “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-15<sup>1</sup> მუხლის (მოსამართლეთა სპეციალიზაცია) პირველი ნაწილის თანახმად: “1. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ორი მოსამართლეა, ერთი განიხილავს სისხლის სამართლის საქმეებს, მეორე – სამოქალაქო და სხვა კატეგორიის საქმეებს, გარდა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.”<sup>74</sup> ამავე მუხლი მეორე ნაწილიდან გამომდინარე, საქმეთა წარმოების განსაკუთრებული ინტენსიურობის მქონე რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, თუ ორზე მეტია მოსამართლეთა რაოდენობა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება განხორციელდეს მოსამართლეთა უფრო

<sup>73</sup> Brox, Hans. Allgemeiner Teil des BGB. 15 Aufl. Köln, Berlin, Bonn, München 1991. s. 8-9

<sup>74</sup> საქართველო ორგანული კანონი “საერთო სასამართლოების შესახებ”, გამოქვ. საქართველო პარლამენტის უწყებანი №33 1997.

ვიწრო სპეციალიზაცია. ავსტრიაში საერთო სასამართლოების გვერდით არსებობენ სპეციალური – კერძო სამართლის და საჯარო სამართლის – სასამართლოები (Sondergerichte), საჯარო სამართლის სასამართლოებში შედის ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლო (Der Verwaltungsgerichtshof), რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო მმართველობის სფეროში კანონიერების დაცვას.<sup>75</sup> თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ სააღსრულებო წარმოების ფუნქციები არ გააჩნიათ.<sup>76</sup> გერმანიაში, საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალი მიწის სასამართლოები (Landgerichte), არსებობენ კოლეგიები, რომლებიც განიხილავენ სამოქალაქო და სისხლის საქმეებს. ხოლო სახელმწიფოს მმართველობის სფეროში საჯარო-სამართლებრივ დავებს განიხილავს სპეციალურ სასამართლოებში შემავალი ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლო (Verwaltungsgerichte).

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, საჯარო სამართლებრივი ურთიერთობების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ურთიერთობები, რომლებიც მიეკუთვნება სისხლის, საგადასახადო, საბაჟო და ადმინისტრაციულ სფეროს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სადაც სახელმწიფო თავისი ორგანოების (სამინისტროების, დეპარტამენტების და ა. შ.) მეშვეობით ახორციელებს მის უფლებამოსილებებს.

გადაწყვეტილების აღიარებისას პრობლემა წარმოიქმნება საკითხზე, თუ გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს ქვეყნის კანონმდებლობით დავა მიეკუთვნება სამოქალაქო, კერძო სამართლებრივს, ხოლო საქართველოს სამართლის მიხედვით, იგი წარმოადგენს საჯარო სამართლებრივ ურთიერთობას, უნდა მოხდეს თუ არა ასეთი გადაწყვეტილების აღიარება. ანუ რომელი ქვეყნის სამართლით უნდა მიეცეს კვალიფიკაცია სადავო ურთიერთობას – გადაწყვეტილების გამომტანი, ან ამ გადაწყვეტილების ამღიარებელი ქვეყნის სამართლით, თუ იმ შემთხვევაში, როდესაც ორივე სახელმწიფო მას ერთდროულად აკუთვნებს სამოქალაქო სამართლის სფეროს.

კვალიფიკაციის მინიჭება მხოლოდ გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის სამართლის მიხედვით, სხვებთან შედარებით მარტივია. მაგრამ, მან შეიძლება ცნობისა და აღსრულებისას ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ რთული პრობლემა წარმოქმნას. გამომდინარე იქიდან, რომ რიგ შემთხვევებში, შეიძლება დავა, რომლის შესახებაც გამომტანილი გადაწყვეტილება უნდა იქნას აღიარებული, აშკარად არ განეკუთვნება საქართველოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს უწყებრივად. ამიტომ, ამგვარი პრინციპის გამოყენება, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მხოლოდ ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით იყოს განსაზღვრული. ანუ როდესაც ქვეყნებს შორის, საკითხის მიმართ შეთანხმების იქნება უზრუნველყოფილი ნაცვალებება.

ერთდროულად ორივე სახელმწიფოს მიერ სადავო ურთიერთობის მიკუთვნება სამოქალაქო სამართლის (კერძო) სფეროსათვის, შეიძლება ითქვას იდეალურ შემთხვევას წარმოადგენს. ანუ როდესაც ერთი და მეორე ქვეყანაც კვალიფიკაციას ანიჭებს ერთნაირად. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავს შემთხვევებს შეიძლება იშვიათად ჰქონდეს

<sup>75</sup> Н. Г. Елиссев. “Гражданское процессуальное право зарубежных стран.” 2-е издание. изд. “проспект”. Москва 2004 г. ст. 144

<sup>76</sup> Fasching H. W. Lehrbuch des osterreichischen Zivilprozessrechts. 2. Aufl. Wien. Manz. 1990. S.64.

ადგილი, მით უმეტეს, თუ არ არსებობს სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულება. ხოლო ყველა ქვეყანასთან ხელშეკრულების გაფორმება რთულია, თუ შეუძლებელი არა.

გამომდინარე აქედან, ჩვენი აზრით გამართლებული უნდა იყოს კვალიფიკაციის მინიჭება იმ ქვეყნის მიერ, სადაც უნდა მოხდეს ამ გადაწყვეტილების აღიარება და აღსრულება,<sup>77</sup> თუკი საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა წესი არ არის გათვალისწინებული.

**II. გადაწყვეტილების ცნობისას მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს უცხო ქვეყნის სასამართლოს იურისდიქციის გავრცელება პროცესში მონაწილე მხარეზე, იქნება ეს ფიზიკური პირი თუ სახელმწიფო.** ანუ მხარეს, რომლის მიმართაც აღიარებული და აღსრულებული უნდა იქნას გადაწყვეტილება საქართველოში, ხომ არ გააჩნდა გადაწყვეტილების გამომტან ქვეყანაში იმუნიტეტი.

საერთაშორისო სამართალში გავრცელებული პრინციპის თანახმად ყველა სახელმწიფო თანასწორია და ყველა სახელმწიფოს გააჩნია სუვერენიტეტი, რაც გამოხატულია გამოთქმაში „თანასწორს არა აქვს ძალაუფლება თანასწორზე“, („Par in parem non habet imperium“).

უცხო ქვეყნის სუვერენიტეტისა და თანასწორობის პრინციპთან ერთად სამართალწარმოებაში უცხო სახელმწიფოსათვის იმუნიტეტის არსებობა განპირობებულია იმითაც, რომ, როგორც წესი, არ შეიძლება ერთი ქვეყანა თავისი იურისდიქციით ჩაერიოს მეორე ქვეყნის სახელმწიფოებრივ ქმედებებში. ანუ უცხო სახელმწიფო თავისუფალია (სარგებლობს იმუნიტეტით) სხვა სახელმწიფოს სასამართლო ან/და სხვა ორგანოების მხრიდან იძულებითი ღონისძიებების გამოყენებისაგან. თუმცა ეს არ უნდა აიხსნას ისე, რომ, თუ უცხო ქვეყანა რაიმე სახით მონაწილეობს კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში, მას გააჩნია რაიმე უპირატესობა მსგავს სამოქალაქო ურთიერთობებში მონაწილე სხვა პირებთან შედარებით.

მაგ. საქართველოს სკ-ის 24-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „სახელმწიფო სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. სახელმწიფოს უფლებამოსილებებს ამ დროს ახორციელებენ მისი ორგანოები (სამინისტროები, სახელმწიფო დეპარტამენტები და ა.შ.) ისე, რომ ისინი არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს“.

ე.ი. სახელმწიფო კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდის სამინისტროების, სახელმწიფო დეპარტამენტების და სხვა არაიურიდიული პირების მეშვეობით. რა თქმა უნდა, ასეთ ურთიერთობაში მხარედ ითვლება არა ვთქვათ სამინისტრო ან დეპარტამენტი, არამედ სახელმწიფო. ეს უკანასკნელი შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვა იურიდიული პირების სახითაც, რომლებიც მას შეუძლია შექმნას კანონის შესაბამისად და იმის მიხედვით, თუ რა ამოცანების განხორციელება უნდა დაეკისროთ მათ. ასეთ დროს არა აქვს მნიშვნელობა, კერძო თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი იქნება იგი, რადგან გავრცელებული პრინციპის თანახმად საჯარო სამართლის იურიდიული პირები სამოქალაქო

<sup>77</sup> აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით იხ. შაკი. დასახელებული ნაშრომი გვ. 47–50 და გვ. 399–400.

ლაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები.

როგორც აღვნიშნეთ, იმუნიტეტი ვრცელდება უცხო სახელმწიფოს მხოლოდ იმ ქმედებებზე, რომლებიც ხორციელდება საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში. აქედან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს გაირკვას საკითხი, სახელმწიფო ახორციელებს თავის საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას, თუ გამოდის როგორც კერძო პირი, ანუ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქმედებების შინაარსს.

როდესაც უცხო სახელმწიფო (მაგ. საქართველო) მონაწილეობს საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში, მაგ. მის მიერ შექმნილი იურიდიული პირების მეშვეობით, ითვლება, რომ იგი მონაწილეობს როგორც კერძო სამართლის პირი. ასეთ შემთხვევაში კი მის მიმართ არ შეიძლება იმუნიტეტის გავრცელება. ხოლო, თუ სახელმწიფო საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობებში ახორციელებს უშუალოდ სახელმწიფოს უფლებამოსილებას, თუ შეიძლება ითქვას თავის საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას, მას ასეთ შემთხვევაში გააჩნია იმუნიტეტი. ისევე და ისევე გამომდინარე იქიდან, რომ „თანასწორს არა აქვს ძალაუფლება თანასწორზე“, რაც თავის მხრივ გულისხმობს, რომ „თანასწორს არა აქვს იურისდიქცია თანასწორზე“. ამ შემთხვევაში „იურისდიქცია“ ნიშნავს ძალაუფლებას, კერძოდ სახელმწიფოს სასამართლოს ძალაუფლებას.<sup>78</sup>

არსებობს ერთი გამონაკლისი, როდესაც იმუნიტეტი არ მოქმედებს. ესაა შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო უარს ამბობს ექსტერიტორიალობის ამ პრინციპზე და იგი თანახმაა მონაწილეობა მიიღოს უცხო ქვეყნის სასამართლო წარმოებაში. სხვა შემთხვევებში სარჩელის აღძვრა უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ დაუშვებელია.

რა თქმა უნდა, იგივე წესები მოქმედებს საქართველოს, როგორც სახელმწიფოს მიმართ საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლოში სარჩელის აღძვრის დროს.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1. საქართველოს, ისევე როგორც უცხო სახელმწიფოს, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში.

2. უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ არ შეიძლება აღიძვრას სარჩელი საქართველოს სასამართლოებში, თუ არ იქნება მისი წინასწარი თანხმობა.

3. უცხო სახელმწიფოში არ შეიძლება აღიძვრას სარჩელი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ, თუ არ იქნება მისი თანხმობა.

4. უცხო სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს, შეუძლია აღიძვრას სარჩელი ჩვენი ქვეყნის სასამართლოში საქართველოს იურიდიული თუ ფიზიკური პირების წინააღმდეგ.

<sup>78</sup> Л.А. Лунц. "Международный гражданский процесс". Изд-во "Юридическая литература". М. 1966. стр. 61



5. საქართველოს, როგორც საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს, შეუძლია აღძრას სარჩელი უცხო სახელმწიფოს სასამართლოში ამ ურთიერთობის მონაწილე მეორე მხარის წინააღმდეგ, საერთაშორისო კანონით დადგენილი წესების დაცვით.

**1. პირები, რომლებიც სარგებლობენ იმუნიტეტით.**

უცხო ქვეყნის სასამართლოების იურისდიქციის მიმართ იმუნიტეტი გააჩნია არა მარტო საქართველოს სახელმწიფოსა და სამსახურებრივი მიწვევით მყოფ მის წარმომადგენლებს და მათ თანხმლებ პირებს. „დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ“ და „საკონსულო ურთიერთობათა შესახებ“ ვენის საერთაშორისო კონვენციების დებულებებით<sup>79</sup>, რომლებსაც საქართველო შეუერთდა 1999 წელს, დადგენილია მისიის წევრების მიმართ იმუნიტეტი. იგი ვრცელდება აგრეთვე მათი ოჯახის წევრებსა (თუ ისინი არ არიან ადგილსამყოფელი ქვეყნის მოქალაქეები) და მომსახურე პერსონალზე.

მაგ. საქართველოს სკს-ის შესახებ კანონის 59-ე მუხლის თანახმად: „საქართველოში მოქმედი დიპლომატიური მისიის წარმომადგენლები და მათი ოჯახის წევრები, აგრეთვე მისიის მომსახურე პერსონალი თავისუფლდებიან საქართველოს სასამართლოების განსჯადობისაგან „დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ“ ვენის 1961 წლის 18 აპრილის კონვენციის მიხედვით. ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ მომვლინებული ქვეყანა ამ კონვენციის მონაწილე მხარე არ არის“. იგივე წესს იმეორებს სკს-ის შესახებ კანონის მე-60 მუხლი საკონსულო წარმომადგენლობის წევრების მიმართ.

როგორც ვხედავთ კანონი იმუნიტეტს აღნიშნული პირების მიმართ ადგენს კონვენციებით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად. ამ პრინციპებიდან გამომდინარე კი, შეიძლება განვასხვაოთ იმუნიტეტის ორი სახე: ა) პერსონალური (პირადი), ბ) სამსახურებრივი.

პერსონალური იმუნიტეტი სისხლის, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციული იურისდიქციის მიმართ გააჩნია დიპლომატიურ აგენტს. იგი, ვენის კონვენციის თანახმად, შეიძლება წარმოადგენდეს როგორც წარმომადგენლობის მეთაურს, ასევე წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის წევრს, რომელსაც აქვს დიპლომატის რანგი. ასეთივე იმუნიტეტით სარგებლობენ მისი ოჯახის წევრები, თუ ისინი ადგილსამყოფელი ქვეყნის მოქალაქეები არ არიან.

უნდა აღვნიშნოთ, რომ დიპლომატიური იმუნიტეტი, კერძოდ პერსონალური იმუნიტეტი ყოველთვის არ გამოიყენება. კონვენციის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, იმუნიტეტი არ გამოიყენება როცა:

ა) აღძრულია სანივთო სარჩელი კერძო უძრავ ქონებაზე, რომელიც იმყოფება ადგისამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და დიპლომატიური აგენტი არ ფლობს ამ ქონებას წარმომადგენლობის მიზნებისათვის.

ბ) აღძრული სარჩელი ეხება მემკვიდრეობას, რომლის მიმართ დიპლომატიური აგენტი გვევლინება როგორც ანდერძის აღმსრულებლად, სამემკვიდრეო ქონების მზრუნველად ან საანდერძო დანაკისრის მიმდებად და იგი გამოდის როგორც კერძო პირი და არა მაკრედიტებული სახელმწიფოს წარმომადგენელი.

<sup>79</sup> საქართველო აღნიშნულ კონვენციებს შეუერთდა 1999 წელს.

გ) აღძრულია სარჩელი, რომელიც შეეხება ყოველგვარ პროფესიულ და კომერციულ საქმიანობას, რომელსაც ეწევა დიპლომატიური აგენტი თავისი ოფიციალური ფუნქციების ფარგლებს გარეთ აღდგილსამყოფელ სახელმწიფოში.

თავისუფლად შეიძლება აღენიშნოს, რომ ამ სამი შემთხვევის გარდა, იმუნიტეტს, რომლითაც სარგებლობს დიპლომატიური აგენტი, გააჩნია აღდგილსამყოფელი სახელმწიფოს იურისდიქციისგან გათავისუფლების აბსოლუტური ხასიათი.<sup>80</sup> ეს ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც დიპლომატიური აგენტი აღდგილსამყოფელი ქვეყნის მოქალაქე არ არის. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეუხებლობის პრინციპი მოქმედებს იურისდიქციისა და იმ ოფიციალური მოქმედებების მიმართ, რომლებსაც იგი ჩაიდენს მხოლოდ თავის ფუნქციების შესრულებისას.

რაც შეეხება სამსახურებრივ იმუნიტეტს, მისით სარგებლობენ დიპლომატიური წარმომადგენლობის მომსახურე პერსონალის წევრები (მუხლი 37. მე-3 პუნქტი) და საკონსულოს თანამდებობის პირები და (მუხ.83.1) საკონსულოს მოსამსახურენი. სამსახურებრივი იმუნიტეტი გულისხმობს აღდგილსამყოფელი სახელმწიფოს იურისდიქციისაგან ხელშეუხებლობას იმ შემთხვევაში, როდესაც უშუალოდ დიპლომატიური მისიის თუ საკონსულოს მომსახურე პერსონალი ან საკონსულოს თანამდებობის პირები განახორციელებენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც აუცილებელია მხოლოდ თავიანთი მოვალეობების შესასრულებლად. ასეთ დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აღნიშნული ქმედებების სამართლებრივ შეფასებას, ანუ მოქმედებდა თუ არა მომსახურე პერსონალის წევრი ან საკონსულოს თანამდებობის პირი მთავარი ვალდებულებით დაგებული თუ მოქმედებდა როგორც კერძო პირი.

რაც შეეხება საკონსულოს თანამდებობის პირების და საკონსულოს მოსამსახურენის მიმართ იმუნიტეტის გამოყენების არკაღვას, კონვენცია ითვალისწინებს ორ შემთხვევას; კერძოდ, თუ სამოქალაქო სარჩელი:

ა) გამოდინარეობს საკონსულოს თანამდებობის პირის ან საკონსულოს მომსახურის მიერ დადებული ხელშეკრულებიდან, რომლის თანახმად მათ პირდაპირ ან ირიბად არ აკისრიათ ვალდებულება, როგორც წარმდგენის სახელმწიფოს აგენტებს. ან

ბ) იგი აღძრა მესამე მხარემ, აღდგილსამყოფელ სახელმწიფოში საგზაო-სატრანსპორტო საშუალების, გემის და თვითმფრინავის უბედური შემთხვევით გამოწვეული მიზნებისათვის“ (მუხლი 49).

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან, შეიძლება დავასკვნათ, რომ იმუნიტეტის მოქმედება წყდება, თუ დიპლომატიური და საკონსულო მისიის წარმომადგენლები ურთიერთობებში გამოდიან არა როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლები, სახელმწიფოს დავალებით მოქმედი პირები, არამედ როგორც კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე კერძო პირები.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ იმუნიტეტი, და როგორც წესი იგი ეხება პერსონალურ (პირად) იმუნიტეტს, „დიპლომატიური ურთიერთობათა შესახებ“ ვენის კონვენციის თანახმად, ათავისუფლებს დიპლომატიურ აგენტს აღდგილსამყოფელი სახელმწიფოს იურისდიქციისაგან და

<sup>80</sup> М. Иссад. "Международное частное право", изд-ва "Прогресс". Москва 1989. стр. 243

არა მთავრადიტიბელი სახელმწიფოს იურისდიქციისაგან. ამაზე პირდაპირ მიუთითებს კონვენციის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტი: „ადგილსამყოფელი სახელმწიფოს იურისდიქციის მიმართ დიპლომატიური აგენტის იმუნიტეტი არ ათავისუფლებს მას მთავრადიტიბელი სახელმწიფოს იურისდიქციისაგან“; როგორც კი მთავრდება სამსახურებრივი უფლებამოსილების ვადა, შეწყდება აგრეთვე პერსონალური იმუნიტეტი. ამას ითვალისწინებს ამავე კონვენციის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტის 1-ლი წინადადება.

რაც შეეხება სამსახურებრივ იმუნიტეტს – სამსახურებრივი მოვალეობების დროს განხორციელებული ქმედებებს – შეიძლება ითქვას, რომ მათ მიმართ იმუნიტეტი გრძელდება განუსაზღვრელი ვადით. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია ორივე კონვენციით. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ იმუნიტეტი იცავს არა წარმომადგენლობის წევრებს, როგორც ფიზიკურ პირებს, არამედ მათ მიერ სახელმწიფო---საჯარო-სამართლებრივ---ფუნქციების განხორციელებას.

## 2. იმუნიტეტის გაქარწყლება.

**იმუნიტეტის მქონე პირი თანახმაა მონაწილეობა მიიღოს პროცესში.**

როდესაც ვლაპარაკობთ იმუნიტეტზე, ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, პირველ რიგში იგულისხმება, რომ არ შეიძლება იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ სასამართლო პროცესის წარმართვა. ე.ი. არ შეიძლება მისი მხარედ დაბარება სამართალწარმოებაში, მის მიმართ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა და აღსრულება. ანუ ისინი ხელშეუხებელი არიან სასამართლო ხელისუფლებისაგან, სასამართლო განსჯადობისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილება ჩაითვლება კანონის დარღვევით გამოტანილად და მას არანაირი კანონიერი ძალა არ ექნება.

არ არის გამორიცხული, რომ სარჩელი აღიძრას იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ და იგი თანდართულ საბუთებთან ერთად გადაეცეს მას უცხო ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით. როგორ გადაწყდება ასეთ შემთხვევაში საკითხი? პირველი რაც უნდა გაირკვას, ეს არის – მართლა გააჩნია თუ არა პირს იმუნიტეტი (პერსონალური თუ სამსახურებრივი). საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, სასამართლო (მოსამართლე) ვალდებული იქნება შეწყვიტოს მის მიმართ ნებისმიერი საპროცესო მოქმედებები და უარი თქვას სარჩელის მიღებაზე. ხოლო, მტკიცების ტვირთი, რომ პირს გააჩნია იმუნიტეტი, მასვე ეკისრება.

რა პირობა უნდა არსებობდეს იმისათვის, რომ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განსჯადობა გავრცელდეს იმუნიტეტის მქონე პირებზე? ამის ერთ-ერთი და უმთავრესი პირობაა, რომ იურისდიქციის ხელშეუხებლობაზე უარი თქვას უშუალოდ მთავრადიტიბელმა სახელმწიფომ – საქართველომ; კერძოდ, „დიპლომატიური ურთიერთობათა შესახებ“ კონვენციის 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად: 1. იურისდიქციის მიმართ დიპლომატიური აგენტებისა და იმ პირების იმუნიტეტზე, რომლებსაც იმუნიტეტი მინიჭებული აქვთ 37-ე მუხლის თანახმად, შეუძლია უარი თქვას მთავრადიტიბელმა სახელმწიფომ. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, აუცილებელია, რომ „უარი ყოველთვის გარკვეულად იყოს გამოხატული“. იგივე წესია განმტკიცებული „საკონსულო ურთიერთობათა შესახებ“ ვენის კონვენციის 45-ე მუხლით: 1. წარმდგენ სახე-

ლმწიფოს შეუძლია უარი თქვას საკონსულო დაწესებულებების მუშაკთა ნებისმიერ პრივილეგიებსა და იმუნიტეტზე, რომლებიც გათვალისწინებულია 41-ე, 43-ე და 44-ე მუხლებით“. როგორც ვხედავთ, მხოლოდ დიპლომატიური აგენტის ან საკონსულო წარმომადგენლობის უარი საკმარისი არ არის, მთავარია სახელმწიფომ განაცხადოს უარი იმუნიტეტზე.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ამავე კონვენციებით გარკვეული გამონაკლისია დაშვებული. კერძოდ, როდესაც დიპლომატიური აგენტი ან საკონსულოს თანამდებობის პირი, მათ შორის საკონსულოს მოსამსახურეც, თვითონ აღძრავს სარჩელს სასამართლოში. ამ შემთხვევაში მათ ერთმევათ უფლება გამოიყენონ იმუნიტეტი შემხვედრი სარჩელის მიმართ –" 3. თუ დიპლომატიური აგენტი ან პირი, რომელსაც იურისდიქციის მიმართ იმუნიტეტი აქვს მინიჭებული 37-ე მუხლის თანახმად, საქმეს აღძრავს, – მას უფლება აღარა აქვს დაიმოწმოს იურისდიქციის იმუნიტეტი შემხვედრი სარჩელის მიმართ, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული ძირითად სარჩელთან" (მუხლი 32.3). იგივე პრინციპი მოქმედებს საკონსულო წარმომადგენლობის წევრების მიმართ – მუხლი 45,3.

როდესაც ლაპარაკია შემხვედრ სარჩელზე, იგულისხმება რა თქმა უნდა, შეგებებული სარჩელი. იგი როგორც ცნობილია, მოპასუხის სარჩელისაგან თავდაცვის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს. ამავე დროს მოპასუხე არა მარტო იცავს თავს მოსარჩელოსაგან, არამედ იგი იცავს თავის პირად უფლებასაც. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ შემთხვევაში შეგებებული სარჩელი პირდაპირ ან არაპირდაპირ ძირითადი სარჩელის აღიარებასაც ნიშნავს.

როგორც წესი, იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ შეგებებული სარჩელის აღძვრის შემთხვევაში, სასამართლო მიმართავს თავისი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილ წესს. იგი შეიძლება ეხებოდეს შეგებებული სარჩელის აღძვრის ვადებს, ან იმ პირობებს, რომელთა არსებობა აუცილებელია ასეთი სარჩელის აღძვრისათვის. მაგ. საქართველოს სსკ-ის 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად: 1. მოპასუხეს უფლება აქვს მისთვის სარჩელის ასლის ჩაბარების დღიდან საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე აღძრას სარჩელის მიმართ შეგებებული სარჩელი პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად“. ხოლო რაც შეეხება პირობებს, სსკ-ის 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე:

„მოსამართლე მიიღებს შეგებებულ სარჩელს. თუ:

ა) შეგებებული სარჩელის მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი მოთხოვნის ჩასათვლელად;

ბ) შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას;

გ) შეგებებული სარჩელსა და პირვანდელ სარჩელს შორის არის ურთიერთკავშირი და მათი ერთად განხილვის შედეგად აღძრული დავა უფრო სწრაფად და სწორად გადაწყდება“.

იმუნიტეტის მქონე პირის მიერ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში იმუნიტეტის გაქარწყლება, გარკვეულად წინააღმდეგობაში მოდის კონვენციის იმ ნორმასთან, რომლის მიხედვითაც იურისდიქციისაგან ხელშეუხებლობაზე აუცილებელია მთავარი იტებელი სახელმწიფოსაგან გარკვე-

ულად გამოხატული უარი. მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, ალბათ გამართლებული იქნება, დავასკვნათ, რომ საკმარისია უშუალოდ დიპლომატიური აგენტის ან საკონსულოს წარმომადგენლის მიერ იმუნიტეტზე უარის თქმა. ორივე შემთხვევაში სასამართლო პროცესი წარმართება იმ წესების დაცვით, რომლებსაც ითვალისწინებს უცხო სახელმწიფოს საპროცესო კანონმდებლობა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმუნიტეტზე უარის თქმა, ავტომატურად არ ნიშნავს გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარის თქმას. კონვენციებიდან გამომდინარე, ამისათვის საჭიროა სახელმწიფოს (საქართველოს) მხრიდან საგანგებო უარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: იმუნიტეტი გაქარწყლდება და იმუნიტეტის მქონე პირმა მონაწილეობა უნდა მიიღოს საქმის განხილვაში ყოველთვის, როდესაც:

1. თვითონ იმუნიტეტის მქონე პირი უარს ამბობს თავის იმუნიტეტზე და არაა წინააღმდეგობა საქმე განიხილოს ამ ქვეყნის სასამართლომ;

2. ხელშეკრულებით, რომელიც დაიდო იმუნიტეტის მქონე პირთან, წინასწარ იქნა გათვალისწინებული, რომ დავის შემთხვევაში, ეს დავა განიხილოს იმ ქვეყნის სასამართლომ, რომელ ქვეყანაშიაც პირი სარგებლობს იმუნიტეტით.

3. მაკრედიტირებელი სახელმწიფო უარს აცხადებს, უფრო ზუსტად იმუნიტეტს მოუხსნის პირს, რომელიც ამ იმუნიტეტით სარგებლობს.<sup>81</sup>

### **3. იმუნიტეტი არ ნიშნავს მართლმსაჯულებაზე უარისთქმას.**

იურიდიულ ლიტერატურაში, როდესაც ლაპარაკია იმუნიტეტზე, საუბარი ყოველთვის მთავრდება იმით, რომ თუ პირი სარგებლობს იმუნიტეტით, მის წინააღმდეგ არ შეიძლება აღიძრას სარჩელი (საქმე) – იგი ხელშეუხებლობით სარგებლობს.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ მართლმსაჯულება დუმს და არ მოქმედებს? შეუძლია თუ არა იმუნიტეტის მქონე პირმა ჩაიდინოს ნებისმიერი სამართალდარღვევა და მას ვერ დაეკისრება რაიმე პასუხისმგებლობა?

უნდა აღინიშნოს, რომ პირი სარგებლობს იმუნიტეტით იმ უცხო ქვეყანაში, სადაც იგია აკრედიტებული, მაგრამ იგი არ სარგებლობს იმუნიტეტით თავის ქვეყანაში. ეს იმას ნიშნავს, რომ იმუნიტეტის მქონე პირის წინააღმდეგ შეიძლება აღიძრას სარჩელი (საქმე) მის საკუთარ ქვეყანაში, უფრო ზუსტად მისი საკუთარი ქვეყნის სასამართლოში.

<sup>81</sup> საქართველოს “დიპლომატიური სამსახურის შესახებ კანონის” 41-ე მუხლის თანახმად: “1. როტაციის წესით სამუშაო მივლინებაში წარგზავნილი პირი და მისი ოჯახის წევრები საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად სარგებლობენ დიპლომატიური და საკონსულო იმუნიტეტით.

2. პირისა და მისი ოჯახის წევრებისათვის, გარდა დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელისა და მისი ოჯახის წევრებისა, დიპლომატიურ და საკონსულო იმუნიტეტზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მინისტრი.” გამ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 21. 12. 2007 წ. №45.

### III. საერთაშორისო განსჯადობა.

ზემოთ ჩამოთვლილი საფუძვლების დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, გადაწყვეტილების ამლიარებელი ქვეყნის სასამართლოს წინაშე წამოიჭრება საერთაშორისო განსჯადობის საკითხი. მას საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში სამართალწარმოებისათვის აუცილებელ სხვადასხვა წინაპირობებიდან<sup>82</sup>, ცენტრალური ადგილი უჭირავს. მაგ. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 328-ე მუხლის პირველი ნაწილის “ა” პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ:

ა) უცხო ქვეყნის სასამართლოს, გერმანული კანონმდებლობის თანახმად არ გააჩნია კომპეტენცია. (განსჯადობა).<sup>83</sup>

შევიცარიის “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” ფედერალური კანონის 25-ე მუხლის თანახმად, შევიცარია აღიარებს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებას:

ა) თუ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენცია, სადაც იქნა გადაწყვეტილება გამოტანილი, ეჭვს არ იწვევს.<sup>84</sup>

იგივე პრინციპია გავრცელებული ავსტრიაში, იტალიაში და სხვ.

საქართველოს “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 68-ე მუხლის მეორე ნაწილში ცალსახად არის განსაზღვრული განსჯადობის ის შემთხვევები, როდესაც ჩვენი ქვეყნის სასამართლო უარს ამბობს უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების აღიარებაზე:

2. გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ, პირველი:

“ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება;”

და მეორე:

“დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება;”

საერთაშორისო განსჯადობის მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ პროცესში მონაწილე მხარის შუამდგომლობის შედეგად, შეიძლება დადგეს საკითხი უცხო ქვეყანაში სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე, საქართველოში დავის იმავე საგანზე და იმავე მხარეებს შორის უკვე მიმდინარე პროცესის საფუძველით, რაც თავის მხრივ გამოწვეულია კონკურირებადი საერთაშორისო განსჯადობების არსებობით. ეს კი შემდგომში შეიძლება საზღვარგარეთ გამოტანილი გადაწყვეტილებისათვის იურიდიული ძალის მინიჭების, ანუ აღიარებაზე უარის თქმის საფუძველი აღმოჩნდეს.

<sup>82</sup> ასეთ პირობებს განეკუთვნება სასამართლოსადმი უწყებრივი ქვემდებარეობა, ტერიტორიული, გვარეობითი განსჯადობა, ფიზიკური პირების საპროცესო უფლება- და ქმედუნარიანობა და სხვ.

<sup>83</sup> «Гражданское процессуальное уложение Германии». Москва. изд-во «Волтерс Клувер». 2006. ст. 328.

<sup>84</sup> Международное частное право. Иностранное законодательства. изд. СТАТУТ. Москва 2001. с. 633.

აგრეთვე ინტერნეტში, მისამართზე: <http://www.admin.ch/>.

#### IV. საერთაშორისო განსჯადობის ცნება და მნიშვნელობა.

სანამ საერთაშორისო კომპეტენციას, მის არსს და იმ კრიტერიუმებს განვიხილავდეთ, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოში და საზღვარგარეთის ქვეყნებში საერთაშორისო განსჯადობის განსაზღვრის საფუძვლებს, აუცილებლად მიგვაჩნია, მოკლედ შევეხოთ საქართველოს სასამართლოების შიდასახელმწიფოებრივ (შიდაეროვნულ) განსჯადობას. რათა უფრო ნათლად დავინახოთ მათ შორის განსხვავება.

##### 1. შიდასახელმწიფოებრივი განსჯადობა.

იმისათვის, რომ სასამართლომ მხარეთა შორის არსებული დავა განიხილოს და გადაწყვიტოს, პირველ რიგში აუცილებელია, იგი შედიოდეს მის უწყებრივ დაქვემდებარებაში. საქართველოს სსკ-ის მე-11 მუხლი, სწორედ აღნიშნული საკითხის გადაჭრას ეხება, რომელიც საკმაოდ ფართო წრეს მოიცავს, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ არ არის ამომწურავი. აღნიშნული ნორმით განსაზღვრულია სასამართლოს იმ უფლებამოსილებათა სფერო, რომლის ფარგლებში შეუძლია მიიღოს და განიხილოს საქმე. ანუ, „სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა კანონით განსაზღვრულ იმ უფლებამოსილებათა ერთობლიობაა, რომელთა ფარგლებში სასამართლოს შეუძლია მიიღოს და განიხილოს საქმეები.“<sup>85</sup>

როდესაც საქართველოს სასამართლო დადებითად გადაწყვიტავს უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხს, წამოიჭრება მეორე პრობლემა: რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს კონკრეტულად ესა თუ ის საქმე. ამ საკითხის გადასაჭრელად სამოქალაქო საპროცესო სამართალში არსებობს ინსტიტუტი, რომელსაც განსჯადობა<sup>86</sup> ეწოდება.

სხვადასხვა ქვეყნებში სასამართლოთა განსჯადობის მარეგულირებელი ნორმები მეტნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თუმცა ისინი შეიძლება ითქვას, ერთგვაროვნად გამოხატავენ განსჯადობის არსს, კერძოდ სასამართლოებს შორის საქმეთა განაწილების წესს.

განსჯადობის მიზანია გაარკვიოს, სარჩელი რომელმა სასამართლომ უნდა მიიღოს განსახილველად და გადაწყვეტილების გამოსატანად. მისი განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სასამართლოთა ისეთი კომპეტენცია, როდესაც ისინი საქმეს განიხილავენ როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III-ე თავი (მუხლ 13-24) მთლიანად განსჯადობის ინსტიტუტს ეხება. იმ კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც საფუძვლად უდევს საქმის განხილვის მიკუთვნებას კონკრეტულად ამა თუ იმ სასამართლოსადმი, განასხვავებენ ა) გვარეობით<sup>87</sup> და ბ) ტერიტორიალურ<sup>88</sup> განსჯადობას.

<sup>85</sup> თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი. გამ. „სამართალი“, თბილისი 2007 წ. გვ. 23.

<sup>86</sup> Zuständigkeit---გერმან. jurisdiction---ინგლის.

<sup>75</sup> Sachliche Zuständigkeit---გერმან. subject---matter jurisdiction---ინგლის.

<sup>76</sup> ortliche Zuständigkeit---გერმან. venue--- ინგლის.

ა) გვარეობითი განსჯადობა ანაწილებს საქმეების განხილვაზე კომპეტენციას სხვადასხვა დონის (რგოლის) სასამართლოებს შორის.

ისევე როგორც ჩვენი, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში, გვარეობით განსჯადობას ორი კრიტერიუმი უდევს საფუძვლად: 1) დავის საგანი და 2) დავის საგნის ღირებულება; მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლი, რომლითაც დადგენილია მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი სამოქალაქო საქმეები, რომლებიც პირველი ინსტანციით განიხილავენ “ა) ქონებრივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 2000 ლარს, ბ) უდავო და გამარტივებული წარმოების საქმეებს, გარდა შვილად აყვანის, აგრეთვე გამარტივებული წესით გადახდის და ქონების უპატრონოდ ცნობის საქმეებისა, თუ მოთხოვნის ან ქონების ღირებულება არ აღემატება 2000 ლარს,” აგრეთვე საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე დავების გარკვეულ კატეგორიას.

ბ) ტერიტორიულ განსჯადობას ორი მნიშვნელოვანი ფუნქცია გააჩნია:

1. იგი ანაწილებს საქმეების განხილვაზე სასამართლოებს შორის კომპეტენციას ერთი დონის (რგოლის) სასამართლოებს შორის, (ქვეყნის შიგნით განსჯადობა). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე, საქმეებს პირველი ინსტანციით განიხილავენ რაიონული (საქალაქო) სასამართლოები. თითოეული რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც ძირითადად ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას შეესაბამება. აქედან გამომდინარე ტერიტორიული განსჯადობა აწესრიგებს საქმეთა განაწილებას ერთი დონის (რაიონულ ან საქალაქო) სასამართლოებს შორის იმ ტერიტორიის მიხედვით, რომელზეც ვრცელდება ამ სასამართლოს საქმიანობა (კომპეტენცია).

ტერიტორიული განსჯადობის ძირითადი მიზანია საქმეთა თანაბარი განაწილება ერთი დონის სასამართლოებს შორის, მართლმსაჯულების რაც შეიძლება ობიექტურად, სწრაფად და ეკონომიურად განხორციელება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განასხვავებს ტერიტორიული განსჯადობის სხვადასხვა სახეებს. ესენია: 1. საერთო განსჯადობა; 2. განსაკუთრებული განსჯადობა; 3. ხელშეკრულებითი განსჯადობა; 4. ურთიერთდაკავშირებული რამდენიმე საქმის განსჯადობა; 5. ნივთობრივი განსჯადობა და 6. ოჯახური დავების განსჯადობა.

2. ტერიტორიული განსჯადობის მეორე მნიშვნელოვანი ფუნქციის გამოვლინება ხდება სასამართლოების საერთაშორისო განსჯადობის განსაზღვრისას, მისი დადგენისას. ანუ კონკრეტული სახელმწიფოს ზოგადად სასამართლოს ხელისუფლების იურისდიქციისათვის ისეთი საქმის მიკუთვნებას, რომელიც დატვირთულია უცხოური ელემენტით.<sup>89</sup> გამომდინარე იქიდან, რომ თუ ტერიტორიალური განსჯადობის ნორმების თანახმად საქმის განხილვა არ შედის საერთოდ რომელიმე კონკრეტული სასამართლოს კომპეტენციაში, მაშინ იგი არ განეკუთვნება ამ სახელმწიფოს სასამართლოს ხელისუფლების სფეროს.

<sup>89</sup> Geimer r. internationales Zivilprozessrecht. 3. Aufl. Koln: O. Schmidt, 1997 S.268,237.



უნდა აღვნიშნოთ, რომ გვარეობითი და ტერიტორიალური განსჯადობა, ნებისმიერი სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნებში წარმოადგენენ მთავარ საპროცესო ინსტიტუტებს, რომლებითაც განისაზღვრება კონკრეტულ სასამართლოთა კომპეტენცია და სამოქმედო ტერიტორია.

## 2. საერთაშორისო განსჯადობა

საქართველოს სასამართლოების უწყებრივ ქვემდებარეობაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, შედის საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების განხილვა. მაგრამ ამ ურთიერთობების თავისებურებიდან გამომდინარე დგება საკითხი, რომელი ქვეყნის სასამართლომ უნდა განიხილოს დავა. ეს კი თავის მხრივ უკავშირდება ამა თუ იმ სახელმწიფოს სასამართლოების საერთაშორისო განსჯადობას, როგორც დამოუკიდებელ საპროცესო ინსტიტუტს.

ყოველი სახელმწიფოს სასამართლო ხელისუფლება ვრცელდება ამ სახელმწიფო ტერიტორიაზე, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირზე და სახელმწიფო ორგანოებზე. საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლი მე-2 პუნქტის თანახმად: “2. სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.”

მართლმსაჯულების განხორციელება თავის ტერიტორიაზე, სახელმწიფოს სუვერენიტეტის ერთ-ერთ ნიშან-თვისებას წარმოადგენს. სასამართლო აქტების განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი პირობების გარდა რაიმე სხვა პირობების არსებობა საჭირო არ არის. მაგრამ განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე, როდესაც ჩვენი ქვეყნის სასამართლოები განიხილავენ საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს. ასეთ ვითარებაში უპირველეს ყოვლისა წამოიჭრება საკითხი, მხარეებს შორის არსებული რა ურთიერთობა შეიძლება მივაკუთვნოთ საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს. ამისათვის აუცილებელია ორი პირობის ერთდროულად არსებობა: პირველი – ურთიერთობაში უნდა მონაწილეობდეს უცხოური ელემენტი; უცხოური ელემენტი ურთიერთობაში მონაწილეობს, თუ: ა) ურთიერთობის ერთ-ერთი მონაწილე უცხო ქვეყნის მოქალაქე ან იურიდიული პირია; ბ) ასეთი ურთიერთობის ობიექტი არის ნივთი, რომელიც უცხოეთში იმყოფება; გ) იურიდიულ ფაქტს, რომელიც იწვევს სამოქალაქო ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას, ადგილი ჰქონდა უცხოეთში. მეორე --- ურთიერთობის დარეგულირება უნდა ხორციელდებოდეს კერძო სამართლით, (სამოქალაქო სამართლით, საკორპორაციო სამართლით და სხვ.)<sup>90</sup>

საპროცესო სამართლის რა ინსტიტუტთან გვაქვს საქმე, როდესაც ვლაპარაკობთ სასამართლოების საერთაშორისო განსჯადობაზე?

უცხოური ელემენტით დატვირთული დავა, პირველ რიგში მოითხოვს პასუხს, გააჩნია თუ არა საქართველოს სასამართლოებს აღნიშნული

<sup>90</sup> თ. ლილაშვილი. “საერთაშორისო კერძო სამართალი”. გამომც. ჯისიაი“ თბილისი 2001 წ. გვ. 13.

საქმის სამართალწარმოებაზე განსჯადობა (კომპეტენცია), მიუხედავად მისი უწყებრივი დაქვემდებარებისა. ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველი სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს იმ საქმეთა კატეგორიას, რომელთა მიმართაც მას გააჩნია საერთაშორისო კომპეტენცია. ასეთი ვითარებაა საქართველოშიც. “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის II თავი (მუხლები 8-20) მთლიანად ეხება ჩვენი ქვეყნის სასამართლოების საერთაშორისო განსჯადობას. ეს ნორმები წარმოადგენს ცალმხრივ ნორმებს. ისინი ცალსახად, ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავენ საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციას, ანუ ლაპარაკია არა სახელმწიფოთა სასამართლოებს შორის კომპეტენციის განაწილებაზე, არამედ ერთი ქვეყნის სასამართლოების კომპეტენციაზე. ისინი განსხვავდებიან სხვა ორმხრივი საკოლიზიო ნორმებისაგან, რომლებიც მიუთითებენ, რომელი ქვეყნის მატერიალური ნორმები უნდა იქნას გამოყენებული ამა თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობების დროს. საერთაშორისო განსჯადობის ნორმებით მითითება ხდება ქვეყნის არა კონკრეტულად რომელიმე სასამართლოსადმი, რომელიც შემდგომში უკვე შიდასახელმწიფოებრივი (ეროვნული) კანონმდებლობით განისაზღვრება, არამედ მთლიანად ქვეყნის სასამართლო სისტემისადმი, რომელიც მოქმედებს მთლიანად ამ ქვეყნის ტერიტორიაზე. სახელმწიფოს სუვერენიტეტიდან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა ვერ მიუთითებს უცხო სახელმწიფოს სასამართლოებს, თუ როდის გააჩნია მათ საერთაშორისო კომპეტენცია და როდის არა, ისევე, როგორც უცხო სახელმწიფო ვერ განუსაზღვრავს საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენციას.

საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში საერთაშორისო კომპეტენცია ქვეყნის შიგნით სასამართლო განსჯადობისგან იმით განსხვავდება, რომ იგი უპირველეს ყოვლისა განსაზღვრავს, რომელმა ქვეყნის სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს მხარეებს შორის წარმოშობილი დავა<sup>91</sup>. საერთაშორისო განსჯადობა ემსახურება ერთი სახელმწიფოს სასამართლო იურისდიქციის სფეროს განსაზღვრას სხვა სახელმწიფოს სასამართლო იურისდიქციისაგან.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ საერთაშორისო განსჯადობა (კომპეტენცია), როგორც საერთაშორისო სამოქალაქო პროცესის ინსტიტუტი, განსაზღვრავს სასამართლოსადმი უწყებრივად ქვემდებარე, საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოქმნილი რომელი დავები უნდა მიიღოს განსახილველად ქვეყნის სასამართლომ (სასამართლო სისტემამ). ხოლო აღნიშნული საკითხის გადაჭრის შემდეგ, უკვე ეროვნული (შიდასახელმწიფოებრივი) სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დგინდება, ქვეყნის კონკრეტულად რომელი სასამართლოა უფლებამოსილი საქმის წარმოებაზე.

საერთაშორისო განსჯადობასთან დაკავშირებით ყურადღებას იმსახურებს ისეთი პროცესუალური ინსტიტუტი, რომელსაც

<sup>91</sup> „საერთაშორისო კერძო სამართალი ადგენს, თუ რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნას გამოყენებული, საერთაშორისო განსჯადობის შესახებ წესები ადგენს, თუ რომელი ქვეყნის სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს დავა.“ იხ. Kegel Gerhard. Internationales Privatrecht. 6 Auflage. Verlag C. H. Beck. Munchen 1987. s. 684.

განსჯადობის წესების დაცვით მიღებული საქმის შემდგომში სხვა სასამართლოსადმი გადაცემის დაუშვებლობა ეწოდება. (Perpetuatio fori).

მსგავს ინსტიტუტს ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლი, რომლის თანახმად, სასამართლომ განსჯადობის წესების დაცვით თავის წარმოებაში მიღებული საქმე უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს, თუნდაც ეს საქმე შემდგომში სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს. ე. ი. მთავარია სარჩელის წარმოებაში მიღებისას დაცული იქნას განსჯადობის კანონით დადგენილი წესი. ხოლო მომავალში იმ საფუძვლების შეცვლა, რომლებსაც ემყარებოდა კონკრეტული სასამართლოს განსჯადობა, არ უნდა წარმოადგენდეს სხვა სასამართლოსათვის საქმის გადაცემის პირობას. საქმის წარმოება შეიძლება ძალიან გაგრძელდეს, გამომდინარე იქიდან, თუ რამდენჯერ შეიცვლება განსჯადობის საფუძვლები, იქნება ეს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის შეცვლა თუ სხვა.

იგივე პრინციპი ვრცელდება საერთშორისო განსჯადობის შემთხვევაშიც. ანუ, თუ დავა განსჯადობის წესების დაცვით მიღებულია ერთი რომელიმე ქვეყნის სასამართლოს მიერ, შემდგომში განსჯადობის პირობების შეცვლის გამო დაუშვებელია მისი გადაცემა სხვა სახელმწიფოს სასამართლოსადმი.

### 3. საერთაშორისო კომპეტენციის განსაზღვრის პრინციპები

არსებობს სხვადასხვა კრიტერიუმი, რომელთა საფუძველზე, ეროვნული კანონმდებლობით ხდება სახელმწიფოს მიერ თავიანთი სასამართლოებისათვის საერთაშორისო კომპეტენციის დადგენა, მისი საზღვრებისა და სფეროს განსაზღვრა. აღნიშნული კრიტერიუმებზე დაყრდნობით დღეისათვის ჩამოყალიბებულია საერთაშორისო განსჯადობის სამი სისტემა: ა) რომანული, იგივე ლათინური; იგი დაკავშირებულია მხარეთა მოქალაქეობასთან; (საფრანგეთი, ალჟირი.)<sup>92</sup> ბ) გერმანული--განსჯადობა მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (გერმანია, ავსტრია, საქართველო) და გ) საერთო სამართლის--ესაა მოპასუხის ფაქტიური ყოფნა; იგი არ გულისხმობს საცხოვრებელ ადგილს ან ჩვეულებრივ ადგილსამყოფელს, საკმარისია მოკლე ვადითაც კი ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნა, მთავარია შესაძლებელი იყოს მისთვის სარჩელის გადაცემა. (ანგლო-ამერიკული სისტემის მქონე ქვეყნები, ინგლისი, ამერიკა).

ა) რომანული სისტემისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მხარის მოქალაქეობას. ე. ი. თუ დავა ეხება საკუთარი ქვეყნის ფიზიკურ პირს (მოქალაქეს) ან იურიდიულ პირს, მაშინ საქმე უნდა განიხილოს ამ სახელმწიფოს სასამართლოებმა. მაგ. საფრანგეთის სასამართლოს გააჩნია საერთაშორისო განსჯადობა, თუ ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საფრანგეთის მოქალაქე და გარიგება მის მიერ დადებული იქნა საზღვარგარეთ უცხოელთან. (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი მუხ. 15.) “მოქალაქეობის” კანონის მოქმედება კიდევ უფრო ფართოვდება ამავე კოდექსის მე-14 მუხლით, რომლის თანახმად უცხოელი, რომელიც არ ცხოვრობს საფრანგეთში, შეიძლება გამოძახებული იქნას საფრანგეთის სასამართლოში ა) იმ გარიგებასთან დაკავშირებით, რომელიც მან დადო საფრანგეთის მოქალაქესთან საფრანგეთში; ბ) ამასთან ერთად განსჯადობა ვრცელდება აგრეთვე იმ გარიგებებზე, რომლებიც

<sup>92</sup> М. Иссад. Международное частное право. изд. Москва прогресс 1989 г. стр. 229.

დადებული იყო მის მიერ საფრანგეთის მოქალაქესთან სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე.<sup>93</sup>

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონი საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო განსჯადობის განსაზღვრის ერთ-ერთ პრინციპად მიმართავს განსჯადობის ლათინურ (რომანულ) სისტემასაც, რომელიც პირის მოქალაქეობაზეა დაფუძნებული, კერძოდ, ეს არის მე-11– მე-17 მუხლებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობები. აღნიშნული მუხლები ეხება ისეთი სახის საქმეებს, როგორცაა პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება, ქორწინებასთან დაკავშირებული საქმეები, მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობები, შვილად აღიარება, ქმედუნარიანობის შეზღუდვა, მეურვეობა და მზრუნველობა და უცხო ქვეყანაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მიმართ საქმის წარმოების შესაძლებლობა ჩვენს ქვეყანაში.

გ) საქართველოს “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის მე-8 მუხლში ჩამოყალიბებულია ჩვენი ქვეყნის სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის დადგენის ძირითადი პრინციპი, ესაა მოპასუხის საცხოვრებელი ადგილი<sup>94</sup>. ანუ გაზიარებული იქნა გერმანული სისტემა. ამ მუხლის თანახმად: “საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხეს საქართველოში აქვს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.”

იგივე წესი მოქმედებს იურიდიული პირების მიმართაც. თუ იურიდიულ პირის რეზიდენციის ადგილი საქართველოშია, მაშინ დავის განხილვა შედის ჩვენი ქვეყნის სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციაში.

საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი როგორც ნორმის “საბამი” (მიმაგრების ფორმულა)<sup>95</sup>, სხვადასხვა ქვეყნის სამართლის მიერ შეიძლება განსხვავებულად იყოს დაკვალიფიცირებული; საერთაშორისო განსჯადობის საკითხის გარკვევისას აღნიშნული ცნებების მნიშვნელობას ჩვენ შევეხებით ქვემოთ, როდესაც ლაპარაკი გვექნება საერთაშორისო კომპეტენციის ცალკეულ სახეებზე, კერძოდ საერთო განსჯადობაზე.

გ) მესამე სისტემა, ესაა საერთო სამართლის ქვეყნებში გავრცელებული პრინციპი --- სახელმწიფოში მოპასუხის ფაქტიური ყოფნა.

მოპასუხის ფიზიკური ყოფნა (თუნდაც მოკლევადიანი) და მისთვის სასამართლო უწყების პირადად ჩაბარება საკმარისი პირობაა იმისა, რომ საქმეზე ინგლისის სასამართლოს გააჩნდეს საერთაშორისო კომპეტენცია.

<sup>93</sup> უნდა აღვნიშნოთ, რომ ბრიუსელის და ლუგანოს კონვენციების საფუძველზე განსჯადობის განსაზღვრის ეს წესი არ მოქმედებს ამ კონვენციების სახელმწიფოების მიმართ, მაგრამ სხვა ქვეყნებთან მიმართებაში იგი ჩვეულებრივ შეიძლება განხორციელდეს.

<sup>94</sup> ლუგანოს კონვენციის პირველი მუხლის თანახმად: „იმ პირების მიმართ, რომლებსაც გააჩნიათ domicilia (საცხოვრებელი ადგილი) კონვენციის მონაწილე სახელმწიფოში, დამოუკიდებლად მათი მოქალაქეობისა, სარჩელი შეიძლება აღიძრას ამ სახელმწიფოში.“

<sup>95</sup> გერმან. Anknüpfungsmoment

თუ მხარისთვის უწყების ჩაბარება ვერ განხორციელდება იქიდან გამომდინარე, რომ იგი იმყოფება საზღვარგარეთ, მის წინააღმდეგ სასამართლოში არანაირი საქმის წარმოება დაწყება არ შეიძლება. ამასთან ერთად, სანიუთო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე სარჩელების შემთხვევაში “ფაქტიურ ყოფნაში” მოიაზრება მოპასუხის ქონების არსებობა ქვეყნის ტერიტორიაზე.

აუცილებელია აღვნიშნოთ ისიც, რომ ინგლისის სასამართლოებს გააჩნიათ საერთაშორისო განსჯადობა ისეთ საქმეებზე, როდესაც ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს უცხოელი ფიზიკური ან იურიდიული პირი, მიუხედავად იმისა იმყოფებიან ისინი ინგლისის ტერიტორიაზე და გააჩნიათ თუ არა მათ ქონება ამ ქვეყანაში. ასეთი საქმეებზე საერთაშორისო განსჯადობის არსებობისათვის აუცილებელია ერთ-ერთი მოთხოვნა მაინც არსებობდეს სახეზე, კერძოდ, დავის საგანს უნდა წარმოადგენდეს ხელშეკრულების (კონტრაქტის) შესრულება, შეწყვეტა, ძალადაკარგულად აღიარება ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, ან და ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეული კომპენსაციის მიღების სხვა საშუალებები, თუ ა) გარიგების ნამდვილობა განისაზღვრება ინგლისის სამართლით; ბ) გარიგება დადებულია წარმომადგენლის მიერ, რომლის საქმიანობის ადგილი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ინგლისშია და რომელზეც ვრცელდება ამ ქვეყნის სამართალი;<sup>96</sup> გ) სახელშეკრულებო (საკონტრაქტო) ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების განსაზღვრა ექვემდებარება ინგლისის სამართლის იურისდიქციას;<sup>97</sup> დ) ხელშეკრულებით (კონტრაქტით) განსაზღვრულია მხარეთა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ინგლისის უმაღლეს სასამართლოს გააჩნია საერთაშორისო კომპეტენცია საქმის განხილვაზე და გადაწყვეტილების გამოტანაზე.<sup>98</sup>

აღნიშნული წესები საერთო სამართლის სისტემის მრავალ ქვეყანაშია გავრცელებული და მათ რიცხვს მიეკუთვნება აშშ-იც. მათ საფუძველზე, სასამართლო (მოსამართლე) იღებს გადაწყვეტილებას სასამართლო დოკუმენტების მოპასუხისათვის გადაცემის თაობაზე, რის გამოც ნიშნავს უფლებამოსილ პირს, რომელსაც უნიშნავს გარკვეულ ვადას.

გამომდინარე საერთაშორისო განსჯადობის განსაზღვრის განსხვავებული კრიტერიუმებისა, რომლებსაც სხვადასხვა ქვეყნები მიმართავენ, საერთაშორისო კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების პრაქტიკაში ხშირად შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ ვითარებას, როდესაც დავის განხილვა შედის ორი ან მეტი სახელმწიფოს საერთაშორისო კომპეტენციაში. მსგავს სიტუაციას საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში “იურისდიქციის კონფლიქტი” ეწოდება.

#### **4. შეთანხმებები საერთაშორისო კომპეტენციაზე.**

საქართველოს “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის მე-18 მუხლი განსაზღვრავს ისეთ შემთხვევას, როდესაც მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის წამოჭრილი დავა განიხილოს და გადაწყვიტოს საქართველოს (1-ლი და მე-2 პუნქტები) ან სხვა ქვეყნის სასამართლომ, (მე-3 და მე-4 პუნქტი). კერძოდ:

<sup>96</sup> შეადარ. საქართველოს “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 28-ე მუხ.

<sup>97</sup> შეადარ. ამავე კანონის 35-ე მუხ.

<sup>98</sup> შეადარ. ამავე კანონის 18-ე მუხ.

“3. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ უცხო ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე, თუ ერთ-ერთ მათგანს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი უცხო ქვეყანაში აქვს. ასეთ შეთანხმებაზე შესაბამისად ვრცელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტი.

4. შეთანხმებები ამ კანონის მე-10-16 მუხლებით გათვალისწინებული კომპეტენციის თაობაზე ბათილია. ასეთ შემთხვევაში ამ მუხლის მე-2 პუნქტი არ გამოიყენება.”

მხარეთა შორის ასეთი სახის შეთანხმება, იმის მიხედვით თუ რა შედეგი დგება, ორი სახის არსებობს: ა) პროროგაციული და ბ) დეროგაციული.

პროროგაციულია შეთანხმება როდესაც მხარეები თანხმდებიან რამდენიმე ქვეყნის განსჯადი სასამართლოდან აირჩიონ კონკრეტული ქვეყნის სასამართლო, მათ შორის წარმოქმნილი ან მომავალში წარმოშობილი დავის გადასაწყვეტად. მაგ. ზემოთ აღნიშნული მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციაზე.

სასამართლოს განსჯადობაზე შეთანხმებას ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლიც, რომლის თანახმად, თუ არ არის ერთმნიშვნელოვნად დადგენილი განსჯადი სასამართლო, მაშინ მხარეებს შეუძლიათ შეთანხმების გზით დაადგინონ სასამართლოს განსჯადობა. შეთანხმება კი მხოლოდ წერილობით უნდა იყოს შედგენილი. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს მხოლოდ ქვეყნის შიგნით სასამართლოს არჩევას, მაშინ როდესაც პროროგაციული შეთანხმების დროს ხდება მთლიანად სახელმწიფოს, ქვეყნის სასამართლო სისტემის არჩევა.

საქართველოს “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონით მხარეებს ეძლევათ ფართო შესაძლებლობა პროროგაციული შეთანხმებით ჩვენი ქვეყნის სასამართლოების განსჯადობას დაუქვემდებარონ ისეთი დავების განხილვაც, რომლებიც კანონმდებლობის თანახმად არ შედის მათ საერთაშორისო კომპეტენციაში.

მხარეთა შორის შეთანხმების ფორმის ორ შესაძლო შემთხვევას ითვალისწინებს კანონი, ესაა “ა) წერილობით ან სიტყვიერად, წერილობითი დადასტურებით;” და “ბ) საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებისას იმ ფორმით, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სავაჭრო ჩვეულებებს და რაც მხარეებისათვის ცნობილია ან ცნობილი უნდა ყოფილიყო.”<sup>99</sup> ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს შეთანხმების ფორმას. კერძოდ, 21-ე მუხლიდან გამომდინარე, იგი მხოლოდ წერილობითი ფორმით უნდა იყოს ჩამოყალიბებული. ე. ი. შეთანხმება იქნება სხვადასხვა ქვეყნის ფიზიკურ პირებსა თუ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში მონაწილე იურიდიულ პირებს შორის, იგი უნდა გაფორმდეს წერილობით. ამავე დროს შეთანხმება

<sup>99</sup> როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ჩვეულება“-როგორც სამართლის წყარო, შეიძლება გამოხატულ იქნეს როგორც პრაქტიკაში გამოყენებით, ასევე კანონში გაწერილი ფორმით ან დიპლომატიური გზით. ამ შემთხვევაში, სავაჭრო ურთიერთობებში ჩამოყალიბებული „ჩვეულებები“, რომლებსაც ითვალისწინებს საქართველოს სკს-ის შესახებ კანონი, წარმოადგენს სამართლის წყაროს.

უნდა დაიდოს სარჩელის აღძვრამდე და აღძვრის შემდეგ მას უნდა დაერთოს.

საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ მაშინაც, როდესაც “მოპასუხე სასამართლოს კომპეტენტურობაზე პროტესტის გარეშე თანხმდება პროცესში მონაწილეობაზე,” ანუ როდესაც არ არსებობს მხარეთა შორის შეთანხმება სასამართლოს განსჯადობის თაობაზე.

მსგავს შემთხვევას ითვალისწინებს საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილიც. არაგანსჯადი სასამართლო გახდება განსჯადი იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე თანახმაა არაგანსჯადმა სასამართლომ განიხილოს საქმე და იგი მონაწილეობს სამართალწარმოებაში. ამასთან ერთად, მოპასუხე შეიძლება წარმოდგენილი იყოს ადვოკატით, მაგრამ თუ მას არ ჰყავს ადვოკატი, უნდა მიეცეს განმარტება, რომ თუ ის სასამართლოს არაგანსჯადობის გამო საქმის განხილვის წინააღმდეგ არ გამოთქვამს პროტესტს, შემდგომში მის მიერ აღნიშნული საფუძველით სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება არ იქნება ზემდგომი სასამართლოს მიერ გაზიარებული.

ისევე, როგორც სამართალწარმოებაში მონაწილეობაზე მოპასუხის თანხმობა, ასევე სასამართლოს მიერ განმარტების მიცემაც უნდა დაფიქსირდეს სასამართლო ოქმში.

ანალოგიური წესები ვრცელდება, საერთაშორისო კერძო სამართლებრივი დავების არსებობის შემთხვევაშიც.

ბ) დეროგაციული შეთანხმების საფუძველზე, საერთაშორისო კომპეტენციის განმსაზღვრელი ნორმების თანახმად საქმის განხილვაზე განსჯადი ქვეყნის სასამართლო ხდება არაგანსჯადი.

საქართველოს მაგალითზე უნდა ითქვას, რომ კანონმდებლობით ასეთი შეთანხმება პირდაპირ არ არის აკრძალული. რაც იმას ნიშნავს, რომ გამორიცხული არ არის მხარეებს შორის მოხდეს დეროგაციული შეთანხმება. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის საფუძველზეც, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ უცხო ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე, თუ ერთ-ერთ მათგანს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი უცხო ქვეყანაში აქვს. ასეთი შეთანხმება მართალია თავისი არსით პროროგაციულია, გამომდინარე იქიდან რომ ხდება უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განსჯადობაზე საქმის განხილვის დაქვემდებარება, მაშინ როცა კანონის თანახმად დავის გადაწყვეტაზე ეროვნულ სასამართლოსაც გააჩნია კომპეტენცია, მაგრამ ის არ გამორიცხავს დეროგაციული შეთანხმების დადებას ჩვენი ქვეყნის სასამართლოების მიმართ. ამასთან ერთად, უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე სახის შეთანხმების ფარგლები შეზღუდულია ამავე პუნქტით განსაზღვრული დანაწესის საფუძველზე, კერძოდ, აუცილებელია, რომ ერთ-ერთ მხარეს გააჩნდეს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია (იურიდიული პირის შემთხვევაში) ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი უცხო ქვეყანაში. თუ ამ პირობიდან არ არსებობს ერთი მაინც შეთანხმების დადება დაუშვებელია, ანუ გამოიწვევს მის ბათილობას.

ბათილობას იწვევს აგრეთვე უცხო ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე დადებული შეთანხმებები, რომლითაც ხდება საქართველოს სასამართლოების განსაკუთრებული საერთაშორისო

კომპეტენციის (მუხ.10) უგულებელყოფა, ან და მოქალაქეობის კრიტერიუმით განსაზღვრულ (მე-11---16 მუხლები) საერთაშორისო განსჯადობაზე გვერდის ავლა.

ყველა ეს საფუძველი შეიძლება განესაზღვროთ, როგორც მხარეთა შორის განსჯადობის თაობაზე შეთანხმების წინაპირობები. ანუ თუ იარსებებს რომელიმე მათგანი, შეთანხმებას არ ექნება იურიდიული ძალა.

ამასთან ერთად, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი. მხარეთა შორის განსჯადობაზე შეთანხმება, სხვა არაფერია, თუ არა მათ შორის ხელშეკრულების დადება, რომლის მიმართ მოქმედებს როგორც მატერიალური, ასევე პროცესუალური სამართალი. კერძოდ, მისი ძალაში შესვლა, შესრულება, შეწყვეტა და სხვ. განისაზღვრება მხარეების მიერ არჩეული ქვეყნის მატერიალური სამართლით (Lex causae). ხოლო, მისი დაშვებადობა სამოქალაქო სამართალწარმოებაში, ანუ ის, რომ სასამართლომ გაითვალისწინოს მათ შორის არსებული შეთანხმება და დაიწყოს საქმის წარმოება, ან პირიქით შეწყვიტოს, ექვემდებარება პროცესუალურ სამართალს (Lex fori). მაგ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სსკ-ის 21-ე მუხლით დადგენილია შეთანხმების ან წერილობითი ფორმა, ან მხარის მონაწილეობა პროტესტის გამოთქმის გარეშე, იმ პირობებით, რომლებიც უკვე განვიხილეთ.

## V. საქართველოს სასამართლოების განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი სასამართლოების შიდასახელმწიფოებრივი განსჯადობის სხვადასხვა სახეებს შორის ითვალისწინებს განსაკუთრებულ განსჯადობასაც. (მუხ. 16). განსაკუთრებული განსჯადობა --- ეს ისეთი განსჯადობაა, რომელიც უშვებს სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას მხოლოდ ერთ რომელიმე სასამართლოში და კრძალავს სხვა სასამართლოში მისი აღძვრის შესაძლებლობას. ამით განსხვავდება იგი ალტერნატიული განსჯადობისაგან, რომელიც უშვებს სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას რამდენიმე განსჯადი სასამართლოდან ერთ-ერთში. სსკ-ის მე-16 მუხლი მთლიანად განსაკუთრებულ განსჯადობას ეხება, მხოლოდ ერთი გამონაკლისის გარდა, კერძოდ ამ მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებს ალტერნატიულ განსჯადობასაც: “თუ მამკვიდრებელი საქართველოს მოქალაქეა, მაგრამ გარდაცვალების მომენტისათვის იგი საზღვარგარეთ ცხოვრობდა, სასამართლოში სარჩელი შეიძლება აღიძვრას საქართველოში მისი უკანსკენელი საცხოვრებელი ადგილის ან სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით.”

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სსკ-ის მე-16 მუხლი ამომწურავად ჩამოთვლის საქმეთა იმ კატეგორიას, რომელთა მიმართ ვრცელდება განსაკუთრებული განსჯადობა.

როგორც წესი, სხვადასხვა ქვეყნის საპროცესო კანონმდებლობა თვითონ განსაზღვრავს ქვეყნის შიგნით განსაკუთრებული განსჯადობით განსახილველ საქმეთა წრეს. რა თქმა უნდა აღნიშნული კატეგორიის დაგები შეიძლება საკმაოდ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თუ რა განსხვავებაა სასამართლოების შიდასახელმწიფოებრივი (ეროვნული) განსჯადობასა და საერთაშორისო განსჯადობას შორის. ქვეყნის შიგნით სასამართლოების



განსაკუთრებული განსჯადობაც ასევე განსხვავდება საერთაშორისო განსაკუთრებული განსჯადობისაგან.

განსაკუთრებული საერთაშორისო განსჯადობა ესაა განსჯადობა, რომელიც უშვებს სარჩელის აღძვრას მხოლოდ ერთი რომელიმე ქვეყნის სასამართლოში. ანუ თუ საქართველოს სასამართლოს გააჩნია საქმეზე საერთაშორისო განსაკუთრებული განსჯადობა, მხოლოდ ჩვენი ქვეყნის სასამართლომ უნდა განიხილოს იგი და გადაწყვიტოს. ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ჩვეულებრივი განსჯადობისას, შეიძლება ითქვას, რომ განსხვავებაა მასშტაბებშია.

განსაკუთრებული განსჯადობის პრინციპის დაცვას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა საქართველოში ცნობასა და აღსრულებასთან. საქართველოს “საერთაშორისო კერძო სამართლის” შესახებ კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: “2) გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება;”

ის, თუ რა სახის კატეგორიის საქმეები შედის ჩვენი ქვეყნის სასამართლოების განსაკუთრებულ საერთაშორისო განსჯადობაში, მოცემულია სკს-ის შესახებ კანონის მე-10 მუხლში. კერძოდ, დავებზე, რომლებიც ეხება:

“ა) უძრავ ქონებას, თუ ეს ქონება საქართველოშია; <sup>100</sup>”

იმ უძრავი ქონების იურიდიული კვალიფიკაციისათვის, რომელიც იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე, გამოყენებული უნდა იქნას ჩვენი ქვეყნის სამართალი. სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლის თანახმად: “უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.” აღნიშნული ქონების მიმართ ნებისმიერი დავა, (წამოშობილი საიჯარო ურთიერთობებიდან, ქირავნობის ხელშეკრულებებიდან და ა. შ.) განხილული უნდა იქნას მხოლოდ საქართველოს სასამართლოების მიერ. მათ რიცხვში შედის აგრეთვე სარჩელები, რომელთა დავის საგანს წარმოადგენს საჯარო რეესტრში ჩანაწერთა სისწორე.

“ბ) იურიდიული პირის ან მისი ორგანოს გადაწყვეტილებათა ნამდვილობას ან შეწყვეტას, როცა ამ იურიდიული პირის ან მისი ორგანოს რეზიდენცია საქართველოშია”.<sup>101</sup>

<sup>100</sup> შეად. “Брюссельская конвенция по вопросам юрисдикции и принудительного исполнения судебных решений в отношении гражданских и коммерческих споров”, მუხ. 16.პუნქტ. 1(ა) და 3

აგრეთვე ლუგანოს კონვენციის მე-16 მუხლი პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, მხარის საცხოვრებელი ადგილისგან დამოუკიდებლად, განსაკუთრებული განსჯადობა გააჩნია შემდეგ სასამართლოებს: „იმ დავებზე, რომლის საგანს წარმოადგენს უძრავ ქონებაზე უფლება ან საიჯარო ურთიერთობა ამ ქონებაზე—იმ ხელშეკრული სახელწმიფოს სასამართლოს, სადაც იმყოფება ეს ქონება.”

<sup>101</sup> შეადარე ლუგანოს კონვენცია მუხ. 16. პ.2. „დავებზე, რომლის საგანს წარმოადგენს იურიდიული პირის, იურიდიული პირების ან ფიზიკური პირების ასიციაციათა კანონიერება, კომპანიის ნამდვილობა ან ლიკვიდაცია, ან მათ ორგანოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები – განსაკუთრებული განსჯადობა გააჩნიათ იმ ხელშეკრულ სახელმწიფოთა სასამართლოებს, სადაც აქვთ მათ ადმინისტრაციას ადგილსამყოფელი.”

აგრეთვე ბრიუსელის კონვენციის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი

როგორც ცნობილია კონტინენტური ევროპის სამართალში იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც იურიდიული პირის ადმინისტრაციას აქვს ფაქტობრივი ადგილსამყოფელი, (ბინადრობის თეორია; Sitztheorie).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად: “იურიდიული პირის ადგილსამყოფლად ითვლება მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი. იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი).” აქედან გამომდინარე, თუ იურიდიული პირის ცენტრალური ადმინისტრაციის მისამართი საქართველოს ტერიტორიაზეა, მაშინ მისი ან მისი ორგანოს გადაწყვეტილებებზე დავების განხილვა შედის ჩვენი ქვეყნის სასამართლოების განსაკუთრებულ განსჯადობაში. ეს უკანასკნელი ვრცელდება აგრეთვე ისეთ შემთხვევებზე როგორცაა იურიდიული პირის შექმნა, რეორგანიზაცია (გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა) და ლიკვიდაცია.<sup>102</sup>

“გ) საქართველოს სასამართლოების ან სხვა ორგანოების მიერ იურიდიული პირების რეგისტრაცია.”<sup>103</sup>

არასამეწარმეო იურიდიული პირების რეგისტრაცია ხორციელდება სახელმწიფო რეესტრში, რომელსაც აწარმოებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო. ხოლო სამეწარმეო იურიდიული პირების რეგისტრაციას სამეწარმეო რეესტრში ახორციელებს საგადასახადო ორგანო საწარმოს ადგილსამყოფელის მიხედვით.

სამეწარმეო რეესტრი არის საჯარო ნუსხა იმ ფაქტებისა, რომელთაც ეკონომიკურ ურთიერთობებში სამართლებრივი მნიშვნელობა აქვთ. ამავე დროს რეგისტრაცია სავალდებულოა არა მხოლოდ საწარმოთა დაფუძნებისას, არამედ რეგისტრაციისათვის სავალდებულო ფაქტების ყოველი ცვლილებისას. იგი შეიძლება შეეხებოდეს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლას, საწარმოს ადგილსამყოფელის (იურიდიული მისამართის) შეცვლას, პარტნიორების შეცვლას, დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს შეცვლას და ა. შ. ყველაფერ ამას შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა აღმოაჩნდეს ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა თუ შემდგომი ურთიერთობების განვითარებისას. ამიტომ თუ დავა ეხება მაგ. იურიდიული პირების რეგისტრაციის სავალდებულო ფაქტების ან ცვლილებების (პარტნიორთა შეცვლა, საწესდებო კაპიტალის ან თითოეული პარტნიორთა წილის ცვლილება) კანონიერებას, დავის განხილვა განეკუთვნება საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციას.

დავა შეიძლება ეხებოდეს აგრეთვე:

“დ) პატენტის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა უფლების რეგისტრაციას, როცა ამ უფლებათა რეგისტრაცია ან რეგისტრაციის მოთხოვნა საქართველოში განხორციელდა.”<sup>104</sup>

<sup>102</sup> საქართველოს “მეწარმეთა შესახებ” კანონის მე-14 მუხლით გათვალისწინებული ქმედებები.

<sup>103</sup> ლუგანოს კონვენციის მე-16 მუხ. მე-3 პ. „დავებზე, რომლის საგანს წარმოადგენს სახელმწიფო რეესტრში ჩანაწერთა კანონიერება – განსაკუთრებული განსჯადობა გააჩნიათ იმ სახელმწიფოს სასამართლოს, სადაც იწარმოება ეს რეესტრი.”

<sup>104</sup> ლუგანოს კონვენცია მუხ. 16. პ. 4. „დავებზე, რომლის საგანია პატენტის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა მსგავსი ისეთი უფლება, რომელიც მოითხოვს დეპონირებას ან

საქართველოში პატენტის, სასაქონლო ნიშნის ან სხვა ინტელექტუალური საკუთრების რეგისტრაციაზე უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი -- “საქპატენტი”. იგი სამართლებრივად უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ფიზიკური და იურიდიული პირების ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებს. როდესაც დავა ეხება “საქპატენტის” მიერ ფიზიკურ ან იურიდიული პირზე რეგისტრირებულ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების შექმნას, გამოყენებასა და სამართლებრივ დაცვას, აგრეთვე მათთან დაკავშირებით წარმოქმნილ ქონებრივ და არაქონებრივ ურთიერთობებს, საქმის განხილვა შედის ჩვენი ქვეყნის სასამართლოების განსაკუთრებულ საერთაშორისო კომპეტენციაში.

“ე) იძულებითი აღსრულების დონისძიებებს, როცა მათი მოთხოვნა ან განხორციელება საქართველოში მოხდა.”<sup>105</sup>

სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს წაგებული მხარის მიერ ნებაყოფლობით, მაგრამ თუ ასე არ ხდება, მაშინ კანონმდებლობით გათვალისწინებულია სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება, კერძოდ “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” კანონის მე-2 მუხლის “ა” და “ი” პუნქტების თანახმად აღსრულებას ექვემდებარება:

“ა) კერძო სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება;

“ი) სხვა სახელმწიფოს სასამართლოს, აგრეთვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომელთა აღსრულებაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.”

ამავე კანონით გათვალისწინებულია კრედიტორისა და მოვალის უფლებამოსილებანი. (მუხ. 18). რომელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს აღმასრულებლის მოქმედებათა სასამართლოში გასაჩივრების უფლება.

თუ მხარე აღძრავს სარჩელს ასეთი კატეგორიის დავაზე, მისი გადაწყვეტა მხოლოდ საქართველოს სასამართლოების კომპეტენციას განეკუთვნება. გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლო გადაწყვეტილებათა იძულებითი აღსრულება, წარმოადგენს სახელმწიფოს სუვერენული, უზენაესი ხელისუფლების განხორციელების აქტს და თითოეული ქვეყანა თავისი კანონმდებლობით დამოუკიდებლად განსაზღვრავს აღსრულების წესსა და პირობებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ შემდგი დასკვნა. უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო სასამართლოთა განსაკუთრებული განსჯადობა განისაზღვრება შემდეგი საფუძვლებით: ა) გამოსაყენებელი სამართლისა და სასამართლოს იურისდიქციული კომპეტენციის თანხვედრა, იმ მოსაზრებით, რომ უძრავ ქონებაზე უფლება-მოვალეობების მარეგულირებელი ნორმები, ატარებენ

---

რეგისტრაციას – განსაკუთრებული განსჯადობა გააჩნია იმ მონაწილე ქვეყნის სასამართლოს, სადაც ადგილი ჰქონდა რეგისტრაციის მოთხოვნას, ან მოხდა რეგისტრაცია, ან საერთაშორისო კონვენციის თანახმად, ითვლება რომ ადგილი ჰქონდა ასეთ ფაქტს.”

<sup>105</sup> ლუგანოს კონვენცია, მუხ. 16. პ. 5. „დავებზე, რომლის საგანია იძულებითი აღსრულების დონისძიებები, განსაკუთრებული განსჯადობა გააჩნია იმ ქვეყნის სასამართლოს, სადაც მოხდა ან უნდა მოხდეს იძულებითი აღსრულება”

მსგავს წესს მოიცავს. ბრიუსელის კონვენციის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტი.

იმპერატიულ ხასიათს. ბ) ამ საფუძველით, შედარებით უფრო სრულყოფილი მართლმსაჯულების განხორციელების შესაძლებლობა და გ) გადაწყვეტილების აღსრულების უფრო ფართო შესაძლებლობებით.

ზოგადად კი, ქვეყნის საერთაშორისო განსაკუთრებული განსჯადობა ვლინდება იმ შემთხვევაში, როდესაც აშკარაა იმ სახელმწიფოს სასამართლოს როგორც ტერიტორიული, ასევე რაც მნიშვნელოვანია სამართლებრივი სიახლოვე, კავშირი დავასთან, სადაც იმყოფება ან/და რეგისტრირებულია დავის საგანი.

## **VI. უცხო ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო განსჯადობის დადგენა.**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უცხო სახელმწიფოს სასამართლოსათვის საერთაშორისო განსჯადობის არსებობა წარმოადგენს ერთ-ერთ იმ უმნიშვნელოვანეს პირობას, რომლის საფუძველზეც ხდება შემდგომში ამ სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება. ამლიარებელი ქვეყნის სასამართლო თავისი თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ვალდებულია შეამოწმოს ამ გადაწყვეტილების გამომტანი სახელმწიფოს სასამართლოს განსჯადობა. ამასთან დაკავშირებით, საერთაშორისო განსჯადობის განსაზღვრის ორ ურთიერთდაკავშირებული პრინციპი შეიძლება განვასხვავოთ, რომლებიც სხვადასხვა მიზანს ემსახურება.

პირველი პრინციპის თანახმად, განსჯადობის შემოწმება გულისხმობს საქმის განხილვაზე და გადაწყვეტილების გამოტანაზე ქვეყნის შიგნით სასამართლოს კომპეტენციას დადგენას. ანუ შედის თუ არა მხარეებს შორის წარმოშობილი დავის განხილვა კონკრეტული სახელმწიფოს სასამართლოს იურისდიქციაში. მაგ. საქართველოს “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის მე-2 თავში ჩამოყალიბებული ნორმები განსაზღვრავენ უცხოური ელემენტით დატვირთულ ისეთ საქმეებს, რომელთა განხილვაზე და გადაწყვეტილების გამოტანაზე ჩვენი ქვეყნის სასამართლოებს უშუალოდ გააჩნიათ საერთაშორისო კომპეტენცია. ანუ, თუ ამ ნორმებით დაგენილი წესებიდან რომელიმე არ არსებობს, მაშინ საქართველოს სასამართლოში სარჩელის აღძვრა დაუშვებელია.

აქვე მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღვნიშნოთ ისიც, რომ იურიდიულ მეცნიერებაში არსებობს სხვადასხვა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი სახის განსჯადობა უნდა შეამოწმოს პირველ რიგში სასამართლომ, საერთაშორისო და შემდეგ შიდასახელმწიფოებრივი ტერიტორიული განსჯადობა თუ პირიქით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ანალიზის შედეგად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ადგილი შეიძლება ჰქონდეს ორ შემთხვევას:

ა) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის თანახმად სასამართლო არ მიიღებს სარჩელს, თუ “საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის;” აქედან გამომდინარე მხოლოდ იმ სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს საერთაშორისო განსჯადობის საკითხი, რომელსაც გააჩნია გვარეობითი ან ტერიტორიალური განსჯადობა საქმეზე. ამავე დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისიც, რომ აღნიშნული საფუძველით სარჩელის არ მიღებისას, სასამართლო ვალდებულია მიუთითოს განჩინებაში, თუ რომელ სასამართლოს შეუძლია მოსარჩელემ მიმართოს; (მუხ. 187). ე. ი.

სასამართლო ამოწმებს ჯერ შიდასახელმწიფოებრივ განსჯადობას, ხოლო შემდეგ საერთაშორისო კომპეტენციას.

ბ) თუ საქართველოს სასამართლოსათვის არ არის ერთმნიშვნელოვნად დადგენილი შიდასახელმწიფოებრივი ტერიტორიული განსჯადობა, მაშინ მას შეუძლია გადაწყვიტოს საერთაშორისო განსჯადობის საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ამაზე თანახმა იქნებიან, ან მოპასუხე არ არის ამის წინააღმდეგი. (სსკ-ის 21-ე მუხ. ანალოგია).

საერთაშორისო განსჯადობის შემოწმების მეორე პრინციპი გარკვეული თვალსაზრისით შეფასებით წესებად შეიძლება ჩაითვალოს. მათი გამოყენებით ხდება უცხო ქვეყნის სასამართლოსათვის კომპეტენციის დადგენა, ანუ ფლობდა თუ არა უცხო ქვეყნის სასამართლო იმ გადაწყვეტილების გამოტანაზე კომპეტენციას, რომელიც აღიარებული უნდა იქნეს ქვეყნის (საქართველოს) შიგნით.<sup>106</sup>

განსჯადობის შემოწმების აღნიშნული წესის გამოყენებას ითვალისწინებს საქართველოს “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის “დ)” ქვეპუნქტი, რომლის თანახმად გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ:

“დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება.”

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსამართლე, თავისი “თანამდებობრივი მდგომარეობიდან” გამომდინარე და არა მარტო მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, ვალდებულია შეამოწმოს გადაწყვეტილების აღიარებისას საქმეზე გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენტურობა.

როგორ უნდა განხორციელდეს უცხო სახელმწიფოს სასამართლოს საერთაშორისო განსჯადობის დადგენა?

უცხო ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო განსჯადობის განსაზღვრისათვის საქართველოს სასამართლო ამოწმებს: ა) – დავის განხილვა შედის თუ არა ჩვენი ქვეყნის სასამართლოების განსაკუთრებულ განსჯადობაში, ხოლო უარყოფითი დასკვნის შემდეგ დგინდება ბ) ფლობს თუ არა უცხო სახელმწიფოს სასამართლო საქმეზე საერთაშორისო განსჯადობას. ანუ საქმე გვაქვს ორსაფეხურიან შეფასებითი წესების (საერთაშორისო განსჯადობის შემოწმების) გამოყენებასთან.

შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონში ჩამოყალიბებული ნორმები საერთაშორისო განსჯადობის შესახებ ასრულებენ ორმაგ ფუნქციას, პირველი --- ისინი პირდაპირ, უშუალოდ ადგენენ ჩვენი ქვეყნის სასამართლოსადმი მიმართვის საფუძვლებს, ხოლო მეორე მხრივ არაპირდაპირ ეწინააღმდეგებიან უცხო ქვეყნის სასამართლოთა ისეთი გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას, რომლებიც გამოტანილია საქმეზე, რომელთა განხილვა ჩვენი კანონმდებლობის თანახმად შედის საქართველოს სასამართლოების განსაკუთრებულ განსჯადობაში. ე. ი. თუ საქართველოს “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის

<sup>106</sup> H. Schack Internationales Zivilverfahrensrecht. Moskau Verlag Beck, 2001 s.88

მე-10 მუხლში ჩამოყალიბებული ნორმების შესაბამისად, დავის განხილვა განეკუთვნება საქართველოს სასამართლოების განსაკუთრებულ საერთაშორისო კომპეტენციას, ასეთ საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა ვერ მოხდება, რადგან ისინი განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნას მხოლოდ საქართველოს სასამართლოების მიერ.

## 2.1. მხარისათვის უწყების ჩაბარების გზით სასამართლოში გამოძახების მნიშვნელობა

საქართველოს “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 68-ე მუხლის მეორე პუნქტის “ბ” ქვეპუნქტიდან გამომდინარე, აღიარებაზე უარის თქმის საფუძველია, როდესაც:

“ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები;”<sup>107</sup>

მხარეებისათვის, სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ უწყების გზით შეტყობინების დიდ მნიშვნელობას, საზღვარგარეთის ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა აღიარებს. მათ შორისაა საქართველოც.

სამართლებრივი დახმარების გაწევისას, უწყების ჩაბარების წესსა და მექანიზმებს ჩვენ ზემოთ უკვე შევხებით. ამჯერად შევეცდებით ავსხნათ, რატომ იწვევს ამ პრინციპის დარღვევა საქართველოს მხრიდან უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღიარებაზე უარის თქმას.

აღნიშნული წესის დაუცველობა სამოქალაქო პროცესის სხვა ფუნდამენტური პრინციპების დარღვევას იწვევს. ჩვენი ქვეყნის მაგალითზე თუ განვიხილავთ, საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად:

“1. სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრობითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.”

სასამართლო უწყება, როგორც ცნობილია “არის ის ძირითადი საპროცესო დოკუმენტი, რომლის მეშვეობითაც მხარეებს და მათ წარმომადგენლებს ეცნობებათ არამარტო სასამართლო სხდომის, არამედ, აგრეთვე, ცალკეული საპროცესო მოქმედების (მაგ. ადგილზე დათვალიერების, მტკიცებულებათა უზრუნველყოფის და სხვა)

<sup>107</sup> ლუგანოს კონვენცია, მუხ. 27. პ. 2. „2. მოპასუხე არ იყო სათანადოდ გაფრთხილებული სასამართლო სხდომის თაობაზე უწყების ჩაბარების გზით და იმ ვადით, რათა მომზადებულიყო თავის დასაცავად”.

შესრულების დრო და ადგილი. უწყება ეგზავნებათ როგორც მხარეებს, ისე მის წარმომადგენელს.”<sup>108</sup>

თუ უწყება, რომელთან ერთადაც მოსამართლე მოპასუხეს უგზავნის სასარჩელო განცხადებასა და თანდართული საბუთების ასლს, ხოლო მოსარჩელეს მოპასუხის შესაგებელს, ან შეგებებულ სარჩელს, დროულად და კანონის დაცვით არ იქნება გაგზავნილი, მხარეები – მოსარჩელე და მოპასუხე, აგრეთვე მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით – მოკლებულნი იქნებიან ზემოთ აღნიშნული უფლებების (მუხ 4) განხორციელებას. მაგ. მოპასუხე ვერ შეძლებს მიმართოს მოსარჩელისაგან თავდაცვის ისეთ საშუალებას, როგორცაა მისი წერილობითი შესაგებელი. შესაგებლის მეშვეობით მოპასუხე უთითებს სასამართლოს ცნობს თუ არა სარჩელს; რა გარემოებებზე ამყარებს ის თავის შესაგებელს მოსარჩელის სარჩელის წინააღმდეგ; რომელი მტკიცებულებებით განამტკიცებს აღნიშნულ გარემოებებს; ხომ არ აპირებს შეგებებულ სარჩელის აღძვრას და ა. შ.<sup>109</sup> მთავარია, რომ მოპასუხე ამ უფლებას მოკლებული არ იყოს. თავის მხრივ, მოსარჩელე არ კარგავს უფლებას, მოემზადოს ან/და პასუხი გასცეს მოპასუხის შესაგებელს თუ შეგებებულ სარჩელს.

საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლი განამტკიცებს კანონის და სასამართლოს წინაშე ყველა პირის, მათ შორისაა რა თქმა უნდა პირველ რიგში მხარეები, თანასწორობას. რაც თავის მხრივ მოიცავს კანონის ამა თუ იმ წესის მხარეების მიმართ თანაბარზომიერად გამოყენებას და სასამართლოს წინაშე მხარეთა თანაბარ უფლებებს იქნან მოსმენილნი, მოუსმინონ მეორე მხარის მოსაზრებებს, აგრეთვე თავიანთი მოთხოვნების დასასაბუთებლად თანაბარ შესაძლებლობებს.

იგივე პრინციპი ვრცელდება მესამე პირზე (ან პირებზე) დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. როგორც ცნობილია, იგი შემოდის სამართალწარმოებაში საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, რომლებიც ეწინააღმდეგება როგორც მოსარჩელის, ასევე მოპასუხის ინტერესებს. მის მიერ აღძრული სარჩელი ითვლება ჩვეულებრივ სარჩელად და მას წაეყენება ის მოთხოვნები, რომლებიც საერთოდ სარჩელს, გარდა ისეთი დამატებითი პირობებისა, როგორცაა: ა) სარჩელი შეიძლება აღიძრას მხოლოდ უშუალოდ დავის საგანზე ან მის ნაწილზე; ბ) იგი შეიძლება აღიძრას მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე; (თუ მანამდე არ იქნა წარდგენილი საპატიო მიზეზების გამო). მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, მიიღებს რა მოსამართლე მათ სარჩელს წარმოებაში, განიხილება როგორც ჩვეულებრივი მოსარჩელე, ამიტომ ისინი “სარგებლობენ მოსარჩელის ყველა უფლებებით და მათ ეკისრებათ მისი ყველა მოვალეობა,” (მუხ. 88. ნაწ. 2). აქედან გამომდინარე მათთვის უწყების ჩაბარებას ისეთივე დიდი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც აქვს მოსარჩელისა და მოპასუხისათვის.

აღნიშნული წესის დაცვას აგრეთვე დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას. როგორც ცნობილია, მისი

<sup>108</sup> იხ. თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი; დასახელებული ნაშრომი, გვ 123.

<sup>109</sup> საქართველოს “სამოქალაქო საპროცესო კოდექსის” 201-ე მუხლის მეორე ნაწილში ჩამოთვლილია ის საკითხები, რომლებზე მოპასუხემ უნდა გასცეს პასუხი. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სასამართლოს ან თვითონ მოპასუხეს არ აქვთ უფლება, გააფართოონ საკითხთა წრე.

გამოტანა შეიძლება ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში. თავის მხრივ მოსარჩელეს ან მოპასუხეს უფლება აქვს გაასაჩივროს დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონით დადგენილი ვადაში<sup>110</sup> იმ საფუძველით, რომ არ იყო დაბარებული სასამართლოში – დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დაუშვებლობის ერთ-ერთი პირობაა მხარის შეუტყობინებლობა. უცხო ქვეყნის სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილების აღიარებისას, მოპასუხეს უფლება უნდა ჰქონდეს, აღძრას შუამდგომლობა საქართველოს სასამართლოს წინაშე იმის თაობაზე, რომ მის მიერ გასაჩივრების ვადა გაშვებული იქნა ზემოთ აღნიშნული პირობის არსებობის საფუძველზე.

უწყების კანონის დაცვით და დროულად გაგზავნის მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მისი დარღვევა იწვევს შედეგს, რომელიც გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს. საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის თანახმად:

“გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ:

- ა) სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული.”

სასამართლოს მართალია აქვს უფლება საქმე განიხილოს მხარის დაუსწრებლად და გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მაგრამ მთავარი პირობაა, რომ აღნიშნულ მხარეს შეტყობინება სასამართლოში გამოძახების ან/და სასამართლო სხდომის შესახებ გადაეცეს კანონით დადგენილი წესით.<sup>111</sup> სამართალწარმოებაში მონაწილეობის მიღება მხარის უფლებაა, ხოლო უწყების გაგზავნა სასამართლოს (მოსამართლის) მოვალეობა.

და ბოლოს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ამით ირღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის<sup>112</sup> მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლება.<sup>113</sup>

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ შეტყობინების მხარისათვის გაგზავნა და გადაცემა, რომელიც ხორციელდება სამართლებრივი

<sup>110</sup> მაგ. საქართველოში იგი შეადგენს 10 დღეს მხარისათვის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების დღიდან (მუხ. 237). გერმანიაში – ორ კვირას გადაწყვეტილების მხარისათვის გადაცემის დღიდან, (გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 339-ე მუხლი).

<sup>111</sup> მხარის პროცესში მონაწილეობა, ისევე როგორც სხვა საპროცესო მოქმედებები, როგორცაა მაგ. შესაგებლის აღძვრა, ფაქტების მითითება, მტკიცებულებათა წარდგენა და ა. შ. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, რომელიც ძირითად გერმანელი პროცესუალისტების თეორიას ეყრდნობა, წარმოადგენს მხარის უფლებას და არა მოვალეობას. აღნიშნული დოქტრინის თანახმად მხარეს საპროცესო მოვალეობები საერთოდ არ გააჩნია, გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს რაიმე იურიდიული მექანიზმი, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელი იქნებოდა საპროცესო მოვალეობის შესრულების უზრუნველყოფა სახელმწიფო იძულების ღონისძიების გამოყენებით.

დაწერილებით იხ. თ. ლილუაშვილი, დასახ. ნაშრომი გვ. 144-147.

<sup>112</sup> ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების ევროპის კონვენცია. საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 12 მაისის №1940 დადგენილებით.

<sup>113</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მიმართ სასამართლო პრაქტიკის სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ იხ. Микеле де сальвиа. Прецеденты европейского суда по правам человека. изд. Санкт-Петербург. Юридический центр. 2004. ст. 279-322



დახმარების ფარგლებში, ექვემდებარება გამგზავნი სასამართლოს (გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს) კანონმდებლობას, აგრეთვე ორმხრივი თუ მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრულ წესებს.

უწყების ჩაბარებას არ უნდა ჰქონდეს მხოლოდ როგორც ფაქტის არსებობის სახე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ უნდა იყოს მხოლოდ ფორმალურობა დაცული. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მხარისათვის, მაგ მოპასუხისათვის ვადას, რომლის განმავლობაშიც მას შეუძლება მოემზადოს საქმის განხილვისათვის, აღძრას შესაგებელი, აიყვანოს ადვოკატი და სხვ. როგორც გერმანელი პროცესუალისტი ჰ. შაკი აღნიშნავს “შეტყობინების გადაცემა ჩაითვლება ვადის დაცვით ჩაბარებულად, თუ მოპასუხეს რჩება საკმარისი დრო იმისათვის, რომ მის წინააღმდეგ არ იქნას გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება.”<sup>114</sup> გამომდინარე აქედან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მარტო გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვა შეიძლება არ აღმოჩნდეს იმის საფუძველი, რომ სხვა სახელმწიფოში უწყების ჩაბარება განხორციელდა დროულად. გადამწყვეტი მნიშვნელობა ასეთ ვითარებაში ენიჭება სხვადასხვა გარემოებებს, რომლებიც არსებობენ ყოველ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით.<sup>115</sup> თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა შემთხვევაში ძირითადს წარმოადგენს ის გარემოებები, რომლებზეც ამ თავში ვსაუბრობთ.

მნიშვნელოვანია აგრეთვე საკითხი, აუცილებელია თუ არა უწყების ჩაბარება უშუალოდ მხარისთვის. ანუ ჩაითვლება თუ არა უწყება ჩაბარებულად, თუ იგი მოპასუხეს არ გადაეცა ა) მისი მიზეზების გამო – მოპასუხე თავს არიდებს შეტყობინების მიღებას სხვადასხვა ადგილზე გადასვლით, ან ბ) მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

საქართველოს, ისევე როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების საპროცესო სამართალი ითვალისწინებს მსგავს შემთხვევებს და ადგენს იმ საფუძვლებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში უწყება ითვლება მხარისათვის ჩაბარებულად. მაგ. თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი მოქალაქე ვერ ნახა საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან პირს ან სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას; თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, სასამართლო უწყებას აბარებს ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს ანდა გამოაქვს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით და სხვ. უნდა აღვნიშნოთ, რომ მოპასუხეს ასეთ ვითარებაში, არ ექნება იმის სამართლებრივი საფუძველი, რომ განაცხადოს სასამართლო შეტყობინების არ ქონაზე.

კიდევ ერთხელ გვინდა შევეხოთ ენობრივი ბარიერის პრობლემას.

მხარეს, რომელსაც ჩაბარდა უწყება კანონით გათვალისწინებული წესის თანახმად, მაგრამ არ არის თარგმნილი ქართულ ენაზე, აქვს თუ არა უფლება განაცხადოს, რომ იგი სათანადოდ არ იყო გამოძახებული სასამართლოში და აღძრას შუამდგომლობა, რათა გადაწყვეტილება არ

<sup>114</sup> H. Schack. დასახელ. ნაშრომი გვ. 413.

<sup>115</sup> H. Schack. დასახელ. ნაშრომი გვ. 414.

იქნას აღიარებული. საქართველოს სკს-ის შესახებ კანონის თანახმად, უწყება და მასთან ერთად არსებული დოკუმენტები უნდა იყოს თარგმნილი ქართულ ენაზე. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული საფუძველი არ წარმოადგენს გადაწყვეტილების აღიარებაზე უარის თქმის მნიშვნელოვან პირობას, გამომდინარე იქიდან, რომ მთავარია უზრუნველყოფილი იყოს მხარის უფლება – ა) იცოდეს მის მიმართ საქმის წარმოების შესახებ და ბ) მოსმენილ იქნას სასამართლოს მიერ, მხოლოდ ერთი პირობის აუცილებელი დაცვით. კერძოდ, თუ მხარე თავიდანვე არ აცხადებს პროტესტს უწყებისა და დოკუმენტების (სარჩელის) ქართულ ენაზე თარგმნის თაობაზე.

გარდა უწყების ჩაბარების პრინციპის დარღვევისა, საქართველოს სკს-ის შესახებ კანონი ითვალისწინებს გადაწყვეტილების აღიარებაზე უარის თქმის საფუძველად, აგრეთვე, თუ „მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები“.

ვფიქრობთ, დარღვევებში უნდა ვიგულისხმოთ ის ძირითადი საპროცესო სამართლის პრინციპები, რომლებზედაც აგებულია საერთოდ საპროცესო კანონმდებლობა. კერძოდ, გათვალისწინებული უნდა იყოს არა ორგანიზაციული პრინციპები, რომლებიც აწესრიგებენ ზოგადად სასამართლოს ორგანიზაციულ საკითხებს, არამედ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ფუნქციონალური პრინციპები, რომლების არეგულირებენ სასამართლოსა და პროცესში მონაწილე პირთა (მხარეთა) საქმიანობას.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ მხარეთა ზემოთ აღნიშნული უფლებები თუ იქნა დარღვეული, მიუხედავად იმისა, რომ მას ჩაბარდა სასამართლო დოკუმენტი (უწყება) კანონით დადგენილი წესით, ეს იქნებოდა ისეთი საპროცესო დარღვევები, რომელთა საფუძველზეც თავისუფლად შეიძლება გადაწყვეტილების აღიარებაზე უარის თქმა.

ასეთივე საფუძველს წარმოადგენს, მაგ. პრინციპი, რომლის თანახმად „სახელმწიფო ენის არმცოდნე პირს მიეჩინება თარჯიმანი“.

საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის თანახმად, საქართველოში სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. იგივე წესს განამტკიცებს სსკ-ის მე-9 მუხლი: „სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე, სახელმწიფო ენის არმცოდნეს მიეჩინება თარჯიმანი“. ამასთან ერთად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-10 მუხლის თანახმად: „სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე“. სახელმწიფო ენა საქართველოში არის ქართული, აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზური.

სამოქალაქო საქმისწარმოებაში უცხო ქვეყნის პირის მონაწილეობის შემთხვევაში, მართლზომიერი სასამართლო პროცესისა და ამ პირის სამართალწარმოებაში სრულყოფილად მონაწილეობა, შეუძლებელი იქნებოდა თარჯიმნის გარეშე. ყოველივე ეს გაითვალისწინა საქართველოს სსკ-მა და დაადგინა: „სახელმწიფო ენის არმცოდნეს მიეჩინება თარჯიმანი“, (მე-9 მუხლი). თარჯიმნის სამართალწარმოებაში მონაწილეობა, არა მარტო უცხოელის უფლებაა, არამედ სასამართლოს (მოსამართლის) ვალდებულებაცაა.

საერთოდ როდესაც აღვნიშნავთ, რომ სამართალწარმოება მიმდინარეობს სახელმწიფო – ქართულ ენაზე, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ სასამართლოს შეუძლია არ გაითვალისწინოს უცხო ენაზე შედგენილი ნე-

ბისმიერი წერილობითი ფორმის განაცხადი. პირველ რიგში ეს ეხება სარჩელს (განცხადებას). როდესაც შედგენილია სარჩელი (განცხადება) უცხო ენაზე, უნდა მოხდეს მისი (სარჩელის) უმოძრაოდ დატოვება, (სსკ-ის 185); სარჩელის განუხილველად დატოვება (მუხლი 275) თუ საერთოდ უარი უნდა ეთქვას სარჩელის მიღებაზე (მუხლი 186)?

სსკ-ის 186-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის მიღებაზე უარი თქმა უკავშირდება „სარჩელის უფლებას, ანუ დარღვეული უფლებების დასაცავად პირის სასამართლოში მიმართვის უფლებას“<sup>116</sup>. ანუ ასეთ შემთხვევაში დარღვეულია ის პრინციპები, რაც აუცილებელია უცხოელი თუ საქართველოს მოქალაქის მიერ საერთოდ სარჩელის აღძვრისთვის. ეს პრინციპები ამომწურავად არის ჩამოთვლილი აღნიშნულ მუხლში.

სარჩელის განუხილველად დატოვებით მთავრდება საქმის წარმოება სასამართლოში, რაზედაც მოსამართლეს გამოაქვს განჩინება, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. უცხო ენაზე სარჩელის სასამართლოში აღძვრა ალბათ არ შეიძლება ჩაითვალოს იმის პირობად, რომ გამოყენებული იქნეს სასამართლოს მიერ 275-ე მუხლი – სარჩელის განუხილველად დატოვება.

ასეთ შემთხვევაში გამართლებული იქნება მოხდეს სარჩელის უმოძრაოდ დატოვება, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას ხარვეზის შესახებ და მოსარჩელეს მისცემს ვადას მის გამოსასწორებლად. ხოლო თუ მოსარჩელე (უცხოელი) გამოასწორებს ხარვეზს, თარგმნის სარჩელს სახელმწიფო ენაზე, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ. ამავე დროს მოსამართლე ვალდებულია ამომწურავად მიუთითოს ხარვეზის შესახებ და აგრეთვე რა ვადაში უნდა გამოასწორდეს ხარვეზი.

რაც შეეხება უცხო ენაზე შედგენილ სხვა სახის დოკუმენტებს, მაგ. მტკიცებულებებს – აქტებს, საბუთებს, საქმიან და პირადი ხასიათის წერილებს, სასამართლოს უფლება აქვს, თუ ამას საჭიროდ ჩათვლის, (შეიძლება საჭირო არ გახდეს მაგ. რუსულ ენაზე შედგენილი წერილის თარგმნა), მოითხოვოს მათი სახელმწიფო ენაზე თარგმნა.

როგორც ვხედავთ, თარჯიმნის მონაწილეობა პროცესის ყველა სტადიაზე საჭირო და აუცილებელი. იქნება ეს სარჩელის შეტანა სასამართლოში, შეგებებული სარჩელის აღძვრა, სასამართლო გადაწყვეტილების უცხოელისთვის გაცნობა თუ სხვ.

პროცესში უცხოელთა სრულყოფილად მონაწილეობის საქმეში კვალიფიციურ თარჯიმნებს ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, როგორი აუცილებლობაა უცხოელისათვის, რაც შეიძლება სრულყოფილად მიიღოს მონაწილეობა სამართალწარმოებაში საქმის ზეპირი განხილვისას, ე.ი. იმ სტადიაზე, როდესაც საჭიროა მისთვის პროცესის მიმდინარეობის, საქმის გარემოებების თითქმის სიტყვა-სიტყვით თარგმნა. ასეთ შემთხვევაში, მოსამართლე ვალდებულია, შეძლებისდაგვარად, ყურადღება მიაქციოს, რომ თარჯიმნის მიერ განხორციელდეს უცხოელისთვის რაც შეიძლება ზუსტი და სრული თარგმნა. სწორედ ამიტომ ენიჭება საქართველოში და რა თქმა უნდა სა-

<sup>116</sup> თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი. თბ. 2004 წ. გვ. 317.

ზღვარგარეთის ქვეყნებშიც კვალიფიციურ თარჯიმნებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა.

აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულმა კანონმა გაითვალისწინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლით განმტკიცებული დებულება და განსაზღვრა თარჯიმნისათვის ხარჯების ანაზღაურება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. ამავე კანონის მე-10 მუხლის ბოლო წინადადების თანახმად – „თარჯიმნის მომსახურება ანაზღაურდება სახელმწიფო ხარჯზე“.

## **2.2. უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების აღიარების დაშვებადობა, მხარეებს შორის დავაზე კანონიერ ძალაში შესული სხვა გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში.**

საქართველოს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 68-ე მუხლის მეორე პუნქტის “გ” ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ:

“გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში;”<sup>117</sup>

ზოგჯერ ასეთ გადაწყვეტილებებს “შეუთანხმებელ” ან “ურთიერთსაწინააღმდეგო” გადაწყვეტილებებსაც უწოდებენ.

გადაწყვეტილების ცნობაზე აღნიშნული საფუძვლით უარის თქმას, ითვალისწინებს ზოგიერთი სხვა ქვეყნის კანონმდებლობაც. მაგ. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 328-ე მუხლიდან გამომდინარე, აღიარება არ ხდება თუ ქვეყნის შიგნით უკვე გამოტანილია გადაწყვეტილება (გერმანიის სასამართლოს მიერ) ან არსებობს მესამე სახელმწიფოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული და აღიარებული გადაწყვეტილება.<sup>118</sup>

შვეიცარიის “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” ფედერალური კანონის 27-ე მუხლი თანახმად, გადაწყვეტილების ცნობაზე უარი ითქმის, თუ: სამართალწარმოება უკვე დაწყებულია იგივე დავაზე და იმავე მხარეებს შორის ქვეყნის შიგნით, ან უკვე

<sup>117</sup> ლუგანოს კონვენცია მუხ. 27. პ. 3-ის თანახმად, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება: „3. თუ იმავე დავაზე და იმავე მხარეებს შორის უკვე არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის აღიარებული გადაწყვეტილება იმ სახელმწიფოში, სადაც უნდა მოხდეს მისი აღიარება.“

<sup>118</sup> «Гражданское процессуальное уложение Германии». Москва. изд-во «Волтерс Клувер». 2006. ст. 328. п. 3

გამოტანილია გადაწყვეტილება, ან არსებობს მესამე სახელმწიფოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება აღიარებულ იქნას ქვეყნის შიგნით.<sup>119</sup>

იგივე პრინციპია ჩამოყალიბებული იტალიის კანონშიც საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ – კერძოდ, 64-ე მუხლის “ე” პუნქტი – “გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება სხვა, კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც გამოტანილია იტალიის სასამართლოს მიერ;”<sup>120</sup>

სამოქალაქო საქმეებზე საერთაშორისო დონეზე სამართალწარმოების მოწესრიგების დიდი მცდელობის მიუხედავად, ადგილი შეიძლება ჰქონდეს ისეთ ვითარებას, როდესაც მხარეებს შორის დავაზე არსებობს ერთდროულად ორი სხვადასხვა ქვეყნის გადაწყვეტილება. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ მოსამართლესთვის შემდგომში, გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ გახდა ცნობილი იმავე საქმეზე საზღვარგარეთ გამოტანილი გადაწყვეტილების არსებობის თაობაზე, ან გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო არ გაითვალისწინა უცხო ქვეყნის სასამართლოში უკვე მიმდინარე სამართალწარმოება. ამასთან ერთად, მხარის პროტესტი, სხვა ქვეყანაში დავაზე უკვე მიმდინარე სამართალწარმოების თაობაზე, მნიშვნელობას კარგავს, როგორც კი ამ საქმეზე გამოვა გადაწყვეტილება, რომელიც თავის მხრივ შევა კანონიერ ძალაში. ასეთ შემთხვევაში ადგილს იჭერს გადაწყვეტილების აღიარების საკითხი.

რამდენიმე გადაწყვეტილებასთან გვაქვს საქმე, როდესაც სახეზეა ან საქართველოს სასამართლოს და უცხო სახელმწიფოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები, ან უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება და საქართველოში აღიარებული მესამე ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

პრობლემის გადასაჭრელად, თუ რომელი გადაწყვეტილება უნდა იქნეს აღიარებული, აუცილებელია ვიხელმძღვანელოთ შემდეგი, ერთმანეთისგან განსხვავებული შემთხვევიდან ერთ-ერთით:

1. აღიარებული უნდა იქნეს უფრო გვიან გამოტანილი გადაწყვეტილება, (“last-in-time-rule”);

მისი გამოყენების საფუძვლად მიჩნეულია მოსაზრება, რომლის თანახმად გვიან გამოტანილი გადაწყვეტილება ემყარება დროში შედარებით უფრო საბოლოო, აქედან გამომდინარე უფრო სარწმუნო გარემოებებს, (ფაქტობრივ გარემოებებს, მტკიცებულებებს და ა. შ.), ანუ იგი (გადაწყვეტილება) უფრო მოტივირებულია და ობიექტური. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად ასეთი საფუძვლებისა, ადგილი შეიძლება ჰქონდეს შემთხვევას, როდესაც აშკარად სჩანს, მეორე გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლემ არ გაითვალისწინა უკვე არსებული, ქვეყნის შიგნით აღიარებას ქვემდებარე გადაწყვეტილება ან უცხო სახელმწიფოში უკვე დაწყებული სამოქალაქო პროცესი.

<sup>119</sup> Международное частное право. Иностранное законодательства. изд. СТАТУТ. Москва 2001. с. 634.

აგრეთვე ინტერნეტში, მისამართზე: <http://www.admin.ch/>.

<sup>120</sup> Международное частное право. Иностранное законодательства. изд. СТАТУТ. Москва 2001. с. 337.

2. უპირატესობა ენიჭება დროში უფრო ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებას.

უნდა აღვნიშნოთ რომ, საქართველოს კანონმდებლობით (სკს-ის მუხ. 68.2 “გ”) ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებულია მეორე პრინციპი.

მიუხედავად ამისა, ამ პრინციპის ცალსახად გავრცელება ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე მიზანშეუწონლად მიგვაჩნია. კერძოდ, ამ შემთხვევაშიც, გათვალისწინებული უნდა იქნეს პროცესის დაწყების დრო. მაგ. საქართველოში გადაწყვეტილება გამოტანილი იქნა ადრე, მაგრამ სამართალწარმოება დაწყებული იყო უფრო გვიან. ან, პირიქით, უცხო ქვეყნის სასამართლოში პროცესი დაიწყო გვიან, მაგრამ გადაწყვეტილება გამოტანილი იქნა უფრო ადრე, ვიდრე საქართველოში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც არ ხდება საქმის წარმოების შეჩერება სხვა ქვეყნის სასამართლოში სამართალწარმოების მიმდინარეობის მიუხედავად. სასამართლოს მიერ სხვა ქვეყანაში დაწყებული საქმის წარმოების გაუთვალისწინებლობის მიუხედავად, ვერ გავაქვევით ფაქტს, რომ სახეზე გვაქვს ორი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს შემდეგი გარემოებები, კერძოდ, სკს-ის შესახებ კანონის 68-ე მუხლის მეორე პუნქტის “ვ” ქვეპუნქტიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ იმავე მხარეებს შორის, იმავე დავაზე საქართველოში მიმდინარეობს სამართალწარმოება. რაც ნიშნავს, რომ აღიარება დაუშვებელია მანამ, სანამ არ დამთავრდება სასამართლო პროცესი. სასამართლო პროცესი კი მთავდება გადაწყვეტილების გამოტანით. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი, აღიარებული იქნეს უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილება. ამას განამტკიცებს ამავე მუხლის მეოთხე პუნქტის დანაწესი: “უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა შესაძლებელია საქართველოში ამ საქმის დამთავრების შემდეგ.”

დროში პირველად გამოტანილი გადაწყვეტილებისათვის უპირობოდ უპირატესობის მინიჭებისათვის ვერ მიემართავთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის “ბ” პუნქტით გათვალისწინებულ პრინციპს, კერძოდ:

“სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ:

ბ) არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველებით მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის მიღების ან მხარეთა მორიგების დამტკიცების თაობაზე.”

როგორც მუხლის შინაარსიდან სჩანს, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სასამართლოს მიერ საქმის წარმოების შეწყვეტასთან, როდესაც უკვე არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება.

ასევე ვერ დავყვრდნობით ამავე კოდექსის 266-ე მუხლის, რომლის თანახმად:

“გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველებზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობები.”

აღნიშნული მუხლით დადგენილია, როგორც სასამართლო გადაწყვეტილების სუბიექტური და ობიექტური ფარგლები, აგრეთვე მისი პრეიუდიციულობა, რომლის თანახმად, სხვა პროცესში იმავე მხარეებს შორის დავის შემთხვევაში აღარ არის საჭირო იმ ფაქტობრივი გარემოებების და სამართლებრივი ურთიერთობების ხელშეწყობა დადგენა, რომლებიც განსაზღვრულია სასამართლო გადაწყვეტილებით.

მაგრამ ჩვენ საქმე გვაქვს, უკვე კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებთან, ანუ როდესაც დავის გადაწყვეტის თაობაზე არსებობს ორი სხვადასხვა სასამართლო აქტი.

როგორ შეიძლება დაიცვას თავისი უფლებები მხარემ “ურთიერთსაწინააღმდეგო” გადაწყვეტილებების შემთხვევაში?

უცხო სახელმწიფო სასამართლოს მიერ სამართალწარმოების გაგრძელება, ვერ იქნება იმის საფუძველი, რომ უარი ითქვას გადაწყვეტილების აღიარებაზე. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საზღვარგარეთ საქმის წარმოება სამართლებრივი მნიშვნელობით, უთანაბრდება საქართველოში საქმის წარმოებას. ამას ემატება ისიც, რომ უცხო ქვეყნის კანონმდებლობა შეიძლება საერთოდ არ ითვალისწინებდეს პროცესის შეჩერებას.

აქედან გამომდინარე, “ურთიერთსაწინააღმდეგო” გადაწყვეტილებებისგან თავის დაცვის ერთადერთ გზად მიგვაჩნია საქმის წარმოების განახლება. რესტიტუციის ობიექტია მხოლოდ ის საქმე, რომელიც დამთავრებულია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით. რასთანაც ჩვენ საქმე გვაქვს სასამართლო გადაწყვეტილებათა კოლიზიის შემთხვევაში. საქმის წარმოების განახლებას (რესტიტუციას) ეხება საქართველოს სსკ-ის 423-ე მუხლი, რომლის შინაარსიდან გამომდინარე, კანონიერი ძალის მქონე გადაწყვეტილების გასაჩივრება საქმის განახლების მოთხოვნით დასაშვებია, თუ:

“ე) მხარე წარუდგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოტანილია იმავე სარჩელის მიმართ;”

პრობლემატურს არ წარმოადგენს პირობა, რომელიც თავის მხრივ საქმის წარმოების განახლების უმთავრესი საფუძველია, კერძოდ, რესტიტუცია დასაშვებია, თუ “მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოედგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება”. გამომდინარე იქიდან, რომ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ურთიერთგამომრიცხავი გადაწყვეტილებების არსებობის მთავარი საფუძველია მოსამართლის მიერ მიმდინარე სამოქალაქო პროცესის ან მიღებული გადაწყვეტილების გაუთვალისწინებლობა. ეს კი გამორიცხავს მხარის ბრალს, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოედგინა მეორე გადაწყვეტილება.

უმთავრესი საფუძველი იმისა, რომ ასეთი “ურთიერთსაწინააღმდეგო” გადაწყვეტილებების შემთხვევასთან გვექონდეს საქმე, აუცილებელია, პირველ რიგში, ერთდროულად არსებობდეს ორი პირობა, კერძოდ მიღებული გადაწყვეტილებები გამოტანილი იყოს ა) ერთსა და იმავე მხარეებს შორის და ბ) ერთსა და იმავე დავაზე.

ა) ერთი და იმავე მხარეები.

სასარჩელო წარმოების დროს გვეყავს ორი ურთიერთდაპირისპირებული მხარე --- მოსარჩელე და მოპასუხე. მოსარჩელეა პირი, რომელიც აღძრავს სარჩელს თავისი დარღვეული უფლების დასაცავად. მოპასუხეა პირი, რომელმაც მოსარჩელის განცხადებით დაარღვია ან სადავოდ გახადა მისი უფლებები.

აქედან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ: მხარეები სამოქალაქო პროცესში ეწოდება იმ პირებს, რომელთა სახელით მიმდინარეობს საქმე და რომელთა შორის დავა სამოქალაქო უფლების შესახებ სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს.<sup>121</sup>

ე. ი. თუ უცხო ქვეყანაში სასამართლო სამართალწარმოების დროს გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსარჩელესა და მოპასუხეზე, რომელთა მიმართაც მიღებულია საქართველოს სასამართლოს ან აღიარებულია მესამე ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება, ისინი ჩაითვლებიან ერთი და იმავე (იდენტურ) მხარეებად.

ბ) ერთი და იგივე სამართლებრივი დავა.

სამართლებრივი დავის საფუძველს სარჩელი წარმოადგენს. რომელიც შედგება ორი ელემენტისაგან: სარჩელის საგანი, და სარჩელის საფუძველი.

ორივე მათგანს ჩვენ ზემოთ უკვე შევეხეთ, ამიტომ მასზე აღარ შევჩერდებით, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სარჩელის ამ ორი ელემენტის მეშვეობით ხდება სარჩელის ინდივიდუალიზირება, მისი იგივეობრიობის დადგენა, აქედან გამომდინარე მისი გამოიყვანა თუ განსხვავება სხვა სარჩელებისაგან.<sup>122</sup>

ე. ი. თუ სხვა ქვეყნის სასამართლოში გადაწყვეტილება გამოტანილია სარჩელზე იმ საგნით და საფუძველით, რომელზედაც მანამდე მიღებული იქნა საქართველოს სასამართლოს, ან აღიარებული იქნა უცხო სახელმწიფოს გადაწყვეტილება, საქმე გვექნება ერთი და იმავე სარჩელთან, ერთი და იმავე სამართლებრივ დავასთან.

თუმცა აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ “შეუთანხმებელი” გადაწყვეტილებების განსაზღვრისათვის “ერთი და იგივე სამართლებრივი დავა” უფრო ფართოდ უნდა იქნას გაგებული.

მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნები შეიძლება განსხვავებული იყოს, მაგრამ ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც საფუძველად უდევს სარჩელს ერთმანეთის მსგავსია. ანუ, სარჩელები იმდენად არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ, თუ სამართალწარმოება განხორციელდებოდა ქვეყნის შიგნით, აუცილებელი გახდებოდა საქმის წარმოების შეჩერება საქართველოს სსკ-ის 279-ე მუხლის “დ” პუნქტის თანახმად, კერძოდ, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს სამართალწარმოება:

“დ) თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.”

ასეთ შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია<sup>123</sup> ზუსტად განსაზღვროს სამართლებრივი ურთიერთკავშირი მის მიერ

<sup>121</sup> დაწვრილებით იხ. თ. ლილუაშვილი “სამოქალაქო საპროცესო სამართალი”. გამ. ჯისიაი თბილისი 2005. გვ 114-117.

<sup>122</sup> დაწვრილებით იხ. თ. ლილუაშვილი. დასახელებული ნაშრომი გვ. 271-279

<sup>123</sup> საქმის წარმოების შეჩერების არასავალდებულო (ფაკულტატურ) საფუძველს მოიცავს საქართველოს სსკ-ის 280-ე მუხლი.



განსახილველსა და სხვა სასამართლოს განსახილველ საქმეებს შორის. ანუ, შეიძლება თუ არა მიეცეს სხვა საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას პრიუდიციული მნიშვნელობა აღნიშნული დავის გადაწყვეტისას.

საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებად შეიძლება ჩავთვალოთ, მაგ. უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილება ქორწინებაში მყოფი მეუღლისათვის, მეორე მეუღლის მიმართ მატერიალური დახმარების გაწევის ვალდებულების თაობაზე და ქვეყნის შიგნით მიღებული გადაწყვეტილება ქორწინების შეწყვეტისა და ერთ-ერთი მეუღლისათვის საალიმენტო თანხის გადახდევინების შესახებ. ან, სხვა მაგალითი, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის გადახდევინების (ზიანის ანაზღაურების) შესახებ გადაწყვეტილება და გადაწყვეტილება ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე. ვალდებულების აღსრულებაზე გამოტანილი უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილება და საქართველოს სასამართლოს მიერ გამოტანილი, ან მესამე ქვეყნის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ვალდებულების შეწყვეტის თაობაზე.

ამის საპირისპიროდ, “ურთიერთსაწინააღმდეგო” გადაწყვეტილებებად არ უნდა მივიჩნიოთ, მაგ. გადაწყვეტილება განქორწინებასა და ალიმენტის დაკისრების თაობაზე და ქვეყნის შიგნით მიღებული გადაწყვეტილება შეცვლილი მატერიალური თუ ოჯახური მდგომარეობის გამო მატერიალური დახმარების ოდენობის ცვლილების შესახებ.

მოყვანილი შემთხვევებთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ შემდეგი, ნებისმიერი სასამართლო გადაწყვეტილება, შევა რა კანონიერ ძალაში, სამართალსუბიექტებისათვის, რომლებზეც შეიძლება გავრცელდეს იგი, იწვევს გარკვეულ სამართლებრივ შედეგს. მას შეიძლება წარმოადგენდეს უფლების აღიარება, უფლებისა თუ კანონიერი ინტერესების დამრღვევი მოქმედების აღკვეთა, სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა და სხვ. რომლებიც ნათლად და გარკვევით არის ჩამოყალიბებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია არსებობდეს ორი სასამართლო გადაწყვეტილება, რომლებიც მხარეებისთვის ადგენენ ურთიერთგამომრიცხავ უფლება-მოვალეობებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ “ურთიერთსაწინააღმდეგო” გადაწყვეტილებებია ის გადაწყვეტილებები, რომლებიც იწვევენ ურთიერთდაპირისპირებულ, ურთიერთგამომრიცხავ სამართლებრივ შედეგებს.

### 2.3. ნაცვალებების პრინციპი გადაწყვეტილების აღიარებისა და აღსრულებისას.

გადაწყვეტილების აღიარებაზე ან მასზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს ნაცვალებების პრინციპი. 68-ე მუხლიდან გამომდინარე, საქართველოს სასამართლო უარს ამბობს გადაწყვეტილების ცნობაზე, თუ:

“ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს;”

უნდა აღვნიშნოთ, რომ განსხვავებით ზემოთაღნიშნული საფუძვლებისა, ეს პრინციპი მეტნაკლებად არის გავრცელებული საზღვარგარეთის ქვეყნებში. რიგ სახელმწიფოში იგი პირდაპირ კანონმდებლობაშია განმტკიცებული. მაგ. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 328-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-5 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების აღიარება არ ხდება, თუ:

“5) არ არის უზრუნველყოფილი ნაცვალებების პრინციპი;”

ჩეხეთის რესპუბლიკის “საერთაშორისო კერძო სამართლისა და პროცესის შესახებ” კანონის 64 მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების აღიარება და აღსრულება არ ხდება, თუ:

“ე) გარანტირებული არ არის ნაცვალება; ნაცვალება არ მოითხოვება, თუ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება არ არის ჩეხეთის მოქალაქისა და იურიდიული პირის წინაარმდეგ გამოტანილი;”<sup>124</sup>

აღნიშნულ წესს ითვალისწინებს აგრეთვე თურქეთი და სხვა ქვეყნები.

ნაცვალებების პრინციპს არ ითვალისწინებს შვეიცარიის, ავსტრიის, საფრანგეთის და სხვა სახელმწიფოების კანონმდებლობა. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ შვეიცარია კანონის თანახმად “ნაცვალებას” ითხოვს, როდესაც აღიარებული უნდა იქნას გაკოტრების საქმისწარმოებაზე მიღებული გადაწყვეტილება.<sup>125</sup>

ხოლო ზოგიერთი ქვეყანა, როგორცაა შვეცია, ნორვეგია და ფინეთი უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებს აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული განსხვავებული ნაცვალებების წესების აღსანიშნავად, შემდეგ ტერმინები იქნას გამოყენებული: “ნეგატიური ნაცვალება” – ერთი ქვეყანა არ აღიარებს მეორე სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუ ეს უკანასკნელი თავის მხრივ უარს ამბობს მისი სასამართლო აქტების ცნობასა და აღსრულებაზე, (მაგ. გერმანია, საქართველო, თურქეთი და სხვ). ნაცვალება განმტკიცებულია კანონმდებლობით, ამიტომ მას “კანონისმიერ” ნაცვალებასაც უწოდებენ; “მარტივი პოზიტიური ნაცვალება” – პრინციპის მოქმედება გამოიხატება მხოლოდ სახელმწიფოთა შორის კეთილი ნებით თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაში, მაგრამ არა ხელშეკრულებებით; (“ფაქტიური” ნაცვალება); “ორგანიზებული პოზიტიური ნაცვალება” – სასამართლო

<sup>124</sup> Международное частное право. Иностранное законодательства. изд. СТАТУТ. Москва 2001. с. 619.

<sup>125</sup> იქვე, გვ. 662. მუხ. 166.

აგრეთვე ინტერნეტში, მისამართზე: <http://www.admin.ch/>.

გადაწყვეტილებათა აღსრულება ხდება საერთაშორისო ორმხრივი თუ მრავალმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე.<sup>126</sup>

უნდა აღვნიშნოთ, რომ ხელშეკრულებების მეშვეობით ყველაზე უფრო ნათლად სჩანს სახელმწიფოთა შორის ნაცვალგების პრინციპის არსებობა. სხვა შემთხვევებში, თითოეული ქვეყანა დამოუკიდებლად განსაზღვრავს შეფასების კრიტერიუმებს.

ნაცვალგების, როგორც ინსტიტუტის აუცილებლობაზე, არსებობს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მოსაზრებები.

გავრცელებული აზრის თანახმად, ინსტიტუტის არსებობას ორი საფუძველით ხსნიან – უშუალოდ სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად და თავისი მოქალაქეების ინტერესების საზღვარგარეთ დაცვის მიზნით. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე პირობებში აღნიშნული მიზნების განხორციელება ნაცვალგების პრინციპით პრაქტიკულად არაეფექტურია შემდეგი მოსაზრებების გამო:

ა) სახელმწიფოს სუვერენიტეტი, მისი დამოუკიდებლობა არ ილახება იმის გამო, რომ უცხო ქვეყანაში უარს ამბობენ მისი სასამართლოს გადაწყვეტილებების აღიარებაზე. გამომდინარე იქიდან, რომ ყოველი სახელმწიფოს ხელისუფლება, კერძოდ, სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება მისსავე ტერიტორიაზე. ხოლო, უცხო სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პირობებს, ისევ სუვერენიტეტის პრინციპის თანახმად, თითოეული ქვეყანა თვითონ ადგენს.

ბ) ასევე ეჭვს იწვევს ის გარემოებაც, რომ ცალმხრივად “კეთილი ნების” გამოვლენა, ასეთივე “კეთილი ნების” გამომჟღავნებას გამოიწვევს უცხო სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილების აღიარებისას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოუწოდებს მას საერთაშორისო თანამშრომლობისათვის.<sup>127</sup> პირიქით, აღიარებაზე სისტემატურად უარის თქმამ, შეიძლება აიძულოს გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყანა, მიმართოს ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ ანალოგიური ღონისძიებების გამოყენებისაკენ. ასეთ ვითარებაში, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ პირველ რიგში ზარალდება პროცესში მონაწილე მხარეთა (ფიზიკური თუ იურიდიული პირის) ინტერესები.

გ) “ნაცვალგების” პრინციპი ძირითადად მიმართულია უცხო სახელმწიფოსადმი, მაშინ როდესაც მისი შედეგების გამოვლენა ხდება კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში.<sup>128</sup> აღნიშნული ინსტიტუტი მოქმედებს ნებისმიერი მხარის და ნებისმიერი საქმის მიმართ. აგრეთვე ყოველი სასამართლო გადაწყვეტილებისას, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მხარის სასარგებლოდ არის იგი გამოტანილი. ანუ უარი შეიძლება ეთქვას ისეთი გადაწყვეტილების აღიარებას, რომელიც მიღებულია ამღიარებელი ქვეყნის მოქალაქის უფლებების დასაცავად.

გათვალისწინებული უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ “ნაცვალგების” ინსტიტუტის გამოყენებამ საკმაოდ უარყოფითი შედეგები შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში. საფუძველიან

<sup>126</sup> Lagarde P. Lareciprocite en droit international prive. RCADIH 1977 P. 139. მოსაზრების შესახებ იხ. Д. В. Литвинский. “Признание иностранных судебных решений по гражданским делам”. с. 220-221. Издательство юридического факультета С.-Петербургского университета 2005 г.

<sup>127</sup> H. Schack. დასახელ. ნაშრომი გვ. 81.

<sup>128</sup> იხ. Д. В. Литвинский. “Признание иностранных судебных решений по гражданским делам”. с. 360. Издательство юридического факультета С.-Петербургского университета. 2005 г.

ეჭვს იწვევს ის ვითარება, რომ აღნიშნული პრინციპის გამო გადაწყვეტილების აღიარებაზე უარის თქმამ, ხელსაყრელი გარემოება შეუქმნას ამ სახელმწიფოს კომერციულ იურიდიულ პირებს, მით უმეტეს თუ ეს გადაწყვეტილება მათ სასარგებლოდ იქნება მიღებული. ამავე დროს, უცხო ქვეყნის სამეწარმეო იურიდიული პირებისთვისაც სერიოზული დასაფიქრებელი იქნება, ღირს თუ არა ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება იმ სახელმწიფოს მეწარმეებთან, რომელიც მკაცრად მიმართავს “ნაცვალებების” წესს.

შეიძლება ითქვას, რომ ზუსტად მსგავსი გარემოებები არსებობს ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკის გატარების დროს. უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში ცალკე კანონითაა დაცული უცხოელი ინვესტორების უფლებები. კერძოდ, “საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ” კანონით<sup>129</sup>, რომლის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: “საინვესტიციო და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას უცხოელი ინვესტორის უფლებები და გარანტიები არ შეიძლება იყოს იმ უფლებებზე და გარანტიებზე ნაკლები, რომლითაც სარგებლობს საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირი.” ხოლო ამავე კანონის მე-16 მუხლიდან გამომდინარე: დავა „წყდება მხარეთა შეთანხმებით დადგენილი წესით ან საქართველოს სასამართლოში.” თუმცა ზემოთ აღნიშნული პრინციპის გამოყენების ყოველმა კონკრეტულმა შემთხვევამ შეიძლება ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს მკვეთრი გაუარესება გამოიწვიოს. გამომდინარე იქიდან, რომ უცხოელი ინვესტორისათვის ინვესტიციების განხორციელების საქმეში სერიოზული დაბრკოლება იქნება, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს სასამართლო, „ნაცვალებების” პრინციპის არარსებობის საფუძველზე მითითებით, არ აღიარებს მისი ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებს.

პრობლემატურია აგრეთვე საკითხი, სახელმწიფო ხელისუფლების რომელი შტო – საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი – ადგენს, უზრუნველყოფილია თუ არა ამა თუ იმ ქვეყანაში “ნაცვალებების” პრინციპი საქართველოს სასამართლოების გადაწყვეტილებათა მიმართ, ან/და მტკიცების ტვირთი ხომ არ გადადის მხარეზე, რომელიც შუამდგომლობს გადაწყვეტილების აღიარებაზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ საკითხის მიმართ არ არსებობს ერთი მკვეთრად გამოხატული აზრი. ზოგიერთი მეცნიერი იზიარებს იდეას, რომლის თანახმად მეორე სახელმწიფოში “კეთილი ნების” არსებობას უნდა ადგენდეს უშუალოდ სასამართლო ისევე, როგორც საერთოდ ადგენს ამა თუ იმ გარემოებებსა და ფაქტებს. სხვა მეცნიერი საერთოდ წინააღმდეგია “ნაცვალებების” პრინციპის არსებობის.<sup>130</sup>

ყველაზე უფრო მყარ საფუძველს იმისას, რომ “კეთილი ნების” (ნაცვალებების) გამოვლენა უზრუნველყოფილი იქნება სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის, წარმოადგენს საერთაშორისო ორმხრივი თუ მრავალმხრივი ხელშეკრულებები. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ამასაც გააჩნია თავისი უარყოფითი მხარე. მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შედარებით, ორმხრივი ხელშეკრულებების დადება

<sup>129</sup> საქართველოს კანონი “საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ” მიღებული იქნა 1996 წ. 12 ნოემბერს. გამოქვეყნებული საქართველოს პარლამენტის უწყებანი 1997 წ. №29-30/5

<sup>130</sup> იხ. მაგ. H. Schack, დასახ. ნაშრომი გვ. 427.

კიდევ უფრო რთულ პრობლემას წარმოადგენს, თუნდაც ასეთი შეთანხმებების დადების შესაძლებლობების მრავალრიცხოვნობისა, რომ აღარ შევეხოთ საკითხს, ქვეყნებს შორის ასეთი შეთანხმების გაფორმების მიმართ დადებითი განწყობის არსებობას.

მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ “სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ” კონვენცია (შემდგომში მინსკის კონვენცია), რომლის 51-ე მუხლის თანახმად:

“ყოველი ხელშეკრველი მხარე, კონვენციით გათვალისწინებული პირობებით, აღიარებს და აღასრულებს სხვა ხელშეკრველი მხარის ტერიტორიაზე გამოტანილ გადაწყვეტილებებს, კერძოდ:

ა) სამოქალაქო და საოჯახო საქმეებზე იუსტიციის დაწესებულებების გადაწყვეტილებებს, მათ შორის ასეთ საქმეებზე მხარეთა მორიგების თაობაზე სასამართლოს მიერ დამტკიცებულ შეთანხმებას, აგრეთვე ფულადი ვალდებულებების თაობაზე სანოტარო აქტებს (შემდგომში – გადაწყვეტილებები).

ბ) სისხლის სამართლის საქმეებზე ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებებს.”<sup>131</sup>

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ საქართველო “ნაცვალგების” პრინციპის გამოყენების მიმართ, შედარებით ლიბერალური გზით წავიდა. კერძოდ, “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 68-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, აღნიშნული ინსტიტუტი შეიძლება არ იქნეს გამოყენებული, თუ:

“იგი ქონებრივ უფლებებს არ ეხება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი არ არის მათი ადგილობრივი განსჯადობა.”

შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს სასამართლოს შეუძლია დაუშვას იმ ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღიარება, რომელიც თავის მხრივ არ ცნობს ჩვენი ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებს, იმ შეთხვევაში, თუ იარსებებს ორი პირობა ერთდროულად – გადაწყვეტილება არ უნდა ეხებოდეს ქონებრივ უფლებებს და საქმის განხილვა კანონმდებლობის თანახმად არ უნდა შედიოდეს საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციაში.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობამ შეამსუბუქა “ნაცვალგების” პრინციპის მოქმედება ერთდროულად გარკვეული სახის დავის საგნისა და საერთაშორისო განსჯადობის საფუძვლებზე დაყრდნობით.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ სხვა გადაწყვეტილებების მიმართ საქართველოს სასამართლომ აუცილებლად უნდა მიმართოს აღნიშნულ ინსტიტუტს? ჩვენი აზრით ასეთი სახით ცალსახად მიდგომა გაუმართლებელი იქნებოდა. ამას ერთად, კანონი არც მოითხოვს ერთმნიშვნელოვნად ნაცვალგების წესის გამოყენებას, უშვებს რა მხოლოდ მისი გამოყენების შესაძლებლობას.

თუ სასამართლო მაინც დადგება “ნაცვალგების” ინსტიტუტის საკითხის გამოყენების წინაშე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოყენებულ იქნეს შეფასების რაც შეიძლება ნაკლებად მკაცრი კრიტერიუმები. რაც

<sup>131</sup> საქართველო შეუერთდა საქართველოს პარლამენტის 24. 01. 96 წ. დადგენილებით.

ნიშნავს, რომ საქართველოს სასამართლოს მიერ მოხდება იმ პირობების თანაზომიერი პირობების გათვალისწინება, რომელთა საფუძველზე უცხო სახელმწიფო უარს აცხადებს ჩვენი ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღიარებაზე.

მიუხედავად ყოველივე ამისა, მიზანაშეწონილად მიგვაჩნია, ამ ეტაპზე თუ არა, უახლოეს მომავალში, საქართველომ უარი თქვას აღნიშნული პრინციპის გამოყენებაზე. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობებს, დაამყაროს სხვა სახელმწიფოებთან საერთაშორისო მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებებით პოლიტიკურ – ეკონომიკური და სამართლებრივი კავშირურთიერთობანი.

## **2.4. უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა საქართველოში იმავე მხარეებსა და იმავე დავაზე სამართალწარმოების მიმდინარეობისას.**

სხვადასხვა ქვეყანაში ერთდროულად სამართალწარმოებასთან შეიძლება საქმე გექონდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საგანზე და საფუძველით არსებული დავა აღმოჩნდება როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნის სასამართლოს განსჯადი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქმის განხილვა, ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული საერთაშორისო განსჯადობის საფუძველზე, ორი ან მეტი სახელმწიფოს კომპეტენციაში შედის. ასეთ შემთხვევას ზოგჯერ “იურისდიქციის კონფლიქტსაც” უწოდებენ. მაგ. საფრანგეთის მოქალაქეს შეუძლია სარჩელი აღძრას საქართველოს მოქალაქის წინააღმდეგ როგორც საქართველოში (მუხ. 8--- “მოპასუხეს საცხოვრებელი ადგილი აქვს საქართველოში”), ასევე საფრანგეთშიც, (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, მუხ 14-15).

საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართალში გვხვდება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო იურისდიქციის კონფლიქტი.

ა) ზემოთ მოყვანილი მაგალითი, ანუ როდესაც რამდენიმე ქვეყნის სასამართლოა საქმის განხილვაზე კომპეტენტური, წარმოადგენს პოზიტიურ კომპეტენციურ კონფლიქტს. (“ფორუმ შოპინგი”; Forum shopping).

ბ) მეორე სახის კონფლიქტი ესაა --- ნეგატიური კომპეტენციური კონფლიქტი, ანუ როდესაც გამოირიცხება დავის განხილვაზე რომელიმე ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია.<sup>132</sup>

“ფორუმ შოპინგის” დროს მოსარჩელეს ეძლევა შესაძლებლობა, საერთაშორისო განსჯადობის მქონე რამდენიმე ქვეყნის სასამართლოდან, აირჩიოს მისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი სასამართლო.

მოსარჩელის მიერ ასეთი არჩევანის გაკეთების რამდენიმე მიზეზი შეიძლება არსებობდეს: ა) მისთვის უფრო მისაღები (მეტი სიკეთის მოტანი) მატერიალური სამართლის გამოყენების შესაძლებლობა; მაგ

<sup>132</sup> იხ. ზ. გაბისონია. ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი. გამ. „მერიდიანი“. თბ. 2006 წ. გვ. 391.

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა კონტინენტური ევროპის სამართლის მიხედვით განეკუთვნება მატერიალურ სამართალს; აქედან გამომდინარე, თუ ერთი ქვეყნის სამართლის თანახმად გასულია ხანდაზმულობის ვადა, ხოლო მეორე სახელმწიფოს სასამართლოში ჯერ კიდევ შესაძლებელია სარჩელის აღძვრა, მოსარჩელე შეეცდება რა თქმა უნდა ამ სახელმწიფოს სასამართლოში დაიცვა თავისი უფლებები და კანონით გათვალისწინებული ინტერესები. ხელსაყრელი მატერიალური სამართლის გამოყენების მაგალითად შეიძლება ჩავთვალოთ ზიანის ანაზღაურების მოცულობა, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში საკმაოდ განსხვავებულია და ა. შ. ბ) ხშირად მიზეზი შეიძლება უკავშირდებოდეს პროცესუალურ სამართალს. მაგ. მხარეთა უფრო ფართო საპროცესო უფლებებს, სამართალწამოების მოკლე ვადებს, შედარებით მცირე მოცულობის პროცესის ხარჯებს და სხვ.

განსჯადობის მქონე რამდენიმე ქვეყნის სასამართლოდან ერთ-ერთის არჩევისას, მოსარჩელისავე უადრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე მომავალში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას შესაძლებლობას. სასამართლო პროცესი დაკარგავდა აზრს, თუ გადაწყვეტილება, რომელიც უნდა აღსრულდეს სხვა ქვეყანაში, არ იქნებოდა ამ ქვეყნის მიერ აღიარებული.<sup>133</sup>

უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად კანონიერი საფუძვლებისა, მოსარჩელის მიერ Forum Shopping-ის გამოყენება პირველ რიგში მის ინტერესებს ემსახურება. რომლის დროსაც მოპასუხის ინტერესები შეიძლება ნაკლებად იყოს დაცული. ამიტომ სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, იურიდიულ მეცნიერებაში Forum Shopping-ის არაკეთილსინდისიერად გამოყენებისაგან თავის არიდების შესახებ არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. ერთ-ერთს წარმოადგენს მხარეთა შორის სასამართლო პროცესამდე ხელშეკრულებით დადებული შეთანხმებები საერთაშორისო კომპეტენციის თაობაზე,<sup>134</sup> რომელსაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ; (თავი 6). მეორე ეს არის “Forum non conveniens”-ის პრინციპი. რომელიც ყველაზე მეტად გავრცელებულია აშშ-ში. ამ პრინციპის თანახმად, აშშ-ის სასამართლო არ მიიღებს სარჩელს განსახილველად, თუ, საერთაშორისო განსჯადობის წესების დაცვით, აგრეთვე სხვა პროცესუალური პირობების არსებობის გამო, საქმის უფრო ობიექტურად განხილვა და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა ცალსახად უკეთესი იქნებოდა სხვა ქვეყნის სასამართლოს მიერ.

იურისდიქციის კონფლიქტის მეორე სახეს, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოადგენს ნეგატიური კომპეტენციური კონფლიქტი.

როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ მას არ გააჩნია საქმის განხილვაზე განსჯადობა, გამოაქვს განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ. (საქართველოს სსკ-ის 186-ე მუხ.). ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ აცილებული იქნება უარის თქმის საფუძველი, ეს ხელს არ უშლის მოსარჩელეს განმეორებით მიმართოს სასამართლოს. ამასთან ერთად, საქართველოს სსკ-ის 23-ე მუხლი ითვალისწინებს არაგანსჯადი სასამართლოს მიერ საქმის გადაცემას

<sup>133</sup> დაწვრილებით იხ. H. Schack. Internationales Zivilverfahrensrecht. Verlag Beck, 2001. S 103-105

<sup>134</sup> ამ მოსაზრებას ემხრობა გერმანელი მეცნიერი ხ. შაკი. იხ დასახელებული ნაშრომი გვ. 107.

განსჯადი სასამართლოსათვის. მაგრამ შეუძლებელია ასეთივე წესის გავრცელება სხვა სახელმწიფოს სასამართლოებზე, გამომდინარე იქიდან, რომ შიდასახელმწიფოებრივი ტერიტორიული განსჯადობისგან განსხვავებით, საერთაშორისო განსჯადობისას საქმე გვაქვს დამოუკიდებელ საპროცესო ინსტიტუტთან. საქართველოს სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (ამ შემთხვევაში განჩინებით) ვერ დაუდგენს უცხო ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო განსჯადობას. რომელიც თავის მხრივ, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით ადგენს მის საერთაშორისო კომპეტენციას.

აქედან გამომდინარე, მოსარჩელის წინაშე შეიძლება დადგეს პრობლემა მისი უფლების სასამართლო წესით დაცვის შესახებ.

აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის მიზნით, საქართველოს “საერთაშორისო კერძო სამართლის” შესახებ კანონის მე-17 მუხლით განმტკიცებულია წესი, რომელიც ჩვენი აზრით შეიძლება მივაკუთვნოთ იურიდიულ მეცნიერებაში ცნობილ “სათადარიგო განსჯადობას”. ამ მუხლის თანახმად: “თუ საქართველოს კანონმდებლობა საქმის წარმოების შიდა კომპეტენციას არ ითვალისწინებს და ამავე დროს შეუძლებელია საქმის აღძვრა უცხო ქვეყანაში, ან საქმის გარემოებებიდან გამომდინარე პროცესის იქ წარმოებას აზრი არა აქვს, კომპეტენტურია საქართველოს იმ ტერიტორიაზე არსებული სასამართლო, სადაც უცხო ქვეყანაში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს ჰქონდა საბოლოო საცხოვრებელი ადგილი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.” აღნიშნული მუხლით არა მარტო საქართველოს სასამართლოს საერთაშორისო განსჯადობის დადგენა ხდება, არამედ ქვეყნის შიგნით კონკრეტული სასამართლოსიც.

კომპეტენციურ კონფლიქტს წარმოადგენს აგრეთვე ისეთი ვითარება, როდესაც სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოში სამართალწარმოება შეიძლება განხორციელდეს ერთდროულად. ასეთ შემთხვევას ითვალისწინებს საქართველოს “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის მე-19 მუხლი, კერძოდ: “1. თუ ერთი და იგივე სარჩელის თაობაზე ერთსა და იმავე მხარეებს შორის მომდინარეობს სამართალწარმოება საქართველოსა და უცხო ქვეყანაში და ეს სარჩელი პირველად უცხო ქვეყნის სასამართლოს ექვემდებარებოდა, საქართველოს სასამართლო აჩერებს საქმის წარმოებას. საქმის წარმოება არ შეჩერდება, თუ არსებობს შესაძლებლობა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო შესაბამის ვადაში გადაწყვეტილებას არ მიიღებს ან საქართველოში ასეთი გადაწყვეტილების ცნობა არ მოხდება.”

იმისათვის, რომ სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოში საქმეზე სამართალწარმოება განვიხილოთ როგორც ერთდროული, აუცილებელია რამდენიმე პირობის ერთად არსებობა. ესაა: ა) ერთი და იგივე მხარეები; ბ) ერთი და იგივე სარჩელი და გ) სარჩელი აღძრული უნდა იქნას ორივე ქვეყანაში.

პირველი ორი მათგანი ჩვენ უკვე განვიხილეთ, ამიტომ მათზე აღარ გაფიქრდებით. განვიხილათ მხოლოდ მესამე პირობას – სარჩელის აღძვრა ორივე ქვეყანაში.

გ) სამართალწარმოება ორ ქვეყანაში ნიშნავს, რომ სარჩელი აღძრული იქნა უცხო ქვეყანაში, ხოლო შემდეგ იმავე მხარეებს შორის იგივე სარჩელი შეტანილი იქნა საქართველოს სასამართლოში, ან შეიძლება ადგილი ჰქონდეს საპირისპირო რიგითობას.



როგორც უკვე ზემოთ აღვიშნეთ, საქართველოს “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის მე-19 მუხლი ითვალისწინებს ასეთ ვითარებას. ამ მუხლიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1. თუ საქართველოს სასამართლოში უფრო ადრე იქნა სარჩელი აღძრული და მიღებული, მაშინ საქართველოს სასამართლო განიხილავს და გადაწყვეტს დავას. აქ იგულისხმება რა თქმა უნდა, რომ არ ხდება კანონით დადგენილი საერთაშორისო კომპეტენციის დარღვევა.

2. თუ სარჩელი აღძრული და მიღებული იქნა უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ და შემდეგ შემოვიდა იგი საქართველოს სასამართლოში, მაშინ საქართველოს სასამართლო მიიღებს სარჩელს, მაგრამ შეაჩერებს მის განხილვას იმ მოტივით, რომ სარჩელი უფრო ადრე აღძრული და მიღებული იქნა უცხო სახელმწიფოს სასამართლოს მიერ.

ე. ი. ხდება არა სარჩელის მიღებაზე უარის თქმა (მუხ. 186. 1. “გ” პ), ან სარჩელის განუხილველად დატოვება, არამედ საქმის წარმოების შეჩერება. მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ პირის დარღვეული უფლების სასამართლო წესით დაცვის ერთ-ერთი მიზანია ამ უფლების რაც შეიძლება სწრაფად აღდგენა, საქმის წარმოების შეჩერება არაგონივრულად დიდი ვადით არ იქნებოდა გამართლებული. ამავე დროს საერთოდ არ იქნებოდა გამართლებული, თუ საქმის წარმოება შეჩერდებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენი ქვეყნის სასამართლოსთვის ცნობილი გახდებოდა, რომ შემდგომში არ მოხდებოდა უცხო სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება საქართველოში.

აღნიშნული მიზეზები გაითვალისწინა საქართველოს “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონმა და მე-19 მუხლის 1-ლ პუნქტის მეორე წინადადებით განამტკიცა წესი, რომლის თანახმად: “საქმის წარმოება არ შეჩერდება, თუ არსებობს შესაძლებლობა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო შესაბამის ვადაში გადაწყვეტილებას არ მიიღებს ან საქართველოში ასეთი გადაწყვეტილების ცნობა არ მოხდება.”<sup>135</sup>

თუ რა პირობების არსებობისას არ აღიარებს ჩვენი ქვეყნის სასამართლო უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებას, განსაზღვრულია “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 68-ე მუხლით. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უცხო სახელმწიფოში სამართალწარმოების ცნობა, მისთვის სამართლებრივად მნიშვნელობის მინიჭება, შეიძლება ითქვას, შემდგომში ამ

<sup>135</sup> შეად. შვეიცარიის “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” ფედერალური კანონი, მუხ. 9, პუნქ. 1: “შვეიცარიის სასამართლო შეაჩერებს საქმის წარმოებას, თუ იმავე სარჩელზე იმავე მხარეებს შორის საქმის წარმოება უცხო ქვეყნის სასამართლოში უფრო ადრე გაიხსნა და არსებობს იმის ვარაუდი, რომ უცხო ქვეყნის კომპეტენტური ორგანო გონივრულ ვადაში გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება ცნობილი იქნეს შვეიცარიაში.”

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად: “შვეიცარიის სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, როგორც კი მისთვის ცნობილი გახდება უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც შეიძლება აღიარებულ იქნას შვეიცარიაში.”

იხ. Современное зарубежное и международное частное право. „Международное частное право.“ Иностранное законодательство. изд. „СТАТУТ“. москва 2001 г.

გადაწყვეტილების ქვეყნის შიგნით აღიარების გარკვეულ წინაეცაპს წარმოადგენს.

რაც შეეხება “შესაბამის ვადაში გადაწყვეტილების არ მიღებას”, ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს აღნიშნულ ქვეყანაში სამოქალაქო საქმეთა განხილვის პრაქტიკა.

მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: “2. საქართველოს სასამართლო საქმეს წარმოებაში არ მიიღებს, თუ არსებობს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება ცნობილ იქნეს საქართველოში.” ამ შემთხვევაში – “საქმეს წარმოებაში არ მიიღებს”, ნიშნავს, რომ სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის მიღებაზე სსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის “ბ” პუნქტის თანახმად: “არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების თაობაზე.” ე. ი. გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა იყოს დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით. ხოლო თუ სარჩელი საქართველოს სასამართლოში მიღებული და შემდგომში შეჩერებული იქნა მე-19 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მაშინ საქართველოს სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას (სსკ-ის 272-ე მუხ. “ბ” პუნ.) კერძოდ: თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, გამოტანილი დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველებით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა უნდა მიექცეს, თუ რა ითვლება სარჩელის წარმოებაში მიღების მომენტად. საქართველოს სსკ-ის 183-ე მუხლის თანახმად მოსამართლე ვალდებულია სარჩელის ჩაბარებიდან ხუთი დღის განმავლობაში გამოიტანოს განჩინება მისი მიღების შესახებ. ხუთდღიანი ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როცა მოსამართლეს ჩაბარდა სარჩელი. სარჩელი წარმოებაში მიღებულად ითვლება მისი მიღების შესახებ განჩინების გამოტანის დღიდან. ხუთდღიანი ვადაში მოსამართლემ, თუ არ არსებობს სარჩელის მიღების საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, უნდა მიიღოს განჩინება სარჩელში ხარვეზის გამოსწორების შესახებ, ხოლო თუ სარჩელი პასუხობს კანონით დადგენილ ნორმებს, განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ. თუ არცერთი ეს განჩინება არ იქნა მიღებული, მაშინ სარჩელი აღნიშნული ხუთდღიანი ვადის გასვლის შემდეგ ითვლება მიღებულად. ე. ი. როდესაც მოხდება უცხოელისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება, უნდა ჩაითვალოს, რომ სარჩელი საქართველოში უკვე მიღებულია წარმოებაში მიღების შესახებ განჩინების გამოტანის ან ხუთდღიანი ვადის გასვლის შემდეგ.

უცხო სახელმწიფოში სარჩელის წარმოებაში მიღების მომენტად უნდა ჩაითვალოს ამ ქვეყნის საპროცესო კანონმდებლობის ნორმებით დადგენილი წესი. სხვადასხვა ქვეყნის საპროცესო სამართალი კი აღნიშნულ საკითხს შეიძლება განსხვავებულად არეგულირებდეს.

რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის 68-ე მუხლის მეორე პუნქტის “ვ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამართალწარმოების მიმდინარეობისას გადაწყვეტილების აღიარებაზე უარის თქმის საფუძველს. ასეთ ვითარებასთან შეიძლება საქმე გვეკონდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენი ქვეყნის სასამართლო არ აჩერებს საქმის წარმოებას, პროცესი მიმდინარეობს და ამასთან ერთად, არსებობს უცხო სახელმწიფოში

გამოტანილი გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში საქართველოს სასამართლო, ვალდებულია დაამთავროს პროცესი და გადაწყვიტოს დავა. ეს წესი განმტკიცებულია სკს-ის შესახებ კანონის 68-ე მუხლის მეოთხე პუნქტით, რომლის თანახმად, თუ სამართალწარმოება მიმდინარეობს აღნიშნული შემთხვევის შესაბამისად, “უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა შესაძლებელია საქართველოში ამ საქმის დამთავრების შემდეგ.” თუმცა, ეს აუცილებლად გამოიწვევს “ურთიერთსაწინააღმდეგო” გადაწყვეტილებების არსებობას, რაც ჩვენ ზემოთ უკვე განვიხილეთ. აღნიშნავთ მხოლოდ, რომ სამართალწარმოების საერთაშორისო დონეზე მოწესრიგებას, უადრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასამართლო გადაწყვეტილებათა კოლიზიის თავიდან აცილების საქმეში.

## 2.5. უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებთან (საჯარო წესრიგთან) შეუთავსებლობა

ერთი ქვეყნის სამართალსუბიექტთა შორის ურთიერთობების დარეგულირებას, ისე, რომ იგი არ ეწინააღმდეგებოდეს იქ დამკვიდრებულ საჯარო წესრიგს, მრავალი ქვეყნის სამართლებრივი სისტემა ითვალისწინებს. მათ შორისაა საქართველოც. მაგ. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად: “ ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.” აღსანიშნავია, რომ იგივე წესია გაგრძელებული საფრანგეთში, გერმანიაში და სხვ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ “საჯარო წესრიგმა”, როგორც სამართლებრივმა ტერმინმა, ცნებამ, გაგრძელება ჰპოვა საერთაშორისო კერძო სამართალშიც.

კერძოდ, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღიარება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამღიარებელი სახელმწიფოს საჯარო წესრიგს. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, აღიარების შედეგი, მისი კონკრეტული მოქმედება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

ასეთ დათქმას შეიცავს როგორც საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართალი, კერძოდ, გადაწყვეტილების აღიარება არ ხდება, თუ: „ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს,”<sup>136</sup> (მუხ. 68 პ. 2 “ზ”), ასევე გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (328-ე მუხლი), იტალიის (მუხ. 64), შვეიცარიის “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 27-ე

<sup>136</sup> ლუგანოს კონვენციის 27-ე მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, როდესაც „1. გადაწყვეტილების აღიარება ეწინააღმდეგება იმ ქვეყნის ძირითად სამართლებრივ პრინციპებს, სადაც უნდა მოხდეს მისი აღიარება.”

მუხლი, ინგლისის “საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო გადაწყვეტილებათა შესახებ” კანონი (მუხ. 4) და ა. შ.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე შემთხვევაში “საჯარო წესრიგის” არსი ერთნაირად უნდა იქნას გაგებულნი. მაგრამ რამდენადმე განსხვავებულია მისი დანიშნულება ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო კერძო სამართალში. პირველ შემთხვევაში მისი მიზანია დაარეგულიროს კერძო სამართლის სუბიექტთა შორის ნების თავისუფალი გამოსატყობი წარმოქმნილი ურთიერთობები, თუ ისინი კანონით პირდაპირ არ არის განსაზღვრული, ხოლო მეორე შემთხვევაში – უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღიარების დაშვებადობის საკითხის გადაწყვეტა. კერძოდ, ნებისმიერი სასამართლო ეყრდნობა სამართლის ნორმას, რომელსაც იგი მიუთითებს თავის გადაწყვეტილებაში. თუ ეს ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს საჯარო წესრიგს, მაშინ მისი ცნობა და აღსრულება ჩვენს ქვეყანაში არ უნდა მოხდეს. ანუ ასეთ დროს ხდება გამოყენებული კანონის, სამართლის ნორმის შეფასება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებთან.<sup>137</sup>

საჯარო წესრიგის არსი, მისი შინაარსი შეიძლება განსხვავდებოდეს როგორც სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის, ასევე ერთი სისტემის მქონე სახელმწიფოებს შორის. აქედან გამომდინარე, თითოეული ქვეყანა თვითონ განსაზღვრავს მის შინაარსს და მოცულობას. მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ იგი მოიცავს არა მარტო სამართლებრივ, არამედ და არა ნაკლებ პოლიტიკურ, ზნეობრივ თუ ფილოსოფიურ შეხედულებებს, მისი ცალმხრივად სამართლებრივად, ან და ზოგადად განსაზღვრა, განმარტება შეიძლება ითქვას რომ შეუძლებელია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი დოქტრინა, იგი განსაზღვრული არ არის არც სასამართლო პრაქტიკით და არც კანონმდებლობით.

თანამედროვე იურიდიულ მეცნიერებაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, საჯარო წესრიგის დარღვევასთან შეიძლება გვექონდეს საქმე როდესაც სასამართლო გადაწყვეტილების აღიარება წინააღმდეგობაში მოდის ქვეყნის ა) საპროცესო სამართლით (“საპროცესო-სამართლებრივი საჯარო წესრიგი”) და ბ) მატერიალური სამართლით (“მატერიალურ-სამართლებრივი საჯარო წესრიგი”) გათვალისწინებულ ძირითად პრინციპებთან.<sup>138</sup> ამას თან შეიძლება დაემატოს ამდღარებელ სახელმწიფოში გაბატონებული მორალური თუ ზნეობრივი შეხედულებები, რომლებიც გამოხატული არ არის სამართლის ნორმებში.

ა) ამომწურავად ყველა იმ საპროცესო ინსტიტუტის მიმოხილვა, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ როგორც საქართველოს საჯარო წესრიგის შემადგენელი პრინციპები, უნდა აღვნიშნოთ, რომ თითქმის შეუძლებელია. ჩვენ აქ შევეცდებით შევეხოთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს.

გადაწყვეტილების აღიარებაზე უარის თქმას, საპროცესო სამართლით გათვალისწინებული ზოგიერთი ინსტიტუტის დარღვევასთან დაკავშირებით, ჩვენ ზემოთ უკვე შევეხეთ. აღნიშნული პრინციპები “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 68-ე მუხლის მე-2

<sup>137</sup> “საჯარო წესრიგი” და “ძირითადი სამართლებრივი პრინციპები” თავისუფლად შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც იდენტური ცნებები.

<sup>138</sup> იხ. ხ. შაკი. დასახელებული ნაშრომი გვ. 418-425. აგრეთვე J. Kropholler, Europaisches Zivilprozessrecht; Verlag Recht und Wirtschaft GmbH Heidelberg 1996. s. 323-331.

პუნქტში ცალკე საფუძვლად არის გამოხატული. აქ შეიძლება მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ: 1) მხარის უწყების ჩაბარების გზით გაფრთხილების აუცილებლობა და 2) საქართველოში უკვე კანონიერ ძალაში არსებული გადაწყვეტილების შემთხვევაში სხვა გადაწყვეტილების აღიარების დაუშვებლობა წარმოადგენს ისეთი საპროცესო ინსტიტუტებს, რომლებიც თავის მხრივ შეადგენენ საპროცესო-სამართლებრივი საჯარო წესრიგის თვალსაზრისით ძირითად, ამოსავალ პრინციპებს — ზოგადად საჯარო წესრიგს. გამონაკლისი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე შეგნებულად არიდებს თავს უწყების მიღებას.

როგორც ცნობილია, საპროცესო სამართლის პრინციპების კლასიფიკაციაზე სხვადასხვა შეხედულება არსებობს. ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ მათი დაჯგუფება მოხდეს დანიშნულების მიხედვით. აქედან გამომდინარე განახვავებენ 1) ორგანიზაციულ (მაგ. სასამართლოსა და მოსამართლის დამოუკიდებლობა, მოსამართლის მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება და ა. შ.) და 2) ფუნქციონალურ პრინციპებს, (სასამართლოსა და მხარეთა საქმიანობის მომწესრიგებელი წესები).

სასამართლო ხელისუფლება და მოსამართლის დამოუკიდებლობა სახელმწიფოში წესრიგის, მართლმსაჯულების სრულყოფილად განხორციელების ერთ-ერთ უმთავრეს პირობას წარმოადგენს. მისი უზრუნველყოფის მიზნით აღნიშნული პრინციპი საქართველოში (რა თქმა არა მარტო საქართველოში) განმტკიცებულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში. რომელთაგან პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ კონსტიტუცია, კერძოდ, 82-ე მუხლის მესამე პუნქტის თანამად: “სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები.” ხოლო 84-ე მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, მოსამართლე დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში, იგი ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით მის საქმიანობაში ჩარევა აკრძალულია და ისჯება კანონით. აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია ისეთ საკანონმდებლო აქტებში, როგორცაა საქართველოს ორგანული კანონები “საერთო სასამართლოების შესახებ” (მუხ. 1), “უზენაესი სასამართლოს შესახებ” და სხვ. ამ კანონებით განმტკიცებულია არა მარტო სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა სახელმწიფო ხელისუფლების სხვა შტოებისაგან, არამედ ისეთი ფუნდამენტური გარანტიები, როგორცაა მოსამართლის მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება, საქმეთა განხილვა მიუკერძოებელი მოსამართლის (სასამართლოს) მიერ, საქმის წარმოება უშუალოდ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად და ა. შ.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ საპროცესო სამართლის ორგანიზაციული პრინციპები წარმოადგენენ იმ ძირითად სამართლებრივ პრინციპებს, რომლებიც სახელმწიფოს საჯარო წესრიგის არსებით შემადგენელ ნაწილად უნდა იქნას განხილული. რომლის საფუძველზეც წარმოიშვება შემდგომში – სასამართლოსა (მოსამართლისა) და მხარეთა საქმიანობის მომწესრიგებელი – ფუნქციონალური პრინციპები. პრინციპების ორივე ეს ჯგუფი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ წესებს წარმოადგენენ.

ფუნქციონალური პრინციპები მეტნაკლები მნიშვნელობით საპროცესო კოდექსის სხვადასხვა მუხლებშია გამოსახული.

ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ისეთი ფუნდამენტური პრინციპები, როგორცაა დისპოზიციურობა და შეჯიბრობითობა, წარმოადგენენ საქართველოს საჯარო წესრიგის გამონატვას. მაგ. დისპოზიციურობა სამოქალაქო პროცესში “სამოქალაქო მატერიალური სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპის – ნების ავტონომიის სრული ანარეკლია”,<sup>139</sup> მასზეა აგებული საპროცესო კანონმდებლობა. მისგან გამომდინარეობს მაგ. მოპასუხის უფლება აღიაროს სარჩელი, მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე, გაასაჩივროს მხარემ სასამართლო გადაწყვეტილება და სხვ. მაგ. უფლების სასამართლო წესით დაცვაზე ვერ ვილაპარაკებთ, თუ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე, ანუ მისი გასაჩივრება დაუშვებელია დავის ნებისმიერი საგნისა და ღირებულების არსებობისას. შეჯიბრობითობის პრინციპს საქართველოში კონსტიტუციური, სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მნიშვნელობა გააჩნია. კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: “სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრობითობის საფუძველზე”. იგი მოიცავს მოსარჩელის მოთხოვნისა თუ მოპასუხის შესაგებლის ფაქტობრივი დასაბუთების შესაძლებლობას. ისინი თვითონ განსაზღვრავენ რომელი ფაქტები მიუთითონ თავიანთი მოთხოვნის საფუძველად და რომელი მტკიცებულებებით გაამყარონ ეს მოთხოვნები. უმთავრეს პირობას წარმოადგენს ის, რომ მხარეებს გააჩნდეთ თანაბარი შესაძლებლობა, სრულად გამოიყენონ აღნიშნული უფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში წაგებულ მხარეს სრული უფლება ექნება იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე ამ პრინციპის დარღვევის შესახებ, რაც თავის მხრივ წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს ძირითადი სამართლებრივი პრინციპებთან.

ანალოგიურად საჯარო წესრიგის შეუთავსებლობასთან შეიძლება ლაპარაკი, როდესაც საქმე გვაქვს სასამართლოს მიერ მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაუცველობასთან. რომლის თანახმად “მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები.” ამ წესის მნიშვნელობა იმითაც ვლინდება, რომ ზემოთ ნახსენები შეჯიბრობითობის პრინციპის რეალურად განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა, თუ მხარეებს არ განვიხილავდით როგორც თანასწორს. მათ უნდა ჰქონდეთ თანასწორი შესაძლებლობები, უარყონ მოწინააღმდეგე მხარის ფაქტები თუ მტკიცებულებები და წარადგინონ ის ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც ამყარებენ მათ პოზიციებს.

ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ უწყების დროულად ჩაბარების მნიშვნელობაზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ მხარისათვის თანასწორობის პრინციპი ირღვევა, როდესაც იგი უწყების საშუალებით გეზულობს მის წინააღმდეგ მხოლოდ საქმის წარმოების დაწყების შესახებ და არ ეგზავნება საქმის მასალები, რათა მოემზადოს სასამართლოში თავის დასაცავად. იმ შემთხვევაში თუ სასამართლო მხარის შუამდგომლობის მიუხედავად არ გადადებს საქმის განხილვას და არ მისცემს მას დროს, რომლის განმავლობაშიც მან შეიძლება აღძრას შესაგებელი ან შეგებებული სარჩელი და მოსამართლე გამოიტანს გადაწყვეტილებას,

<sup>139</sup> თ. ლილუაშვილი. დასახელებული ნაშრომი გვ. 77.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქმე გვაქვს არა მარტო უშუალოდ პირის ფუნდამენტური უფლების დარღვევასთან, არამედ საქართველოს საჯარო წესრიგთან შეუთავსებლობასთან. ასევე ჩვენი ქვეყნის ძირითად სამართლებრივ პრინციპებთან წინააღმდეგობაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც უცხო სახელმწიფოს სასამართლო (მოსამართლე) საერთოდ უარს ეუბნება მხარეს მტკიცებულებების წარდგენაზე იმ მოტივით, რომ იგი თავისი შინაგანი რწმენით აფასებს ამ მტკიცებულებებს და არ აძლევს მას უფლებას საერთოდ წარმოადგინოს ისინი სასამართლოში.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ შემდეგი, სხვადასხვა ქვეყნების საპროცესო სამართალი მეტნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისაგან. იქნება ეს ორგანიზაციული, ფუნქციონალური თუ საქმის წარმოების სხვა წესები, პრინციპები. ამიტომ საქართველოს სასამართლო შედარებით ლიბერალურად უნდა მიუდგეს საკითხის გადაწყვეტას. მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დადგინდეს საქართველოს საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობრიობა, როდესაც უცხო სახელმწიფოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პირის იმ უფლებებს, რომლებიც წარმოადგენენ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი წესრიგის საფუძვლებს, ან უცხო ქვეყნის სასამართლო (მოსამართლე) კანონის შეგნებულად გვერდის ავლის გზით არღვევს კერძო სამართლის სუბიექტის აღნიშნულ ფუნდამენტურ უფლებებს, რომლებსაც თავის მხრივ ემყარება საქართველოს ძირითადი სამართლებრივი პრინციპები.

ვერ განვიხილავთ საქართველოს საჯარო წესრიგთან შეუსაბამობას ისეთ შემთხვევას, როდესაც მხარე, თავისი ნებით განხორციელებული ქმედებების შედეგად, კარგავს შესაძლებლობას, მოსმენილ იქნას სასამართლოს მიერ. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს მხარის გაძევებას სხდომის დარბაზიდან წესრიგის დარღვევის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის შემთხვევაში.<sup>140</sup> ხოლო ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად იგი შეიძლება გაძევებულ იქნას აღნიშნულ საქმეზე სამართალწარმოების დასრულებამდე. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს არა დაუსწრებელი, არამედ ჩვეულებრივი გადაწყვეტილება.

ასევე ვერ განვიხილავთ ჩვენი ქვეყნის ძირითად სამართლებრივ პრინციპებთან წინააღმდეგობრიობას ისეთ ვითარებას, როდესაც მხარე არ ასრულებს სასამართლოს დადგენილებებს, მაგ. განჩინება სარჩელში ხარვეზის არსებობის შესახებ. თუ მოპასუხე აღძრავს შეგებებულ სარჩელს, რომელიც თავისი არსით ჩვეულებრივი სარჩელია, და მას ექნება ხარვეზი, სასამართლო განჩინებით იგი ვალდებული იქნება გამოასწოროს იგი. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს იტყვის მის მიღებაზე. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ პირი თავისი ნებით უარს ამბობს მისთვის მიჭებული უფლების განხორციელებაზე. რაც რა თქმა უნდა ვერ ჩაითვლება საჯარო წესრიგის დარღვევად.

სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე, როდესაც გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში ხდება სხვადასხვა სახის პროცესუალური შეცდომის დაშვება. ანუ, ვალდებულია თუ არა მოპასუხე, ზემდგომ

<sup>140</sup> მხარის გაძევების ინსტიტუტს იცნობს მაგ. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსიც, 157-ე მუხ.

სასამართლო ინსტანციაში (ინსტანციებში) გასაჩივრებით, შეეცადოს აღნიშნული პროცესუალური შეცდომების გამოსწორებას, თუ მას აქვს უფლება, შემდგომში მათ შესახებ პროტესტი განაცხადოს საქართველოს სასამართლოს წინაშე. ვფიქრობთ ამ მხრივ რაიმე დაბრკოლება არ არსებობს. საქართველოს სასამართლო ამოწმებს უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისობას ჩვენი ქვეყნის საჯარო წესრიგთან, რომელი ინსტანციის მიერ არ უნდა იყოს იგი გამოტანილი. ამასთან, არც კანონმდებლობა ავალდებულებს მხარეს, გაასაჩივროს უცხო ქვეყანაში გამოტანილი გადაწყვეტილება, დაშვებული პროცესუალური შეცდომის კუთხით.

ბ) საქართველოს საჯარო წესრიგს შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მატერიალური სამართლის ის ნორმა, რომელსაც ემყარება უცხო ქვეყნის სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთ შემთხვევაში საქმე არ გვაქვს გადაწყვეტილების არსებით გადახედვასთან ფაქტობრივი თუ სამართლებრივი თვალსაზრისით. მცდარი გადაწყვეტილების გამოტანა, ისევე როგორც ამ გადაწყვეტილების გამოტანს სახელმწიფოს სამართალსა და ამლიარებელი სახელმწიფოს სამართალს შორის არსებული განსხვავება, არ წარმოადგენს მის აღიარებაზე უარის თქმის საფუძველს.<sup>141</sup> მთავარი საკითხს წარმოადგენს ის, რომ ნორმა, მისი მოქმედება, ეწინააღმდეგებოდეს ჩვენში არსებულ იმ ძირითად სამართლებრივ პრინციპებს, რაზედაც დაფუძნებულია კერძო სამართლის სუბიექტთა შორის ურთიერთობები.

ისევე, როგორც პროცესუალური პრინციპების განხილვისას, ასევე მატერიალური სამართლით დადგენილი ყველა ამოსავალი წესების გაშუქებაც შეუძლებელია. ამ შემთხვევაში ჩვენ შევეცდებით მოკლედ შევეხოთ ზოგიერთ მათგანს.

პირველ რიგში უნდა შევეხოთ საქართველოს კონსტიტუციას, სადაც გადმოცემულია ჩვენი ქვეყნის ის ძირითადი პრინციპები, რომლებზეც დაფუძნებულია შემდგომში მთელი სამართლებრივი სისტემა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ საჯარო წესრიგი მოიცავს შემდეგ პრინციპებს: კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობას განურჩევლად რასის, სქესის, რელიგიისა, წარმოშობისა და ა. შ. (კონსტიტუციის მე-14 მუხ.); საკუთრების ხელშეუვალობა (21-ე მუხ.); შრომის თავისუფლება; მონოპოლიური საქმიანობის დაუშვებლობა (მუხ. 30); ქალისა და მამაკაცის თანასწორობა და ქორწინების ნებაყოფლობა (36-ე მუხ) და სხვ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ეს ამოსავალი პრინციპები დაკონკრეტებას პოულობენ სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში. მაგ. სამოქალაქო კოდექსის ეყრდნობა ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორცაა — პირის კერძო ავტონომია და გარიგების დადებისას პირის თავისუფალი ნების გამოვლენა. სამართლის ნორმა, რომლის მოქმედებითაც მოხდა მათი დარღვევა, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ეწინააღმდეგება საქართველოს საჯარო წესრიგს.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის, რომ მხოლოდ კონსტიტუციაში განმტკიცებული პრინციპები არ წარმოადგენს საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში

<sup>141</sup> ხ. შაკი. იხ დასახელებული ნაშრომი გვ. 422.



სამართლის ნორმებით დადგენილი ზოგიერთი წესის დაცვა, ასევე შეიძლება სასამართლოს მიერ განხილულ იქნას როგორც ჩვენი ქვეყნის საჯარო წესრიგის დარღვევის წინააღმდეგ მიმართული აუცილებლობა. იგი შეიძლება ეხებოდეს საქორწინო ასაკს, ან ქორწინების აკრძალვას იმ პირებს შორის, რომელთაგან ერთი მაინც იმყოფება კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციაში (პოლიგამიის აკრძალვა) ან პირდაპირ აღმავალი ან დამავალი შტოს ნათესაებს შორის ქორწინების დაუშვებლობა; ასევე შეიძლება განვიხილოთ როგორც საქართველოს საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობრიობა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი, რომელიც უკრძალავს ქალს ხელახალ ქორწინებას პირველი ქორწინების შეწყვეტიდან სამასი დღის განმავლობაში.<sup>142</sup> მართალია ამ წესის ძირითად მიზანს წარმოადგენს შესაძლო ჩასახული ბავშვის ინტერესების დაცვა, მაგრამ საქართველოში იგი შეიძლება განხილულ იქნას როგორც მეუღლეთა თანასწორობის დარღვევა.

აღნიშნული ნორმები ადამიანის ღირსებას, მის თავისუფლებას იცავენ. მათ აგრეთვე მორალური დაცვის ნორმებსაც უწოდებენ.<sup>143</sup>

ჩვენი აზრით, საქართველოში გაზიარებული უნდა იქნას ფრანგულ სამართალში გაბატონებული მოსაზრება, რომ ქვეყნის *ordre public*-ი მოიცავს სოციალურ და ეკონომიკურ საჯარო წესრიგსაც. მისი მნიშვნელობა გამომდინარეობს სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი მიზნის – სოციალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისაგან. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი, რომლის თანახმად: “სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო”. ასეთ შეთხვევაში სასამართლო მხედველობაში ღებულობს როგორც შესრულების ღირებულების, ასევე შეუსრულებლობისა თუ არასათანადოდ შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობას პირგასამტეხლოს ოდენობასთან.

აუცილებლად მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ ზნეობის, მორალის საკითხს სახელმწიფოში საჯარო წესრიგთან მიმართებაში. ნებისმიერი საზოგადოება მორალის (ზნეობის) განსაზღვრულ ნორმებს ეფუძნება. როგორც სამართალი, ასევე მორალი აწესრიგებს ადამიანებს შორის ურთიერთობას.<sup>144</sup> გამომდინარე იქიდან, რომ ზნეობის გარკვეული ნორმები არ არის კოდიფიცირებული, სასამართლოსათვის (მოსამართლისათვის) რაიმე ურთიერთობის მის საწინააღმდეგოდ აღიარება საკმაო სირთულეს წარმოადგენს, შედარებით სამართალთან, როდესაც არსებობს ამ ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის თუ შეწყვეტის კანონსაწინააღმდეგოდ მიჩნევის ხელთ არსებული ნორმატიული მასალა. მიუხედავად ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ არ შეიძლება ზნეობის ნორმებს არ გააჩნდეს გარკვეული სამართლებრივი მნიშვნელობა. ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულნი არიან გამომდინარე იქიდან, რომ სამოქალაქო სამართლის საკმაოდ ბევრი ნორმა ზნეობრივი იმპერატივიდან არის აღმოცენებული. იგი სამართლის ერთ-ერთ წყაროდ შეიძლება იქნას მიჩნეული. ეს არ ნიშნავს ამ ფასეულობათა ერთმანეთში აღრევას. ორივე ინარჩუნებს

<sup>142</sup> Code Civil. Editions Dalloz. 1994-1995. art. 228.

<sup>143</sup> იხ. ლ. ჭანტურია. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. გამომც. “სამართალი”. 1997 წ. გვ. 363.

<sup>144</sup> გ. ხუბუა. სამართლის თეორია. გამომც. “მერიდიანი”; თბილისი 2004. გვ. 62.

ავტონომიურობას. რაც ყველაზე მთავარია, სამართალი არ უპირისპირდება ზნეობრივ ღირებულებებს.<sup>145</sup> პირიქით, ისინი შეიძლება ითქვას, რომ ავსებენ ერთმანეთს. ამის ნათელი მაგალითია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №1/2/155 გადაწყვეტილება. სადაც დავის საგანს წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის კონსტიტუციურობა კონსტიტუციის 21-ე მუხლთან დაკავშირებით. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად:

“1. ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ.”

როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა: “ მჩუქებლის უფლება უკან დაიბრუნოს გაჩუქებული ქონება, ჩუქების ურთიერთობის მაღალი ზნეობრივი ხასიათითაა განპირობებული. .... ნაჩუქრობა წარმოადგენს სამართლის და ზნეობის ურთიერთკავშირის იდეალურ გამოვლინებას. . . . მჩუქებლის მიერ ქონებრივი სიკეთის უსასყიდლოდ გადაცემა პირდაპირ ენასკვება დასაჩუქრებულის მხრიდან მართალია არა სამაგიერო, მაგრამ ზნეობრივად ქცევის ვალდებულებას. ზნეობრივად სავალდებულო მოქმედების შესრულება კი არ შეიძლება განვიხილოთ თავისუფლების შეზღუდვად. სწორედ ასეთი ვალდებულება უნდა დაუპირისპირდეს მჩუქებლის მიერ გაღებულ ქონებრივ სიკეთეს. . . .

ჩუქების მოშლას იწვევს არა ყოველგვარი შეურაცხყოფა და უმადურობა, რაც თავისთავად ზნეობის საწინააღმდეგო მოქმედებად ითვლება, არამედ დასაჩუქრებულის ისეთი ქცევა, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის საზოგადოების არსებობის ზნეობრივ საფუძველს. . . . ჩუქების გაუქმებით ამ შემთხვევაში სამართალი ასრულებს ზნეობრივ ფასეულობათა მხარდაჭერისა და დაცვის ფუნქციას.”<sup>146</sup>

მორალის (ზნეობის) ერთ-ერთ აშკარა გამოხატულებაა პირის კეთილსინდისიერება. შეიძლება ითქვას, რომ მასზეა აგებული მთელი სამოქალაქო კოდექსი. მე-8 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად: ‘3. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი.’

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მოვლენის სპეციფიკიდან გამომდინარე, მორალის (ზნეობის) ნორმათა სრულად ტექსტუალური გამოხატვა თითქმის შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ მოსამართლეს შეიძლება შეექმნას გარკვეული სახის სირთულეები. თუმცა იგი იმ საზოგადოების ჩვეულებრივი, რიგითი წევრიცაა და მათზე მეტად თუ არა ნაკლებად არ უნდა იცნობდეს და იცავდეს ამ საზოგადოებაში გაბატონებულ მორალურ ღირებულებებსა და ზნეობის წესებს. ამიტომ იგი ურთიერთობების შეფასებისას უნდა ხელმძღვანელობდეს არა პირადი შეხედულებების, არამედ პირველ რიგში საზოგადოებაში არსებული მორალური ფასეულობებით. ხოლო სამართლის სუბიექტთა შორის რაიმე ურთიერთობის აღიარება

<sup>145</sup> ბესარიონ ზოიძე. საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში. გამომც. GTZ. თბილისი, 2007. გვ. 139.

<sup>146</sup> იხ. ბ. ზოიძე, დასახელებული ნაშრომი გვ. 28-31.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. გადაწყვეტილებები, 2003. თბ. 2004 წ. გვ. 101-103.

ზნეობასთან შეუსაბამოდ, ყოველთვის კონკრეტული ფაქტის საკითხია, რომელიც მოსამართლემ ყოველი კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით უნდა გადაწყვიტოს. მოსამართლეთა მარალზნეობრიობის მნიშვნელობაზე მიუთითებს ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ევროპის კონვენციის მე-21 მუხლი: “1. მოსამართლეები უნდა ხასიათდებოდნენ მაღალი მორალური თვისებებით და ქონდეთ მაღალი სამსახურის დაკავებისათვის აუცილებელი კვალიფიკაცია ან უნდა იყვნენ აღიარებული კომპეტენციის იურისკონსულტები.”

ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ იმპერატიული ნორმების მნიშვნელობას საჯარო წესრიგთან მიმართებით. უნდა აღვნიშნოთ, რომ არ არსებობს ერთიანი მოსაზრება იმის შესახებ, იწვევს თუ არა ნებისმიერი იმპერატიული ნორმის დარღვევა ქვეყნის ძირითად სამართლებრივ პრინციპებთან წინააღმდეგობას. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მხოლოდ იმ იმპერატიულ ნორმებს უნდა მიენიჭოთ მნიშვნელობა, რომელთაც გააჩნიათ შეუზღუდავი მოქმედების სფერო.<sup>147</sup> ფრანგულ სამართალში მათ “აბსოლუტური იმპერატიული წესები” ეწოდებათ.<sup>148</sup> აღნიშნული ნორმების გამოყენების სფერო სამართლის სხვადასხვა დარგს შეიძლება მოიცავდეს. იგი შეიძლება ეხებოდეს ეკონომიკური ხასიათის ურთიერთობებს, მომხმარებელთა უფლებების დაცვას, ინტელექტუალურ საკუთრებას და ა. შ.

ამავე დროს არსებობს შეხედულება, რომლის თანახმად უცხო სასამართლოს გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების სფეროში სახელმწიფოს საჯარო წესრიგი არ მოიცავს ქვეყანაში მოქმედ ყველა იმპერატიულ ნორმას, გამომდინარე იქიდან, რომ საკმაოდ რთულია იმის დამტკიცება, რომ ყოველი მათგანი მიმართულია იმ პრინციპების დაცვისაკენ, რომელიც წარმოადგენენ საზოგადოების უმაღლეს ღირებულებებს.<sup>149</sup>

აღბათ გამართლებული იქნება, თუ საქართველოში ზემოთ მოყვანილი შეხედულება ჰპოვებს გავრცელებას. რა გვაძლევს ამის თქმის საფუძველს? როგორც ცნობილია, სამოქალაქო სამართლის ნორმათა დაყოფა ხდება დისპოზიციურ და იმპერატიულ ნორმებად. ხშირად კი ცალსახად იმის დადგენა, ნორმა რომელ მათგანს განეკუთვნება, სასამართლოსთვის საკმაოდ პრობლემატური შეიძლება იყოს. რა თქმა უნდა არსებობს ნორმები, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად იმპერატიულად უნდა იქნას განხილული. ხოლო სხვა შემთხვევაში, შეიძლება აუცილებელი გახდეს მათი განმარტება (სუბიექტური და ობიექტური) სასამართლოს მიერ. ასეთ ვითარებაში კი განმარტება უნდა გამომდინარეობდეს ნორმის მიზნიდან. თუ დადგინდება, რომ ნორმის მიზანია სამართლის ფუნდამენტური პრინციპების, საზოგადოებაში გავრცელებული და გაბატონებული ღირებულებების დაცვა, იგი უნდა განისაზღვროს როგორც იმპერატიული შინაარსის მქონე. აქედან გამომდინარე, მასთან წინააღმდეგობაში უნდა იქნას განხილული ის

<sup>147</sup> იხ. ხ. შაკი. დასახელებული ნაშრომი გვ. 422.

<sup>148</sup> იხ. Д. В. Литвинский. “Признание иностранных судебных решений по гражданским делам”. с. 503-504. Издательство юридического факультета С.-Петербургского университета 2005 г.

<sup>149</sup> Radicati Di Brozolo L. G. Mondialisation, jurisdiction, arbitrage .... P. 1; 22. P.20. --- ციტატა მოყვანილია: Д. В. Литвинский. დასახ. ნაშრომი გვ. 565.

სამართლის ნორმა, რომელსაც ეყრდნობა უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილება.

### 3. აღიარების პროცესი (აღიარების შესახებ საქმის წარმოების წესი)

როგორც უკვე ვთქვით, აღიარება ნიშნავს უცხო სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ცნობას და გავრცელებას ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე იმ ფარგლებში, რომელსაც ითვალისწინებს შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ აღიარების თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილება (განჩინება). უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ თანამედროვე პირობებში სხვადასხვა ქვეყნებში აღიარების წესს გამარტივებისა და ერთმანეთთან დაახლოების ტენდენცია გააჩნია. მაგ. იტალიის “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 64-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: “1. უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების აღიარება იტალიის ტერიტორიაზე ხდება რაიმე პროცედურების ჩატარების აუცილებლობის გარეშე.” სასამართლო ფორმალურად ამოწმებს რიგ პირობებს, რომლებიც შეიძლება ითქვას, რომ იდენტურია საქართველოს კანონით დადგენილი პირობებისა, (კერძოდ, სკს-ის კანონი მუხ. 68). ინგლისის კანონმდებლობის თანახმად, აუცილებელია გადაწყვეტილების რეგისტრაცია უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს რეესტრში. აქაც განსაზღვრულია ის პირობები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს სასამართლო აქტი. პირველ რიგში გათვალისწინებული უნდა იქნეს ნაცვალგების პრინციპი დიდ ბრიტანეთსა და გადაწყვეტილების გამომტან უცხო სახელმწიფოს შორის. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი პრინციპი მოქმედებს გარმანიაშიც.

საინტერესოა, როგორი ვითარებაა საქართველოში. ამის გასარკვევად, აუცილებლად მიგვაჩნია განვიხილოთ შემდეგი საკითხები. კერძოდ, ა) ვის შეუძლია აღძრას შუამდგომლობა; ბ) გადაწყვეტილება მოითხოვს მხოლოდ აღიარებას, თუ იგი უნდა აღსრულდეს კიდევც; გ) ვალდებულია თუ არა სასამართლო შეამოწმოს, არსებობს თუ არა აღიარებაზე უარის თქმის საფუძვლები და რა წესით; დ) აღნიშნული საფუძვლების დამტკიცების ტვირთის განაწილება მხარეებზე; ე) ქონებრივ-სამართლებრივ დავებზე გადაწყვეტილების აღიარებისას დავის საგანზე მესამე პირის პროტესტი; ვ) მოპასუხის მიერ გარკვეულ მოქმედებათა განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებათა აღიარება და ზ) საქორწინო დავებზე გადაწყვეტილების ცნობის საქმის წარმოება.

თავიდანვე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ზემოთ მოყვანილი საკითხები წარმოადგენს იმ ძირითადს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას გადაწყვეტილების აღიარებაზე საქმის წარმოებისას.

ა) პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ აღიარების საკითხს, სასამართლო განიხილავს მხოლოდ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ იგი უნდა აღძრას უშუალოდ დაინტერესებულმა პირმა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, მხარეს შეუძლია საქმე აწარმოოს სასამართლოში როგორც პირადად, ასევე წარმომადგენლის მეშვეობით. (სსკ-ის მუხ. 93). პრაქტიკაში ამის მრავალი მაგალითი არსებობს.<sup>150</sup>

როგორც წესი, საქართველოს სასამართლოში რა სახის წარმომადგენლობასთანაც არ უნდა გვქონდეს საქმე, ისინი გამოდიან მხოლოდ და მხოლოდ მხარეთა სახელით და მათი ინტერესების დასაცავად. მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება წარმომადგენელი წარმოადგენდეს პროცესში როგორც მხარეს და როგორც წარმომადგენელს. ასეთ შემთხვევას შეიძლება ქონდეს ადგილი მხოლოდ მაშინ, როდესაც თანამონაწილის გამოსვლა სამართალწარმოებაში წარმომადგენლად ხდება სხვა თანამონაწილეთა დავალებით, კანონის შესაბამისად გაფორმებული მინდობილობის საფუძველზე.

რაც შეეხებათ ადვოკატებს, მათთვის აუცილებელია, რომ თავიანთი ქვეყნის კანონმდებლობით, უფლება ჰქონდეთ განახორციელონ საადვოკატო საქმიანობა. რადგან არც საქართველოს კანონი “ადვოკატთა შესახებ” და არც სსკ-ი არ კრძალავს ჩვენი ქვეყნის სასამართლოებში უცხოელი ადვოკატის მონაწილეობას.

ორგანიზაციის შემთხვევაში მინდობილობას გაცემს ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან სხვა უფლებამოსილი პირი. უცხო ქვეყნის ორგანიზაციის შემთხვევაში, მინდობილობას გაცემს ის უფლებამოსილი პირი, რომელსაც ამის უფლება გააჩნია თავისი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად.

საინტერესოა ქმედუნარიანი პირის წარმომადგენლად დაშვების საკითხი აღიარების საქმის წარმოებისას. ანუ შეიძლება თუ არა, რომ ნებისმიერი უცხოელი ან საქართველოს მოქალაქე ქმედუნარიანი პირი, გამოვიდეს წარმომადგენლად საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაწყვეტილების აღიარების საქმის წარმოებისას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსიში შეტანილი 2009 წ. 27 მარტის ცლილების თანახმად, ქმედუნარიან პირებს უფლება აქვთ გამოვიდნენ სამართალწარმოებაში მხარის წარმომადგენლად მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოებში. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება, უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატა, განიხილავს რა აღიარების საკითხს, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო, გამომდინარე აქედან, ქმედუნარიანი პირის წარმომადგენლად დაშვებისათვის რაიმე დაბრკოლება არ უნდა არსებობდეს. მთავარი პირობაა, რომ აღნიშნული უფლებამოსილება ჩამოყალიბდეს ჩვენი ქვეყნის კანონის შესაბამისად გაცემულ და გაფორმებულ მინდობილობაში.

ბ) ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა (აღიარება), მისი შემდგომში აღსრულების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. მაგრამ სამართალწარმოების რამდენამდე განსხვავებულ წესებთან გვაქვს საქმე, იმის მიხედვით,

<sup>150</sup> იხ. მაგ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, №6 2005 წ. გვ 60-126.

გადაწყვეტილება მოითხოვს მხოლოდ აღიარებას თუ მასთან ერთად აღსრულებასაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გადაწყვეტილება გამოტანილია სასარჩელო წარმოების დროს თუ უდავო წარმოებისას. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა საკასაციო პალატის №3ა-53-შ-33-03 განჩინება, რომლითაც დადგინდა:

“ი. ჯანანაშვილის წარმომადგენლის, პ. ჯანანაშვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს. გერმანის ქ. შპადაუს საუწყებო სასამართლოს 2002 წ. 16 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ცნობილ იქნა ე. სმოქტუნის მიერ ი. ჯანანაშვილის შვილად აყვანის ფაქტი; შვილად აყვანილმა ატაროს ე. სმოქტუნის გარდაცვლილი მეუღლის, ჰ. ფრიც სმოქტუნის გვარი.

აღნიშნული გადაწყვეტილების ასლი გადაეგზავნოს შუამდგომლობის აღმძვრელ მხარეს.

პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.”<sup>151</sup>

რამდენადმე განსხვავებულ წესთან გვაქვს საქმე, როდესაც გადაწყვეტილება მოითხოვს იძულებით აღსრულებასაც. ასეთ შემთხვევაში სასამართლო მიმართავს პროცედურას, რომელსაც იურიდიულ მეცნიერებაში ხშირად “ეგზეკუტურასაც” უწოდებენ. აღსრულების პროცესზე ჩვენ ქვემოთ შევჩერდებით.

ბ) ამ თავის დასაწყისშივე აღვნიშნეთ, რომ აღიარების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა. აქედან გამომდინარე, ამავე პუნქტში სპეციალურად არის განსაზღვრული ის, რომ იგი უნდა იყოს კანონიერ ძალაში შესული. ე. ი. იგი უნდა იყოს საბოლოო და აღარ უნდა არსებობდეს მისი გასაჩივრების სამართლებრივი საფუძველი. ამის შესახებ შეიძლება არსებობდეს ცნობა, გაცემული გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ, ანდა დასტურდებოდეს უშუალოდ გადაწყვეტილებიდან ან შუამდგომლობიდან.

მნიშვნელოვან დოკუმენტს შეიძლება წარმოადგენდეს ისეთი ცნობის წარდგენა, რომლითაც დასტურდება, რომ მხარე მართალია არ მონაწილეობდა სასამართლოში საქმის წარმოებისას, მაგრამ იგი გამოძახებული იყო კანონის სრული დაცვით და იმ ვადით, რომ მას ჰქონოდა სრული საშუალება თავის დაცვისათვის.

მნიშვნელოვან პროცედურას წარმოადგენს სასამართლოს მიერ აღიარების საფუძველების შემოწმება, რომლებიც მოცემულია სკს-ის შესახებ კანონის 68-ე მუხლში, რომლებზეც ზემოთ ვრცლად ვისაუბრეთ. მათი დადგენა სასამართლოს (მოსამართლეს) ევალება თავისი თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, მაგრამ შეიძლება დავსვათ კითხვა: რომელი უნდა დადგინდეს მხარის შუამდგომლობის საფუძველზე და რომელი სასამართლოს მიერ, მიუხედავად იმისა, აღძრავს თუ არა მოპასუხე შუამდგომლობას.

აღბათ, ექვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ, როგორცაა ნაცვალგების პრინციპი და საჯარო წესრიგი, სასამართლოს მიერ უნდა დადგინდეს მოპასუხის შუამდგომლობის აღძვრის მიუხედავად. ასევე მოსამართლე, თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, განსაზღვრავს

<sup>151</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეებზე №7 2003 წ. გვ. 1858. განჩინება №3ა-53-შ-33-03. 2 ივნისი, 2003 წ. ქ. თბილისი.

გადაწყვეტილების კანონიერი ძალის არსებობას და მის მიღებას მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოს–სასამართლო ხელისუფლების მიერ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათი განსაზღვრა სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს.

რაც შეეხება 68-ე მუხლით დაწესებულ სხვა წინაპირობებს, კერძოდ: ა) უწყების ჩაბარების გზით მხარის დროული გაფრთხილება; ბ) საქართველოში კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობა და გ) ერთდროულად სამართალწარმოების მიმდინარეობა — მათი არსებობა არარსებობის საკითხს სასამართლო არკვევს მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე. თუმცა, ეს არ ართმევს სასამართლოს უფლებას, თავისი ინიციატივით განახორციელოს აღნიშნული საფუძველების დადგენა.

სხვადასხვა შეხედულება არსებობს სასამართლოს საერთაშორისო განსჯადობის საკითხთან მიმართებით. ჩვენი აზრით, გამართლებული იქნება საერთაშორისო კომპეტენციის გარკვევა სასამართლომ განახორციელოს თავისი ინიციატივით, მიუხედავად იმისა აღიძვრება თუ არა შუამდგომლობა. ამის საფუძველს გვაძლევს შემდეგი გარემოებები: პირველი – საქმის განხილვა საერთაშორისო კომპეტენციის წესების დარღვევით, წარმოადგენს გადაწყვეტილების აღიარებაზე უარის თქმის საფუძველს. მით უმეტეს, თუ დავის განხილვა შედიოდა საქართველოს სასამართლოების განსაკუთრებულ საერთაშორისო კომპეტენციაში. ამასთან, აღნიშნული წესის დაცვა არა მარტო საერთაშორისო დონეზე მართლმსაჯულების მოწესრიგებულად განხორციელების აუცილებელი პირობაა, არამედ ამ შემთხვევაში აშკარად იკვეთება სახელმწიფო დაინტერესება საერთაშორისო განსჯადობის დარღვევების საკითხში. მეორე – მხარის მიერ შუამდგომლობის აღძვრის მიუხედავად საერთაშორისო განსჯადობის გარკვევის საკითხი განსაკუთრებით ნათლად ჩანს ისეთი გადაწყვეტილებების ცნობისას, რომლებიც გამოტანილია უდავო წარმოებით განხილულ საქმეებზე. ანუ იმ სახის სასამართლო პროცესზე, სადაც არ გვყავს მოწინააღმდეგე მხარე (მოპასუხე), რომელსაც შეეძლებოდა გამოეთქვა კომპეტენციის თაობაზე პროტესტი. აქედან გამომდინარე, მისი შემოწმება არ უნდა იყოს დამყარებული მხოლოდ შეჯიბრობითობის პრინციპზე, რომლის თანახმად თითოეული მხარე სარგებლობს თანაბარი უფლებით და შესაძლებლობით, დაასაბუთოს თავისი მოთხოვნა და გააქარწყლოს მეორე მხარის მოთხოვნები თუ მოსაზრებები. მესამე – აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ მხარის (მოპასუხის) აქტიურობაზე საკითხის მინდობამ, არ შეიძლება არ გამოიწვიოს რიგ შემთხვევებში ჩვენი ქვეყნის სასამართლოების განსაკუთრებული საერთაშორისო განსჯადობის კანონით გათვალისწინებული ნორმების დარღვევა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ აღიარებისას სასამართლო არ განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველებს. მაგრამ, საერთაშორისო კომპეტენციის “ირიბი” წესით დადგენა, შეიძლება ჩაითვალოს ერთადერთ გამონაკლისად, როდესაც შესაძლებელია საჭირო გახდეს მათი გარკვეულ დონეზე გადამოწმება. თუმცა, არცერთ შემთხვევაში არ ხდება გადაწყვეტილების არსებითი – ფაქტობრივი თუ სამართლებრივი – შეფასება, ადგილი აქვს მხოლოდ იმ გარემოებების გარკვევას, რომელთა

საფუძველზეც უცხო ქვეყნის სასამართლო ადგენს საერთაშორისო კომპეტენციის არსებობას.

დ) აღიარების საქმის წარმოებისას ყურადღებას იმსახურებს ფაქტი, თუ რომელ მხარეს ეკისრება აღიარების საფუძველების მიმართ მტკიცების ტვირთი.

დამტკიცების ტვირთი წარმოადგენს მხარის მოვალეობას შეასრულოს გარკვეული მოქმედებები. მაგრამ როგორც ფაქტების მითითების ტვირთი<sup>152</sup>, ასევე დამტკიცების ტვირთიც წარმოადგენს მხარის ფაქულტატურ მოვალეობას. ისევე როგორც საპროცესო სამართალში არსებული სხვა მოვალეობების შეუსრულებლობისას, ამ შემთხვევაშიც რაიმე სანქცია არ არსებობს, გარდა იმისა, რომ მხარის მიმართ შეიძლება დადგენს მისთვის არახელსაყრელი შედეგი. ხოლო თუ პირი ასრულებს დამტკიცების მოვალეობას მაშინ მან უნდა წარადგინოს სასამართლოში დასადგენ გარემოებებთან დაკავშირებული მტკიცებულებები. ე. ი. “დამტკიცების ტვირთი – ესაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე.”<sup>153</sup>

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მოვალეობის სწორად გადანაწილება მხარეებზე, ანუ რის საფუძველზე ხორციელდება იგი. როგორც ცნობილია, გარემოებებიდან გარკვეული ნაწილის დამტკიცების მოვალეობა ეკისრება მოსარჩელეს, ნაწილის კი მოპასუხეს. ამიტომ, იმის განსაზღვრას, რომელი გარემოებები უნდა დაამტკიცოს თითოეულმა მხარემ, შეიძლება გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს სიმართლის დასადგენად.

ჩვენი აზრით, გამართლებული იქნება, თუ მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველად მივიჩნევთ ზემოთაღნიშნულ ზოგად წესს, კერძოდ: მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დამტკიცებისაგან, რომლებიც ივარაუდება მის სასარგებლოდ; ანუ იგი ამტკიცებს ფაქტებს, რომლებიც ივარაუდება მოპასუხის სასარგებლოდ; ხოლო, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დამტკიცებისაგან, რომლებიც ივარაუდება მის სასარგებლოდ, (იგი ამტკიცებს ფაქტებს, რომლებიც ივარაუდება მოსარჩელის სასარგებლოდ). აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გადაწყვეტილების ცნობისას, აღიარების წინაპირობების მიმართ მტკიცების ტვირთი დაეკისროს პირს, რომელიც აღძრავს გადაწყვეტილების აღიარების შესახებ შუამდგომლობას საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ამასთან, გასათვალისწინებელია ის შემთხვევაც, როდესაც შუამდგომლობა აღძრულია გადაწყვეტილების არცნობის თაობაზე. ყოველივე ამასთან დაკავშირებით, საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ პრეზუმციები არ ათავისუფლებს სრულად მტკიცების მოვალეობისაგან მეორე მხარეს.

ე) ქონებრივ-სამართლებრივ დავებზე გადაწყვეტილების აღიარებისას, შეიძლება განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭოს იმ შემთხვევას, როდესაც აღიარების წინააღმდეგ გამოდის მესამე პირი. მაგ. გადაწყვეტილების საფუძველზე მოსარჩელეს მიაკუთვნეს გარკვეული

<sup>152</sup> კ. ბოეილინგი, ლ. ჭანტურია. “სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია”. გამომც. “ჯისიაი”. თბ. 2003 წ. გვ. 29-37.

<sup>153</sup> თ. ლილუაშვილი. დასახელებული ნაშრომი გვ. 220-224.



ქონება, რომელზედაც პრეტენზიას აცხადებს სხვა პირი, რომელმაც მოგვიანებით შეიტყო სასამართლო პროცესის შესახებ.

აუცილებლად მიგვაჩნია, აღვნიშნოთ, რომ აღიარების კომპეტენცია რჩება ისევ უზენაეს სასამართლოს, რომელიც გადაწყვეტავს ცნობა არცნობის საკითხს კანონით (სკს კანონი) დადგენილი წესით. მესამე პირის პრეტენზია ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება აღიარების პროცესის დამაბრკოლებელი გარემოება. მას რჩება უფლება აღძრას დამოუკიდებელი სარჩელი საერთო წესების დაცვით. მხარეთა შორის დავის საგნის მიმართ თავისი ინტერესი, მესამე პირმა შეიძლება დაიცვას ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული წესით. ერთი – აღძრას სარჩელი აღიარების შესახებ სამართალწარმოების მიმდინარეობისას, და მეორე – მიიღებს რა სასამართლო საქმეზე გადაწყვეტილებას, შემდგომ აღძრას სარჩელი იმ მხარის წინააღმდეგ, რომლის სასარგებლოდაც იქნა იგი გამოტანილი. სარჩელის უფლება, როგორც პირის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება, გათვალისწინებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე სსკ-ის მეორე მუხლით. მთავარ საკითხად რჩება ის, რომ საქმეზე ჩვენი ქვეყნის სასამართლოს გააჩნდეს საერთაშორისო განსჯადობა.

ვ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი შეიცავს ერთ მნიშვნელოვან მუხლს (მუხ. 254), კერძოდ, იგი ეხება გადაწყვეტილებას, რომელიც მოპასუხეს ავალებს განსაზღვრული მოქმედების შესრულებას. ამ მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე:

“1. ისეთი გადაწყვეტილების გამოტანისას, რომელიც მოპასუხეს ავალებს განსაზღვრული მოქმედების შესრულებას, რაც დაკავშირებული არ არის ქონების ან ფულადი თანხების გადაცემასთან, სასამართლოს იმავე გადაწყვეტილებაში შეუძლია მიუთითოს, რომ, თუ მოპასუხე გადაწყვეტილებას არ შეასრულებს დადგენილ ვადაში, მოსარჩელეს უფლება აქვს ეს მოქმედება შეასრულოს მოპასუხისაგან აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებით.”<sup>154</sup>

ამ მუხლის თანახმად, თუ მოპასუხე არ ასრულებს რაიმე მოქმედებებს, იგი შეუძლია შეასრულოს მოსარჩელემ. მაგ, სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, საცხოვრებელი ფართის გამოყოფის შესახებ. ეს დაკავშირებულია გარკვეული სახის სამუშაოების ჩატარებასთან, რაც უნდა განეხორციელებინა მოპასუხეს. მოსამართლეს შეუძლია მიუთითოს გადაწყვეტილებაში, რომ თუ მოპასუხე არ შეასრულებს ამ სამუშაოს დადგენილ ვადაში, მაშინ იგი შეუძლია შეასრულოს მოსარჩელემ, მაგრამ ამ შემთხვევაში ხარჯებს აანაზღაურებს მოპასუხე.

საინტერესოა, საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში, მხარეს, რომლის სარჩელიც სასამართლომ დააკმაყოფილა, სამართლებრივი დაცვის რა საშუალება გააჩნია ასეთი გადაწყვეტილების საქართველოში

<sup>154</sup> მსგავს დანაწესს შეიცავს სხვადასხვა ქვეყნის საპროცესო სამართალიც. მაგ. გერმანიის საპროცესო კოდექსის 510<sup>b</sup> მუხლის თანახმად: “თუ გადაწყვეტილება, მოპასუხეს ავალებს გარკვეული მოქმედების შესრულებას, ხოლო მოსარჩელე შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რომ აღნიშნული მოქმედებები არ იქნება შესრულებული დადგენილ ვადაში, სასამართლოს შეუძლია მიუთითოს ამავე გადაწყვეტილებაში მოპასუხის მიერ გარკვეული ოდენობის კომპენსაციის ანაზღაურების შესახებ; კომპენსაციის ოდენობას განსაზღვრავს მოსამართლე თავისი შეხედულებით.”

ადიარებისას. თუ არსებობს იმის ვარაუდი, რომ მოპასუხე ვერ (არ) ასრულებას დაკისრებულ ვალდებულებას (მოქმედებებს), მაშინ შუამდგომლობის აღძვრას გადაწყვეტილების მხოლოდ ცნობის შესახებ, ანუ იმის შესახებ რომ მოწინააღმდეგე მხარეს დაეკისრა რაღაც მოქმედებების შესრულება, გარკვეულად აზრს კარგავს. ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელეს, თუ მან განახორციელა აღნიშნული ღონისძიებები, უფლება უნდა გააჩნდეს, აღძვრას სასამართლოში შუამდგომლობა როგორც გადაწყვეტილების აღიარების, ასევე მოვალის მიერ განსაზღვრული თანხის – კომპენსაციის – ანაზღაურების თაობაზე. მთავარი პირობაა ერთი, რომ მან დაამტკიცოს მის მიმართ სამართლებრივი დაცვის აუცილებლობის შესახებ (მოპასუხემ არ შეასრულა მასზე დაკისრებული მოქმედებები) და მეორე — რომ უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებაში განსაზღვრული იყოს გადაწყვეტილების აღსრულების წესი. მაგ. ჩვენი ქვეყნის სსკ-ის 251-ე მუხლის თანახმად: “თუ სასამართლო დაადგენს გადაწყვეტილების აღსრულების განსაზღვრულ წესსა და ვადას, ან მიიღებს ზომებს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად, ამის შესახებ მითითებული უნდა იქნეს გადაწყვეტილებაში.” როგორც ამ მუხლის კომენტარიდან ჩანს, ზოგჯერ შეიძლება საჭირო გახდეს დამატებით ისეთ გარემოებაზე მითითება, რაც სხვა დროს არ აისახება ხოლმე სხვა გადაწყვეტილებაში. ასეთ გარემოებას მიეკუთვნება აღსრულების წესის დადგენა მოსამართლის მიერ თავის გადაწყვეტილებაში.<sup>155</sup> (მაგ. მუხ. 254). ამ შემთხვევაში მიგვაჩნია, რომ ადგილი არ ექნება ერთსა და იმავე დავის საგანზე ორ სხვადასხვა პროცესს. სასამართლო ცნობს გადაწყვეტილებას და დაადგენს კომპენსაციის ანაზღაურებას. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” კანონის 86-ე მუხლი, რომლის თანახმად: “თუ მოვალე არ ასრულებს ისეთ ვალდებულებას, რომელიც შეიძლება შეასრულოს მესამე პირმა, მაშინ აღმასრულებლის მეშვეობით კრედიტორს უფლება აქვს, თავისი ხარჯით, რომელიც სასამართლო წესით ეკისრება მოვალეს, თვითონ შეასრულოს ეს მოქმედება.”

აღნიშნული პროცესუალური მოქმედებების (პრინციპის) სასარგებლოდ მეტყველებს შემდეგი ფაქტიც. კერძოდ, ამავე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულია შემთხვევა, როდესაც გადაწყვეტილება გამოტანილია მხარის ისეთ შესასრულებელ ვალდებულებებზე, რომელთა აღსრულება, მხოლოდ მის ნებაზეა დამოკიდებული (მაგ. ღირსების შემლახავი ცნობების უარყოფა):

“2. თუ აღნიშნული მოქმედება შეიძლება შეასრულოს მხოლოდ მოპასუხემ, სასამართლო გადაწყვეტილებაში დაადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს.”

საქართველოს სსკ-ი იძლევა იმის საშუალებას, რომ 251-ე მუხლის საფუძველზე, ჩვენი ქვეყნის სასამართლოს განჩინებაში, უცხო სახელმწიფოს გადაწყვეტილების ცნობის თაობაზე, მიეთითოს აგრეთვე აღსრულების წესი და ვადა.

<sup>155</sup> იხ. თ. ლილუაშვილი ვ. ხრუსტალი, “საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი”. გამომცემლობა “სანი”. 2004 წ. გვ. 444-447.

ბ) ყურადღებას იმსახურებს საქორწინო დავების მიმართ გადაწყვეტილებების აღიარების პროცესი. როგორც წესი, თუ არ არსებობს მეუღლეთა შორის ქონებრივი დავა, იძულებითი აღსრულება აუცილებელი არ არის. მაგრამ მათ მნიშვნელობა გააჩნიათ შემდგომში პირის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისათვის. პირველი ქორწინების არსებობა არ არსებობის ფაქტზეა დამოკიდებული შემდგომში მაგ. მემკვიდრეობის უფლება, მეუღლეთა თანასაკუთრების ქონებიდან წილის გამოყოფა, ალიმენტი და ა. შ. მაგ. მეუღლეთა ქონებიდან წილის გამოყოფის ან მემკვიდრეობის უფლების შესახებ საქმის განხილვისას თუ არსებობს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება, რომლითაც დადგენილია ქორწინების არსებობის ან პირის მამობის საკითხი, მაშინ საჭიროა ჯერ აღნიშნული გადაწყვეტილების ცნობა-არცნობის საკითხის გადაჭრა, ანუ ნამდვილად არსებობდა თუ არა ქორწინება. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ აღიარება წარმოადგენს ისეთ მნიშვნელოვან წინაპირობას, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნება შემდგომში ქვეყნის შიგნით ისეთი ობიექტური და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა, რომელიც თავის მხრივ მოითხოვს აღსრულებას.

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც. კერძოდ, შეიძლება თუ არა აღიარებული იქნეს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება, მაგ. მეუღლეთა თანასაკუთრების ქონებიდან წილის გამოყოფის თაობაზე, თუ არ იქნება მანამდე აღიარებული გადაწყვეტილება ქორწინების შეწყვეტის შესახებ? ვფიქრობთ, კითხვაზე უარყოფითად უნდა გავცეთ პასუხი. გამომდინარე იქიდან, რომ, სანამ არ იქნება ჩვენს ქვეყანაში აღიარებული ქორწინების არსებობის და შემდგომში მისი შეწყვეტის ფაქტი, გაუმართლებელი იქნებოდა გაგვევრცელებინა იმ გადაწყვეტილების კანონიერი ძალა, რომელიც თავის მხრივ, გამომდინარეობს პირვანდელი გადაწყვეტილების ასევე კანონიერი ძალისგან, რომლის აღიარება აუცილებელი იყო ჩვენს ქვეყანაში.

კიდევ ერთხელ გვსურს შევეხოთ ხანდაზმულობის ვადას. კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წ. 8 სექტემბრის № ა-2464-შ-81-05 განჩინებას.<sup>156</sup> განჩინების თანახმად, რუსეთის ფედერაციის იოშკარ-ოლას საქალაქო სასამართლოს 1992 წ. 20 მარტის დადგენილებით მოპასუხეს (ო. ტარნივერდიევს) დაეკისრა არსრულწლოვანი ვაჟიშვილის სარჩენად ალიმენტის გადახდა. გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 1992 წ. 20 მარტს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაბამისმა პალატამ შუამდგომლობა დააკმაყოფილა 2005 წ. 8 სექტემბერს. ანუ გადაწყვეტილების გამოტანიდან გასული იყო 13 წელზე მეტი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლი თანახმად: “1. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა ათი წელი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება.” გამომდინარე იქიდან, რომ გადაწყვეტილების აღიარებისა და აღსრულებისას სასამართლო მიმართავს ეროვნულ კანონმდებლობას,

<sup>156</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, №6 2005 წ. გვ 99.

მიგვაჩნია, რომ ეს შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. პრობლემას წარმოადგენს ამ შემთხვევაში აღიარებაზე უარის თქმის საფუძველი. სკს-ის შესახებ კანონის 68-ე მუხლი არ მოიცავს გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმის მსგავს საფუძველს. ასეთ ვითარებაში, ალბათ გამართლებული იქნებოდა სასამართლოს მიეთითებინა ძირითადი სამართლებრივი პრინციპებისათვის. ხანდაზმულობის ვადის შეცვლა (გაზრდა ან შემცირება) სასამართლოს არ შეუძლია. მის გასვლასთან ერთად უქმდება მოთხოვნის იძულებით აღსრულების მატერიალური შესაძლებლობაც. განჩინებაში მითითებულია “სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ” მინსკის 1993 წ. კონვენცია. ამ კონვენციის 55-ე მუხლის “ე” პუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილების აღიარება და აღსრულება არ ხდება თუ: “ე) იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობის თანახმად, რომელმაც უნდა ცნოს და აღსრულოს გადაწყვეტილება, გასულია იძულებითი აღსრულების ხანდაზმულობის ვადა.”

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1123-ე მუხლის თანახმად, განქორწინება დაიშვება სასამართლოს წესით, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა, სხვა შემთხვევებში კი – სააგენტოს ტერიტორიული სამსახურში. უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ უცხო ქვეყანაში განქორწინება დაშვებულია სასამართლოს გარდა სხვა ორგანოს მიერ, მაშინ მისი აღიარება საქართველოში უნდა განხორციელდეს სკს-ის შესახებ კანონის 72-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, თუ პირს აქვს მისი სასამართლო წესით ცნობის იურიდიული ინტერესი. კერძოდ: “1. სასამართლოს მიერ მხარეთა მორიგება და უცხო ქვეყნის საჯარო ხასიათის დოკუმენტები, რომლებიც ექვემდებარება აღსრულებას შუამდგომლობის საფუძველზე ამ კანონის 70-ე და 71-ე მუხლების შესაბამისად აღსრულდება.” მართალია აქ ლაპარაკია აღსრულებაზე, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღსრულება შეუძლებელია თუ არ მოხდება მისი ცნობა.

ქორწინების საქმეებზე გადაწყვეტილების ცნობისას, მნიშვნელობა ენიჭება თვითონ ქორწინების ფაქტის არსებობას, ანუ რა ფორმით განხორციელდა იგი. სკს-ის შესახებ კანონის 44-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად: “3. ქორწინების ფორმის საკითხი განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც განხორციელდა ქორწინება.” მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წ. 15 ივნისი № ა-1366-შ-51-04 განჩინება,<sup>157</sup> რომლითაც დაკმაყოფილებულ იქნა მოსარჩელის შუამდგომლობა გერმანიის ფედერაციის დეტმოდის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წ. 3 თებერვლის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ. აღნიშნული განაჩენით გერმანიის ფედერაციის დეტმოდის მმანის ბიუროს მიერ 2000 წ. 28 აპრილს №74\2000 სააქტო ჩანაწერით

<sup>157</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეებზე, №6 2005 წ. გვ 95.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გერმანიაში საქორწინო ურთიერთობებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების აღიარების ფუნქცია გადაცემული აქვთ იუსტიციის მიწების ადგილობრივ ორგანოებს. იხ. შაკი დასახელებული ნაშრომი გვ. 432-438. აგრეთვე Кох, Магнус, Винклер фон Моренфельс. Международное частное право и сравнительное правоведение. изд. “Международные отношения”. 2001 г. ст. 284-303.

რეგისტრირებული ქორწინება საქართველოს მოქალაქესა და გერმანიის მოქალაქეს შორის შეწყვეტილ იქნა და ისინი გამოცხადდნენ განქორწინებულად. შუამდგომლობის დაკმაყოფილებით, უზენაესმა სასამართლომ, მართალია არაპირდაპირ, მაგრამ მაინც აღიარა უშუალოდ ქორწინების ფაქტის არსებობა, (დეტმოლდის მმანის ბიუროს მიერ).

აქედან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნაც: თუ დადგება საქართველოში ისეთი ქორწინების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების ცნობის საკითხი, რომლის განხორციელების კანონიერ ფორმას არ იცნობს ჩვენი ქვეყნის სამართალი (მაგ. რელიგიური), უნდა გადაწყდეს დადებითად, თუ რა თქმა უნდა არ იარსებებს სხვა, კერძოდ სკს-ის კანონის 68-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები. შეიძლება განვიხილოთ ასეთი მაგალითი: საქართველოს მოქალაქე თეირანში დაქორწინდა ირანის მოქალაქეზე. ქორწინება შედგა რელიგიური (მართმადიდებლური) ფორმით, რომელსაც აღიარებდა აღნიშნული სახელმწიფო. შემდგომში საქართველოს მოქალაქე საცხოვრებლად გადმოვიდა საქართველოში და გადაწყვიტა ხელშეორედ დაქორწინება. მისი გარდაცვალების შემდეგ დადგა სამკვიდრო ქონების მიღების საკითხი. შეუძლია თუ არა ირანის მოქალაქეს განაცხადოს პრეტენზია სამკვიდრო ქონებაზე და მეორე ქორწინების უკანონობაზე, გამომდინარე იქიდან, რომ მათ შორის ქორწინება არ შემწყდარა?<sup>158</sup> როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთ ვითარებაში, სასამართლომ პირველ რიგში უნდა გადაწყვიტოს ქორწინების არსებობის აღიარება არ აღიარების საკითხი, რაც ჩვენი აზრით, ამ კონკრეტული შემთხვევაში დადებითად უნდა გადაწყდეს, ანუ შუამდგომლობის აღმძვრელი მხარის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

ასეთ საფუძვლებს, საერთაშორისო კერძო სამართალში აღიარების “მატერიალურ წინაპირობებიც” შეიძლება ვუწოდოთ. ანუ, გათვალისწინებული უნდა იქნეს იმ ქვეყნის სამართალით განსაზღვრული ქორწინების ფორმა, სადაც განხორციელდა დაქორწინება. თუნდაც ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქე იყოს.

განსხვავებულად რეგულირდება ქორწინების საქმეებზე გადაწყვეტილების აღიარება, როდესაც მეუღლეები უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან. სკს-ის შესახებ კანონის 69-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილების ცნობა საჭირო არ არის. მაგრამ თუ მაინც დადგა აღიარების საკითხი, მაშინ ქორწინება კანონიერი უნდა იყოს მეუღლეთა პირადი კანონის თანახმად, ან იმ ქვეყნის სამართლის მიხედვით, სადაც იგი (ქორწინება) განხორციელდა.

ბოლოს, შეიძლება დავსვათ კითხვა, აღიარების პროცესში თავის დაცვის რა უფლებები გააჩნია მოსარჩელეს და მოპასუხეს? უნდა აღვნიშნოთ, რომ მათზე ვრცელდება ყველა ის საპროცესო უფლებები, რომლებსაც ითვალისწინებს ჩვენი ქვეყნის საპროცესო სამართალი. განსხვავება მდგომარეობს შემდეგში, მათ უფლება აქვთ იდავონ შესაბამისად გადაწყვეტილების ცნობასა თუ არაღიარებაზე მხოლოდ იმ საფუძვლებით, რაც დადგენილია საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 68-ე მუხლით.

<sup>158</sup> М.М. Богуславский. “Международное частное право” изд. “Международные отношения”. 1999 г. ст. 296

### თავი 3. უცხო სახელმწიფოს სასამართლოების გადაწყვეტილებათა იძულებითი აღსრულება

#### 1. გადაწყვეტილებათა იძულებითი აღსრულების ცნება და მნიშვნელობა

სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით ახდენს მხარეთათვის სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრას და დადგენას. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს კონსტიტუციით ან/და სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განმტკიცებული უფლება, პირის მიერ თავისი უფლებისა და კანონიერი ინტერესების სასამართლო წესით დაცვის შესახებ, გარკვეულად აზრს დაკარგავდა, თუ შეუძლებელი იქნებოდა მისი რეალურად განხორციელება. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კანონმდებლობა ითვალისწინებს გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებას, რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში, თუ მოვალე არ ასრულებს მას ნებაყოფლობით.

ჩვენ ზემოთ უკვე შევხებით სასამართლო გადაწყვეტილებების დაყოფას ა) აღიარებითი; ბ) გარდაქმნითი და გ) მიკუთვნებით (აღსრულებით) გადაწყვეტილებებად.

ა) უნდა აღვნიშნოთ, რომ აღიარებითი სარჩელის შემთხვევაში, მოსარჩელე არ მოითხოვს მოპასუხისაგან რაიმე სახის მოქმედების შესრულებას ან და რაიმე მატერიალური ქონების მისთვის გადაცემას. აღიარებითი სასარჩელო მოთხოვნის მიზანს წარმოადგენს, ერთი – მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის (ან/და უფლების) სასამართლო წესით (გადაწყვეტილებით) დადასტურება, ან მეორე – მათ შორის სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობის სასამართლო წესით გადაწყვეტა. რომლებსაც შესაბამისად შეიძლება ვუწოდოთ პოზიტიური და ნეგატიური აღიარებითი სარჩელები.

აღიარებითი სარჩელების შემთხვევაში, ისევე როგორც სხვა სახის სარჩელების შემთხვევაშიც, არსებობს მოდავე მხარეები. მაგრამ, იგი მიკუთვნებითი, ანუ აღსრულებითი სარჩელისგან განსხვავდება იმით, რომ მოსარჩელე არ ითხოვს უკვე დარღვეული უფლების აღდგენას. ანუ, ჯერ კიდევ არ არის დარღვეული მისი უფლება, ის მას გააჩნია, თუმცა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების საფუძველზე შიშობს, რომ მოწინააღმდეგე მხარის (მხარეების) მიერ მომავალში შეიძლება დაირღვეს მისი კანონიერი ინტერესი (უფლება). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსარჩელე არ მოითხოვს, სასამართლო გადაწყვეტილებით მოპასუხეს დაევალოს რაიმე მოქმედებების შესრულება. უფლების დარღვევა, როგორც ფაქტის არსებობა, რის საფუძველზეც მოწინააღმდეგე მხარე ვალდებული იქნება მის სასარგებლოდ განახორციელოს გარკვეული მოქმედებები, არ წარმოადგენს სარჩელის საგანს. მოსარჩელის სურვილია თავისი მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის — უფლების, სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა ან პირიქით არარსებობა, სასამართლო გადაწყვეტილებით იქნეს დადასტურებული.

აღიარებითი სარჩელი, შეიძლება ითქვას, გარდა იმისა, რომ მხარეებს შორის ურთიერთობას აწესრიგებს, იგი მომავალში უფლების დარღვევისგან თავის დაცვის მნიშვნელოვან გზას წარმოადგენს.

ბ) გარდაქმნითა სარჩელები, რომლის მიზანია, მხარეებს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის სხვა სახის ურთიერთობად გარდაქმნა სასამართლო გადაწყვეტილებით. უნდა აღვნიშნოთ, რომ შეცვლა ან შეწყვეტა, ხშირ შემთხვევებში შეიძლება მხარეთა ნების გამოვლენით, ხოლო რიგ შემთხვევებში, კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, ამისათვის აუცილებელია სასამართლო გადაწყვეტილება.

როგორც აღიარებითი სარჩელების შემთხვევაში, გარდაქმნითი სარჩელების დროსაც, მოსარჩელის სურვილია არა მოპასუხისგან რაიმე კონკრეტული მოქმედების შესრულება ან მისგან თავის შეკავება, ან რაიმე ქონების გადაცემა, არამედ წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლა ან და შეწყვეტა. ამით განსხვავდება იგი მიკუთვნებითი სარჩელებისაგან. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს სკ-ის 1123-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად: “1. განქორწინება ხდება სასამართლოს წესით, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა, სხვა შემთხვევაში – სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში.” ასეთ დროს, მათ შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა – ქორწინება – შეწყვეტილად ითვლება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში რეგისტრაციის მომენტიდან.

შეიძლება დავასკვნათ, რომ გარდაქმნითი სარჩელების საგანს – მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნას – წარმოადგენს უკვე არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლა ან შეწყვეტა. ამით განსხვავდება იგი არა მარტო აღსრულებითი, არამედ აღიარებითი სარჩელებისგანაც.

გ) აქედან გამომდინარე, სააღსრულებო წარმოებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მიკუთვნებით სარჩელებზე გამოტანილ გადაწყვეტილებები. ასეთი სახის სარჩელებზე, არა მარტო მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობების (სამოქალაქო უფლებების და ვალდებულებების) არსებობა ან/და არარსებობის დადასტურება ხდება, არამედ სასამართლო აკისრებს პროცესის მონაწილე მხარეს, განახორციელოს მეორე მხარის მიმართ და მის სასარგებლოდ, გარკვეული სახის მოქმედებები, (ქონების გადაცემა, თანხის დაბრუნება, გადახდევინება, ბავშვის მიკუთვნება ერთ-ერთი მშობლისთვის ა. შ.).

იძულებითი აღსრულების მნიშვნელობა გამოიხატება ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ, სასამართლო გადაწყვეტილებით აღიარებული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის რეალურად განხორციელების უზრუნველყოფაში.

შეიძლება ითქვას, რომ იგივე ხარისხის და დონის მნიშვნელობა გააჩნია მას საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართალში. იგი ერთგვარი გარანტია სამართალსუბიექტისთვის, პროცესში მონაწილე პირისთვის სამართლებრივი დაცვის, თავისი უფლებების რეალურად აღდგენის, აგრეთვე სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური თუ სხვა სახის ურთიერთობების ნორმალური განვითარების საქმეში.

სასამართლო გადაწყვეტილებათა იძულებითი აღსრულება, ერთმნიშვნელოვნად გაბატონებული მოსაზრების თანახმად, რომელსაც არ შეიძლება არ დავეთანხმოთ, წარმოადგენს სახელმწიფოს სუვერენული, უზენაესი ხელისუფლების განხორციელების აქტს. თითოეული ქვეყანა თავისი კანონმდებლობით დამოუკიდებლად

განსაზღვრავს აღსრულების წესსა და პირობებს. ჩვენს ქვეყანაში იგი განსაზღვრულია “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” საქართველოს კანონით.<sup>159</sup> აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ამავე კანონით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები აღსრულება იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემაჯავლი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს და მისი ტერიტორიული ორგანოების, სააღსრულებო ბიუროების მიერ.

ამასთან ერთად, 2008 წ. 19 დეკემბრის ცვლილებით, აღსრულება შეიძლება განახორციელოს კერძო აღმასრულებელმა. შეიძლება დაესვათ კითხვა, შეიძლება თუ არა მან აღასრულოს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება? კანონით დადგენილი წესიდან გამომდინარე, კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. კერძოდ, 14<sup>7</sup> მუხლით განსაზღვრულია კერძო აღმასრულებლის კომპეტენცია, რომლის თანახმად მას უფლება აქვს აღასრულოს მხოლოდ ამავე კანონის მეორე მუხლის „ა“, „ბ“ და „გ-თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები, კერძოდ:

- „ა) კერძო სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება;
- ბ) სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, განჩინება, დადგენილება და ბრძანება ქონებრივი გადახდევინების ნაწილში;”

აგრეთვე:

„ე) გადახდის ბრძანება და ბრძანება ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე;

ვ) კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილება;

ზ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლოს მიერ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეული გადაწყვეტილება;

თ) იმ არბიტრაჟის გადაწყვეტილება, რომლის აღსრულებაც გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.”

როგორც ვხედავთ, კერძო აღმასრულებლის კომპეტენციის კანონით ამომწურავ ჩამონათვალთან გვაქვს საქმე. რომელშიც არ შედის უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება. მართალია, საქართველოს უზენაეს სასამართლოს, უცხო სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე გამოაქვს დადგენილება, კერძო აღმასრულებლის უფლებამოსილებაში იგი მაინც არ შედის. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის, რომ ასეთი სასამართლო აქტის აღსრულება, გათვალისწინებულია კანონის მეორე მუხლის ცალკე „ი“ ქვეპუნქტით. ვფიქრობთ, არ უნდა არსებობდეს რაიმე ისეთი დაბრკოლება, რომლის საფუძველზეც კერძო აღმასრულებლის კომპეტენციას არ შეიძლება განეკუთვნებოდეს კერძო სამართლის საქმეზე გამოტანილი უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ ჩვენი ქვეყნის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა საკასაციო პალატის მიერ გამოტანილი დადგენილება. მით უმეტეს, რომ აღსრულების მხარეებს წარმოადგენენ

<sup>159</sup> “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” კანონი; გამოქვეყნებულია “საქართველოს საკანონმდებლო მაცნე” №13(20) 1999 წელი.



ფიზიკური პირები ან/და კარძო სამართლის იურიდიული პირები. (ამავე კანონის 14<sup>7</sup> მულეს მე-3 პუნქტი).

როგორც წესი, გადაწყვეტილების აღსრულებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მისი სარეზოლუციო ნაწილი.

სასამართლო გადაწყვეტილება რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. კერძოდ ესენია: ა) შესავალი, ბ) აღწერილობითი, გ) სამოტივაციო და დ) სარეზოლუციო ნაწილები.<sup>160</sup>

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა აღიარებისა და აღსრულებისას ისინი სხვადასხვა დონის მნიშვნელობას იძენენ.

პირველ რიგში აღნიშნავთ, რომ ყოველ მათგანს თავისი განსაკუთრებული დანიშნულება აქვს. რომელთა დარღვევას, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით არასწორად მითითებას, მომავალში შეიძლება სერიოზული სამართლებრივი შედეგი მოყვეს. მაგ. ა) შესავალ ნაწილში აღინიშნება გადაწყვეტილების გამოტანის დრო, ადგილი, სასამართლოს შემადგენლობა, სხდომის მდივანი, მხარეები, მათი წარმომადგენლები და დავის საგანი. თუ გადაწყვეტილება გამოტანილია არა იმ სასამართლო შემადგენლობის მიერ, რომელიც მითითებული სხდომის ოქმში, იგი გახდება ამ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი, 394-ე მუხლის “ა” პუნქტის საფუძველზე. იგივე შედეგი დადგება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღიარებისას. ამ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იყოს სკს-ის შესახებ კანონის ან 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტი, კერძოდ, “მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები”, ან/და ვფიქრობთ, სრულიად მისაღები იქნება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებთან წინააღმდეგობრიობაზე მითითება.

ბ) აღწერილობით ნაწილში მოკლედ, მაგრამ გასაგებად აღინიშნება მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა, ანუ დავის საგანი; 1) გარემოებები, რომლებზეც ამყარებს მოსარჩელე თავის მოთხოვნას, ანუ სარჩელის საფუძველი და 2) მტკიცებულებები. ამასთან, ასევე მოკლედ და ნათლად აღინიშნება მოპასუხის შესაგებლის შინაარსი, გარემოებები და მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

გ) სამოტივაციო ნაწილში აისახება სასამართლოს (მოსამართლის) შეფასება ფაქტების არსებობა-არარსებობის შესახებ. იგი აღნიშნავს ფაქტებს, რომლებსაც გააჩნიათ საქმისათვის მნიშვნელობა. აგრეთვე მიუთითებს იმის შესახებ, დადგენილად უნდა ჩაითვალოს თუ არა ფაქტი და რის საფუძველზე. ამასთან, უნდა იყოს მოკლე ანალიზი იმ მტკიცებულებებისა, რომლებსაც ემყარება სასამართლო. ამ ნაწილში მიეთითება აგრეთვე იმ მტკიცებულებებზე, რომლებიც უარყო სასამართლომ.

საბოლოოდ კი სასამართლომ უნდა დაასაბუთოს ის მატერიალურ-სამართლებრივ ნორმა, რომლის საფუძველზეც შეაფასა მან დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები.

გადაწყვეტილების დასაბუთებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო საპროცესო სამართალში. იგი სხვადასხვა ასპექტში შეიძლება გამოვლინდეს. ჩვენ აქ მხოლოდ რამდენიმე მათგანს შევეხებით მოკლედ: ა) გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, მეორე

<sup>160</sup> გადაწყვეტილების მსგავს სტრუქტურას იცნობს მაგ. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართალიც, მუხ. 313. განსხვავება მხოლოდ რიგითობაშია, კერძოდ, შესავალი ნაწილის შემდეგ მოდის სარეზოლუციო ნაწილი, ხოლო შემდგომ აღწერილობითი და სამოტივაციო. ეს აისხნება სარეზოლუციო ნაწილის მნიშვნელობით.

ინსტანციის სასამართლოს უნდა შეეძლოს ზუსტად გარკვევა, თუ რის საფუძველზე გამოიტანა საქმის განმხილველმა სასამართლო ასეთი სახის გადაწყვეტილება და არა სხვა სახის; ბ) დასაბუთებულმა გადაწყვეტილებამ უნდა წარმოქმნას წარმოდგენა ზოგადად მართლმსაჯულებაზე; გ) დასაბუთებულმა გადაწყვეტილებით არამარტო მხარეთა შორის დავა უნდა გადაწყდეს იურიდიულად, არამედ მათ შორის არსებული კონფლიქტიც ფაქტობრივად.<sup>161</sup> და ბოლოს, დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება ან არასრული დასაბუთება მისი გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს, (მუხ. 394. პ. “ე”, “ე1”). თუმცა, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულებისას ეს წესი არ მოქმედებს, გამომდინარე იქიდან, რომ ამან შეიძლება გამოიწვიოს აღნიშნული გადაწყვეტილების მთლიანად გადახედვა ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ეს კი, რაც არაერთხელ უკვე აღვნიშნეთ, დაუშვებელია საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში.

დ) აღსრულების საქმეში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს. იგი უპირველეს ყოვლისა მხარეთათვისაა განკუთვნილი, გამომდინარე იქიდან, რომ სარეზოლუციო ნაწილით საბოლოოდ ხდება იმის დადგენა, პროცესის მონაწილეთაგან, რომელმა რა სახის ქმედება უნდა განახორციელოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორ უნდა მოხდეს მხარეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა და ვალდებულებების აღსრულება.

სარეზოლუციო ნაწილის ზუსტად და მკაფიოდ ჩამოყალიბებას, ასევე დიდი მნიშვნელობა გააჩნია სააღსრულებო ორგანოებისათვის. როდესაც გადაწყვეტილება არ სრულდება მოვალის ნაბაყოფლობით, მაშინ იგი უნდა აღსრულდეს იძულებით, სააღსრულებო ფურცლის (დედანის) საფუძველზე.<sup>162</sup> სარეზოლუციო ნაწილი მთლიანად გადადის სააღსრულებო ფურცელში, აქედან გამომდინარე, მასში ზედმიწევნით ნათლად უნდა იყოს მითითებული კრედიტორისა და მოვალის სახელი, გვარი, მისამართი, თუ იურიდიული პირია – სახელწოდება და იურიდიული მისამართი. აგრეთვე, თუ უნდა მოხდეს მაგ. თანხის გადახდევინება, მისი ოდენობა, ქონების გადაცემისას მისი ზუსტი მისამართი, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი რეკვიზიტები და არსებითი ნიშნები.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთივე მოთხოვნები წაყენება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებას, რომელიც უნდა აღსრულდეს საქართველოში.

პრაქტიკაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ა) გადაწყვეტილება (ნებით თუ უნებლიედ) არ არის გამოტანილი მთელი მოცულობით სასარჩელო მოთხოვნებზე. მაგ. გადაწყვეტილია ვალის გადახდევინების შესახებ, განსაზღვრულია მისი ოდენობა, მაგრამ არ არის გადაწყვეტილება პროცენტის დაკისრების შესახებ, რომლის მოთხოვნაზეც ჰქონდა მოსარჩელეს წარდგენილი

<sup>161</sup> სამოტივაციო ნაწილზე დაწვრილებით იხ. ჰაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია. “სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია”. გამომც. “ჯისიანი” 2003 წ. გვ. 70-84.

<sup>162</sup> “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” კანონის მე-20 მუხლი; გამოქვეყნებულია “საქართველოს საკანონმდებლო მაცნე” №13(20) 1999 წელი.

მოთხოვნა. ასეთი სახის უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება, საქართველოს სასამართლოს მიერ განხილული უნდა იქნეს, ნაწილობრივი გადაწყვეტილების ანალოგიით. ანუ აღიარებულ და კანონით დადგენილი წესით აღსრულებულ იქნეს სასარჩელო მოთხოვნების ის ნაწილი, რომელიც დადგენილია და გადაწყვეტილი სასამართლო აქტით (გადაწყვეტილებით).

ამის საწინააღმდეგოდ, საქართველოში ვერ აღსრულდება ისეთი გადაწყვეტილება, რომლითაც, ბ) მართალია გარკვეულია უფლების საკითხი, მაგრამ არ არის მითითებული გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს.

ქვეყნის შიგნით ასეთი სახის გადაწყვეტილებების გამოტანისას საქართველოს სასამართლო 261-ე მუხლის საფუძველზე მიმართავს “დამატებითი გადაწყვეტილების” ინსტიტუტს. კერძოდ, ამავე მუხლი 1-ლი ნაწილის “ა” და “ბ” პუნქტების თანახმად, სასამართლოს შეუძლია გამოტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ:

“ა) იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა;

ბ) სასამართლოს, რომელმაც გადაწყვიტა უფლების საკითხი, არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს”.

თუმცა, ამ წესს ვერ გავავრცელებთ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ. გამომდინარე იქიდან, რომ ასეთ შემთხვევაში ვერ ავცდებით საქმის ხელმეორედ განხილვას.

პირველი პირობის არსებობის შემთხვევაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს მხოლოდ იმ მოთხოვნებთან მიმართებით, რომელთა მიმართაც მიღებულია გადაწყვეტილება. რაც შეეხება მეორე პირობას, აღსრულება ვერ მოხდება იმ მარტივი მიზეზით, რომ არ არსებობს სასამართლო აქტი, რომლითაც გადაწყვეტილია ვალდებულების შესრულების წესი და მოცულობა. ამით განსხვავდება იგი ნაწილობრივი გადაწყვეტილებისაგან, რომელსაც, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, სასამართლო ღებულობს იმ შემთხვევაში, როდესაც გაერთიანებული მოთხოვნებიდან ერთი ან რამოდენიმე უკვე გარკვეულია. ყოველი გადაწყვეტილება, და განსაკუთრებით მისი სარეზოლუციო ნაწილი, მჭიდროდ არის დაკავშირებული სასარჩელო მოთხოვნასთან და სამოტივაციო ნაწილთან. საქართველოს სასამართლოს მიერ მოთხოვნის ოდენობის ან მისი სახეობის დადგენა გამოიწვევდა გადაწყვეტილების ფაქტობრივ გადახედვას, და შეიძლება სამართლებრივად შემოწმებასაც, რაც ეწინააღმდეგება “არსებითად გადამოწმების აკრძალვის” (Revision of fond) პრინციპს. ამასთან ერთად, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის უფლება აქვს მხოლოდ ძირითადი გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს, ანუ რომელმაც განიხილა მხარეთა შორის არსებული დავა. მხარეს რჩება ერთი გამოსავალი, მიაღწიოს საქართველოში გადაწყვეტილების აღიარებას, ხოლო მოთხოვნის ზუსტი განსაზღვრისათვის მიმართოს მიმღები ქვეყნის სასამართლოს დამატებითი გადაწყვეტილების გამოსატანად. აღიარებულ

გადაწყვეტილებას ასეთ შემთხვევაში საქართველოში მომავალში მიენიჭება პრეიუდიციული ძალა.

სარეზოლუციო ნაწილს უკავშირდება აგრეთვე საპროცესო სამართლის მეორე ინსტიტუტი – გადაწყვეტილების განმარტება.

გადაწყვეტილება, კერძოდ, მისი სარეზოლუციო ნაწილი, შეიძლება არ იყოს ზუსტად და გასაგებად ჩამოყალიბებული, ანუ შეიცავდეს ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავ მოსაზრებებს თუ დასკვნებს. მაგ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ასეთ შემთხვევაში მიმართავს გადაწყვეტილების განმარტების ინსტიტუტს, 262-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე: “1. გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია”.

გამომდინარე იქიდან, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი მჭიდროდ არის დაკავშირებული მის სამოტივაციო ნაწილთან, სადაც ხდება მოსამართლის მიერ იმის დასაბუთება, თუ რატომ მიიღო მან ასეთი და არა სხვაგვარი გადაწყვეტილება,<sup>163</sup> ჩვენი ქვეყნის სასამართლოს მიერ, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების (სარეზოლუციო ნაწილის) განმარტებამ შეიძლება მიგვიყვანოს Revision of fond-ის პრინციპი დარღვევასთან. ამას ემატება ისიც, რომ განმარტება წარმოადგენს გადაწყვეტილების ორგანულ ნაწილს და მას ისეთივე კანონიერი ძალა აქვს, როგორც უშუალოდ გადაწყვეტილებას. ე. ი. მის მიმართ ისევე უნდა მოხდეს კანონით დადგენილი წესით ცნობა და აღსრულება, როგორც იმ გადაწყვეტილების მიმართ, რომელიც ითხოვს განმარტებას.

ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ვერ მოხდება მისი აღსრულება. გამომდინარე იქიდან, რომ შეუძლებელია პირის კანონიერი ინტერესების რეალურად დაცვა – მხარეთა უფლება-მოვალეობანი არ არის ზუსტად და ნათლად განსაზღვრული.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც მოითხოვს განმარტებას, შეიძლება გადაიდოს მხოლოდ მხარეთა ან აღმასრულებლის შუამდგომლობის საფუძველზე. მაგ. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 36-ე მულეს მეორე პუნქტის თანამხად, აღმასრულებელი უფლებამოსილია აღსრულება შეაჩეროს:

„ბ) აღმასრულებლის მიერ აღსასრულებელი გადაწყვეტილების განმარტების მოთხოვნით სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადით”.

მხარისათვის გადაწყვეტილების განმარტებაზე შუამდგომლობის უფლებას კი ითვალისწინებს საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლი.

აქედან გამომდინარე, შუამდგომლობა, უცხო ქვეყნის ისეთი სახის გადაწყვეტილების აღსრულებაზე, რომელიც აუცილებლად მოითხოვს განმარტებას, ვერ დაკმაყოფილდება.

<sup>163</sup> იხ. ჰაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია. დასახელებული ნაშრომი, გვ 71.

მხარეს ამ შემთხვევაში რჩება უფლება, მიმართოს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შუამდგომლობით და მოითხოვოს მისი განმარტება.

ასეთივე პრინციპი მოქმედებს, როდესაც საჭირო ხდება გადაწყვეტილებაში, ანუ მის სარეზოლუციო ნაწილში უსწორობათა ან აშკარა არითმეტიკულ შეცდომათა გასწორება. შეუძლია თუ არა საქართველოს სასამართლოს გამოასწოროს უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებაში დაშვებული აშკარა შეცდომები? პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, თავისი ინიციატივით მას ამის გაკეთების უფლება არა აქვს. მხოლოდ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეუძლია მას აშკარა შეცდომების შესწორება, თუ ამავე დროს მოწინააღმდეგე მხარე არ გამოთქვამს პროტესტს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარე ვალდებული იქნება, მიმართოს უცხო ქვეყნის სასამართლოს, რომელიც თავის მხრივ შეიტანს შესწორებას გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შესწორების შეტანით, არ უნდა შეიცვალოს არსებითად გადაწყვეტილების აზრი და შინაარსი.

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარად სჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სარეზოლუციო ნაწილის ნათლად და გარკვევით ჩამოყალიბებას უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საქმეში.

საბოლოოდ, კი შეიძლება აღვნიშნოთ, რომ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების მნიშვნელობა მდგომარეობს, საერთაშორისო ურთიერთობებში ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა იმ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის რეალურად განხორციელების უზრუნველყოფაში, რომლებიც დადასტურებულია სასამართლო წესით.

## 2. აღსასრულებელი გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ფარგლები (ობიექტური და სუბიექტური)

ისევე როგორც ზოგადად სასამართლო გადაწყვეტილებისათვის, ასევე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებისათვის კანონიერი ძალის არსებობას, საქართველოში მისი ცნობისა და განსაკუთრებით იძულებითი აღსრულების დაწყებისათვის, უაღრესად დიდი დანიშნულება გააჩნია.<sup>164</sup> თავისუფლად შეიძლება ითქვას, ასეთივე უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს გადაწყვეტილების კანონიერი ძალის გავრცელების ფარგლებს – ობიექტურს და სუბიექტურს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირველი – გადაწყვეტილების რა ნაწილი შედის კანონიერ ძალაში, ანუ რა ნაწილის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს სახელმწიფოს ტერიტორიაზე და მეორე – ვისზე ვრცელდება იგი. ამაზე პასუხს გავცემთ, თუ განვიხილავთ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ობიექტურ და სუბიექტურ ფარგლებს.

ობიექტური ფარგლების განსაზღვრა, პასუხს გვცემს კითხვაზე, კანონიერი ძალა ვრცელდება მთლიანად გადაწყვეტილებაზე თუ მის ნაწილზე. როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა და აღიარება წარმოადგენს მისი კანონიერი ძალის, კერძოდ მისი მატერიალური კანონიერი ძალის მოქმედების გავრცელებას საქართველოს ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე, საინტერესოა გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალის რა ნაწილი შეიძლება გავრცელდეს საქართველოში.

საპროცესო სამართლის თეორიაში არ არსებობს დავა იმის შესახებ, რომ კანონიერი ძალა პირველ რიგში ვრცელდება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სარეზოლუციო ნაწილი წარმოადგენს მატერიალური კანონიერი ძალის საგანს.

ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება არსებობს სამოტივაციო ნაწილის შესახებ, სადაც მოცემულია სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი ურთიერთობანი. გერმანული საპროცესო სამართლის თეორიის მიხედვით, იგი არ განეკუთვნება გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ობიექტურ ფარგლებს.<sup>165</sup> ანგლო-ამერიკული თეორიის მიხედვით, კანონიერი ძალა ვრცელდება აგრეთვე მის სამოტივაციო ნაწილზეც. ასევე ფართო საზღვრები მოიაზრება ფრანგულ დოქტრინაშიც.<sup>166</sup>

რაც შეეხება ქართულ საპროცესო სამართალს, ვიზიარებთ შეხედულებას, რომლის თანახმად, გადაწყვეტილების კანონიერი ძალა მოიცავს მის სამოტივაციო ნაწილსაც.<sup>167</sup>

<sup>164</sup> „კანონიერი ძალის მქონე გადაწყვეტილება, ე. ი. გადაწყვეტილება, რომლის შემდგომი გასაჩივრება დაუშვებელია, გამონაკლისის გარეშე წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების წინაპირობას.“ იხ. Wolfgang Kallwass. Privatrecht. Ein Basisbuch. 15. Auflage. Verlag U. Thiemonds Koln 1996. s. 392.

<sup>165</sup> გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ობიექტური ფარგლების შესახებ იხ. Rosenberg, Schwab, Gottwald, დასახელებ. ნაშრომი გვ. 926-931. აგრეთვე Grunsky. Zivilprozessrecht. Elfte, neubearbeitete Auflage. Lucterhand 2003. s. 210-224 Baur/Grunsky. Zivilprozessrecht. Neunte, uberarbeitete Auflage. Lucterhand Verlag GmbH, Neuwied, Kriftel, Berlin 1997. s. 226-241.

<sup>166</sup> იხ. ჰ. შაკი. დასახელებული ნაშრომი გვ. 445-446.

<sup>167</sup> თ. ლილუაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ.378-381.

ეს უკანასკნელი სარეზოლუციო ნაწილის საფუძველს წარმოადგენს. სამოტივაციო ნაწილში სასამართლოს დასკვნები ფაქტობრივი გარემოებების არსებობა-არარსებობის შესახებ, დასაბუთებული უნდა იყოს გარკვეულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით. ასევე დასაბუთებული უნდა იყოს აღნიშნული ფაქტების (ფაქტობრივი გარემოებების) სწორი იურიდიული შეფასება. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ არაკანონიერი გადაწყვეტილება, არ შეიძლება იყოს დასაბუთებული. იგი ან არაა დასაბუთებული ფაქტობრივად, (მაგ. ფაქტების არსებობა-არარსებობის შესახებ სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნები არ ეფუძნება ამავე საქმეში არსებულ მტკიცებულებებს), ან არაა დასაბუთებული იურიდიულად, (გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოყენებინა, არასწორად განმარტა კანონი და სხვ. რაც საკასაციო საჩივრის საფუძველს წარმოადგენს).

ბოლოს, დასაბუთების მნიშვნელობა გამოიხატება გადაწყვეტილების შემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში. კერძოდ, სააპელაციო სასამართლოში, რომელიც ამოწმებს გადაწყვეტილების დასაბუთებულობას როგორც ფაქტობრივი, ასევე იურიდიული თვალსაზრისით და საკასაციო სასამართლოში, სადაც ხდება მხოლოდ კანონიერების, მისი იურიდიული მხარის შემოწმება, (იურიდიული დასაბუთება).

ყურადღებას იმსახურებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლი, რომლის თანახმად:

“გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.” როგორც ვხედავთ, კანონით პირდაპირ არის განსაზღვრული, რომ ობიექტური ფარგლები მოიცავს გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ და სამართლებრივ ურთიერთობებს, რომლებსაც თავის მხრივ ადგილი ჰქონდა ამ გადაწყვეტილების გამოტანის დროს. ამავე დროს დადგენილია მათი პრეიუდიციულობა გადაწყვეტილების საფუძველზე. პრეიუდიციულობა კი ნიშნავს, რომ სხვა სამოქალაქო საქმეში თუ მონაწილეობენ იგივე მხარეები, წინა გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობები აღარ საჭიროებენ ხელშეორედ დადგენას. ეს პრინციპი განმტკიცებულია აგრეთვე სსკ-ის 106-ე მუხლით, სადაც ლაპარაკია მხარის გათავისუფლებაზე მტკიცებულებათა წარმოდგენაზე ისეთი ფაქტების მიმართ, რომლებიც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით. ანუ სამოტივაციო ნაწილის კანონიერი ძალის შედეგი, ფაქტებისა და სამართლებრივი ურთიერთობებისათვის პრეიუდიციულობის მნიშვნელობის მინიჭებაში მდგომარეობს. მთავარია დაცული უნდა იყოს პირობა: საქმეში უნდა მონაწილეობდნენ იგივე პირები, ან იგივე მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ თუ ერთ-ერთი მხარე სხვა პირია, ფაქტები ხელშეორედ უნდა დადასტურდეს და დადგინდეს.

მიუხედავად ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ სამოტივაციო ნაწილი მთლიანად ვერ შევა კანონიერ ძალაში, მაგ. ისეთი საკითხები,

როგორცაა მოსამართლის ლოგიკური დასკვნები, კანონზე მითითება და სხვ.

აქედან გამომდინარე, ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ კანონიერ ძალაში შეიძლება შევიდეს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც კანონის საფუძველზე ადასტურებენ სარეზოლუციო ნაწილს.<sup>168</sup>

როდესაც ვლაპარაკობთ სამოტივაციო ნაწილის კანონიერი ძალის არსებობის შესახებ, გათვალისწინებული უნდა იყოს გადაწყვეტილების დროითი ფარგლები. ანუ, ფაქტებსა და სამართლებრივ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშენენ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, კანონიერი ძალა ვერ გავრცელდება. ისინი შეიძლება წარმოადგენდნენ მხოლოდ და მხოლოდ ახალი სარჩელის აღძვრის ან/და მის წინააღმდეგ შესაგებლის საფუძველებს. ეს არ უნდა აგვერიოს საქმის წარმოების განახლების პრინციპში, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს განახლების ორ სახეს: 1. გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და 2. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას. გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან/და საქმის წარმოების განახლების საფუძველი მოიცავს ორ უმთავრეს პირობას: ა) გადაწყვეტილების გამოტანამდე ფაქტი, ფაქტობრივი გარემოება არსებობდა, მაგრამ იგი ცნობილი გახდა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ და ბ) მხარემ არ იცოდა ფაქტის არსებობის შესახებ და მას თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა გადაწყვეტილების გამოტანამდე, საქმის განხილვის დროს მიეთითებინა მის შესახებ სასამართლოსათვის. როგორც ვხედავთ განსხვავება დროით ფაქტორშია – წარმოების განხლების შემთხვევაში, ფაქტი უკვე არსებობდა, მაგრამ მის შესახებ არ იყო ცნობილი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ზოგიერთი ქვეყნისგან განსხვავებით, (მაგ. გერმანია)<sup>169</sup>, ითვალისწინებს გადაწყვეტილების კანონიერი ძალის უფრო ფართო ობიექტურ ფარგლებს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ აღიარებასა და აღსრულებაზე უარის თქმისას, ხდება სამოტივაციო ნაწილის არსებითად გადახედვა.

მეორე, რაც ასევე მნიშვნელოვანია უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისას, კანონიერი ძალის გავრცელების თვალსაზრისით, არის მისი სუბიექტური ფარგლები.

როგორც წესი, შეჯიბრობითობა და მხარეთა თანასწორობის პრინციპები წარმოადგენენ იმის უმთავრეს საფუძველებს, რომ სასამართლომ გამოიტანოს დავაზე სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილება, შეგვიძლია დავსკვნათ, რომ სამართალწარმოებაში მონაწილეობა არის ის აუცილებელი პირობა, რომლის საფუძველზე შეიძლება შემდგომში გადაწყვეტილების კანონიერი ძალა გავრცელდეს ამა თუ იმ სამართალსუბიექტზე. ანუ, არ შეიძლება კანონიერი ძალა გავრცელდეს პირებზე, რომლებიც, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, არ მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში და

<sup>168</sup> იხ. ვ. ხრუსტალი, „კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში“. სადისერტაციო ნაშრომი 2004 წ. გვ. 36-37

<sup>169</sup> Wolfgang Golasowski. Endgültigkeit richterlicher Entscheidungen und Durchbrechung der Rechtskraft nach deutschen Recht. Tagungsband I Kaukasische Richterkonferenz 2002. Tbilisi 2003. s. 77-87.



შეიძლება არც იცოდნენ საერთოდ გადაწყვეტილების არსებობის შესახებ. რაც თავის მხრივ, შეიძლება განგვეხილა მათთვის კონსტიტუციით გათვალისწინებული ერთ-ერთი ძირითადი უფლების დარღვევად.

აქედან გამომდინარე უნდა აღვნიშნოთ, რომ სუბიექტურ ფარგლებში მოიაზრება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ის წრე, რომელზედაც უნდა გავრცელდეს გადაწყვეტილების კანონიერი ძალა.

ვისზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლის თანახმად გადაწყვეტილების კანონიერი ძალა? ამ კითხვაზე პასუხს გვცემს კოდექსის 266-ე მუხლი, რომლის მიხედვით: “გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.”

აღნიშნული მუხლის ანალიზი საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ სუბიექტური ფარგლები ვრცელდება 1. მოსარჩელზე; 2. მოპასუხეზე; 3. მესამე პირებზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და 4. მათ უფლებამონაცვლეებზე.

ზოგადად, მხარეებს – მოპასუხესა და მოსარჩელეს – ვინ შეიძლება წარმოადგენდნენ პროცესში, ჩვენ ზემოთ უკვე შევხვით. მაგრამ მათი ზუსტად დადგენისა და განსაზღვრის (ლეგიტიმაციის) მნიშვნელობასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ განვიხილოთ საპროცესო სამართლის ისეთი ინსტიტუტი, როგორცაა პროცესში არასათანადო მხარის შეცვლა.

არასათანადო მხარის შეცვლას ადგილი აქვს, როდესაც, სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, ირკვევა, რომ მოსარჩელე არ არის ის პირი, ვისაც ეკუთვნის სადავო უფლება ან მოპასუხე არ არის ის პირი, რომელმაც უნდა აგოს პასუხი მოსარჩელის დარღვეული უფლებისა თუ კანონიერი ინტერესების გამო. (მუხ. 84 და 85). ეს წესი არა მარტო პროცესის ეკონომიის პრინციპიდან გამომდინარეობს, არამედ, მისი მნიშვნელობა ვლინდება იმითაც, რომ სასამართლო ვერ გამოიტანს გადაწყვეტილებას იმ პირის მიმართ, რომელიც არ არის სადავო სამართლებრივი დავის მონაწილე. ანუ მას არანაირი კავშირი არა აქვს აღნიშნულ მატერიალურ – სამართლებრივ ურთიერთობასთან და აქედან გამომდინარე ვერც იქნება კონკრეტულ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობის მონაწილე.

რაც შეეხება საკითხს – მხარის მონაწილეობას საქმის განხილვაში. რა შემთხვევაში შეიძლება დაუშვათ რომ იგი მონაწილეობდა სამართალწარმოებაში კანონით დადგენილი წესით, ჩვენ უკვე განვიხილეთ და მასზე აქ აღარ შევჩერდებით.

კანონიერი ძალის სუბიექტურ ფარგლებთან დაკავშირებით, აუცილებლად მიგვაჩნია განვიხილოთ ისეთი საპროცესო ინსტიტუტები, როგორცაა: **1) საპროცესო თანამონაწილეობა;**<sup>170</sup> **2) უფლებამონაცვლეობა და 3) მესამე პირები სამოქალაქო პროცესში.**

<sup>170</sup> საპროცესო თანამონაწილეობის ინსტიტუტი ფართოდ განხილული გვაქვს მეორე სასემინარო ნაშრომში. ამ შემთხვევაში მას განვიხილავთ, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებით.

1) იმისთვის, რომ პასუხი გავცეთ რატომ და რა წესით შეიძლება გავრცელდეს გადაწყვეტილების კანონიერი ძალის სუბიექტური ფარგლები თანამონაწილეებზე, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ განვიხილოთ, რას წარმოადგენს თანამონაწილეობა, აგრეთვე მისი საფუძვლები, მიზნები და სახეები.

სასამართლო პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც სარჩელი აღძვრის არა ერთი პირის მიერ მეორის წინააღმდეგ, არამედ ორი ან მეტი სამართალსუბიექტის მიერ ორი ან მეტი პირის წინააღმდეგ.

საქართველოს, ისევე როგორც უცხო ქვეყნის საპროცესო სამართალი ითვალისწინებს რამდენიმე პირის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას, მის საფუძვლებს და სახეებს.

ისეთ შემთხვევას, როდესაც პროცესში (საქმის განხილვაში) მონაწილეობს რამდენიმე მოსარჩელე ან რამდენიმე მოპასუხე, ან რამდენიმე მოსარჩელე და რამდენიმე მოპასუხე ერთდროულად --- უწოდებენ საპროცესო თანამონაწილეობას.

ე. ი. საპროცესო თანამონაწილეობა --- ესაა ერთ საქმეში რამდენიმე მოსარჩელის, ან რამდენიმე მოპასუხის ან/და რამდენიმე მოსარჩელისა და მოპასუხის ერთად მონაწილეობა. მოსარჩელის მხარეზე მონაწილე პირებს უწოდებენ თანამოსარჩელეებს, ხოლო მოპასუხის მხარეზე მონაწილე პირებს უწოდებენ თანამოპასუხეებს.

თანამონაწილეებად შეიძლება მოგვევლინონ არამარტო ფიზიკური პირები, არამედ, აგრეთვე იურიდიული პირები ფიზიკურ პირებთან ერთად ან მხოლოდ იურიდიული პირები.

მნიშვნელოვანია, თუ რა მიზანი გააჩნია საპროცესო სამართალში თანამონაწილეობის ინსტიტუტს.

აღნიშნული მიზნები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

1. სხვადასხვა პირთა მოთხოვნების განხილვა საშუალებას აძლევს სასამართლოს ერთდროულად განიხილოს ისინი და ამასთან ერთად ერთ სასამართლო სხდომაზე გადაწყვიტოს დაუა. რაც თავის მხრივ იძლევა იმის საშუალებას, რომ თავიდან იქნეს აცილებული თითოეული თანამონაწილის მიმართ ცალკე საქმის წარმოება. ეს თავის მხრივ დაკავშირებულია მრავალი სხვადასხვა საპროცესო მოქმედებების ჩატარებასთან, როგორცაა საქმის მომზადება, მტკიცებულებათა მოპოვება, მოწმეთა დაკითხვა, მთავარის სხდომის ჩატარება, მრავალი გადაწყვეტილებების გამოტა თუ სხვ.

2. თანამონაწილეობა მიმართ საქმის ერთობლივად განხილვა ამცირებს პროცესის ხარჯებს, ანუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

3. თანამონაწილეობა მიმართ საქმის განხილვა საშუალებას იძლევა უფრო სრულყოფილად იქნეს გამოკვლეული ფაქტიური გარემოებები და აქედან გამომდინარე გამოტანილი იქნეს უფრო ობიექტიური გადაწყვეტილება.

4. ერთობლივად განხილვით და გადაწყვეტით უზრუნველყოფილია ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებათა გამოტანის თავიდან აცილების საშიშროება. რასაც თავის მხრივ დიდი მნიშვნელობა გააჩნია ჩვენს თემასთან დაკავშირებით.

მხოლოდ პირთა სურვილი, გაერთიანდნენ და აღძრან სასამართლოში სარჩელი, ვერ იქნება თანამონაწილეობის წინაპირობა. ამისათვის აუცილებელია არსებობდეს კანონით გათვალისწინებული საფუძვლები. ასეთ საფუძვლებს ითვალისწინებს როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობაც. მაგ. გერმანიის სსკ-ის 59-ე მუხლიდან გამომდინარე, რამდენიმე პირი შეიძლება გამოვიდეს პროცესში როგორც მოსარჩელები ან როგორც მოპასუხეები თანამონაწილეობის სახით, “თუ დავის საგნის მიმართ ისინი ქმნიან სამართლებრივ ერთიანობას ან მათი უფლებები და მოვალეობები ერთსა და იმავე ფაქტიურ და იურიდიულ საფუძვლებს. ამავე კოდექსის მე-60 მუხლს თანახმად, თანამონაწილეობა დასაშვებია იმ შემთხვევაშიც, თუ “დავის საგანს შეადგენს ერთგვაროვანი მოთხოვნები ან ვალდებულებები და რომლებიც ეფუძნება თავისი არსით ერთგვაროვან ფაქტიურ ან სამართლებრივ საფუძვლებს.”<sup>171</sup>

ასეთივე საფუძვლებია გათვალისწინებული ავსტრიის სსკ-ით. რომლის მე-14 მუხლი უშვებს თანამონაწილეობას, როდესაც მოსარჩელები ან მოპასუხეები ქმნიან სამართლებრივ ერთიანობას ან მოპასუხის უფლება ან მოვალეობა გამომდინარეობს ერთი და იგივე ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლებიდან.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როგორც გერმანიის ისე ავსტრიის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად თანამონაწილეობისათვის აუცილებელია, რომ უფლებები და მოვალეობები ეფუძნებოდეს ან ერთსა და იმავე სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძვლებს, ან ერთგვაროვან ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს.

თანამონაწილეობის ინსტიტუტს იცნობს აგრეთვე საფრანგეთის ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. თანამონაწილეობა (Participation) განხილულია ამ კოდექსის იმ ნაწილში, რომელსაც ეწოდება “მხარეთა სიმრავლე” (La pluralité des parties) (მუხლები: 323-324).<sup>172</sup>

აშშ-ის სამართალწარმოების ფედერალური წესების მე-20 მუხლის თანახმად ერთ სარჩელში შეიძლება გაერთიანდნენ მოსარჩელები, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ თავიანთი უფლება მიიღონ სასამართლო დაცვა ერთობლივად. ასევე ერთ სარჩელში შეიძლება გააერთიანონ მოპასუხეებად ყველა პირი, რომელთა წინააღმდეგ მიმართული იქნება სარჩელი.<sup>173</sup>

ასევე საპროცესო კანონმდებლობით არის განსაზღვრული თანამონაწილეობის საფუძვლები საქართველოს შემთხვევაშიც.

<sup>171</sup> Thomas/putzo. დასახელ. ნაშრომი, გვ. 129-130

<sup>172</sup> Nouredine code de procedure civile. Dalloz, 1997 s.100.

<sup>173</sup> Federal rules of civil procedure. West Publishing co. 1994. s.88.

„ერთი სარჩელის ირგვლივ შეიძლება გაერთიანდეს რამდენიმე მოსარჩელე, თუ სარჩელის საგანი და საფუძველი საერთოა. შესაძლებელია, რომ სასამართლომ ერთი სარჩელიდან გამოეყოს რამდენიმე მოთხოვნა და დაიწყოს დამოუკიდებელი წარმოება.“ იხ. Jack h. Friedenthal; Mary Kay Kane; Arthur R. Miller. Civil Procedure. 2005. Thomson-west. s. 351.

აგრეთვე. 1) Geoffrey c.Hazard; Michele Taruffo. „American civil procedure. 1993. Yale University. S. 113. 2) Civil Procedure. Mary Kay Kane. 1990. West publishing company. s. 106-127. 3) Joseph W. Glannon. Civil procedure. Examples and explanations. 2001. Aspen publishers. s. 247-258 ე. წ. "ჯგუფური სარჩელების" შესახებ, რასაც ითვალისწინებს ფედერალური წესების 23-ე მუხლი, დაწვრილებით განხილული გვაქვს პირველ სასემინარო ნაშრომში.

სსკ-ის 86-მუხლი მოიცავს თანამონაწილეობის რამდენიმე საფუძველს, ესენია:

1. სარჩელი საგანს წარმოადგენს საერთო უფლება;

სარჩელის საგანს ჩვენ უკვე შევეხეთ და მასზე აღარ შეგჩერდებით; მაგრამ როგორ უნდა გავიგოთ “საერთო უფლება”?

ესაა უფლება, როდესაც იგი ერთობლივად რამდენიმე პირს ეკუთვნის. საერთო უფლება შეიძლება წარმოიშვას როგორც კანონის, ასევე გარიგების საფუძველზე (სსკ-ის 173-ე მუხ.). იგი შეიძლება არსებობდეს ორი სახით: ა) წილადი საკუთრება, როდესაც თითოეულ თანამესაკუთრეს გარკვეული წილი ეკუთვნის საერთო საკუთრებაში, და ბ) საზიარო, როდესაც რამდენიმე პირს ესა თუ ის უფლება ერთობლივად ეკუთვნის ანუ თითოეულის უფლება ვრცელდება მთელ ქონებაზე.<sup>174</sup>

საერთო საკუთრების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვისას, მაგ. მისი ნაწილის გასხვისებისას, საზიარო საკუთრების გაუქმების ან გაყოფის მოთხოვნისას და ა. შ. შეიძლება წარმოიქმნას დავა მესაკუთრეებს შორის და აქედან გამომდინარე სასამართლოსადმი მიმართვის აუცილებლობა. ასეთ შემთხვევაში საქმე გვექნება სამართალწარმოებაში საპროცესო თანამონაწილეობასთან.

2. როდესაც სასარჩელო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იგივე საფუძველებიდან;

აღნიშნული საფუძველისას, თანამონაწილეები არ წარმოადგენენ საერთო უფლების სამართალსუბიექტებს. მათი ერთობლივი მიმართვა სასამართლოსადმი განპირობებული იმით, რომ სასარჩელო მოთხოვნები ემყარება ერთსა და იმავე საფუძველს

3. თუ სასარჩელო მოთხოვნები ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველები.

ამ შემთხვევაშიც თანამონაწილეები არ არიან საერთო საკუთრების მქონე პირები, ამას გარდა მათ არ აკავშირებთ საერთო უფლებები ან არ აკისრიათ მოვალეობები ერთმანეთის მიმართ, მაგრამ შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს ერთობლივი სარჩელით. სარჩელის წარდგენის საფუძველია მოთხოვნების დამყარება ერთგვაროვან ფაქტიურ გარემოებებზე. მაგ. მუშა-მოსამსახურეთა უკანონო დათხოვნა საწარმოდან და შემდგომში მათ მიერ ერთობლივი სარჩელის შეტანა სასამართლოში. რა თქმა უნდა მათ შეეძლოთ ცალ-ცალკე მიემართან სასამართლოსათვის, მაგრამ ასევე გააჩნიათ უფლება გააერთიანონ თავიანთი მოთხოვნები ერთ სარჩელში. მთავარი პირობაა მოთხოვნები იყოს ერთგვაროვანი.

თანამონაწილეობა შეიძლება წარმოშვას უკვე აღძრული სარჩელების გაერთიანებამ. მაგ. საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მეოთხე ნაწილიდან გამომდინარე, აღძრული სარჩელები შეიძლება მოსამართლემ თავისი ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობით გააერთიანოს ერთ წარმოებად, თუ იარსებებს ორი პირობა ერთდროულად: 1. თუ გაერთიანებული საქმეები ერთგვაროვანია და სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებულია და 2. საქმეთა გაერთიანებას მოყვება დავის უფრო სწრაფად და სწორად განხილვა. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ თანამონაწილეობა ამ შემთხვევაში

<sup>174</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე. 1999 წ. გვ. 88-89 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე. ტომი II. თბ. 2001 წ. გვ. 331.

წარმოიქმნება სარჩელების აღძვრის შემდეგ. ამას, ეს შეიძლება განხორციელდეს არა მარტო მხარეთა შუამდგომლობით, არამედ მოსამართლის ინიციატივითაც.

აქვე აუცილებლად მიგვაჩნია შევეხოთ ამავე მუხლის პირველ ნაწილს. კერძოდ: “1. მოსარჩელეს შეუძლია ერთ სარჩელში გააერთიანოს ამ სასამართლოს განსჯადი რამდენიმე მოთხოვნა ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ, იმისგან დამოუკიდებლად, ერთსა და იმავე საფუძველებს ეყარება ეს მოთხოვნები, თუ – არა.”

როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს სარჩელების ობიექტურ გაერთიანებასთან. მაგრამ უნდა დავსვათ კითხვა: საჭირო თუ არა, რომ სარჩელების ობიექტური გაერთიანების დროს ერთ სარჩელში გაერთიანებული რამდენიმე მოთხოვნა დაკავშირებული იყოს ერთმანეთთან ან ფაქტობრივად (მოთხოვნების საფუძველით), ან სამართლებრივად?

ვფიქრობთ, “საფუძველებში” უნდა მოვიაზროთ არა სამართლებრივი საფუძველები, არამედ ფაქტობრივი გარემოებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ისეთი მოთხოვნების ერთ სარჩელში გაერთიანება, რომლებიც არც სამართლებრივად არის დაკავშირებული ერთმანეთთან და არც ფაქტობრივად. მაგ. ისეთი მოთხოვნების გაერთიანება, როგორცაა ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა და უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ცხადია, რომ ასეთი, ერთმანეთთან არც ფაქტობრივად და არც იურიდიულად დაკავშირებული მოთხოვნების ერთ სარჩელში გაერთიანების დასაშვებობა არც საქმის სწორად და სწრაფად განხილვას და არც დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას არ შეუწყობდა ხელს.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ 182-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“1. მოსარჩელეს შეუძლია ერთ სარჩელში გააერთიანოს ამ სასამართლოს განსჯადი რამდენიმე მოთხოვნა ერთსა და იმავე მოპასუხის მიმართ, თუ ეს მოთხოვნები ეყარება ერთსა და იმავე ან ერთგვაროვან ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველებს.”

თანამონაწილეობის ორი სახე არსებობს, ესაა: 1. სავალდებულო თანამონაწილეობა და 2. არასავალდებულო (ფაკულტატური) თანამონაწილეობა.<sup>175</sup>

სავალდებულო თანამონაწილეობასთან გვაქვს საქმე, თუ მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, შეუძლებელია სასამართლოში საქმის განხილვა ამ ურთიერთობის ყველა სუბიექტის მონაწილეობის გარეშე.

<sup>175</sup> იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება კიდევ ორი სახის თანამონაწილეობის შესახებ, როგორცაა აქტიური და პასიური და შერეული თანამონაწილეობა. თანამონაწილეობა აქტიურია თუ ისინი მონაწილეობენ მხოლოდ მოსარჩელის მხარეზე. თანამონაწილეობა პასიურია თუ ისინი მონაწილეობენ მხოლოდ მოპასუხის მხარეზე, თანამონაწილეობა შერეულია, თუ ისინი მონაწილეობენ როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის მხარეზე.

იხ. შ. ქურდაძე, „სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში“. გამომცემლობა მერიდიანი. 2005 წ., გვ. 139.

აგრეთვე Jack h. Friedenthal; Mary Kay Kane; Arthur R. Miller. Civil Procedure. 2005. Thomson-west. s. 355.

სავალდებულო თანამონაწილეობის უკეთ გაგებისათვის, განვიხილოთ ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა.

გერმანიის სსკ-ის 62-ე მუხლიდან გამომდინარე, თუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება დადგენილ იქნეს ყველა საპროცესო თანამონაწილისათვის მხოლოდ ერთგავროვნად, ან თუ საპროცესო თანამონაწილეობა აუცილებელია სხვა საფუძველით – საპროცესო თანამონაწილეობა აუცილებელია.

თანამონაწილეობის სავალდებულობა შეიძლება განპირობებული იყოს როგორც საპროცესო სამართლებრივი, ისე მატერიალურ სამართლებრივი საფუძველით.<sup>176</sup>

ავსტრიის საპროცესო კანონმდებლობა თანამონაწილეობის სამ სახეს გამოყოფა: ა) საპროცესო (ფორმალური) თანამონაწილეობა; ბ) მატერიალურ-სამართლებრივი თანამონაწილეობა და გ) ერთიანი მხარე, როგორც თანამონაწილეობის სახესხვაობა.

ამასთან, ავსტრიის სსკ-ის მე-14 მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო გადაწყვეტილება უნდა გავრცელდეს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურების გამო ყველა თანამონაწილეზე, მაშინ ეს პირები ქმნიან ერთიან მხარეს. (Die einheitliche Streitpartei)<sup>177</sup>.

აშშ-ის სამოქალაქო სამართალწარმოების ფედერალური წესების მე-19 მუხლით გათვალისწინებულია სავალდებულო თანამონაწილეობა. რომლის თანახმად, პირი შეიძლება ჩაბმულ იქნეს პროცესში მხარედ, თუ ამ პირის გარეშე სამართლებრივი დაცვის საშუალება არ შეიძლება გამოყენებული იქნეს სრული მოცულობით იმ პირების მიმართ, რომლებიც უკვე მონაწილეობენ საქმეში ან, თუ ეს პირი აღძრავს ისეთ მოთხოვნას ინტერესის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია დავის საგანთან, რის გამოც საქმის წარმოებას მისი მონაწილეობის გარეშე შეუძლია გამოიწვიოს ამ პირის ინტერესის დაცვის გართულება. აგრეთვე შეუქმნას იმ მხარეებს, რომლებიც მონაწილეობენ საქმეში, იმის რისკი, რომ განმეორებით და არაერთგზის იქნან ჩაბმულნი საქმის წარმოებაში.<sup>178</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ პირი არ ჩაებმება საქმის წარმოებაში, იგი შეიძლება ჩაბმულ იქნას საქმეში როგორც იძულებითი მოსარჩელე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით არ არის ცალმხრივად განსაზღვრული სავალდებულო და ფაკულტატური თანამონაწილეობა. თუმცა, როგორც სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, ასევე იურიდიულ მეცნიერებაში გავრცელებული მოსაზრება, საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ სავალდებულო თანამონაწილეობა, როდესაც მატერიალურ სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე შეუძლებელია ამ ურთიერთობის ყველა სუბიექტის პროცესში მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვა და ყოველმხრივ სრულყოფილი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა. ანუ იმ შემთხვევაში, როდესაც სარჩელის საგანია საერთო უფლება ან საერთო მოვალეობა.

<sup>176</sup> 1) Thomas/putzo. Zivilprozessordnung; Verlag C.H.Beck. Munchen. 1997. გვ. 133

2) O. Jauerling. Zivilprozessrecht, 24 Auflage. verlag C. H. Beck. Munchen 1993. s.298-300

<sup>177</sup> Н. Г. Елисеев. Гражданское процессуальное право зарубежных стран. 2-е издание. изд-тва проспект. 2004 г. ст. 442

<sup>178</sup> Federal Rules of civil procedure. West Publishing Company. 1994. s.85

არასავალდებულო თანამონაწილეობასთან კი გვაქვს საქმე იმ შემთხვევაში, როდესაც სარჩელი ემყარება ერთსა და იმავე საფუძველებს (სსკ-ის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" პუნქტი), ან სასარჩელო მოთხოვნები ერთგვაროვანია მიუხედავად იმისა ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი. რაც ნიშნავს იმას, რომ თანამოსარჩელებს შეუძლიათ ცალ-ცალკე აღძრან სარჩელი თავიანთი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. სავალდებულო თანამონაწილეობა ემყარება საერთო უფლებას. ხოლო საერთო უფლების საკითხი ვერ გადაიჭრება ამ უფლების მქონე პირების სამართალწარმოებაში აუცილებელი მონაწილეობის გარეშე. ანუ, შეტყობინება პროცესის შესახებ უნდა გაეგზავნოს ყველა თანამონაწილეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გადაწყვეტილების კანონიერი ძალა შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში. აქედან გამომდინარე, თუ საერთო უფლების მატარებელი რომელიმე პირი ვერ მიიღებს მონაწილეობას სასამართლო პროცესში, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება ვერ აღსრულდება. ასეთ შემთხვევაში, თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მხარე არ იყო სათანადოდ გაფრთხილებული საქმის წარმოების შესახებ. ე. ი. გადაწყვეტილება არა მარტო არ აღსრულდება, არამედ ვერ მოხდება მისი აღიარებაც.

მაგრამ ეს წესი ვერ გავრცელდება იმ შემთხვევაში, თუ თანამონაწილეობმა საქმის წარმოება მიანდეს ერთ-ერთ თანამონაწილეს ან წარმომადგენელს. აგრეთვე, როდესაც თანამონაწილე თავისი ნებით არ ცხადდება პროცესზე, მიუხედავად იმისა, რომ მას შეტყობინება გაეგზავნა კანონით დადგენილი წესით. უნდა გავიზიაროთ ის მოსაზრება, რომ სავალდებულო თანამონაწილეობის დროს ერთი თანამონაწილის გამოცხადება ნიშნავს ყველა თანამონაწილის გამოცხადებას, როდესაც მათ შეტყობინება გაეგზავნათ კანონის თანახმად. სხვა სიტყვებით, იგი ვერ იქნება უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების აღიარების და აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოება.<sup>179</sup>

2. არასავალდებულო თანამონაწილეობის შემთხვევაში, თუ არ გამოცხადდება არცერთი თანამოსარჩელე ან არცერთი თანამონაწილე, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოუცხადებელი მხარის მიმართ. რომლის აღიარება და აღსრულება საქართველოში ჩვეულებრივად, საერთო წესების თანახმად უნდა განხორციელდეს.

---

<sup>179</sup> მაგ. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 62-ე მუხლი; ამ მუხლის თანახმად, თუ სადავო სამართალაღრთიერთობა შეიძლება დადგინდეს ყველა თანამონაწილის მიმართ მხოლოდ ერთგვაროვნად, ან თუ საპროცესო თანამონაწილეობა აუცილებელია სხვა საფუძველის მიხედვით, მაშინ, როდესაც ერთ-ერთი თანამონაწილე გაუშვებს (არ გამოცხადდება) სასამართლო სხდომას, სხვა გამოცხადებული თანამონაწილეები განიხილება როგორც მათი წარმომადგენლები.

გერმანიის სსკ-ის 62-ე მუხლი

იხ. აგრეთვე Thomas/Putzo. დასახ. ZPO. 20 Auflage. Verlag C.H.Beck. Munchen 1997. s.128-138

Baur/Grunsku- zivilprozessrecht. Berlin. Luchterhand, (Juristische Lernbücher) 1997. 9 Auflage, s. 103-114.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც ფაკულტატიური თანამონაწილეობისას არ ცხადდება ნაწილი თანამონაწილეებისა, სასამართლოს გამოაქვს ჩვეულებრივი გადაწყვეტილება გამოცხადებული თანამონაწილეების მიმართ და დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოუცხადებელი თანამონაწილეების მიმართ. შეიძლება თუ არა, აღიარებული და აღსრულებული იქნეს უცხო ქვეყნის ისეთი ჩვეულებრივი (არა დაუსწრებელი) გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია გამოუცხადებელი თანამონაწილის მიმართ? ვფიქრობთ, ეს არ წარმოადგენს ისეთ საპროცესო დარღვევას, რომლის საფუძველზეც შეიძლება უარი ეთქვას გადაწყვეტილების ცნობას. ამ შემთხვევაშიც მთავარია სუბიექტი გაფრთხილებული იქნას სამართალწარმოების შესახებ.

4. ვფიქრობთ, თანამონაწილეობის ინსტიტუტთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში უნდა შევიდეს გარკვეული ცვლილებები:

1. სსკ-ის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ა) სარჩელის საგანს წარმოადგენს მოსარჩელეთა საერთო უფლება ან მოპასუხეთა საერთო ვალდებულება;

2. ამავე მუხლის "ბ" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ბ) რამდენიმე მოსარჩელის ან რამდენიმე მოპასუხის უფლებები და მოვალეობები გამომდინარეობენ ერთი და იგივე საფუძვლებიდან;"

3. ამავე მუხლს დაემატოს "გ" პუნქტი, შემდეგი რედაქციით:

"გ) სარჩელის საგანს წარმოადგენს ერთგვაროვანი უფლებები და მოვალეობები;"

2) ყურადღებას იმსახურებს გადაწყვეტილების კანონიერი ძალის სუბიექტური ფარგლების გავრცელება მხარეთა უფლებამონაცვლეებზე.

უფლებამონაცვლეობის ინსტიტუტს იცნობს თითქმის ყველა სამართლებრივი სისტემა. მათი საფუძვლები შეიძლება მეტ-ნაკლებად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან სხვადასხვა ქვეყნის საპროცესო სამართლის დოქტრინის მიხედვით. საერთოს წარმოადგენს ის, რომ პროცესში მხარის შეცვლის საფუძველს უფლებამონაცვლით, წარმოადგენს მატერიალურ სამართალში უფლებამონაცვლეობა.

ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ უფლებამონაცვლეობა დამოკიდებულია ერთი: უშუალოდ უფლებამონაცვლეზე, მაგ. როდესაც იგი უნდა განხორციელდეს მოსარჩელის მხრიდან. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია თავდაპირველი მოსარჩელის შემცვლელი პირის სურვილი, საქმის გაგრძელების თაობაზე. მეორე – მეორე მხარის, კერძოდ მოსარჩელის სურვილზე, შეიცვალოს თავდაპირველი მოპასუხე უფლებამონაცვლით.

აქვე მოკლედ გვსურს შევეხოთ უფლებამონაცვლეობის იმ საფუძვლებს, რომლებსაც ითვალისწინებს საქართველოს სსკ-ი. კერძოდ:

ა) მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში მის უფლებამონაცვლეს შეიძლება წარმოადგენდეს კანონისმიერი ან ანდერძისმიერი მემკვიდრე. სსკ-ის 1306-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: "1. გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძველით." ე. ი. თუ მემკვიდრე რამდენიმეა, ყველა ისინი წარმოადგენენ უფლებამონაცვლეებს, რა თქმა უნდა მათ უფლება



ეწევათ ყავდეთ წარმომადგენელი, ან ერთ-ერთმა მათგანმა წარმომადგინოს სხვა უფლებამონაცვლეები კანონით დადგენილი წესით. (მუხ. 96).

ბ) იურიდიული პირის რეორგანიზაციას (გარდაქმნა, შერწყმა და გაყოფა) შედეგად უფლებამონაცვლეობის საკითხი გათვალისწინებულია სკ-ის 38-ე მუხლით და “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-14 მუხლით, რომლის თანახმად, საწარმოთა შერწყმის შედეგად “საწარმო, რომელმაც საწარმო მიიერთა, ან ახლადშექმნილი საწარმო, არის ადრინდელი საწარმოს (საწარმოების) უფლებამონაცვლე;” ხოლო გაყოფის შემთხვევაში “გაყოფის შედეგად წარმოქმნილი საწარმოები სოლიდარულად აგებენ პასუხს თავდაპირველი საწარმოს გაყოფამდე არსებული ვალდებულებებისათვის”;

გ) უფლებამონაცვლეობას მოთხოვნის დათმობის (ცესია) გზით, ითვალისწინებს სკ-ის 199-ე მუხლი. კერძოდ, მოთხოვნის მფლობელს (ცედენტს) შეუძლია მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა დაუთმოს მესამე პირს (ცესიონერს), თუ ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს. მოთხოვნის დათმობა უნდა დაიდოს ხელშეკრულებით და ასეთ შემთხვევაში თავდაპირველი მფლობელის ადგილს იკავებს მესამე პირი. ხელშეკრულება აუცილებელია სასამართლოში, როგორც უფლებამონაცვლეობის დადამასტურებელი მტკიცებულება.

დ) უფლებამონაცვლეობა შეიძლება განხორციელდეს ვალის გადაკისრებით, (სკ-ის 203-ე მუხ). კრედიტორის მიმართ ვალდებულების შესრულება შეიძლება იკისროს მესამე პირმა; ასეთ შემთხვევაში თავდაპირველი მოვალის ადგილს იკავებს მესამე პირი. ამ შემთხვევაშიც აუცილებელია შეთანხმების ხელშეკრულებით გაფორმება.

ე) დავის საგნის გასხვისებით (გაყიდვა, გაჩუქება) უფლებამონაცვლეობას ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის თანახმად, სარჩელის წარმოებაში მიღებით: “მხარეებს არ ერთმევათ უფლება გაყიდონ ან სხვა გზით გაასხვისონ დავის საგანი, ანდა დათმონ თავიანთი მოთხოვნა.” ეს წესი ვერ განხორციელდება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მიერ გატარებულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები. (სსკ-ის XXIII-ე თავი).<sup>180</sup>

ამასთან დაკავშირებით შეიძლება წარმოიშვას შემდეგი საკითხი, კერძოდ, რა სტატუსით შეიძლება ჩაებას უფლებამონაცვლე პროცესში, თუ მოსარჩელე არ არის თანახმა შეიცვალოს თავდაპირველი მხარე, მოპასუხე. ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, მას უნდა ჰქონდეს უფლება ჩაებას პროცესში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. ძირითად მოპასუხეს ვერ შევცვლით არასათანადო მხარის

<sup>180</sup> დავის საგნის გასხვისებას და ცესიას ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 265-ე მუხლი. ამასთან, დავის საგანი გასხვისება ან მოთხოვნის დათმობა გავლენას არ ახდენს პროცესზე. უფლებამონაცვლეს უფლება არა აქვს მოწინააღმდეგე მხრის თანხმობის გარეშე ჩაერთოს საქმეში როგორც ძირითადი მხარე, ან მესამე პირი, დავის საგანზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით.

ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ დავის საგნის გასხვისება ან მოთხოვნის დათმობა განხორციელდა მოსარჩელის მიერ, მაშინ მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია გააპროტესტოს, რომ მოსარჩელეს არა აქვს მოთხოვნის აღძვრის უფლება.

ანალოგიურ წესს ითვალისწინებს ავსტრიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 234-ე მუხლი.

შეცვლის წესით, გამომდინარე იქიდან, რომ არასათანადოა მხარე, რომელიც სინამდვილეში არ ფლობს სადავო უფლებას ან დაპირისპირებული მხარე არ არის ის პირი, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ცვლილების შეტანა 184-ე მუხლში. კერძოდ, დაემატოს მესამე ნაწილი, შემდეგი რედაქციით:

“3. პროცესის მსვლელობაზე ვერ მოახდენს ზეგავლენას სადავო ნივთის გასხვისება ან მოთხოვნის დათმობა. სადავო საგნის შემქმენს ან იმ პირს, ვისაც მოთხოვნა დაუთმეს, უფლება არა აქვს მოწინააღმდეგე მხარის თანხმობის გარეშე ჩაებას პროცესში იმ მხარის ნაცვლად, რომელმაც გაასხვისა დავის საგანი ან დათმო მოთხოვნა. მათ შეუძლიათ ჩაებან პროცესში მესამე პირებად დამოუკიდებელი საასარჩელო მოთხოვნის გარეშე.”

ამასთან ერთად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება ვერ გავრცელდება მოპასუხის მიერ დავის საგნის გასხვისების შედეგად წარმოქმნილ უფლებამონაცვლეობაზე იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი დაამტკიცებს, რომ იგი უფლების კეთილსინდისიერი შემქმენია და ამავე დროს, არ იცოდა პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველს წარმოადგენს უფლებამონაცვლეობა მატერიალურ სამართალში. აქედან გამომდინარე, თუ დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა მატერიალურ სამართალში, ასევე დაუშვებელი იქნება საპროცესო უფლებამონაცვლეობაც.

როდესაც ადგილი აქვს მოსარჩელის უფლებამონაცვლეს, მაშინ, თუ იგი თანახმაა მონაწილეობა მიიღოს სამართალწარმოებაში, უნდა მიმართოს სასამართლოს განცხადებით, რათა დაშვებულ იქნას მხარედ, მოსარჩელის უფლებამონაცვლედ. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმის განხილვა უნდა შეწყდეს მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის საფუძველით; (მუხ. 272. პ. "გ"). მას აქვს ვალდებულება, წარადგინოს უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი მტკიცებულებანი.

თუ საქმე გვაქვს მოპასუხის შეცვლასთან უფლებამონაცვლით, მაშინ ასეთ შემთხვევაში თვითონ მოსარჩელე ან უფლებამონაცვლე მიმართავს სასამართლოს განცხადებით. შუამდგომლობის აღმძვრელი, წარუდგენს სასამართლოს უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელ მტკიცებულებას.

სასამართლო უფლებამონაცვლის დადგენის შემდეგ, განაახლებს საქმის წარმოებას, რაც უნდა ეცნობოს მას კანონით დადგენილი წესით. რის საფუძველზეც მისი გამოუცხადებლობა ვერ გახდება საქმის შეჩერების ან გადაწყვეტილების გაუქმების საბაბი, შეტყობინების არარსებობის გამო.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ გადაწყვეტილების (ასევე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების) კანონიერი ძალის სუბიექტური ფარგლები ვრცელდება აგრეთვე უფლებამონაცვლეებზეც, მიუხედავად იმისა, რა სტადიაზეც არ უნდა მოხდეს უფლებამონაცვლეობა, გადაწყვეტილების გამოტანამდე, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე თუ მის აღსრულებამდე.

ამასთან, უფლებამონაცვლეობის საკითხი უნდა გადაწყდეს იმ ქვეყნის მატერიალური სამართლის მიხედვით, რომლითაც ხდება უფლებამონაცვლეობის საკითხის განსაზღვრა. ანუ, ხდება Lex causae–ს პრინციპის გამოყენება.

3) ასევე, განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია გადაწყვეტილების კანონიერი ძალის სუბიექტური ფარგლების გავრცელებას მესამე პირებზე.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსარჩელის, მოპასუხის ან ორივე მხარეზე ერთად პროცესში გამოდის რამდენიმე პირი (საპროცესო თანამონაწილეობა). მიუხედავად ამისა, ითვლება, რომ სახეზე გვყავს ორი ურთიერთდაპირისპირებული მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე. ასეთ ვითარებაში, მხოლოდ მონაწილე პირთა რაოდენობაა გაზრდილი.

ასევე, ხშირია პრაქტიკაში ისეთი ვითარება, როდესაც სამართალწარმოებაში ებმევა სრულიად სხვა პირი და მისი ინტერესები არ ემთხვევა პროცესში უკვე მონაწილე მხარეთა ინტერესებს. ზოგ შემთხვევაში ასეთი პირის ინტერესი ეწინააღმდეგება როგორც მოსარჩელის, ასევე მოპასუხის ინტერესებს. ხოლო, ზოგ შემთხვევაში მისი დაინტერესება შეიძლება გამოიხატოს სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის მოქმედებით რომელიმე მხარის მიმართ მის უფლებებსა და მოვალეობებზე.

ინტერესების განსხვავებულობა წარმოადგენს, პროცესში ორი სხვადასხვა კატეგორიის მესამე პირების არსებობის საფუძველს – ა) მესამე პირები, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და ბ) მესამე პირები, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.

მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შემოდიან პროცესში საკუთარი ინტერესების და უფლებების დასაცავად. ისინი აცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნას მთლიანად დავის საგანზე ან მის ნაწილზე და აღძრავენ დამოუკიდებელ სარჩელს ერთ-ერთი ან ორივე მხარის წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, ისინი ითვლებიან ჩვეულებრივ მოსარჩელეებად და მათ გააჩნიათ ყველა ის საპროცესო უფლებები, რაც გათვალისწინებულია მხარეებისთვის კანონით. (გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების ჩათვლით). მათზე გადაწყვეტილების კანონიერი ძალის სუბიექტური ფარგლების გავრცელების მხრივ რაიმე ეჭვი არ არსებობს.

გარკვეული თავისებურებით ხასიათდება მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლიდან გამომდინარე, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელიც არ აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით, რათა დაუშვას იგი საქმეში მესამე პირად მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე, რადგან სასამართლო გადაწყვეტილებას ამ საქმეზე შეუძლია შემდგომში გავლენა მოახდინოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ.

ასეთივე პრინციპია გავრცელებული საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყნებში, მაგალითად, გერმანიის სსკ 66-ე მუხლის თანახმად, ის, ვისაც აქვს სამართლებრივი ინტერესი იმისათვის, რომ სასამართლოში მიმდინარე დავა სხვა პირებს შორის გადაწყდეს ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ, შეუძლია შეუერთდეს ამ მხარეს მისთვის მხარდაჭერის

მიზნით, მესამე პირმა დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე თავის განცხადებაში სასამართლოს მიმართ უნდა მიუთითოს სამართლებრივ ინტერესზე, რის გამოც ჩაერთვის პროცესში.<sup>181</sup>

დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის პროცესში ჩაბმის იგივე სამართლებრივ საფუძველს ითვალისწინებს (იურიდიულ ინტერესს) ავსტრიის სსკ მე-17 და 21-ე მუხლები.<sup>182</sup>

დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის პროცესში ჩაბმის იგივე სამართლებრივ საფუძველად მითითებულია იურიდიული ინტერესი საფრანგეთის ახალი სსკ 325-ე მუხლით.<sup>183</sup>

როგორც ვხედავთ, იურიდიული ინტერესი, საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის საპროცესო სამართალში, წარმოადგენს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების პროცესში დაშვების უმთავრეს სამართლებრივ საფუძველს. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ განვიხილოთ იგი, მესამე პირების და აგრეთვე ზოგადად მხარის პროცესში დაშვების როგორც ერთ-ერთი წინაპირობა.

როგორც წესი, უფლებაუნარიანობით და ქმედუნარიანობით არ ამოიწურება მოთხოვნები, რომლებიც წაყენება მხარეებს. როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს ზოგიერთ ისეთ მოთხოვნას, რომელსაც უნდა პასუხობდეს პირი, რათა იგი დაშვებულ იქნეს პროცესში მხარედ. ამ მოთხოვნებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იურიდიულ ინტერესს, რადგან უფლებაუნარიანობასთან და ქმედუნარიანობასთან ერთად პირს უნდა გააჩნდეს ინტერესი მის მიერ აღძრული სარჩელის გადაწყვეტისადმი, რათა იგი დაშვებულ იქნეს პროცესში მხარედ.

უნდა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს იურიდიულ ინტერესს, როგორც პირის მხარედ დაშვების აუცილებელ პირობას, განსხვავება ამ ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობას შორის მდგომარეობს მხოლოდ ინტერესის მოცულობაში. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად ინტერესი ვრცელდება ყველა სახის სარჩელზე, ანუ როგორც მიკუთვნებით, ისე აღიარებით სარჩელებზე. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით კი მხარეს უნდა გააჩნდეს ინტერესი მხოლოდ აღიარებითი სარჩელების მიმართ.

მაგალითად, საფრანგეთის ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად საქმის წარმოება სასამართლოში ხელმისაწვდომია ყველასათვის, ვისაც გააჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილების კანონიერი ინტერესი ან ამ მოთხოვნის წინააღმდეგ თავდაცვის ინტერესი.

იურიდიულ ლიტერატურაში ინტერესის ცნება მიჩნეულია, როგორც რთული და ძნელად აღსაქმელი ცნება. მიჩნეულია, რომ, რახან პირი მიმართავს სასამართლოს სარჩელით უფლების დაცვის შესახებ მას, როგორ ჩანს, აქვს ინტერესი ამ სარჩელის გადაწყვეტისადმი. ინტერესი მხარეს გააჩნია ყოველთვის, თუ გადაწყვეტილებას საქმეზე შეუძლია რაიმე სარგებლობა მოუტანოს მას.<sup>184</sup>

<sup>181</sup> Rosenberg /schwab/ Gottwald. Zivilprozessrecht. 15& Auflage, Verlag C.H. Beck. Munchen. 1993. s.

115

<sup>182</sup> Fasching H.W. Osterreichischen zivilprozechts, Wien. Manz. 1990, s. 8.85

<sup>183</sup> Gerard Couchez. Procedure Civile, Dalloz. 9<sup>e</sup> edition 1996. p. 90

<sup>184</sup> Nouveau Code de Procedure civile. 96<sup>e</sup> edition. Cuhe A. Procedure civile. Dalloz, 1997, P. 101

აშშ სამოქალაქო სამართლის ფედერალური წესებიც ასევე ფართო მნიშვნელობას ანიჭებს იურიდიულ ინტერესს პროცესში. ამ წესების თანახმად „ყოველი სარჩელი შეიძლება აღიძრას რეალურად დაინტერესებული პირის სახელით.“ ეს იმას ნიშნავს, რომ თუ პირს არ გააჩნია ინტერესი, ხოლო სარჩელის აღძვრა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მას ასეთი ინტერესი გააჩნია, იგი ვერ იქნება დაშვებული პროცესში მხარედ<sup>185</sup>.

რამდენადმე განსხვავებულად აწესრიგებს ამ საკითხს გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 256-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად აღიარებითი სარჩელები, ანუ სარჩელები სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის შესახებ, დოკუმენტის ნამდვილობის თუ სიყალბის აღიარების შესახებ და ა.შ. შეიძლება აღიძრას თუ მოსარჩელეს აქვს ამისათვის სამართლებრივი (იურიდიული) ინტერესი.<sup>186</sup> იურიდიული ინტერესი სრულიად გარკვეულ როლს ასრულებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობითაც. სსკ 79-ე მუხლის თანახმად „სასამართლო საქმის განხილვას შეუდგება დაინტერესებული პირების განცხადებით.“

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ იურიდიული ინტერესი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით წარმოადგენს პირის (განმცხადებლის) ისეთ თვისებას, რომლის გარეშე იგი ვერ იქნება დაშვებული პროცესში მხარედ, ანუ, რომლის გარეშე სასამართლო ვერ მიიღებს განსახილველად სარჩელს?

კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. სსკ 79-ე მუხლის პირველი ნაწილი მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ნებისმიერ პირს (ფიზიკურს თუ იურიდიულს) შეუძლია მიმართოს სასამართლოს უფლების დაცვისათვის, ხოლო, თუ პირმა მიმართა სასამართლოს, უკვე თავისთავად იგულისხმება, რომ იგი დაინტერესებულია ამ საქმის გადაწყვეტით, სხვა სიტყვებით, მას აქვს იურიდიული ინტერესი.

რაც შეეხება აღიარებით სარჩელებს, ასეთი სარჩელების მიმართ საკითხი სხვაგვარად უნდა გადაწყდეს. სსკ 180-ე მუხლის თანახმად სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს.

როგორც ვხედავთ, იურიდიული ინტერესი წარმოადგენს აღიარებითი სარჩელის მიღებისა და განხილვის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას. აქედან გამომდინარე, დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს საკითხი იმის შესახებ, თუ როდის შეიძლება ჰქონდეს მხარეს აღიარებითი სარჩელის განხილვის ინტერესი.

იურიდიული ინტერესის არსებობისთვის საჭიროა:

1. არსებობდეს დავა მხარეთა შორის უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ, ე.ი. მოპასუხე უნდა

<sup>185</sup> Federal Rules OF civil procedure. West publishing CO.1994, S.6

<sup>186</sup> დაწვრილებით იხ. Luke, Zivilprozessrecht. Verlag C.H. Beck. Munchen, 1999, s.100-107

ეცილებოდეს მოსარჩელეს უფლებაში (მაგალითად, საკუთრების უფლებაში, მოთხოვნის უფლებაში და ა.შ.);

2. ასეთი დავა უნდა ქმნიდეს სადავო უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას;

3. აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, ანუ ამ გადაწყვეტილებას სრულიად გარკვეული სარგებლობა უნდა მოჰქონდეს მოსარჩელისათვის.

4. აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია და იგი არ უნდა მიიღოს სასამართლომ განსახილველად, თუ უკვე შესაძლებელია სარჩელი თვით ვალდებულების შესრულების თაობაზე, ე.ი. თუ შესაძლებელია აღიძრას მიკუთვნებითი სარჩელი.<sup>187</sup>

როგორც ცნობილია, იურიდიული ინტერესი შეფასებითი მსჯელობაა. ამიტომ, მისი დადგენა-დადასტურება მტკიცებულებების მეშვეობით შეუძლებელია, რადგან, ვიმეორებთ, იურიდიული ინტერესი არის არა ფაქტობრივი მდგომარეობა, არამედ შეფასებითი მსჯელობა. სწორედ ამიტომ, საქართველოს კანონმდებლობამ უპირატესობა მიანიჭა საქმეში მესამე პირის ჩაბმის ისეთ კრიტერიუმს, რომელიც უფრო გასაგები და მისაღები იქნებოდა როგორც მხარეებისათვის, ისე სასამართლოსთვის.

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა:

იურიდიული ინტერესი საქართველოს კანონმდებლობითაც აუცილებელია დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩაბმისათვის, მაგრამ იგი არსებობს მაშინ, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებას შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ პირის უფლებებზე და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ.

ზოგ შემთხვევაში კანონმდებელი თვითონ განსაზღვრავს თუ რა შემთხვევაში შეუძლია საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას მოახდინოს გავლენა მესამე პირის უფლებებზე და მოვალეობებზე. (იხ. მაგალითად სამოქ. კოდექსის 703 და 706-ე მუხლი, აგრეთვე, ამავე კოდექსის 704-ე მუხლი, რომლებიც განსაზღვრავენ უკუმოთხოვნის (რეგრესული მოთხოვნის) უფლებას.

რაც შეეხება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის სუბიექტური ფარგლების გავრცელებას მესამე პირებზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. ამ შემთხვევაში უნდა განვასხვავოთ გადაწყვეტილების კანონიერი ძალის მოქმედება და ამ გადაწყვეტილების მოქმედება აღნიშნულ მესამე პირებზე.

ასეთი კატეგორიის მესამე პირები არ განიხილებიან როგორც პროცესში მონაწილე მხარეები. მათი სამართალწარმოებაში მონაწილეობის საფუძველია მხოლოდ ის გავლენა, რომელიც შეიძლება შემდგომში მოახდინოს გადაწყვეტილებამ მათ უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ. ისინი არ უპირისპირდებიან მოწინააღმდეგე მხარეს. მათ მხოლოდ მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობა აკავშირებთ პროცესის იმ მხარესთან, რომლის მხარეზეც გამოდიან საქმის განხილვისას და შეიძლება ითქვას, ეხმარებიან მას პროცესის მოგებაში. რადგან სასამართლო გადაწყვეტილებით ასეთ

<sup>187</sup> იხ. თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი. გამომცემლობა "სანი". 2004, გვ. 305-306

პირებზე რაიმე მოვალეობების ან თუნდაც უფლებების დაკისრება გამორიცხებულია, ამიტომ მათზე ვერ გავრცელდება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი.

შეიძლება დავსვათ კითხვა, გავრცელდება თუ არა მათზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, გადაწყვეტილება ფაქტების დადგენის ნაწილში? ასეთ შემთხვევაში ერთადერთი მნიშვნელობა გააჩნია იმას, იყო თუ არა პირი ჩაბმული საქმის განხილვაში. ამის მაგალითად, შეიძლება ისევ სკის 706-ე მუხლს მივმართოთ, რომლის მიხედვით, გადამზიდველს, რომლის მიმართ განხორციელდა უკუმოთხოვნა, არ შეუძლია საცილო გახადოს, რომ “მან უსაფუძვლოდ გადაიხადა თანხა, თუკი გადაწყვეტილება გადახდის შესახებ მიღებულია სასამართლოს მიერ და თუ ეს გადამზიდველი ამ სასამართლო პროცესის შესახებ სათანადოდ იქნა გაფრთხილებული და შეეძლო კიდევ მიეღო მონაწილეობა ამ პროცესში.” აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ მესამე პირი სათანადოდ<sup>188</sup> არ იქნება ჩაბმული საქმის განხილვაში, მაშინ მას რჩება უფლება შემდგომში, მის წინააღმდეგ უკუმოთხოვნის წაყენებისას, ამტკიცოს, რომ ზიანის ანაზღაურება უსაფუძვლოდ დაეკისრა მხარეს (გადამზიდველს).

ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ სასამართლოს თავისი ინიციატივით არ შეუძლია მესამე პირი ჩართოს საქმის განხილვაში. მხოლოდ უშუალოდ ამ პირს, წერილობითი შუამდგომლობით ან ერთ-ერთ მხარეს (როგორც წერილობით, ასევე ზეპირი განცხადებით) აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს პროცესში მესამე პირად ჩაბმის თაობაზე.

ყოველივე აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირებზე, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღიარებისას, მხოლოდ სამოტივაციო ნაწილი (გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ობიექტური ფარგლების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი) შეიძლება გავრცელდეს იმ შემთხვევაში, თუ ისინი კანონით დადგენილი წესით გაფრთხილებული იქნენ საქმის წარმოების შესახებ.

---

<sup>188</sup> მხარის სათანადოდ საქმის ჩაბმაში, ან სათანადოდ გაფრთხილებაში იგულისხმება კანონით დადგენილი წესით მისთვის შეტყობინების ჩაბარება. ხოლო თავისი ნებით პირის გამოუცხადებლობის შედეგებს, ჩვენ ზემოთ უკვე შევეხეთ.

### 3. ეგზეკუტურა<sup>189</sup>

ქვეყნის შიგნით სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დაწყების საფუძველია, კანონმდებლობიდან გამომდინარე, სააღსრულებო ფურცლის (დედანის) არსებობა, რომელსაც გასცემს გადაწყვეტილების გამომტანი ორგანო – სასამართლო. “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: “1. სააღსრულებო წარმოება არ დაიშვება სააღსრულებო ფურცლის (დედანი) გარეშე, გარდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებთან და უცხოელთა საქართველოდან გაძევებასთან დაკავშირებული საქმეებისა.” ამავე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, სააღსრულებო ფურცელი გაიცემა იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც ამ კანონით ექვემდებარება აღსრულებას.

კანონის 26-ე მუხლის თანახმად, იმისათვის, რომ აღმასრულებელმა დაიწყოს სააღსრულებო მოქმედება, სააღსრულებო ფურცელთან ერთად აუცილებელია კრედიტორის წერილობითი განცხადება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული დოკუმენტების გარდა, ქვეყნის შიგნით სასამართლოს მიერ გამომტანილი გადაწყვეტილების აღსრულებისთვის, კანონმდებლობით სხვა რაიმე საბუთისა თუ პროცედურების ჩატარება არ არის გათვალისწინებული.

განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე, უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისას. საქართველოს სააღსრულებო ორგანოებისათვის იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს სასამართლოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტი (გადაწყვეტილება, განჩინება, დადგენილება). უცხო ქვეყნის სასამართლოს სააღსრულებო ფურცელი აღმასრულებელს ვერ დაავალდებულებს დაიწყოს სააღსრულებო წარმოება. გარდა იმისა, რომ გადაწყვეტილებათა აღსრულება, ანუ სააღსრულებო წარმოება წარმოადგენს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფოს მიერ სუვერენული ხელისუფლების განხორციელების აქტს<sup>190</sup>, ასევე შეუძლებელი იქნებოდა მისი გატარება იმ უმთავრესი მიზეზის გამოც, რომ სააღსრულებო ორგანო ვერ შეამოწმებს გადაწყვეტილების აღიარების კანონით გათვალისწინებულ წინაპირობებს. აღიარება წარმოადგენს, შემდგომში აღსრულების აუცილებელ წინაპირობას.

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება შეიძლება მხოლოდ მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ და შესაბამისი სააღსრულებო ფურცლის არსებობის შემთხვევაში, რომელსაც გასცემს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო (მოსამართლე).

უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სკს-ის შესახებ კანონი პირდაპირ ითვალისწინებს, რომ უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში,

<sup>189</sup> Exequatur – (ლათ); ფრანგული ტერმინი, რაც ნიშნავს: სასამართლო დადგენილებას (გადაწყვეტილება, განჩინება, ჩვენ შემთხვევაში დადგენილება) ქვეყანაში უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ.

<sup>190</sup> „როგორც უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობისას, თითოეული ქვეყანა ასევე დამოუკიდებლად წყვეტს უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების საკითხს“. იხ. P. Gottwald. Die internationale Zwangsvollstreckung. IPRax 1991. s. 285.



თუ მის აღსრულებაზე მიღებული იქნება სასამართლოს მიერ სამართლებრივი აქტი. კერძოდ, საქართველოს სკს-ის შესახებ კანონის 70-ე მუხლის მეორე პუნქტის თანხმად: “2. აღსრულებაზე გადაწყვეტილება მიიღება დაინტერესებული მხარის მიერ შესაბამისი შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ.”

საზღვარგარეთის სახელმწიფოს სააღსრულებო ფურცელს, როგორც ოფიციალურ დოკუმენტს, მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება კანონიერი ძალა, თუ საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი იქნება მისი აღსრულება. “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 71-ე მუხლის მეოთხე პუნქტის თანხმად: “4. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე გადაწყვეტილებას საქართველოს სასამართლო იღებს დადგენილების ფორმით.” გადაწყვეტილების აღსრულებაზე დადგენილების გამოცხადებას ეგზეკვატურას უწოდებენ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა და მის აღსრულებაზე დადგენილების გამოცხადება ერთდროულად მიმდინარეობს.

თუმცა ადგილი შეიძლება ჰქონდეს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც აღსრულებადი გადაწყვეტილების აღსრულებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ ეგზეკვატურის გავრცელება არ მოხდეს. მაგ. მოვალემ სრულად ან რაღაც ნაწილით უკვე შეასრულა ვალდებულება.

ეგზეკვატურა ვერ გავრცელდება წინასწარ გადაწყვეტილებებზე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეიძლება აღიარებული იქნან. მაგრამ იგი შეიძლება გავრცელდეს ნაწილობრივ გადაწყვეტილებებზე. აგრეთვე, ეგზეკვატურა შეიძლება ისეთ სასამართლო აქტებზე (მაგ. დადგენილება), როგორცაა ა) გადახდის ბრძანება, ბ) სასამართლო ხარჯების ანაზღაურება და გ) საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება.

ა) დავალიანების გადახდის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს გადახდის ბრძანების სახით (მუხ. 302). იგი ჩვეულებრივი გადაწყვეტილებაა, რომლითაც განსაზღვრულია მხარეთა უფლებები მოვალეობები. ამასთან, განსაზღვრულია გადახდის ბრძანების თაობაზე როგორც განცხადების დაშვებადობის, ასევე მისი შინაარის წინაპირობები. გასათვალისწინებელია ის ვითარებაც, რომ საქმის წარმოება ასეთ შემთხვევაში მიმდინარეობს მოპასუხის მონაწილეობის გარეშე. თუმცა, მას გააჩნია სრული უფლება და შესაძლებლობა დაიცვას თავისი ინტერესები, თუ არ ეთანხმება გადახდის ბრძანებას. კერძოდ, აღძრას შესაგებელი კანონით დადგენილ ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, უცხო ქვეყნის სასამართლო გასცემს სააღსრულებო ფურცელს. რომლის მიმართაც ეგზეკვატურა საქართველოში შეიძლება განხორციელდეს საერთო წესების დაცვით.<sup>191</sup>

ბ) ეგზეკვატურა ვრცელდება პროცესის ხარჯების ანაზღაურების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (დადგენილებაზე, განჩინებაზე).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქმე შეიძლება გვექონდეს გადაწყვეტილებებთან, რომლებისთვისაც საკმარისია მხოლოდ

<sup>191</sup> გადახდის ბრძანების გამარტივებული წესით მიღების ინსტიტუტს იცნობს გერმანიის (წიგნი მე-7, მუხლები 688-703<sup>ა</sup>), რუსეთის (თავი 11, მუხლები 121-130, იხ. Гражданское процессуальное право. Учебник. С.А. Алехина. В.В. Блажеев и др. Изд. „Проспект” 2004.) და სხვა ქვეყნების საპროცესო სამართალი.

ადიარება.<sup>192</sup> თუ ასეთი სასამართლო აქტი მოიცავს პროცესის ხარჯების დაკისრებას მოპასუხის მიმართ, მაშინ ეგზეკუტურა გამოტანილი უნდა იქნეს ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, რომელიც განხორციელდება სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონმდებლობის თანახმად.

ადგილი შეიძლება ჰქონდეს ისეთ შემთხვევასაც, როდესაც სასამართლოს გამორჩა გადაწყვეტილებაში ხარჯების განაწილების თაობაზე და შემდგომში დადგენილებაში (განჩინებაში) მოახდინა მისი განსაზღვრა. მაგ. საქართველოს სსკ-ის 54-ე მუხლის თანახმად, მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება, თუ იგი ნებაყოფლობით დააკმაყოფილებს სარჩელს მისი აღძვრის შემდეგ. რაზედაც სასამართლოს გამოაქვს განჩინება. მაგრამ თუ განჩინებაში არ აღინიშნება ამის შესახებ, მაშინ სასამართლომ, მოსარჩელის შუამდგომლობით უნდა გამოიტანოს დამატებითი განჩინება და განსაზღვროს ანაზღაურების წესი.

გ) ასევე აღსრულებას ექვემდებარება სასამართლო გადაწყვეტილებები საადვოკატო მომსახურების თანხის დაკისრების თაობაზე.

მაგალითი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა საკასაციო პალატამ:

განიხილა ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლოს შუამდგომლობა აღნიშნული სასამართლოს 2002 წ. 6 მაისის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

როგორც აღწერილობითი ნაწილიდან ირკვევა: ბელარუსიის რესპუბლიკის ქ. გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2002 წ. 6 მაისის დადგენილებით ა. ცხოვრებოვს დაეკისრა ადვოკატის მომსახურებისათვის – 22784 რუსული რუბლის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლომ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

---

<sup>192</sup> მაგ. აშშ-ში: „უცხოეთის სასამართლო გადაწყვეტილებების ადიარება და აღსრულება არის ურთიერთდაკავშირებული, მაგრამ ურთიერთგანსხვავებული კონცეფციები.

უცხოეთის სასამართლო გადაწყვეტილებების „ადიარება“ ხდება, როდესაც ამერიკის სასამართლო ემყარება უცხოეთის სასამართლო წესს და თავიდან ირიდებს სასამართლო დავის პროცესს.

ადიარება არის ამერიკაში დამკვიდრებული *res judicata*-ს დოქტრინის შესაბამისი ინსტიტუტი.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების „აღსრულება“ ხდება, როდესაც სასამართლო მტკიცედ იყენებს მის ძალაუფლებას, რათა აიძულოს მოპასუხე შეასრულოს უცხოეთის სასამართლოს გადაწყვეტილება.” იხ. Gary Born, *International civil litigation in United States courts: commentary & materials*. Kluwer Law International. 1996. s. 936. აგრეთვე, *Restatement (second) Conflict of Laws, Chap.5 Topic 2*. 1971. *Restatement (third) Foreign relations Law* 1987.

*res judicata* --- ერთხელ უკვე გადაწყვეტილი საქმის, ხელმეორედ განხილვის დაუშვებლობის პრინციპი.

“პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 68-69 მუხლებით, სსკ-ის 285-ე მუხლით და

დაადგინა:

ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლოს შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს. ცნობილ იქნეს ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2002 წ. 6 მაისის კანონიერ ძალაში შესული დადგენილება 22784 რუსული რუბლის დაკისრების ნაწილში და იგი დაექვემდებაროს აღსრულებას.

აღნიშნული დადგენილების ასლი და სააღსრულებო ფურცელი იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით აღსასრულებლად გადაეგზავნოს შესაბამის საარსრულებო ბიუროს.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.”<sup>193</sup>

ეგზეკუტურა ვრცელდება სასამართლოს მიერ დადგენილ მხარეთა ისეთი სახის მორიგებებზე და უცხო ქვეყნის საჯარო ხასიათის დოკუმენტებზე, რომლებიც თავის მხრივ ექვემდებარება აღსრულებას. (სკს-ის შესახებ კანონის 72-ე მუხლი).

მაგალითი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა  
საკასაციო პალატამ:

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის “არბატის” რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის ი. მ. ტრაჩმის შუამდგომლობა და მასალები ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე – ქ. მოსკოვის “არბატის” რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის ი. მ. ტრაჩმის 2003 წ. 4 დეკემბრის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და არსრულების შესახებ მოქალაქე მ. ტლაშაძის მიმართ ჯარიმის დაკისრების შესახებ.

როგორც აღწერილობითი ნაწილიდან ირკვევა: მ. ტლაშაძეს ქ. მოსკოვის “არბატის” რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის ი. მ. ტრაჩმის 2003 წ. 4 დეკემბრის დადგენილებით დაეკისრა ადმინისტრაციული სასჯელი ჯარიმის სახით 500 რუბლის ოდენობით, რუსეთის ფედერაციის ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 20.1 მუხლის მიხედვით.

პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 68-69 მუხლებით, სსკ-ის 284-ე მუხლით, “სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ” 1993 წ. მინსკის კონვენციით და

დაადგინა:

ქ. მოსკოვის “არბატის” რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის ი. მ. ტრაჩმის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

<sup>193</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე №10 2003 წ. გვ. 2678. განჩინება №ვა-108-02. 1 ოქტომბერი, 2003 წ. ქ. თბილისი.

ქ. მოსკოვის “არბატის” რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების 2003 წ. 4 დეკემბრის დადგენილებით, რომლითაც მ. ტლაშაძეს დაეკისრა ადმინისტრაციული სასჯელი ჯარიმის სახით 500 რუსული რუბლის ოდენობით, ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და დაექვემდებაროს აღსრულებას.

აღნიშნული განჩინების ასლი და სააღსრულებო ფურცელი აღსასრულებლად გადაეგზავნოს სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.<sup>194</sup>

შეიძლება დავსვათ კითხვა: ვრცელდება თუ არა ეგზეკვატურა უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ეგზეკვატურის შესახებ? კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ.<sup>195</sup> პირველი – ყოველი სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს, თუ რომელი, ანუ რა სახის გადაწყვეტილებები შეიძლება იქნეს მის ტერიტორიაზე აღიარებული და აღსრულებული. ამისთვის იგი ადგენს გადაწყვეტილების ცნობის საფუძვლებს (წინაპირობებს), ხოლო ქვეყნის შიგნით პროცესუალური სამართლით გათვალისწინებულია აგრეთვე მისი ობიექტური თუ სუბიექტური ფარგლები. აქედან გამომდინარე, ეგზეკვატურა ეგზეკვატურის შესახებ, შეიძლება განგვეხილა, როგორც უცხო ქვეყნის მიერ მეორე სახელმწიფოსათვის ყველა აღნიშნული საფუძვლისა თუ ფარგლების განსაზღვრა და დადგენა. რაც თავის მხრივ ეწინააღმდეგება თვითონ ეგზეკვატურის არსს, მის დაინიშნულებას.

მეორე – ეგზეკვატურა წარმოადგენს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დაშვებას, ანუ აღსრულებისთვის კანონიერი ძალის მინიჭებას სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ამიტომ, კანონიერი ძალის გავრცელება (მინიჭება) არ შეიძლება იყოს შემდგომში, ხელმეორედ და ისევ კანონიერი ძალის გავრცელების საგანი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღსრულება ვერ იქნება აღსრულების საგანი. (აღსრულებული იქნეს გადაწყვეტილების აღსრულება).

და ბოლოს – ეგზეკვატურა ნიშნავს კანონიერი ძალის გავრცელებას მხოლოდ მის გამომტან სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, ეგზეკვატურა შეიძლება განხორციელდეს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე მხოლოდ მხარის მიერ შუამდგომლობის აღძვრის საფუძველზე. “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 70-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად: “2. აღსრულებაზე გადაწყვეტილება მიიღება დაინტერესებული მხარის მიერ შესაბამისი შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ.”

ვინ შეიძლება განვიხილოთ დაინტერესებულ მხარედ? ანუ ვინ არის უფლებამოსილი, აღძვრას შუამდგომლობა უზენაეს სასამართლოში ეგზეკვატურის თაობაზე. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ ამის დადგენა უნდა მოხდეს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებიდან გამომდინარე.

<sup>194</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეებზე №6 2005 წ. გვ. 77. განჩინება №ა-641-შ-54-04. 3 თებერვალი, 2005 წ. ქ. თბილისი.

<sup>195</sup> Exequatur sur exequatur ne vaut – ეგზეკვატურას ეგზეკვატურის შესახებ არ გააჩნია არანაირი ძალა.

მოსარჩელისა და მოპასუხის გარდა, დაინტერესებულ მხარედ შეიძლება გამოვიდნენ უფლებამონაცვლეები. მნიშვნელობა არა აქვს, უფლებამონაცვლეობა განხორციელდა საქმის განხილვისას თუ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ. საკითხი მარტივად გადაიჭრება, თუ უფლებამონაცვლეობა წარმოიქმნება პროცესის დასრულებამდე, ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებაში თავდაპირველი მხარის ადგილს იჭერს მისი უფლებამონაცვლე. მაგრამ თუ უფლებამონაცვლეობა წარმოიშვა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, ანუ კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ საქართველოში მის აღსრულებამდე, მაშინ უნდა მივმართოთ გადაწყვეტილების განმარტების ინსტიტუტს, (სსკ-ის 262-ე მუხლის ანალოგია).

ასევე ეჭვს არ უნდა იწვევდეს ეგზეკუტურის შესახებ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირების უფლებამოსილება შუამდგომლობის აღძვრის თაობაზე.

ყოველივე აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ყველა იმ პირს, ვისზეც ვრცელდება გადაწყვეტილების კანონიერი ძალა, უფლება აქვთ აღძვრან შუამდგომლობა იძულებითი აღსრულების შესახებ საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სასამართლოსადმი შუამდგომლობით მიმართვა მხარეებს შეუძლიათ წარმომადგენლითაც. სსკ-ის 93-ე მუხლის თანახმად, ფიზიკურ პირებს შეუძლიათ სასამართლოში საქმე აწარმოონ პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით, ხოლო იურიდიულ პირებს ან სხვა ორგანიზაციებს წესდებით ან დებულებით გათვალისწინებული თანამდებობის პირის მეშვეობით.

სასამართლო წარმომადგენლობა წარმოშობის საფუძვლების მიხედვით შეიძლება დაყვით შემდეგ სახეებად:

1. ნებაყოფლობითი ანუ ხელშეკრულებითი წარმომადგენლობა;
2. იურიდიული პირის წარმომადგენლობა;
3. კანონიერი წარმომადგენლობა.

1. ნებაყოფლობითი წარმომადგენლობა თავის მხრივ მოიცავს:

ა) აღვოკატებს.

ბ) ორგანიზაციის თანამშრომლებს – ამ ორგანიზაციის საქმეებზე.

გ) ერთ-ერთ თანამონაწილეს დანარჩენ თანამონაწილეთა დავალებით.

დ) სხვა ქმედუნარიან პირებს.

1. ხელშეკრულებითი წარმომადგენლობის საფუძველს წარმოადგენს მარწმუნებელსა და წარმომადგენელს შორის დადებული სამოქალაქო სამართლით განსაზღვრული დავალების ხელშეკრულება, რომელიც იდება მონაწილეთა მხოლოდ თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე.

2. რაც შეეხება იურიდიული პირის წარმომადგენლობას, იგი წარმოიშობა კანონის, წესდების ან დებულების საფუძველზე. მაგ. შპს-ს სასამართლოში და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენენ დირექტორები. როდესაც სასამართლოში ერთ-ერთ მხარედ გამოდის შპს, მის დირექტორს არ სჭირდება რაიმე სპეციალური მინდობილობა. საკმარისი იქნება, სასამართლოს წარუდგინოს წესდება ან ამონაწერი წესდებიდან, სადაც აღნიშნული იქნება ამ დირექტორის სასამართლოში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესახებ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იურიდიული პირის წარმომადგენელს თავის მხრივ, უფლება აქვს სპეციალური მინდობილობის საფუძველზე სასამართლოში

საქმის წარმოება მიანდოს სხვა პირს, იქნება ეს ადვოკატი, ამავე საზოგადოების იურისკონსულტი თუ სხვა.

3. კანონიერ წარმომადგენელს განსაზღვრავს უშუალოდ თვითონ კანონი. კერძოდ სსკ-ის 101-ე მუხლის თანახმად, ქმედუნარო მოქალაქისა და შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის უფლებებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები, მშვილებლები, მეურვეები და მზრუნველები. უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცნობილი მოქალაქის უფლებებს იცავს პირი, რომელსაც გადაეცა სამართავად დაკარგული პირის ქონება. გარდაცვლილი ან გარდაცვლილად ცნობილი პირის უფლებებს იცავს მემკვიდრე, ხოლო თუ ქონება (მემკვიდრეობა) არავის მიუღია, ამ ქონების დაცვისა და მართვისათვის დანიშნული პირი. ამავე მუხლის თანახმად, კანონიერ წარმომადგენლებს უფლება აქვთ საქმის წარმოება მიანდონ ადვოკატს და თვითონაც მიიღონ მონაწილეობა საქმის წარმოებაში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კანონიერ წარმომადგენლებს თავისუფლად შეუძლიათ საქმის წარმოება მიანდონ არამართო ადვოკატს, არამედ, გამომდინარე 94-ე მუხლიდან, სხვა ნებისმიერ ქმედუნარიან პირსაც.

აუცილებელია აღვნიშნოს, რომ რა სახის წარმომადგენლობასთანაც არ უნდა გვქონდეს საქმე, ისინი შეიძლება გამოვიდნენ მხოლოდ და მხოლოდ მხარეთა სახელით და მათი ინტერესების დასაცავად. მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება წარმომადგენელი წარმოადგენდეს პროცესში როგორც მხარეს და როგორც წარმომადგენელს. ეს ეხება სსკ-ის 94-ე მუხლის “გ” პუნქტის მიხედვით გათვალისწინებულ თანამონაწილის გამოსვლას სამართალწარმოებაში წარმომადგენლად სხვა თანამონაწილეთა დავალებით, კანონის შესაბამისად გაფორმებული მინდობილობის საფუძველზე.

როგორც წესი, უცხოელი ადვოკატის თუ სხვა სასამართლო წარმომადგენლის საქართველოს სასამართლოებში მონაწილეობის მხრივ, რაიმე შეზღუდვა არ არსებობს.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თუ რა სახის სასამართლო წარმომადგენლობა შეიძლება არსებობდეს, და რომ, ნებაყოფლობითი წარმომადგენლობა მოიცავს:

ა) ადვოკატებს;

ბ) ორგანიზაციის თანამშრომლებს – ამ ორგანიზაციის საქმეებზე;

გ) ერთ-ერთ თანამონაწილეს დანარჩენ თანამონაწილეთა დავალებით;

დ) სხვა ქმედუნარიან პირებს.

ა) რაც შეეხებათ ადვოკატებს, მათთვის აუცილებელია, რომ თავიანთი ქვეყნის კანონმდებლობით, უფლება ჰქონდეთ განახორციელონ საადვოკატო საქმიანობა. რადგან არც საქართველოს კანონი “ადვოკატთა შესახებ” და არც სსკ-ი არ კრძალავს ჩვენი ქვეყნის სასამართლოებში უცხოელი ადვოკატის მონაწილეობას.

ბ) ორგანიზაციის შემთხვევაში მინდობილობას გასცემს ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან სხვა უფლებამოსილი პირი. უცხო ქვეყნის ორგანიზაციის შემთხვევაში, მინდობილობას გასცემს ის უფლებამოსილი პირი, რომელსაც ამის უფლება გააჩნია თავისი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად.

გ) როდესაც სარჩელი აღძრულია, ვთქვათ, რამდენიმე უცხოელი თანამონაწილის მიმართ, მათ თავისუფლად შეუძლიათ საქმის წარმოება

მიანდონ ერთ-ერთ მათგანს. რაც გაფორმებული და დადასტურებული იქნება კანონით დადგენილი წესით.

დ) ქმედუნარიანი პირის წარმომადგენლად დაშვების შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი უცხოელი ქმედუნარიანი პირი თავისუფლად შეიძლება გამოვიდეს წარმომადგენლად საქართველოს სასამართლოებში. მთავარი პირობაა, რომ აღნიშნული უფლებამოსილება ჩამოყალიბდეს ჩვენი ქვეყნის კანონის შესაბამისად გაცემულ და გაფორმებულ მინდობილობაში.

მიუხედავად იმისა, საქმე ეხება გადაწყვეტილების მხოლოდ აღიარებას თუ მასთან ერთად მის აღსრულებასაც, ჩვენს ქვეყანაში განსჯადია საქართველოს უზენაესი სასამართლო, კერძოდ სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა საკასაციო პალატა. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 68-ე მუხლის მეხუთე პუნქტის თანახმად: „5. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო“.

მაგალითი 1-ლი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა საკასაციო პალატამ

განიხილა გერმანიის ფულდას სამხარეო სასამართლოს 2004 წ. 23 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის საკითხი.

როგორც აღწერილობითი ნაწილიდან ირკვევა, გერმანიის ფულდას სამხარეო სასამართლომ 2004 წ. 23 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც: 1. გერმანიის მოქალაქე კ. დანგელმა იშვილა საქართველოს მოქალაქე ა. მ. 2. საქართველოს მოქალაქემ ა. მ. გვარად მიიღო დანგელი.

საქართველოს მოქალაქის წარმომადგენელმა კ. დანგელმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და ითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საკასაციო პალატამ ა. მ. წარმომადგენლის შუამდგომლობა დააკმაყოფილა. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნა გერმანიის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც: 1. გერმანიის მოქალაქე დანგელმა იშვილა საქართველოს მოქალაქე ა. მ.; 2. საქართველოს მოქალაქე ა. მ. გვარად მიიღო დანგელი.<sup>196</sup>

როგორც განჩინებდა სჩას, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მხოლოდ აღიარებას.

ასეთივე დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს ამავე კანონის 71-ე მუხლის მეოთხე პუნქტი, კერძოდ: „4. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე გადაწყვეტილებას საქართველოს სასამართლო იღებს დადგენილების სახით.“

მაგალითი 2:

<sup>196</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე №6 2005 წ. გვ. 82. განჩინება №ა-2332-შ-74-04. 10 თებერვალი, 2005 წ. ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა საკასაციო პალატამ:

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ვ. გ-ს შუამდგომლობა და სასამართლოს დოკუმენტები ბელორუსიის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროდან შემოსული, გომელის ოლქის სასამართლოს 2003 წ. 23 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის დაკისრების თაობაზე.

საკასაციო პალატამ ვ. გ-ს შუამდგომლობა დააკმაყოფილა. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნა და დაექვემდებარა აღსრულებას გომელის ოლქის სასამართლოს 2003 წ. 23 დეკემბრის გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებით, საქართველოს მოქალაქე გ. კ-ს დაეკისრა:

“ალიმენტის გადახდა შვილის სარჩოდ მისი შემოსავლიდან 25%-ის ოდენობით, ყოველთვიურად შვილის სრულწლოვანებამდე.

საქართველოს მოქალაქე გ. კ-ს სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 124745 რუბლის ოდენობით.”<sup>197</sup>

აღნიშნული დადგენილება კი ეხება გადაწყვეტილების ეგზეკუტურას.

საქართველოს სკს-ის შესახებ კანონის 68-ე მუხლის მეხუთე პუნქტის თანახმად: “5. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო”. რაც შეეხება აღსრულებას, ამავე კანონის 70-ე მუხლის მესამე პუნქტიდან გამომდინარე: “3. შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების მიღების საკითხი საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება.”

შეგვიძლია დავსკვნათ, რომ მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოა ის ორგანო, რომელსაც გააჩნია უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობასა და აღსრულებაზე განსჯადობა.<sup>198</sup>

უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოს სასამართლოების იურისდიქციის გაგრძელება იმ მხარის მიმართ, რომლის მიმართაც უნდა განხორციელდეს აღსრულება. აუცილებელი არ არის იგი იყოს საქართველოს მოქალაქე, ან გააჩნდეს ჩვენს ქვეყანაში რაიმე ქონება საკუთრებაში. მთავარია, იგი რაღაცა სახით

<sup>197</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე №6 2005 წ. გვ. 112. განჩინება №ა-1259-შ-42-05. 8 დეკემბერი, 2005 წ. ქ. თბილისი.

<sup>198</sup> ეგზეკუტურაზე სასამართლოს განსჯადობა სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულად შეიძლება რეგულირდებოდეს. მაგ. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 722-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების აღსრულების (ეგზეკუტურის) თაობაზე სარჩელი შეტანილი უნდა იქნეს რაიონულ ან მიწის სასამართლოში, იმის მიხედვით, თუ მოვალე განსჯადობის საერთო წესების დაცვით, რომელ სასამართლოს განეკუთვნება. სხვა შემთხვევებში, კერძოდ, როცა პირს არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი გერმანიაში-ქონების ადგილსამყოფელის ან სასარჩელო მოთხოვნის საგნის მდებარეობის მიხედვით. (მუხ. 722. 2)

შვეიცარიის “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 29-ე მუხლიდან გამომდინარე, შუამდგომლობა გადაწყვეტილების ცნობასა თუ აღსრულებაზე უნდა აღიძრას იმ კანტონის სასამართლოში, სადაც უნდა მოხდეს აღსრულება.



იყოს დაკავშირებული სახელმწიფოსთან, (მაგ. არის სხვა ქვეყნის მოქალაქე, არ გააჩნია ქონება საკუთრებაში, მაგრამ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობს და იღებს ხელფასს საქართველოში). მას რაიმე სახის სამართლებრივი ურთიერთობა უნდა აკავშირებდეს სახელმწიფოსთან.

მაგალითი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა  
საკასაციო პალატამ

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის შინაგან საქმეთა მთავარი სამართველოს შუამდგომლობა რუსეთი ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის ოლქის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს საგზაო-საპატრულო სამსახურის 2004 წ. 11 ოქტომბრის დადგენილება-ქვითრის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ა. კოლინკეროვის მიმართ ჯარიმის გადახდევინების თაობაზე.

როგორც აღწერილობითი ნაწილიდან ირკვევა:

შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს დადგენილება-ქვითრის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

შუამდგომლობის მასალებიდან ირკვევა, რომ ა. კ. საცხოვრებელი მისამართი მდებარეობს საქართველოს ფარგლებს გარეთ, რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარე, . . .

სამოტივაციო ნაწილში საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ . . . “რუსეთი ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის ოლქის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს საგზაო-საპატრულო სამსახურის 2004 წ. 11 ოქტომბრის დადგენილება-ქვითარი საქართველოს ტერიტორიაზე ვერ აღსრულდება, ვინაიდან საქმის მასალებიდან არ ირკვევა, რომ ა. კ.-ს საცხოვრებელი ადგილი ან რაიმე ქონება გააჩნია საქართველოს ტერიტორიაზე, მის მუდმივ მისამართად შუამდგომლობაში აღნიშნულია რუსეთის ფედერაცია. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლო ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებულ კომპეტენტურ სასამართლოდ ვერ ჩაითვლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის შინაგან საქმეთა მთავარი სამართველოს შუამდგომლობა უნდა დარჩეს განუხილველი.”

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 68-ე მუხლით, სსკ-ის 284-ე მუხლით, “სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ” 1993 წ. მინსკის კონვენციით და

დაადგინა:

“რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის საქმეთა მთავარი სამმართველოს შუამდგომლობა დარჩეს განუხილველი.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.”<sup>199</sup>

საქართველოს სკს-ის შესახებ კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია ის დოკუმენტები, რომლებიც უნდა ახლდეს აღსრულების მიზნით შუამდგომლობას. ესენია “სასამართლო გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი და დამოწმებული ქართული თარგმანი, აგრეთვე ცნობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ, თუ ეს შუამდგომლობის ტექსტიდან არ გამომდინარეობს.”

საინტერესოა, გადაწყვეტილების აღსრულებისაგან მოპასუხესათვის (მოვალეს) თავის დაცვის რა გზები არსებობს. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება გამოვყოთ ორი შემთხვევა.

პირველი, ესაა მის მიერ შუამდგომლობის აღძვრა პალატის მიმართ, საქმის ზეპირი განხილვის მოთხოვნით, სკს-ის შესახებ კანონის 71-ე მუხლის მესამე პუნქტის საფუძველზე.

უზენაესი სასამართლოს შესაბამისი პალატა, აღსრულების შესახებ შუამდგომლობის მიღების შემდეგ, ვალდებულია აღნიშნული შუამდგომლობა და განჩინება, (აგრეთვე თუ არსებობს სხვა დოკუმენტებიც) გადაუგზავნოს მოპასუხეს საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, (მუხლები 70-78). ამასთან, მოვალეს განემარტება, რომ მას აქვს უფლება მოითხოვოს საქმის ზეპირი განხილვა და გამოთქვას თავისი აზრი. მას ეძლევა გარკვეული ვადა, რომელსაც განსაზღვრავს მოსამართლე. უცილებელია აღვნიშნოთ, რომ მოპასუხეს არა აქვს უფლება გაასაჩივროს უშუალოდ გადაწყვეტილება საერთო წესით. მას შეუძლია მხოლოდ წამოადგინოს საკუთარი მოსაზრებები აღსრულების (აქედან გამომდინარე – ცნობის) დაშვებადობის წინააღმდეგ სკს-ის 68-ე მუხლზე მითითებით, (მაგ. არ იყო გაფრთხილებული უწყების ჩაბარების გზით საქმის წარმოების შესახებ, საქმეზე უკვე არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და სხვ.).

მეორე პირობას წარმოადგენს საქმის წარმოების განახლების (რესტიტუციის) ინსტიტუტი. როგორც ცნობილია მისი ობიექტია მხოლოდ ის საქმე, რომლის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისათვის, ანუ მისი კანონიერი ძალის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელებისათვის აუცილებელია რა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილება, გამომდინარე აქედან, თავისუფლად შეიძლება აღვნიშნოთ, რომ რესტიტუციის ინსტიტუტი, კანონით დადგენილი პირობების არსებობის შემთხვევაში, ვრცელდება სწორედ ამ კატეგორიის სასამართლო აქტზე და არა უშუალოდ უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჯერ უნდა განხორციელდეს ეგზეკუტურა, რომლის შემდეგ შეუძლია მიმართოს მხარეს თავის დაცვის აღნიშნულ

<sup>199</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე №6 2005 წ. გვ. 85. განჩინება №ა-557-შ-43-05. 24 მარტი, 2004 წ. ქ. თბილისი.

წესს. საქმის წარმოების განახლების ინსტიტუტი ვერ გავრცელებს საზღვარგარეთის ქვეყნებში მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებაზე.

ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოკლედ განვიხილოთ რესტიტუცია საქართველოს მაგალითზე. კერძოდ, მისი ა) სახეები, ბ) საფუძვლები და გ) განახლებულ საქმის წარმოებაზე სასამართლო განსჯადობა.

ა) საქმის წარმოების განახლებას ეხება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-432 მუხლები, რომელთა საფუძველზე რესტიტუციის ორი სახე შეიძლება გამოვეყნოთ: 1. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და 2. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება.

ბ) ორივე მათგანი სხვადასხვა საფუძვლებს ემყარება. სსკ-ის 422-ე მუხლიდან გამომდინარე ბათილად შეიძლება იქნეს ცნობილი გადაწყვეტილება, თუ:

ა) გადაწყვეტილება მიიღო მოსამართლემ, რომელსაც კანონით არ ჰქონდა ამ გადაწყვეტილების მიღების უფლება;

ბ) მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი არ იყო კანონით დადგენილი წესით გაფრთხილებული საქმის წარმოების შესახებ;

გ) პირი, რომლის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.<sup>200</sup>

სამივე შემთხვევაში აუცილებელ პირობად რჩება განცხადების დაშვებადობის საფუძვლის არსებობა. კერძოდ, მხარეს არ შეეძლო გარკვეული ობიექტური და არა სუბიექტური მიზეზების გამო შუამდგომლობის (განცხადების) დაყენება პროცესის ადრეულ სტადიაზე, ანუ მანამ სანამ გადაწყვეტილება ძალაში შევიდოდა.

უფრო მეტ საფუძვლებს მოიცავს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება. საქართველოს სსკ-ის 423-ე მუხლის თანახმად, ესენია: ა) იმ დოკუმენტის სიყალბე, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება; ბ) დადგინდა მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვა უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება; გ) დადგინდა მხარეთა ან მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის ანალოგიური ქმედება; დ) გაუქმდა სასამართლოს

<sup>200</sup> გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 579-ე მუხლი ითვალისწინებს ბათილად ცნობის მსგავს საფუძვლებს, მაგ. 1. საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ; 2. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად არ ჰქონდა უფლება განეხორციელებინა მოსამართლის ფუნქციები, რადგან აღნიშნული საფუძვლით განცხადებული აცხადება ან შუამდგომლობა არ იქნა მოსამართლის მიერ უარყოფილი; 3. არსებობდა მოსამართლის მიმართ ეჭვი მიუკერძოებლობაში, რომელიც შემდგომ დასაბუთებული იქნა. 4. მხარეთა წარმომადგენლობა არ შეესაბამებოდა კანონით დადგენილ წესს, გამომდინარე იქიდან, რომ მან პირდაპირ ან დუმილით არ განცხადა თანხმობა პროცესის წარმოებაზე. ამავე მუხლის მეორე პუნქტით დადგენილია ის აუცილებელი პირობა, რომ 1-ლი და მე-3 საფუძვლით სარჩელის აღძვრა დაუშვებელია იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საკითხი შეიძლებოდა გარკვეულიყო აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ საფუძვლების არსებობის შესახებ მხარისათვის ცნობილი უნდა გამხდავოდ, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. ამის მიზეზს წარმოადგენს კანონიერ ძალაში ჯერ არ შესული გადაწყვეტილების სააპელაციო და საკასაციო გასაჩივრების წესის არსებობა.

გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს ის დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო გამოტანილ გადაწყვეტილებას; ე) არსებობს მანამდე უკვე კანონიერ ძალაში შესული იმავე სარჩელის მიმართ სასამართლო გადაწყვეტილება; ვ) მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, ადრე რომ ყოფილიყო მისთვის ცნობილი, გამოიწვევდა ამ მხარისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.<sup>201</sup>

აუცილებლად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილ საფუძვლებიდან პირველ სამ შემთხვევაში, ისინი დადასტურებული უნდა იქნენ სასამართლო განაჩენით.

ბ) გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ სარჩელის აღძვრისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განსჯადობას. ანუ, შეიძლება თუ არა აღნიშნული მოთხოვნით სარჩელის შეტანა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, თუ იგი შეტანილი უნდა იქნას იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა ჩვენს ქვეყანაში აღსასრულებელი გადაწყვეტილება? კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა მივმართოთ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლი ითვალისწინებს რესტიტუციის შემთხვევაში განსჯადობის წესს – სად შეიძლება შეტანილ იქნეს სარჩელი. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: “1. განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება.” ასეთ ვითარებაში შეიძლება რამდენიმე შემთხვევას ჰქონდეს ადგილი: ა) თუ გადაწყვეტილება გამოტანილია საქალაქო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციით, სარჩელი უნდა აღიძრას ამ სასამართლოში. ბ) თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო აუქმებს ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებას და თვითონ გამოაქვს ახალი გადაწყვეტილება, მაშინ განცხადება უნდა შეტანილ იქნეს შესაბამისად სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოში. გ) როდესაც ხდება ზემდგომი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების ნაწილობრივი გაუქმება და მის (გაუქმებულის) მაგივრად ახალი გადაწყვეტილების მიღება, სარჩელი უნდა აღიძრას იმის მიხედვით, რომელი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ნაწილის გაუქმებას ან განახლებას ითხოვს მხარე.<sup>202</sup>

<sup>201</sup> ანალოგიურ საფუძვლებს ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 580-ე მუხლი.

ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დასაშვებობისა და საფუძვლიანობის მსგავსი პირობებია დაწესებული საფრანგეთის ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 593-603-ე მუხლებით.

<sup>202</sup> შეად. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 584-ე მუხლი.

სამივე ზემოთ განხილული შემთხვევებიდან აშკარად იკვეთება, რომ სარჩელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან საქმის განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში. აქედან გამომდინარე, ერთი შეხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისას თუ წარმოიქმნება ასეთი კატეგორიის სარჩელის აღძვრის პირობები და საფუძვლები, იგი გაცხადებული უნდა იყოს იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა საქართველოში აღსასრულებელი გადაწყვეტილება.

მიუხედავად ამისა, მოპასუხის მიერ თავის დაცვის აღნიშნულ გზა ვერ გავრცელდება საკასაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების შემთხვევაში. თუ საკასაციო პალატა გამოიტანს აღსრულებაზე დადგენილებას, მხარეს რჩება უფლება მოითხოვოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ამ განჩინების ბათილად ცნობა, ანუ აღიარებისა და აღსრულების შესახებ საქმის წარმოების განახლება საქართველოში და არა უცხო სახელმწიფოში განხილული საქმეზე ხელმეორედ სამოქალაქო სამართალწარმოება ჩვენს ქვეყანაში.

გამომდინარე იქიდან, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა აღიარებით ხდება მათი კანონიერი ძალის გავრცელება საქართველოს ტერიტორიაზე, თავისუფლად შეიძლება მივაკუთვნოთ უზენაესი სასამართლოს მიერ ეგზეკუტურის თაობაზე მიღებული დადგენილება სასამართლოს იმ აქტთა წრეს, რომელთა მიმართ შეიძლება საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების აღძვრა.

ამასთან, საქართველოს კანონმდებლობა არ ავალდებულებს მოვალეს, ამოწუროს უცხო სახელმწიფოში დაცვის ყველანაირი საშუალება. მას უფლება უნდა ჰქონდეს, რესტიტუციის ინსტიტუტის გამოყენებით შეეცადოს თავისი ინტერესების დაცვას ჩვენს ქვეყანაში. იქნება ეს უცხოელი თუ საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირი.

ამავე დროს, გამოირიცხება იმის ვარაუდი, რომ რესტიტუცია წარმოადგენს უცხო ქვეყნის სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაში რაიმე სახით ჩარევას.

მაგალითი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა საკასაციო პალატამ განიხილა სს საზოგადოების “გ. ნიკოლაძის სახელობის ზესტანოფონის ფეროშენადნობთა ქარხნის” აღმასრულებელი დირექტორის კ. კოკაიას განცხადება განჩინების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

აღნიშნული განცხადებით მხარე ითხოვდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 2 აპრილის განჩინების ბათილად ცნობას, საქმის წარმოების განახლებას და ლონდონის საარბიტრაჟო ტრიბუნალის 2003 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარისთქმას.

2004 წლის 2 აპრილის განჩინებით დაკმაყოფილდა შპს “რონლი ჰოლდინგზ ლიმიტედის” შუამდგომლობა და ცნობილ იქნა ლონდონის საარბიტრაჟო ტრიბუნალის 2003 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება და სს “ფეროს” დაეკისრა 750 100 აშშ დოლარი, აღნიშნულ თანხაზე

დარიცხულ სარგებელთან ერთად, რომელიც გამოითვლება წლიური 5%-ის განაკვეთით. დარიცხვა იწარმოებს 2002 წლის 1 სექტემბრიდან გადახდის დღემდე.

მოსარჩელემ განჩინების ბათილად ცნობის საფუძველად მიუთითა, რომ 2004 წლის 26 მარტის სხდომაზე, როდესაც პალატის მიერ განიხილებოდა გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საკითხი, “მხარე არ იყოს მოწვეული საქმის განხილვაში კანონით დადგენილი წესით.” ( 422-ე მუხლის პირველი ნაწილის “ბ” ქვეპუნქტი). ხოლო საქმის წარმოების განახლება მოითხოვა 423-ე მუხლის “გ” და “ვ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძველებით. ანუ, როგორც განცხადებაში აღნიშნავს, დადგინდა მხარეთა დანაშაულებრივი ქმედება და ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები ადრე რომ ყოფილიყო მისთვის ცნობილი, გამოიწვევდა ამ მხარისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

უზენაესი სასამართლოს პალატამ, დაეყრდნო რა საქმეში არსებულ მასალებს, არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტები და 2004 წლის 11 ივნისის განჩინებით უარი უთხრა მხარეს განცხადების დაკმაყოფილებაზე.<sup>203</sup>

ყურადღებას იმსახურებს შემთხვევა, კერძოდ, თუ მოხდებოდა ზემოთ აღნიშნული განცხადების დაკმაყოფილება. ასეთ ვითარებაში მნიშვნელობა ენიჭება თუ რა საფუძველებს ემყარება მოსარჩელის განცხადება. მაგ. თუ განმცხადებელი დაამტკიცებდა 422-ე მუხლში მითითებულ საფუძველებს, მაშინ სასამართლო გამოიტანდა განჩინებას გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ. ხოლო თუ მოსარჩელე დაასაბუთებდა 423-ე მუხლში აღნიშნული საფუძველებიდან ერთ-ერთს, მაშინ პალატა მიიღებდა განჩინებას გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პალატა, მხარის განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სსკ-ის 432-ე მუხლის თანახმად, ვერ შეაჩერებს აღსრულებას. მას შეუძლია თავისი განჩინებით მხოლოდ დროებით შეაჩეროს გადაწყვეტილების აღსრულება, თუ იქნება ამის თაობაზე განმცხადებლის შუამდგომლობა. ამასთან, აღსრულების შეჩერებამ, შეიძლება ზიანი გამოიწვიოს მოწინააღმდეგე მხარესათვის, ამიტომ სასამართლო ვალდებულია საკუთარი ინიციატივით მოსთხოვოს მოსარჩელეს ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის გარანტიები საქართველოს სსკ-ის დადგენილი წესების თანახმად, (მუხ. 57).

ზემოთ განხილულ საქმეზე მოსარჩელე მიუთითებს მხარეთა დანაშაულებრივ ქმედებაზე (423-ე მუხლის “გ” პ.) და ითხოვს საკასაციო პალატამ უარი თქვას ლონდონის საარბიტრაჟო ტრიბუნალის 2003 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე (ეგ ზეკვატურაზე). ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მოსარჩელეს აღნიშნული საფუძველით უფლება ჰქონდა მიემართა უზენაესი სასამართლოსათვის, რადგან გადაწყვეტილება უკვე აღიარებული იქნა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე და გაცემული სააღსრულებო ფურცელი.

<sup>203</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 11 ივნისის №ა-1300-ა-22-04 განჩინება.

განსაკუთრებული განსჯადობიდან გამომდინარე, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაზე ეგზეკუტურა (შესაბამისად აღიარება) ვერ გავრცელდება უძრავი ქონების მიმართ. ხოლო სხვა შემთხვევებში, იძულებითი აღსრულება დაიშვება “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. კერძოდ, იგი შეიძლება განხორციელდეს ა) მოძრავი ნივთების გადაცემის და მოქმედების შესრულების მიზნით, ბ) მოვალის მოთხოვნებზე ყადაღის დადებით, თუ კანონმდებლობა ამას ითვალისწინებს, გ) ალიმენტის გადახდევინების საქმეებზე, დ) ბავშვის გადაცემის და ე) საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიმართ აღსრულება.

ა) “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” კანონის 83-ე მუხლიდან გამომდინარე, თუ მოვალე ვალდებულია გადასცეს მოძრავი ნივთი, აღმასრულებელი ჩამოართმევს მას ნივთს და გადასცემს კრედიტორს. როგორც ვხედავთ, აღსრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება შესრულებულად, როდესაც ნივთი გადაეცემა უშუალოდ კრედიტორს. ამასთან, გადაცემა უნდა მოხდეს ქვეყნის შიგნით, ტერიტორიაზე, კრედიტორისთვის ან მისი წარმომადგენლისათვის მისი ჩაბარებით ან კრედიტორის ხარჯზე საზღვარგარეთ მითითებულ მისამართზე გაგზავნით.

საქმე შეიძლება გვქონდეს ისეთ შემთხვევასთან, როდესაც გადასაცემი ნივთი იმყოფება ქვეყნის საზღვრებს გარეთ და მოვალე თავს არიდებს ვალდებულების შესრულებას. ამ შემთხვევაში გამოიყენება “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” კანონის 87-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, თუ მოქმედების შესრულება დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ მის ნებაზე და იგი არ ასრულებს ამ მოქმედებას, მაშინ “მოვალეს შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.”<sup>204</sup> ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ნივთი იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ მოვალე თავს არიდებს გადაწყვეტილების აღსრულებას. ამის საწინააღმდეგოდ, აღნიშნული პრინციპი ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ვერ გავრცელდება ისეთი სახის გადაწყვეტილებებზე, რომლებიც გამოტანილია საქორწინო ურთიერთობებზე და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მომსახურების გაწევაზე. ანუ მათზე ეგზეკუტურა დაუშვებელია.

გარკვეული პრობლემი შეიძლება შექმნას სიტუაციამ, როდესაც გადასაცემი ნივთი იმყოფება მესამე პირის მფლობელობაში, რომელიც ცდილობს არ გადასცეს იგი კრედიტორს. ამ უკანასკნელის განცხადების საფუძველზე, აღმასრულებელს “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” კანონის 85-ე მუხლის თანახმად, შეუძლია გამოსცეს განკარგულება ნივთზე ყადაღის დადების თაობაზე. ამასთან, კრედიტორს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს აღმასრულებელს გამოსცეს განკარგულება მოვალის მოთხოვნებზე ყადაღის დადების შესახებ (მუხ. 56), რაც

<sup>204</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XIV-ე თავით განსაზღვრულია სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა, კერძოდ, 377-ე მუხლის თანახმად:

“მოვალის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული იმ მოქმედების შეუსრულებლობა, რომლის შესრულება მხოლოდ მას შეუძლია – ისჯება ჯარიმით ან სააზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ან ორმოცდაათიდან სამას საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

ანიჭებს მას უფლებას, მოსთხოვოს მესამე პირს ისეთი მოქმედების მის სასარგებლოდ შესრულება, რაც უნდა შეესრულებინა მოვალე პირის მიმართ, (მუხ. 57).

აღმასრულებლის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებებისაგან სამართლებრივი დაცვის სფეროს განეკუთვნება კრედიტორის ან/და მოვალის მიერ მათი სასამართლოში გასაჩივრების უფლება. იგი გათვალისწინებულია “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით: “1. კრედიტორს და მოვალეს უფლება აქვთ, დაესწრონ აღსრულების მიმდინარეობას, გაეცნონ სააღსრულებო მასალებს, . . . გაასაჩივრონ აღმასრულებლის მოქმედება სასამართლოში სააღსრულებო მოქმედების განხორციელებიდან ერთი თვის ვადაში. ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა ან უნდა გამხდარიყო მისი უფლების დარღვევის შესახებ.” ამასთან, შეჩერდება თუ არა სააღსრულებო მოქმედებები, დამოკიდებული იქნება, გასცემს თუ არა სასამართლო შესაბამის განჩინებაზე სააღსრულებო ფურცელს. (მუხლი 33-ე).

შეიძლება დავსვათ კითხვა, რომელი სასამართლოს განსჯადია აღმასრულებლის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებების შესახებ სარჩელზე საქმის განხილვა?

ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ ასეთ შემთხვევაში საერთაშორისო განსჯად სასამართლოდ მიჩნეული უნდა იყოს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ჯერ ერთი – სასამართლოს, რომელსაც გამოაქვს დადგენილება გადაწყვეტილების აღსრულების (ეგზეკუტურის) თაობაზე, უფლება უნდა ჰქონდეს გამოიტანოს განჩინება აღმასრულებლის მიერ განხორციელებულ მოქმედებათა შეცვლის ან გაუქმების შესახებაც. აღსრულება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფოს მიერ სუვერენული ხელისუფლების გამოვლენის აქტს წარმოადგენს. მეორე – დავის საგანს ამ შემთხვევაში წარმოადგენს არა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა, არამედ კრედიტორსა ან მოვალესა და სააღსრულებო ორგანოს შორის წარმოქმნილი ურთიერთობა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მართლსაწინააღმდეგო სააღსრულებო წარმოება (მოქმედებები). რაც შეეხება ქვეყნის შიგნით განსჯადობას, იგი გამომდინარეობს საქართველოს “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 70-ე მუხლის მესამე პუნქტიდან. აღსრულების შესახებ “3. შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების მიღების საკითხი საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება.”

აღნიშნული წესი ვერ გავრცელდება გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე საკასაციო პალატის დადგენილების გამოტანამდე. ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს სსსკ-ის 263-ე მუხლი, კერძოდ, პირველი ნაწილიდან გამომდინარე: “1. სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა საქმეზე გადაწყვეტილება, უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით, მათი ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, ერთჯერადად, 3 თვემდე ვადით გადადოს ან ერთ წლამდე ვადით გაანაწილვადოს გადაწყვეტილების აღსრულება, აგრეთვე შეცვალოს მისი აღსრულების საშუალება და წესი.”

ამასთან, კრედიტორსა და მოვალეს შორის აღსრულების პროცესში მორიგების საკითხის გადაწყვეტა ასევე განეკუთვნება უზენაესი სასამართლოს კომპეტენციას. გამომდინარე იქიდან, რომ მხარეთა შორის მორიგებით ხდება არა მათ შორის დადგენილი უფლებებისა და



მოვალეობების ხელშეორედ დადგენა და გადაწყვეტა, არამედ უკვე გადაწყვეტილი უფლება-მოვალეობების რეალურად განხორციელების საშუალებებისა და წესის, რაც თავის მხრივ წარმოადგენს აღსრულების ღონისძიებებს, შეცვლა.

იგივე უნდა ითქვას “სააღსრულებო წარემოებათა შესახებ” კანონის მე-18 მუხლის მესამე ნაწილით განსაზღვრულ კრედიტორისა და მოვალის უფლებაზე, მიმართონ სასამართლოს აღსრულების გადადების, განწილვადების შესახებ ან აღსრულებასთან დაკავშირებულ სხვა მოქმედებათა თაობაზე.

#### **4. მოთხოვნა გადაწყვეტილების შეცვლის შესახებ და აღიარებაზე უარის თქმის შედეგები**

სასამართლო გადაწყვეტილება, კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღარ შეიძლება გასაჩივრდეს. ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი ურთიერთობები არ შეიძლება კვლავ ეჭვის ქვეშ დააყენონ სამართლის იმ სუბიექტებმა, რომლებზეც ვრცელდება გადაწყვეტილების კანონიერი ძალა. მაგრამ ამ საყოველთაოდ აღიარებული პრინციპიდან არსებობს გამონაკლისები, კერძოდ, პირველი – საქმის წარმოების განახლება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, რომელსაც ჩვენ ზემოთ უკვე შევეხეთ; მეორე – გადაწყვეტილების შეცვლა იმ გარემოებების ცვლილების საფუძველზე, რომლებსაც გააჩნდათ ძირითადი (გადამწყვეტი) მნიშვნელობა თავდაპირველი გადაწყვეტილების გამოტანისას. ორივე ეს პირობა, გადაწყვეტილების კანონიერი ძალის შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს.

საქართველოს სკ-ით განსაზღვრულია ის შემთხვევები, რომელთა დადგომის შემთხვევაში შეიძლება მოხდეს სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის შეწყვეტა და ახალი გადაწყვეტილების გამოტანა. მაგ. სკ-ის 1221-ე მუხლის თანახმად, მშობელს, რომელიც იხდის ალიმენტს, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილი ოდენობით, უფლება აქვს აღძრას სარჩელი მისი შემცირების თაობაზე. ასეთივე უფლება გააჩნია სხვა დაინტერესებულ პირს. ამასთან, 1222-ე მუხლით განსაზღვრულია მატერიალური ან ოჯახური მდგომარეობის შეცვლის გამო ალიმენტის ოდენობის ცვლილება სრულწლოვანი შრომისუუნარო შეიღების მიმართ, ან შეიღების მიერ შრომისუუნარო მშობლების სასარგებლოდ. ხოლო, სასამართლოს უფლებაზე, შეცვალოს გადაწყვეტილებით დადგენილი ალიმენტის ოდენობა შემდგომში ისევ სასამართლო წესით, პირდაპირ მითითებულია 1231-ე მუხლში, ალიმენტის ოდენობის სასამართლო წესით დადგენის შემდეგ, ალიმენტის მიღების ან გადამხდელის მატერიალური თუ ოჯახური მდგომარეობის შეცვლის შემთხვევაში “სასამართლოს

უფლება აქვს, ერთ-ერთი მათგანის სარჩელის საფუძველზე შეცვალოს დადგენილი ალიმენტის ოდენობა.”

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ალიმენტის ოდენობის შეცვლის თაობაზე სარჩელის საფუძველზე შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ ის გარემოებები, რომლებიც წარმოიშვა სასამართლოს მიერ თავდაპირველი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ. ისინი წარმოადგენენ იმ ერთადერთ გარემოებებს, რომელთა გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ წარმოქმნის შემთხვევაში, წარმოადგენენ ამ გადაწყვეტილების კანონიერი ძალის შეწყვეტის საფუძველებს. ამით განსხვავდება იგი ახლად აღმოჩენილი გარემოების საფუძველზე კანონიერი ძალის შეწყვეტის საფუძველებისაგან, რომლებიც არსებობდნენ გადაწყვეტილების გამოტანამდე.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შევეხოთ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების აღიარების შემდგომ, საქართველოს სასამართლოს მიერ მისი შეცვლის შესაძლებლობის საკითხს.

უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ გადაწყვეტილების, რომელიც უკვე აღიარებული იქნა საქართველოს ტერიტორიაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სარჩელი იქნება არა გადაწყვეტილების შეცვლის შესახებ, გამომდინარე იქიდან რომ აღიარებამდე არ არსებობს ის რაც უნდა შეიცვალოს, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის თაობაზე. რაც პრინციპში შეიძლება განვიხილოთ როგორც ახალი, დამოუკიდებელი სარჩელი.

მეორე, რაც ასევე მთავარია, ამღიარებელი ქვეყნის მიერ გადაწყვეტილების შემდგომში შეცვლის დაუშვებლობისთვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი საფუძველი. ამით არ ხდება უცხო სახელმწიფოს სასამართლო ხელისუფლების სუვერენობის შელახვა. თუნდაც იმიტომ, რომ თითოეული სახელმწიფო თვითონ ადგენს საერთოდ აღიარებს თუ არა გადაწყვეტილებებს და რა მოცულობით. ამას ემატება ისიც, რომ საკითხი არ ეხება მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნას, იგი უცვლელი რჩება. ცვლილება შეეხება მხოლოდ ოდენობას, რომელიც შეიძლება ახლებურად განსაზღვროს სასამართლომ მხოლოდ გარემოებების პატივსადები მიზეზებით შეცვლის საფუძველზე.

მაგრამ, გარკვეული პრობლემები შეიძლება უკავშირდებოდეს საკითხს, რომელი ქვეყნის სამართლით უნდა განისაზღვროს ალიმენტის დაკისრების სამართლებრივი ურთიერთობის საკითხი – სადაც გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, სადაც გადაწყვეტილება იქნა აღიარებული თუ იმ ქვეყნის სამართლით, რომლითაც დარეგულირდა ალიმენტის დაკისრების თაობაზე სამართლებრივი ურთიერთობა.

ეჭვს არ იწვევს ის, რომ საკითხი უნდა გადაიჭრას როგორც გადაწყვეტილების შეცვლის ადგილის სასამართლოს, ასევე ალიმენტის დაკისრებისას გამოყენებული სამართლის მიხედვით.

როდესაც ვამბობთ გადაწყვეტილების შეცვლის ადგილის სამართალს, პირველ რიგში იგულისხმება შემდეგი, ითვალისწინებს თუ არა საქართველოს კანონმდებლობა გადაწყვეტილების კანონიერი ძალის შეწყვეტის ამგვარ საფუძველს. კითხვაზე დადებითად უნდა ვუპასუხოთ. სკ-ის ზემოთ მოყვანილი მუხლები საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ქვეყნის სასამართლოებისათვის გადაწყვეტილების შეცვლის წინაპირობები განსაზღვრულია მატერიალური სამართლის ნორმებით. აქედან გამომდინარე, შეცვლის სამართლებრივი საფუძველი ჩვენი

ქვეყნის სასამართლოს გააჩნია. თუმცა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აღნიშნული საფუძვლის განმტკიცება სამოქალაქო საპროცესო სამართალში. იმ მიზნით, რომ სასამართლოს გააჩნდეს გადაწყვეტილების კანონიერი ძალის შეწყვეტის ასევე პროცესუალური ნორმით განსაზღვრული წესი.

ხოლო ალიმენტის შეცვლის პირობებისა და ოდენობის დადგენისათვის, სასამართლომ უნდა მიმართოს იმ ქვეყნის სამართალს, რომელიც გამოყენებული იქნა თავდაპირველი გადაწყვეტილების გამოტანისას. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს აგრეთვე სკს-ის შესახებ კანონის 48-ე მუხლი, რომლის თანახმად: „რჩენის მოვალეობის მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც პირს, რომელსაც რჩენა ესაჭიროება, აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.“ ამასთან, გადაწყვეტილების არსებითად შემოწმების (გადახედვის) დაუშვებლობის პრინციპი მისი შეცვლისას დაცულია იმით, რომ არ ხდება მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის (ალიმენტის დაკისრების), ან/და ამ მოთხოვნის კანონიერების გადახედვა. ამასთან, ცვლილებებიც უნდა წარმოადგენდნენ ისეთ მნიშვნელოვანს, რომ არ მოხდეს მომავალში პერმანენტულად სარჩელის აღძვრა ისევ და ისევ გადაწყვეტილების შეცვლის მოთხოვნით.

რაც შეეხება განსჯადობას, ამ შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნას საქართველოს სკს შესახებ კანონით დადგენილი წესები საერთაშორისო განსჯადობის შესახებ, რათა არ წამოიქმნას მომავალში ამ მხრივ რაიმე პრობლემა საზღვარგარეთ მისი აღიარების მომენტში. რაც შეეხება ქვეყნის შიგნით განსჯადობას, იგი უნდა გადაწყდეს საპროცესო კოდექსით დადგენილი ზოგადი წესების შესაბამისად.

გადაწყვეტილების შეცვლის თაობაზე სარჩელის აღძვრის უფლება გააჩნია დაინტერესებულ პირს. იქნება ეს ალიმენტის მიმღები თუ მისი გამამხდელი, აგრეთვე სხვა პირი, რომელზედაც გარკვეული გავლენას ახდენს გადაწყვეტილების კანონიერი ძალის მოქმედება, (მაგ. ალიმენტის გამამხდელის ახალი მეუღლე და სხვ.)

რაც შეეხება გადაწყვეტილების ცნობაზე უარს. საქართველოს მიერ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღიარებაზე უარის თქმით, შეიძლება ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული შედეგი მივიღოთ. პირველი – ეს არის გადაწყვეტილების ნაწილობრივი აღიარება და მეორე – მთლიანად გადაწყვეტილების არცნობა, არ აღიარება.

გადაწყვეტილების ნაწილობრივ ცნობასთან გვექნება საქმე, როდესაც, სარჩელების ობიექტური ან სუბიექტური გაერთიანების შემთხვევაში, რასაც ჩვენ ზემოთ უკვე შევეხეთ თანამონაწილეობის ინსტიტუტის განხილვისას, შეიძლება გამოტანილი გადაწყვეტილება გარკვეული მოთხოვნების მიმართ იქნეს აღიარებული, ხოლო ზოგი მოთხოვნის მიმართ არ იყოს აღიარებული. ამის საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს მაგ. ამ უკანასკნელი მოთხოვნებიდან ერთ-ერთის მიმართ გადაწყვეტილების შეუსაბამობა საქართველოს საჯარო წესრიგთან, ან გარკვეულ მოთხოვნაზე გადაწყვეტილების მიღებაზე საერთაშორისო განსჯადობის არ ქონა.

ამ მხრივ რაიმე პრობლემა არ არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის, გამომდინარე იქიდან, რომ მას სრული უფლება აქვს ცნობისა და აღსრულების თაობაზე მიღებულ დადგენილებაში მიუთითოს, გადაწყვეტილება რა ნაწილში შეიძლება იქნეს აღიარებული

და აღსრულებული და რა ნაწილის ცნობაზე რა საფუძვლით განაცხადებს უარს.

ასევე, არ უნდა წარმოადგენდეს პრობლემას, გადაწყვეტილების ნაწილის ცნობა იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალემ უკვე გადაიხადა დაკისრებული თანხის ნაწილი. რა თქმა უნდა, თუ ის იქნება დადასტურებული აღიარების თაობაზე საქმის წარმოებისას.

ხოლო, რაც შეეხება გადაწყვეტილების აღიარებაზე სრულად უარის თქმას. იგი ნიშნავს, რომ საქართველოში ვერ გავრცელდება მისი კანონიერი ძალა. ანუ, ვერ გავრცელდება მისი ფორმალური და მატერიალური კანონიერი ძალა. აქედან გამომდინარე, მას როგორც მართლმსაჯულების აქტს, არ ექნება არანაირი იურიდიული ძალა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. ასევე ვერ გავრცელდება მისი პრეიდუციულობა, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების და სამართლებრივი ურთიერთობების საქართველოს სასამართლოებში ხელმეორედ დადგენა უნდა მოხდეს, როდესაც საქმის განხილვაში მონაწილეობენ იგივე მხარეები იმავე დავის საგანზე.

## დასკვნა

ვფიქრობთ, სადისერტაციო თემის დამუშავებით, პასუხი გავეცით საქართველოს საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართალში ისეთ მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებს, როგორცაა:

### 1. სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი არის საქართველოს სასამართლოს მიერ გარკვეული საპროცესო მოქმედებების განხორციელება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს შუამდგომლობის საფუძველზე. მისი უმთავრესი დანიშნულება გამოიხატება იმით, რომ სამართლებრივი დახმარების მეშვეობით მოხდეს საზღვარგარეთ სასამართლოს მიერ რაც შეიძლება სწორი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღება, ანუ მართლმსაჯულების რაც შეიძლება სრულყოფილად განხორციელება. რასაც თავის მხრივ უაღრესად დიდი მნიშვნელობა გააჩნია ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის მატერიალური თუ პროცესუალური კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებისა და ინტერესების დაცვის საქმეში.

შეიძლება ითქვას, რომ იგი, უცხოური ელემენტით დატვირთული სამართალწამოებისას, საჭიროების შემთხვევაში გარდაუვალი აუცილებლობაა, რომელიც გამომდინარეობს სასამართლო ხელისუფლების მხოლოდ თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელების პრინციპიდან.

აუცილებლად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ ზემოთ დასახელებული მიზნის მიღწევაში არ გამოიხატება სამართლებრივ დახმარების დანიშნულება. სამართლებრივი დახმარების არასათანადოდ, ან/და საერთოდ განუხორციელებლობით, შეიძლება მივიღოთ მომავალში სასამართლო გადაწყვეტილების აღიარებაზე უარის თქმის შედეგი. მაგ. ეს განსაკუთრებით თავას იჩენს მაშინ, როდესაც აუცილებელია პროცესში მონაწილე მხარისათვის უწყებისა თუ სხვა სასამართლო დოკუმენტების გადაცემა.

2. ობიექტური გადაწყვეტილების გამოტანა ბევრად არის დამოკიდებული, სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა მოპოვებასა და გამოკვლევაზე. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სამოქალაქო პროცესი ითვალისწინებს ქვეყნის შიგნით სასამართლოების მიერ დახმარების გაწევის წესსა და პირობებს. რაც შეეხება უცხო სახელმწიფოს სასამართლოსათვის დახმარებას, მას არეგულირებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონი. აქვე უნდა ვთქვათ, რომ დახმარების აღმოჩენის ძირითად პრინციპს წარმოადგენს, საპროცესო მოქმედებების განხორციელება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. თუმცა სკს-ის შესახებ კანონი ითვალისწინებს გამონაკლისის სახით, უცხო ქვეყნის საპროცესო ნორმების გამოყენებასაც, ერთი პირობით, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს და მოქმედებების ჩატარება უნდა განეკუთვნებოდეს ჩვენი სასამართლოების კომპეტენციას.

3. ანალიზის მეთოდის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართალში ფაქტების დადგენისას ადგილი შეიძლება ჰქონდეს საკოლიზიო-სამართლებრივ პრობლემებს. რომლებიც განსაკუთრებით თავს იჩენს ა)

მტკიცებულებათა დაშვებადობისა და ბ) მხარეებზე მტკიცებულებათა ტვირთის განაწილების საკითხის გარკვევისას. ანუ, საქმე შეიძლება გვექონდეს *lex causae*-ს პრინციპის გამოყენებასთან. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ინსტიტუტის განხილვისას, მივედით იმ დასკვნამდე, რომ ამ შემთხვევაშიც, ადგილი არა აქვს პროცესუალურ ნორმათა კოლიზიას. გამომდინარე იქიდან, რომ მტკიცებულებების მომწესრიგებელ ნორმებს ახასიათებთ როგორც მატერიალური, ასევე პროცესუალური სამართლის თვისებები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საპროცესო სამართლი დარეგულირებული საკითხების ცალსახად განეკუთვნება საქმის განმხილველი სასამართლოს კანონს (*lex fori*), ანუ მის საპროცესო კანონმდებლობას, მხოლოდ რიგ შემთხვევებში, საქმე შეიძლება გვექონდეს უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების გამოყენებასთან, კერძოდ, როდესაც საკითხის გადასაჭრელად, აუცილებელია მივმართოთ მატერიალური ნორმით მითითებულ წესს. რაც თავისთავად არ ნიშნავს საპროცესო სამართლის კოლიზიას.

4. ნაშრომში შევეხეთ ისეთ ინსტიტუტს, როგორცაა სასამართლოს მიერ საზღვარგარეთ მოქმედი სამართლის ნორმის არსის დადგენა. რომლის დროსაც წამოიჭრება თეორიული საკითხი, იგი (სამართალი) წარმოადგენს „ფაქტს“ თუ „სამართალს“. რიგ (საერთო სამართლის) სახელმწიფოებში მას განიხილავენ როგორც ფაქტის საკითხს, ხოლო კონტინენტური სამართლის ქვეყნებში – სამართლის საკითხს. მიუხედავად ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორივე ამ მიმართულებას ერთმანეთთან დაახლოების ტენდენცია გააჩნია. შედარებითი და ასევე ანალიზის მეთოდის საფუძველზე, დავადგინეთ, რომ მას მართლაც ახასიათებს ორივე სფეროს ნიშან-თვისებები, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში სამართლის ნორმის შინაარსის განსაზღვრა, პირველ რიგში სასამართლოს პრეროგატივაა, მაგრამ თუ იგი მას გარკვეული მიზეზების გამო ვერ ადგენს, მხარეები იწყებენ მოქმედებას პრობლემის გარკვევისათვის. ხოლო მათი მოქმედება სხვა არაფერია თუ არა ფაქტის დამტკიცება. ე. ი. უცხო ქვეყნის სამართალი ეს არის „სამართალი“, რომელიც უნდა დაადგინოს სასამართლომ, მაგრამ იგი ხასიათდება „ფაქტის“ ნიშნებითაც.

5. სადისერტაციო ნაშრომში განვიხილეთ ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, როგორცაა, რას ნიშნავს საქართველოში უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების აღიარება (ცნობა). გამოყენებული კვლევის მეთოდების საფუძველზე, მივედით დასკვნამდე, რომ იგი პირველ რიგში წარმოადგენს გადაწყვეტილების კანონიერი ძალის გაგრძელებას ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. მაგრამ არა მთელი მოცულობით, არამედ იმ დონით (მოცულობით), რასაც ითვალისწინებს საქართველოს სასამართლოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტი (განჩინება), გადაწყვეტილების აღიარების თაობაზე. ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალება მოგვცა განსაკუთრებით გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ობიექტური და სუბიექტური ფარგლების საკითხის დამუშავებამ ჩვენი ქვეყნის საპროცესო სამართლის მიხედვით. რასაც თავის მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში.

ამასთან, განხილული გვაქვს გადაწყვეტილებათა ის სახეები რომელთა ცნობა ან არცნობა შეიძლება მოხდეს ჩვენს ქვეყანაში.

6. ასევე საინტერესოდ მიგვაჩნია ისიც, რომ დამუშავებული გვაქვს საკითხები, რომლებიც წარმოადგენენ გადაწყვეტილების აღიარებაზე უარის თქმის საფუძველებს. მათგან გვსურს გამოვყოთ ა) განჯადობა საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში; ბ) სამართალწარმოების ერთდროულად მიმდინარეობა საქართველოში და საზღვარგარეთ; გ) გადაწყვეტილების ცნობა, ჩვენს ქვეყანაში კანონიერ ძალაში შესული ან მესამე ქვეყნის კანონიერ ძალაში შეზული გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში; დ) ნაცვალგების პრინციპი და ე) გადაწყვეტილების აღიარების წინააღმდეგობრიობა საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებთან.

7. ნაშრომში გამოკვლეული გვაქვს საერთაშორისო განსჯადობის ცნება და მისი განსხვავება შიდასახელმწიფოებრივი განსჯადობისაგან. კერძოდ, გაკეთებულია დასკვნა, რომ საერთაშორისო განსჯადობა (კომპეტენცია), როგორც საერთაშორისო სამოქალაქო პროცესის ინსტიტუტი, განსაზღვრავს სასამართლოსადმი უწყებრივად ქვემდებარე, საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოქმნილი რომელი დავები უნდა მიიღოს განსახილველად ქვეყნის სასამართლომ (სასამართლო სისტემამ).

შედარებითი მეთოდის გამოყენებით, განხილული გვაქვს საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო განსჯადობის განსაზღვრის კრიტერიუმები. რომლის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენს ქვეყანაში ძირითად წარმოადგენს გერმანული სისტემის სახელით ცნობილი განსჯადობა. კერძოდ, საერთაშორისო განსჯადობა მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს კანონმდებლობა (სკს-ის კანონი) ითვალისწინებს განსჯადობას მოქალაქეობის მიხედვითაც.

8. ამასთან, მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემად მიგვაჩნია საკითხის გარკვევა, თუ რას ნიშნავს ჩვენი ქვეყნის სასამართლოს მიერ უცხო სახელმწიფოს სასამართლოსათვის საერთაშორისო განსჯადობის დადგენა. გაკეთებული დასკვნა, რომ იგი შეიძლება განხორციელდეს ორსაფეხურიანი შემოწმების გზით. კერძოდ, გადაწყვეტილების აღიარებისას, საქართველოს სასამართლო ჯერ ამოწმებს, დავის განხილვა განეკუთვნებოდა თუ არა მის განსაკუთრებულ განსჯადობას, რაც ცნობაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს, ხოლო ამის შემდეგ, გააჩნდა თუ არა უცხო სახელმწიფოს სასამართლოს საქმეზე საერთაშორისო განსჯადობა.

9. საერთაშორისო განსჯადობის შემოწმებასთან დაკავშირებით, რომელიც თავს იჩენს პირველ რიგში აღიარების პროცესში, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი. კერძოდ, მისი დადგენა სასამართლომ უნდა განახორციელოს თავისი ინიციატივით თუ მხოლოდ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე. რადაგან: ა) კანონის თანახმად საქართველოს სასამართლოში საერთაშორისო განსჯადობის წესების დარღვევით განხილულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების აღიარება შეუძლებელია, ბ) უდავო წარმოების წესით გამოტანილ გადაწყვეტილებების აღიარებისას, როდესაც არ გვყავს მოწინააღმდეგე მხარე, რომელსაც შეეძლო გამოეთქვა პროტესტი კომპეტენციის თაობაზე და დ) აღნიშნული პრინციპის დაცვა საერთაშორისო დონეზე მართლმსაჯულების მოწესრიგებულად განხორციელების აუცილებელი პირობაა, გამომდინარე ყოველივე აქედან, მივედით დასკვნამდე, რომ

საერთაშორისო განსჯადობის (კომპეტენციის) გარკვევა (შემოწმება) ჩვენი ქვეყნის სასამართლომ უნდა განახორციელოს თავისი ინიციატივით, ანუ დამოუკიდებლად იმისგან, იქნება თუ არა მხარის შუამდგომლობა.

**10.** აღიარების პროცესში ყურადღებას იმსახურებს საკითხი, რომელ მხარეს ეკისრება აღიარების საფუძვლების მიმართ მტკიცების ტვირთი.

ვფიქრობთ, მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძვლად მიჩნეული უნდა იქნეს ზოგადი წესი. კერძოდ, მხარე თავისუფლდება იმ ფაქტების დამტკიცებისაგან, რომლებიც ივარაუდებიან მის სასარგებლოდ. რა თქმა უნდა იმის გათვალისწინებით, რომ, როგორც უკვე ნაშრომში აღვნიშნეთ, პრეზუმფციები არ ათავისუფლებს მხარეს სრულად მტკიცების მოვალეობისაგან.

**11.** ნაშრომში განხილული გვაქვს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებათა კოლიზიის საკითხი. კერძოდ, როდესაც საქმე გვაქვს ან საქართველოს სასამართლოს და უცხო სახელმწიფოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებთან, ან მეორე შემთხვევაში უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებასა და საქართველოში აღიარებული მესამე ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებასთან. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვან პრობლემად წარმოჩნდება „ერთიერსაწინააღმდეგო“ გადაწყვეტილებებისაგან პროცესში მონაწილე მხარის თავის დაცვის საკითხი.

აღნიშნული პრობლემის განხილვის შედეგად, გაკეთებულია დასკვნა, რომ ასეთ შემთხვევაში დაცვის ერთადერთ გზას წარმოადგენს საქმის წარმოების განახლება (რესტიტუცია) საქართველოს სსკ-ის 423-ე მუხლის „ე“ პუნქტის საფუძველზე.

აქვე გვსურს შევხოთ ერთსა და იმავე მხარეებს შორის, ერთსა და იმავე დავის საგანზე სამართალწარმოების ერთდროულად მიმდინარეობას საზღვარგარეთისა და ჩვენი ქვეყნის სასამართლოში.

სკს-ის შესახებ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ:

ა) თუ სარჩელი ჩვენი ქვეყნის სასამართლოში უფრო ადრე იქნა აღძრული და მიღებული, მაშინ საქართველოს სასამართლო განიხილავს და გადაწყვეტს დავას.

ბ) ხოლო თუ სარჩელი უფრო ადრე იქნა აღძრული და მიღებული უცხო სახელმწიფოს სასამართლოში, მაშინ საქართველოს სასამართლო მიიღებს, მაგრამ შეაჩერებს მის განხილვას.

ე. ი. ხდება არა სარჩელის განუხილველად დატოვება ან მიღებაზე უარის თქმა, არამედ საქმის წარმოების შეჩერება.

რაც შეეხება მე-19 მუხლის მეორე პუნქტს. კერძოდ: „2. საქართველოს სასამართლო საქმე წარმოებაში არ მიიღებს, თუ არსებობს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება ცნობილ იქნეს საქართველოში.“ ასევე ვითარებაში „საქმე წარმოებაში არ მიიღებს“, ნიშნავს სარჩელის მიღებაზე უარის თქმას სსსკ-ის 186-ე მუხლეს პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის საფუძველით: „არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება ან განჩინება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების თაობაზე.“



12. ვფიქრობთ, ერთ-ერთ საყურადღებო საკითხს წარმოადგენს, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღიარებაზე უარის თქმის ისეთი საფუძველი, როგორცაა „ნაცვალგების პრინციპი“.

აღნიშნული საკითხის გამოკვლევისას მივედით დასკვნამდე, რომ უმჯობესი იქნება, თუ საქართველო უახლოეს მომავალში უარს იტყვის ამ ინსტიტუტის გამოყენებაზე. მიუხედავად იმისა, რომ მისი მოქმედება სკს-ის შესახებ კანონის 68-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად გარკვეულად შემსუბუქებულია დავის საგნისა და საერთაშორისო განსჯადობის საფუძველზე დაყრდნობით.

ამის თქმის საფუძველს გვაძლევს შემდეგი ორი მთავარი პირობა. ერთი – „ნაცვალგების“ პრინციპის გამოყენებამ შეიძლება არახელსაყრელი გარემოება შეუქმნას იმ სახელმწიფოს კომერციულ იურიდიულ პირების ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოში, რომლის გადაწყვეტილების აღიარებაზე უარს ამბობს ჩვენი ქვეყანა. მეორე – აღნიშნული ინსტიტუტი მოქმედებს ნებისმიერი მხარის მიმართ, ანუ რომელი მხარის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ არის უნდა იყოს გადაწყვეტილება გამოტანილი. ე. ი. აღიარებაზე უარი შეიძლება ითქვას, თუნდაც იგი მიღებული იყოს აღიარებული ქვეყნის მოქალაქის უფლებების დასაცავად.

13. ნაშრომის მესამე თავში განხილული გვაქვს საქართველოში აღიარებული გადაწყვეტილების აღსრულების ცნება, მისი წესი და პირობები.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენს ქვეყანაში, კანონმდებლობის საფუძველზე მოქმედებს საზღვარგარეთის აბსოლუტური უმრავლესობის სახელმწიფოებში გავრცელებული პრინციპი, კერძოდ, აღსრულების წესი განისაზღვრება მხოლოდ გადაწყვეტილების აღმასრულებელი ქვეყნის კანონით დადგენილი პირობებით.

ამასთან დაკავშირებით გაკეთებულია შემდეგი დასკვნები. კერძოდ, თუ გადაწყვეტილება მთელი მოცულობით არ არის გამოტანილი სასარჩელო მოთხოვნებზე, საქართველოს სასამართლოს მიერ იგი განხილული უნდა იქნეს როგორც ნაწილობრივი გადაწყვეტილება და აღიარებულ და აღსრულებულ იქნეს იმ ნაწილში, რომელიც დადგენილია და გადაწყვეტილია უცხო ქვეყნის სასამართლო აქტით.

ხოლო, ვერ აღსრულდება ისეთი გადაწყვეტილება, რომლითაც გარკვეულია მხოლოდ უფლების საკითხი, ანუ როდესაც არ არის დადგენილი მოპასუხის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები. გამომდინარე იქიდან, რომ გადაწყვეტილება აღიარებული და აღსრულებული შეიძლება იქნეს მხოლოდ იმ მოთხოვნებთან მიმართებით, რომელთა მიმართაც გარკვეულია მხარის უფლებები თუ მოვალეობები. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართალში გავრცელებული პრინციპის – „არსებითად გადამოწმების აკრძალვა“ (Revision of fond) – დარღვევასთან. მაგ. მოპასუხის მიერ გადასახდელი მოთხოვნის ოდენობის ან მისი სახეობის დადგენა ჩვენის ქვეყნის სასამართლოს მიერ. ეს გამოიწვევს გადაწყვეტილების როგორც ფაქტობრივ, ასევე სამართლებრივ გადახედვას.

ასევე ვერ აღსრულდება უცხო ქვეყნის ის გადაწყვეტილება, რომელიც მოითხოვს განმარტებას, ანუ მისი სარეზოლუციო ნაწილი მოიცავს ურთიერთგამომრიცხავ და ურთიერთსაწინააღმდეგო

მოსაზრებებს თუ დასკვნებს. გამომდინარე იქიდან, რომ სამოტივაციო ნაწილში ხდება მოსამართლის მიერ იმის დასაბუთება, თუ რატომ მიიღო მან კონკრეტულად ასეთი გადაწყვეტილება, საქართველოს სასამართლოს მიერ, შემდგომში განმარტებამ, შეიძლება გამოიწვიოს ზემოთაღნიშნული პრინციპის დარღვევა.

14. გაკეთებული გვაქვს დასკვნა, რომ განსხვავებულ საპროცესო მოქმედებებთან გვაქვს საქმე, როდესაც გადაწყვეტილება მოითხოვს მხოლოდ აღიარებას, თუ აღსრულებასაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღსასრულებელი გადაწყვეტილების მხოლოდ აღიარება არ არის საკმარისი პირობა, პროცესში მონაწილე მხარის უფლებების რეალურად განხორციელებისათვის.

უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობებში ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა იმ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის რეალურად განხორციელებას, რომლებიც დადასტურებულია სასამართლო წესით.

ამასთან დაკავშირებით განვიხილეთ, თუ რას ნიშნავს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილება, უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ. რასაც იურიდიულ ლიტერატურაში ეგზეკვატურას უწოდებენ.

15. ეგზეკვატურასთან დაკავშირებით განვიხილეთ შემდეგი საკითხი: შეიძლება თუ არა გავრცელდეს საქართველოს სასამართლოს დადგენილება აღსრულების თაობაზე (ეგზეკვატურა) უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაზე ეგზეკვატურის შესახებ. ანუ ეგზეკვატურა ეგზეკვატურის შესახებ. რადგან, ა) ეგზეკვატურა ეგზეკვატურის თაობაზე შეიძლება განვიხილოთ, როგორც უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ მეორე სახელმწიფოსთვის ყველა იმ საფუძვლის დადგენა, რომელთა არსებობისას ეს უკანასკნელი აღიარებს და აღასრულებს გადაწყვეტილებებს, ბ) წარმოადგენს რა ეგზეკვატურა აღსრულებისათვის კანონიერი ძალის გავრცელებას სახელმწიფოს ტერიტორიაზე, აქედან გამომდინარე კანონიერი ძალის გავრცელება ვერ იქნება შემდგომში კვლავ, ხელმეორედ კანონიერი ძალის გავრცელების საგანი და გ) ნიშნავს რა იგი კანონიერი ძალის გავრცელებას მხოლოდ მის გამომტან ქვეყნის ტერიტორიაზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეგზეკვატურა ვერ გავრცელდება ეგზეკვატურის შესახებ უცხო სახელმწიფოს გადაწყვეტილებაზე (დადგენლებაზე).

16. დასაბუთებული გვაქვს საქართველოში უკვე აღიარებული გადაწყვეტილების შემდგომში ჩვენი ქვეყნის სასამართლოს მიერ შეცვლის კანონიერი საფუძვლები.

17. თემის დამუშავებისას გამოყენებული კვლევის მეთოდების საფუძველზე, მოცემული გვაქვს რიგი საკანონმდებლო ცვლილებების წინადადებები.

კერძოდ, თანამონაწილეობის ინსტიტუტთან დაკავშირებით, სსსკ-ის 86-ე მუხლში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. სსკ-ის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ა) სარჩელის საგანს წარმოადგენს მოსარჩელეთა საერთო უფლება ან მოპასუხეთა საერთო ვალდებულება;

2. ამავე მუხლის "ბ" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ბ) რამდენიმე მოსარჩელის ან რამდენიმე მოპასუხის უფლებებები და მოვალეობები გამომდინარეობენ ერთი და იგივე საფუძვლებიდან;"

3. ამავე მუხლს დაემატოს "გ" პუნქტი, შემდეგი რედაქციით:

"გ) სარჩელის საგანს წარმოადგენს ერთგვაროვანი უფლებები და მოვალეობები;"

ამავე დროს, თანამონაწილეობა შეიძლება წარმოქმნას უკვე აღძრული სარჩელების გაერთიანებამ (მუხ. 182). აღნიშნული ინსტიტუტის კვლევის შედეგად, ვფიქრობთ, აუცილებელია შევიდეს ცვლილება 182-ე მუხლის პირველ ნაწილში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოსარჩელეს შეუძლია ერთ სარჩელში გააერთიანოს ამ სასამართლოს განსჯადი რამდენიმე მოთხოვნა ერთსა და იმავე მოპასუხის მიმართ, თუ ეს მოთხოვნები ემყარება ერთსა და იმავე ან ერთგვაროვან ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს.“

### გამოყენებული აბრევიატურის ნუსხა

- სკს – „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონი.  
სკ – საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.  
სსსკ – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.  
სუსგ – საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე.

### ბიბლიოგრაფია

#### გამოყენებული საკანონმდებლო ბაზა:

1. საქართველოს კონსტიტუცია. თბ. 1995.
2. გაეროს 1948 წ. 10 დეკემბრის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“.
3. „ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის“ 1950 წ. 4 ნოემბრის ევროპის კონვენცია; საქართველო შეუერთდა პარლამენტის 1999 წ. 12 მაისის №1940 დადგენილებით.
4. „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ კონვენცია. საქართველოში ძალაშია 1996 წ. 11 ივნისად.
5. „სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებზე სასამართლო და არასასამართლო დოკუმენტების საზღვარგარეთ გადაცემის შესახებ“ 1965 წ. 15 ნოემბრის ჰააგის კონვენცია.
6. ჰააგის 1961 წ. 5 ოქტომბრის „კონვენცია, რომელიც აუქმებს უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნას.
7. ჰააგის 1970 წლის კონვენცია „სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებზე საზღვარგარეთ მტკიცებულებათა მოპოვების შესახებ.
8. ვენის კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ, -- საქართველო შეუერთდა პარლამენტის 1993 წ. 13 მაისის დადგენილებით.
9. ვენის კონვენცია საკონსულო ურთიერთობების შესახებ --- საქართველო შეუერთდა პარლამენტის 1993 წ. 8 ივნისის დადგენილებით.

10. „ევროპული კონვენცია უცხოეთის კანონმდებლობაზე ინფორმაციის შესახებ“. ლონდონი 1968 წ. 7 ივნისი. საქართველოს შეუერთდა საქართველოს პარლამენტის 1999 წ. 2 მარტის №1819 დადგენილებით.
11. უცხოეთის კანონმდებლობაზე ინფორმაციის შესახებ ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმი. საქართველო შეუერთდა საქართველოს პარლამენტის 2000 წ. 16 მაისის №310 დადგენილებით.
12. ბრიუსელის „სასამართლო განსჯადობისა და სამოქალაქო და სამეურნეო დავებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების შესახებ“ 27. 09. 1968 წ. კონვენცია.
13. ევროსაბჭოს დადგენილება „სასამართლო განსჯადობისა და სამოქალაქო და სამეურნეო (სავაჭრო) საქმეებზე გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“. ძალაშია 2002 წ. 1 მარტიდან.
14. ლუგანოს 16. 09. 1988 წ. კონვენცია „სასამართლო განსჯადობისა და სამოქალაქო და სამეურნეო დავებზე მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების შესახებ“.
15. “უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ” კონვენცია; საქართველოსთვის ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 3 თებერვლის დადგენილებით.
16. საქართველოს ორგანული კანონი "საერთო სასამართლოების შესახებ" გამ. "პარლამენტის უწყებანი" 1997წ. №33
17. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“. გამ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“. 1999 წ. №14(21)
18. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. გამ. "პარლამენტის უწყებანი" 1997 წ. №47-48
19. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. გამ. "პარლამენტის უწყებანი" 1997 წ. №31
20. საქართველოს კანონი "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ". გამ. "პარლამენტის უწყებანი" 1998წ. №19-20
21. საქართველოს კანონი "უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" --- გამ. "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" №3; 16. 01. 2006 წ.

22. საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ.“ გამ. „საქართველოს პარლამენტის უწყებანი“. 1997 წ. №29-30/5.
23. საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“. გამ. საქართველოს პარლამენტის უწყებანი. 1996 19 ნოემბერი. გვ.1.
24. საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“. გამ. საქართველოს პარლამენტის უწყებანი 1997 წ. №44
25. საქართველოს კანონი „საადსრულებო წარმოების შესახებ“. გამ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1999 წ. №13(20).
26. საქართველოს კანონი „დიპლომატიური სამსახურის შესახებ.“ გამ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 21. 12. 2007. №45.
27. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“. გამ. საქართველოს პარლამენტის უწყებები. 1994 წ. №21-22.
27. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (სსმ) 32. 31. 07. 2006.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

28. იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე. 1999 წ.
29. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე. ტომი II. თბ. 2001 წ.
30. თენგიზ ლილუაშვილი.  
 “სამოქალაქო საპროცესო სამართალი”. გამომცემლობა “ჯისიაი”. თბილისი. 2005 წ.  
 თ. ლილუაშვილი „სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში,” პრაქტიკული სახელმძღვანელო. II გამოცემა, გამ. „ჯისიაი” 2003 წ.
31. თენგიზ ლილუაშვილი. ვალერი ხრუსტალი.  
 “საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი”. გამომცემლობა “სანი”. 2004 წ.
32. თენგიზ ლილუაშვილი.  
 “საერთაშორისო კერძო სამართალი”. გამომცემლობა “ჯისიაი”. თბილისი 2001 წ.

33. ბ. ზოიძე, “საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში”; თბილისი 2007. გამომც. გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ).
34. ჰაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია. „სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია“. გამ. „ჯისიაი“, თბილისი 2003 წ.
35. გ. ხუბუა. სამართლის თეორია. გამ. “მერიდიანი”. თბილისი 2004 წ.
36. ლ. ალექსიძე. „თანამედროვე საერთაშორისო სამართალი“. თბილისი 1998 წ. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
37. კ. კორკელია. „საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივ სამართალში“. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1998 წ.  
გ. ქირია „სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების თავისებურებანი.“ ჟურნალი „სამართალი“, 1997.
38. ზ. გაბისონია. ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი. გამ. „მერიდიანი“. თბ. 2006 წ.
39. როლფ კნიპერი. „საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართალი: სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა (აღიარება) და აღსრულება ევროკავშირის სამართალთან შესაბამისობაში“. გამოქვეყნებული: „თენგიზ ლილუაშვილი, საიუბილეო კრებული“; გამომ. „ჯისიაი“.
40. ლ. ჭანტურია. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. გამომც. “სამართალი”. 1997 წ.  
გ. ხრუსტალი „კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში“. სადისერტაციო ნაშრომი 2004 წ.
41. შ. ქურდაძე, „სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში“. გამომცემლობა მერიდიანი. 2005 წ.,
42. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. გადაწყვეტილებები, 2003. თბ. 2004 წ.
43. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე №7 2003 წ.
44. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე №10 2003 წ.

45. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეებზე, 2005 წ. №6.
46. საქართველოს უზენაესი სასამართლო, განჩინება №ა-1805-04, 29 ივლისი, 2004 წელი. ქ. თბილისი.
47. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №ა-1959-შ-80-05. 12 დეკემბერი, 2005 წ. ქ. თბილისი.
48. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეებზე. 2001 წ. 11 ნოემბერი გვ. 1193.
49. Международное частное право. Иностранное законодательства. изд. СТАТУТ. Москва 2001.
50. Ю. А. Тимохов. Иностранное право в судебной практике. изд. Wolterskluwer.
51. М. М. Богуславский Международное частное право. Москва. изд. международные отношения. 1994.
52. «Гражданское процессуальное уложение Германии». Москва. изд-во «Волтерс Клувер». 2006.
53. Гражданское уложение германии. изд. „Wolters kluwer“. 2004.
54. Французский гражданский Кодекс. Санкт-петербург Юридический центр пресс. 2004.
55. Н. Г. Елиссев. “Гражданское процессуальное право зарубежных стран.” 2-е издание. изд. “проспект”. Москва 2004 г.
56. Л.А. Лунц. "Международный гражданский процесс". Изд-во "Юридическая литература". М. 1966.
57. Л.А. Лунц. "Международное частное право". Изд-во "госюриздат". М. 1959.
58. М. Иссад. "Международное частное право", изд-ва "Прогресс". Москва 1989.
59. Д. В. Литвинский. “Признание иностранных судебных решений по гражданским делам”. Издательство юридического факультета С.-Петербургского университета. 2005 г.
60. Кох, Магнус, Винклер фон Моренфельс. Международное частное право и сравнительное правоведение. изд. “Международные отношения”. 2001 г.
61. М.М. Богуславский. “Международное частное право” изд. “Международные отношения”. 1994 г.



62. М.М. Богуславский. “Международное частное право” изд. „ЮРИСТЬ”. Москва 1999.
63. Т. Н. Нешатаева. Международный гражданский процесс. Москва. Изд. дело 2001 г.
64. Л.П. Ануфриева “Международное частное право”. Том 3. Москва. Изд. БЕК. 2001 г..
- 65.. Гражданское процессуальное право. С.А. Алехина. В.В. Блажеев и др. Изд. „Проспект” 2004.
66. Немецко-русский юридический словарь. Berlin verlag „Die Wirtschaft”. Москва изд. „русский язык”. 1985.
67. А.Г. Давтян. Гражданское процессуальное право германии. изд. городец 2000 г.
68. Л. Раапе. „Международное частное право”. Изд. иностранной литературы. 1960.
69. А.Г. Давтян. Гражданское процессуальное право зарубежных стран. М. 2009 г.
70. В. Б. Евдокимов К. Е. Михайленко. „Международная правовая помощь по гражданским и уголовным делам. На примере стран СНГ.” изд. „ОЛМА-ПРЕСС.” 2004.
71. Rozenberg, Schwab, Gottwald.  
“Zivilprozessrecht”. Verlag C.H. Beck. München. 2009.
72. Rozenberg, Schwab, Gottwald.  
“Zivilprozessrecht”. Verlag C.H. Beck. München. 1993.
73. Wolfgang Lüke.  
„Zivilprosederecht. Erkenntnisverfahren, Zwangsvollstreckung“. Verlag C.H. Beck. München. 1999.
74. Othwar Jauering.  
„ Zivilprozessrecht“. Verlag C.H.Beck. Munchen 1993.
75. Zivilprozessordnung Deutschlands. Verlag Wolters Kluver 2006.
76. Thomas/putzo. ZPO. 20 Auflage. Verlag C.H.Beck. Munchen 1997.
77. Noure code de procedure civile. Dalloz, 1997 s.100.
78. Federal rules of civil procedure. West Publishing co. 1994. s.88
79. Brox,Hans. Allgemeiner Teil des BGB. 15 Aufl. Koln,Berlin,Bonn,Munchen 1991.

80. Fasching H. W. Lehrbuch des österreichischen Zivilprozessrechts. 2. Aufl. Wien. Manz. 1990.
81. Grunnsku. Zivilprozessrecht. Elfte, neubearbeitete Auflage. Lucterhand 2003.
82. Baur/Grunsky. Zivilprozessrecht. Neunte, überarbeitete Auflage. Lucterhand Verlag GmbH, Neuwied, Kriftel, Berlin 1997.
83. H. Schack. Internationales Zivilverfahrensrecht. verlag C.H.Beck, 2001.
84. Jurisdiktionsnorm und Zivilprozessordnung, Herausgegeben von Dr. Rudolf Stohanzl. 15. Auflage. Wien 2002.
85. Zivilprozessordnung, Kommentar von Prof. Dr. Heinz Thomas, Dr. Klaus Reichold, Prof. Dr. Hans putzo, Dr. Rainer Husstege, 24 neubearbeitete Auflage, Verlag C. H. Beck, München, 2002.
86. Die Revision in den zivil- und verwaltungsgerichtlichen Verfahren, Eine Systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der hochstrichterlichen Rechtsprechung von Artur Mey, 2 überarbeitete und erweiterte Auflage, Carl heymanss verlag, koln, Berlin, Bonn, München, 1997
87. R. Haase, R. Keller, Grundlagen und Grundformen des Rechts, Stuttgart, Berlin, Köln, mainz, Kohlhammer.
88. Kegel Gerhard. Internationales Privatrecht. 6 Auflage. Verlag C. H. Beck. München 1987
89. Fentiman R. Foreign Law in English Courts. Oxford, 1998.
90. North P.M. Fawcett J.J. Cheshire and North's Private International Law. 13th ed. London; Edinburgh; Dublin, 1999.
91. Geimer r. internationales Zivilprozessrecht. 3. Aufl. Köln: O. Schmidt, 1997
92. Legarde P. Lareciprocite en droit internacional prive. 1977. RCADIH (Recueil des cours de l'Academie de droit international (de la Heye)).
93. Kropholler, Europäisches Zivilprozessrecht; Verlag Recht und Wirtschaft GmbH Heidelberg 1996.
94. Civil kode.
- 95.. Wolfgang Golasowski. Endgültigkeit richterlicher Entscheidungen und Durchbrechung der Rechtskraft nach deutschem Recht. Tagungsband I Kaukasische Richterkonferenz 2002. Tbilisi 2003.
96. Gerard Couchez. Procedure Civile, Dalloz. 1996.

97. Wolfgang Kallwass. Privatrecht. Ein Basisbuch. 15. Auflage. Verlag U. Thiemonds Koln 1996.
98. Peter Gottwald. Die internationale Zwangsvollstreckung. IPRax 1991
99. Gary Born, International civil litigation in United States courts: commentary & materials. Kluwer Law International. 1996.
100. Jack h. Friedenthal; Mary Kay Kane; Arthur R. Miller. Civil Procedure. 2005. Thomson-west.
101. Geoffrey c. Hazard; Michele Taruffo. „American civil procedure. 1993. Yele University.
102. Civil Procedure. Mary Kay Kane. 1990. West publishing company.
103. Joseph W. Glannon. Civil procedure. Examples and explanations. 2001. Aspen publishers.
104. Black's Law Dictionary. Definitions of the Terms and Phrases of American and english Jurisprudence. St. Paul, minn. West publishing Co. 1991.

**არაატირებული დამხმარე ლიტერატურა:**

105. თ. ლილუაშვილი. „სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში.“ ნაწილი I. თბ. 2202 წ.
106. ს. გამყრელიძე. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესავალი“. პირველი წიგნი. თბ. 2000 წ.
107. კ. კორკელია. „სასამართლოს როლი საერთაშორისო ხელშეკრულების გამოყენებაში.“ ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“. 1998 წ. №1.
108. ზ. ახვლედიანი. „ვალდებულებითი სამართალი“. მე-2 გამოცემა. გამ. „სამართალი“. 1999 წ.
109. რომან შენგელია. „საოჯახო სამართალი“. გამ. „მერიდიანი“. 1999 წ.
1010. ზ. გაბისონია. „იურიდიული პირები, როგორც უცხოური ინვესტიციების სუბიექტები.“ ჟურნ. „სამართალი“. 2000 წ. № 5.
111. Л. Эннекцерус. „Курс Германского гражданского право“. Изд. „Иностранной литературы“. М. 1950 г.
112. А. К. Романов. „Правовая система Англии“. М. Изд. „ДЕЛО.“ 2000 г.
113. Принципы международных коммерческих договоров. М. 1996.

114. Уильям Бернам. „Правовая система США.“ 3-й выпуск. М. Изд. РИО „Новая юстиция.“ 2007.
115. „Гражданский процесс зарубежных стран“. Под редакцией А. Г. Давтян. М. Изд. „Проспект.“ 2008.
116. В. М. Шумилов. „Правовая система США.“ М. Изд. „Международные отношения“. 2006 г.
117. „Международное частное право.“ Сборник документов. Изд. „БЕК“ М. 1997.
118. Д. Гомьен, Д. Харрис, Л. Зваак. „Европейская конвенция о правах человека и Европейская хартия: право и практика“. Перевод с английского. М. Изд. Московского независимого института международного права. 1998 г. Научный редактор Л. Б. Архипова.
119. Данилов Е. П. „Гражданский процессуальный кодекс“. М. Изд. „Право и закон“. 2000 г.
120. Большой Англо-Русский словарь. Том 1. М. изд. Русский язык. 1979.
121. Большой Англо-Русский словарь. Том 2. М. изд. Русский язык. 1979.
122. А. С. Скадиров. „Международное частное право.“ Изд. В. А. Михайлова. Изд. „Полиус“ Санкт-Петербург 1998.
123. Black's Law Dictionary. ST. Paul. West Publishing Co. 1991.
124. Burgerliches Gesetzbuch Allgemeiner Teil. Faust. Ver. „Homos“. 2005.

**იხილეთ აგრეთვე:**

1. <http://www.ris.bka.gv.at/>
2. <http://dejure.org/>
3. <http://www.cac-civillaw.org/land/georgien.html>
4. [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=191&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=191&lang=1)
5. [http://www.hcch.net/index\\_en.php?act=conventions.status&cid=17](http://www.hcch.net/index_en.php?act=conventions.status&cid=17)
6. [http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral\\_texts/arbitration/NYConvention\\_status.html](http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral_texts/arbitration/NYConvention_status.html)
7. <http://www.gtz.de/de/weltweit/europa-kaukasus-zentralasien/26450.htm>
8. <http://amlaw.us/emmert1.shtml>

